

გიგია

სახელმწიფო უნივერსიტეტი





ՀԵՂԱՋԱՆ ԱԼԻԵՎ
ԱՇԽԱԲԱԴԸՆ ՏԱԼԵՍ ՍԱՐՏՈՒԹՈՅԵԼՈ ՀՈԴԱՀՈ

LAYIH

11

Ճ Ո Ա Ռ Ա

ՏԱԿԵԼՋԱՋՎԱԵԿԵՐԾ

Ցողագուշացանմանառողջական սկզբան
մյ-11 կլասնի մուսնացութատվութեան

LAYİH

Հոգեգործ, ամ ցամուցեմաստան
դաշտավայրեալու Շենքենցենի
դա նոնաճագեպենի ցամոց-
նազնութ ցլույթրոննուլ
մուսմարտութինց:
bn@bakineshr.az
դա derslik@edu.gov.az.
Նոնասնար մագլուկաս ցոնցուտ
տանամշրոմլուկուստվութ.

11

ცუცუც

შინაარსი

ნაცილი I

ჟანგბაღშემცველი ორგანიზაციის ნაერთები

1

საირტები და ფეხოლები
ნინასნარი შემოწმება

1.1. ნაჯერი ერთატომიანი სპირტები

1.1.1. ნომენკლატურა და იზომერია

1.1.2. მიღება

1.1.3. აღნაგობა და ფიზიკური თვისებები

1.1.4. ქიმიური თვისებები და გამოყენება

1.1.5. პრაქტიკული სამუშაო. „ეთანოლის გასამართლება“

1.2. ნაჯერი მრავალატომიანი სპირტები

1.2.1. ეთილენგლიკოლი

1.2.2. გლიცერინი

1.3. ფენოლი

1.3.1. მიღება, აღნაგობა და ფიზიკური თვისებები

1.3.2. ქიმიური თვისებები და გამოყენება

I თავის შეჯამება

განმაზოგადებელი კითხვები და დავალებები

2

ალფეპილები
ნინასნარი შემოწმება

2.1. ალფეპილები

2.1.1. ნომენკლატურა და იზომერია

2.1.2. მიღება, აღნაგობა და ფიზიკური თვისებები

2.1.3. ქიმიური თვისებები და გამოყენება

პრაქტიკული სამუშაო-1. სპირტების, ფენოლისა და ალფეპილების ქიმიური თვისებები

II თავის შეჯამება

განმაზოგადებელი კითხვები და აუკალებული

3

კარბომეტანი და მათი ნახარები
ნინასნარი შემოწმება

3.1. კონფიუნი კარბომეტავები

3.1.1. ნომენკლატურა და იზომერია

3.1.2. მიღება

3.1.3. აღნაგობა და ფიზიკური თვისებები

3.1.4. ქიმიური თვისებები და გამოყენება

3.1.5. ნაჯერი და უჯერი კარბონმჟავები

3.2. ორფუნდინი კარბონმჟავები

- 3.3. რთული ეთერები
 - 3.3.1. ნომენკლატურა და იზომერია
 - 3.3.2. მიღება და თვისებები
- 3.4. ცნობები
- 3.5. საპნები და სარეცხი საშუალებები
 - III თავის შეჯამება
 - განმაზოგადებელი კითხვები და დავალებები

4

ნახშირნებები
ნინასწარი შემოწმება

- 4.1. ნახშირნებები
 - 4.1.1. გლუკოზა: აღნაგობა და ფიზიკური თვისებები
 - 4.1.2. გლუკოზა: ქიმიური თვისებები და გამოყენება
 - 4.1.3. ფრუქტოზა, რიბოზა და დეზოქსირიბოზა
- 4.2. დისაქარიდები. საქართვა
- 4.3. პოლისაქარიდები
 - 4.3.1. სახამებელი
 - 4.3.2. (ცელულოზა
პრაქტიკული სამუშაო - 2. კარბომჟავების, რთული ეთერების, სარეცხი საშუალებების და ნახშირნებების ქიმიური თვისებები
- IV თავის შეჯამება
განმაზოგადებელი კითხვები და დავალებები

ნაცილი II

აზოტშემცველი ორგანული ნართები

5

ციტონარეთები, ამინები, ამინებავები და ცილები
ნინასწარი შემოწმება

- 5.1. ნიტრონაეროები
- 5.2. ამინები
 - 5.2.1. ნომენკლატურა და იზომერია
 - 5.2.2. მიღება, აღნაგობა და ფიზიკური თვისებები
 - 5.2.3. ქიმიური თვისებები და გამოყენება
 - 5.2.4. ანილინი
- 5.3. ამინმჟავები
 - 5.3.1. ნომენკლატურა, იზომერია, მიღება და აღნაგობა
 - 5.3.2. თვისებები და გამოყენება
- 5.4. ცილები
 - 5.4.1. აღნაგობა
 - 5.4.2. თვისებები და გამოყენება
- V თავის შეჯამება
განმაზოგადებელი კითხვები და დავალებები

ნაცილი III

მაღალმოლექულური ნართები

6


აოლიგენები
ნინასწარი შემოწმება

- 6.1. პოლიმერების აზნგობა და ფიზიკური თვისებები. პლასტმასები
- 6.2. ბუნებრივი და სინთეზური კუმულუკი
- 6.3. ბოჭკოები
- 6.4. გარემოს დაცვა პოლიმერებით დაპინძურებისგან
- 6.5. გაკეთოლითაბატბი: სარგებელი და ზიანი პოლიმერებისგან
პრაქტიკული სამუშაო - 3. ცილებისა და პოლიეთოლენის ფიზიკურ
და ქიმიური თვისებები
- VI თავის შეჯამება
განმაზოგადებელი კითხვები და დავალებები
- ტერმინები და ქიმიური ცნებები

7E მოდელი საბუნების მეტყველო მეცნიერებათა სწავლებაში

სახელმძღვანელოს ყველა ნაწილი მომზადებულია საბუნების მეტყველო მეცნიერებათა სწავლების სასწავლო ციკლის 7E მოდელის მიხედვით. ეს მოდელი ითვლება ყველაზე პროგრესულ საგანმანათლებლო მოდელად მსოფლიოში.

7E ციკლის რეალიზაციის თანმიმდევრობა გაკვეთილებზე:



სახელმძღვანელოს გაცემისა

1. ნაჯერი ერთა ტომინან სპირტი

1.1. ნომენკლატურა და იზომერი

გაისხეთ განვლელი მასალა (Elicit) – განვლილი მასალის გამეორება.

მოტივაცია (Engage) – წინასასწარი წინურმაცია და სადისკუსიო შეკითხვები გაკვეთილის შინაარსის შესახებ. სხვადასხვა მოვლენისა და სიტუაციის აღნიერა, რაც შეკითხვებით მთავრდება.

საქმიანობა (Explore) – საგანთან დაკავშირებული მოვლენებისა და პროცესების კვლევა, რომელიც მოიცავს თეორიულ და პრატიკულ ამიცანებს.

ახსნა (Explain) – გაკვეთილის ძირითადი ნაილი: შემოდის აზალი ცნებები, ყალიბდება წესი.

• ბაინარი განვლელი მასალა •


– როგორ ინტენსიური ძირითად ნაილი და საერთაშორისო ნომენკლატურით აღნიერების დასახლებაშია?

■ საქმიანობას სამატემატიკულ ფრაგმენტი ყოფილია, მეტა-ცინაში და მრავალი მასალის სივრცისას დარღვეული ამინტური ძალის მიზნებით მომზადება და განვითარება, სირთულეების გრძელებისას აღნიერება, და სხვა წევითორიზმებისას, გაერთიანდება.

– როგორი წესების შემცირების ასახულებები სპირტის სპირტები?

– რა ივერ ამის შესახებ?

■ საქმიანობა • სპირტის ნომენკლატურა: ჭრილო მოცულეული სტრუქტურული შესახებ კონკრეტული ნიშნების მიზნებით განვითარება, რაც განვითარების დასახელების წესი.



ინტენსიური: – რატომ შესაამება მეთანის ერთო სპირტი, პროპანის კი – რო?

– რა მეთეული შეცვლილ განვითარებულის აღნიერების სპირტული იზომერია?

ნაკლები ერთა ტომინი სპირტის მიღებულების ალერგიის რაოდინი (R) და ალერგიული განვითარებულის მიღებულების ადგენერ ალერგიის ფილმულად წყალადასის ერთი ატომის პილოროსილის ჯავურთ შეცვლის გზით:






ნაკლები ერთა ტომინი სპირტის შეცვლილობა გამოისახება ზოგადი ფორმულით $\text{C}_n\text{H}_{2n+1}\text{OH}$ ან $\text{C}_n\text{H}_{2n+2}\text{O}$ ($n \geq 1$).

შევი ი ს ა კ ლ კ


სპირტების შეცვლილობასთან დაკავშირებული გამოთვლება		
ნაკლები ერთა ტომინი	სპირტის M_r	მოლეკულური ფორმულა
სპირტი ROH	46	$m(\text{C}) : m(\text{O}) = ?$

ამონა:


გამოვსახოთ სპირტის M_r , მის მოლეკულური ნამრავლის ატომური რიცხვის (n) მიხედვით:
 $M_r(\text{C}_n\text{H}_{2n+2}\text{O}) = 12n+2n+2+16 = 14n + 18$; $14n + 18 = 46$; $n = 2$.



- ჩილდოვებისა და მუზების სისტემა**
 - I. განაკვეთული და გრაფიკული მოძღვური შემუშავები მიზანი სისტემაზე
 - ბორბოტებული და გრაფიკული დანართები ენაცია ერთად მოყვარული სისტემის სისტემაზე მომდევნობის რიცხვები ... შესაბამის მიზანი ინტერაქციის რიცხვების დანართების მიზანი
 - II. განაკვეთული დოკუმენტი მიმღებად მიმღებად მიმღებად და კონფიგურაცია
 - მიმღებული თანამდებობის დანართების მიმღებული მიმღებად აღმოჩენა
 - III. განაკვეთული და გრაფიკული




2. კიოთხვები სნავლების პროცესში
ინდივიდუალური საქმიანობისთვის:
 3. სხვადასხვა სირთულის დავალებები (ა,ბ,გ,დ).



ମୂଳଶବ୍ଦାକ୍ଷର ପ୍ରିଣ୍ଟର୍ ଅତିକର୍ତ୍ତାଙ୍କ ନିର୍ମାଣକୁର୍ତ୍ତାରେ ଏହାରେ ବ୍ୟାପକ ଉପରେ ଆବଶ୍ୟକତା ଥିଲା ।

- ପରିମଳାକ୍ଷର୍ତ୍ତା ଦିଲ୍ଲୀରେ ନିର୍ମାଣ କରାଯାଇଲା ।
- ଶବ୍ଦାକ୍ଷର୍ତ୍ତା ନିର୍ମାଣକୁର୍ତ୍ତା ସାହାରନାର୍ଦ୍ଦେଖିବାରେ ମଧ୍ୟ ନିର୍ମାଣକୁର୍ତ୍ତା ମଧ୍ୟ ନିର୍ମାଣକୁର୍ତ୍ତା ମଧ୍ୟ ନିର୍ମାଣକୁର୍ତ୍ତା ।
- ପରିମଳାକ୍ଷର୍ତ୍ତା ସାହାରନାର୍ଦ୍ଦେଖିବାରେ ମଧ୍ୟ ନିର୍ମାଣକୁର୍ତ୍ତା ।
- ପରିମଳାକ୍ଷର୍ତ୍ତା ସାହାରନାର୍ଦ୍ଦେଖିବାରେ ମଧ୍ୟ ନିର୍ମାଣକୁର୍ତ୍ତା ।
- ପରିମଳାକ୍ଷର୍ତ୍ତା ସାହାରନାର୍ଦ୍ଦେଖିବାରେ ମଧ୍ୟ ନିର୍ମାଣକୁର୍ତ୍ତା ।
- IUPAC-ରେ ନିର୍ମାଣକୁର୍ତ୍ତା ପରିମଳାକ୍ଷର୍ତ୍ତା ନିର୍ମାଣକୁର୍ତ୍ତା ।
- IUPAC-ରେ ନିର୍ମାଣକୁର୍ତ୍ତା ପରିମଳାକ୍ଷର୍ତ୍ତା ନିର୍ମାଣକୁର୍ତ୍ତା ।





თანხმო

ქადგინდებული
ორგანული
ნაღმისამართი

თავი

1

სპირტები და ფენოლები

1.1. ნაჯერი ერთატომიანი სპირტები

- 1.1.1. ნომენკლატურა და იზომერია
- 1.1.2. მიღება
- 1.1.3. ალნაგობა და ფიზიკური თვისებები
- 1.1.4. ქიმიური თვისებები და გამოყენება
- 1.1.5. პრაქტიკული სამუშაო. „ეთანოლის გასამართლება“


1.2. ნაჯერი მრავალატომიანი სპირტები

- 1.2.1. ეთილენგლიკოლი
- 1.2.2. გლიცერინი

1.3. ფენოლი

- 1.3.1. მიღება, ალნაგობა და ფიზიკური თვისებები
- 1.3.2. ქიმიური თვისებები და გამოყენება

- მეთანოლი
- ეთანოლი
- ეთილენგლიკოლი
- გლიცერინი
- ალკოჰოლატები
- დენატურატი
- ანტიფრიზი
- დინამიტი
- მარტივი ეთერი
- დიეთილის ეთერი
- ანესტეზია
- ფენოლი
- კარბოლმჟავა
- კრეზოლები
- ფენოლატები



ჩინეთის (ხენანის პროვინცია) ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნეოლითის პერიოდის ძველი ჭურჭლის ანალიზი მიუთითებს იმაზე, რომ ამ ჭურჭელში ალკოჰოლშემცველი პროდუქტები ინახებოდა.

დადგენილია, რომ ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე 6650-7000 წლის წინ ე.წ. ალკოჰოლურ სასმელებს იღებდნენ ყურძნიდან, თაფლიდან, სიმინდიდან და სახამებლიდან ფერმენტაციის (დუღილის) გზით. ვარაუდობენ, რომ ალკოჰოლშემცველი სასმელები ჩვენს ერამდე 5400 წლის წინ გაჩნდა ირანში (სპარსეთში), 3150 წლის წინ – ეგვიპტეში, 2000 წლის წინ – მექიკაში.

დღეს ალკოჰოლები გამოიყენება ზოგიერთი სახეობის ტრანსპორტის საწვავადაც.

LAYIH

გაიხსენეთ VII-X კლასებში შესწავლილი მასალა და შეასრულეთ შემდეგი დავალებები:

1. იპოვეთ შესაბამისობა.
 1. სპირტები a.R-COOH
 2. ალდეჰიდები b.R-OH
 3. კარბონმჟავები c.R-CHO
 2. უჩვენეთ სპირტების, ალდეჰიდებისა და კარბონმჟავების შესაბამისი ფუნქციური ჯგუფების სახელწოდებები.
 1. სპირტები a. ალდეჰიდის ჯგუფი
 2. ალდეჰიდები b. კარბონესილის ჯგუფი
 3. კარბონმჟავები c. ჰიდროქსილის ჯგუფი
 3. რით შეიძლება აიხსნას, რომ ალკანებისა და ალკენების ჰომოლოგიური რიგის პირველი წარმომადგენლები აირებია, ხოლო ნაჯერი ერთ-ატომიანი სპირტების ROH პირველი წარმომადგენელი – სითხე?
 - a. სპირტების დიდი ფარდობითი მოლეკულური მასით;
 - b. სპირტებში შიგამოლექულური წყალბადური ბმების არსებობით;
 - c. სპირტებში მოლეკულათაშორისი წყალბადური ბმების არსებობით;
 - d. ბ და გ პუნქტებში მითითებული მიზეზებით.
 4. ქვემოთ მოცემულთაგან რომელია ერთ-, ორ- და სამატომიანი სპირტი?
 1. ეთანოლი a. $C_3H_5(OH)_3$
 2. ეთილენგლიკოლი b. C_2H_5OH
 3. გლიცერინი c. $C_2H_4(OH)_2$
- ერთატომიანი სპირტი — ორატომიანი სპირტი — სამატომიანი სპირტი —**
5. რომელი სპირტის რთული ეთერებია ცხიმები?
 6. რომელი ორატომიანი სპირტის ხსნარი გამოიყენება ზამთრის პერიოდში წყლის ნაცვლად ავტომობილების კარბოურატორებში?
 7. რომელი სპირტი გამოიყენება როდის ნაყენის დასამზადებლად?
 8. რომელი უფრო მომწამლავია, მეთანოლი თუ ეთანოლი?

თავი

1

სპირტები და ზენოლები

- სიტყვა **სპირტი** წარმოქმნილია ლათინური გამოთქმიდან **spiritus vini** („ღვინის სული“).


X კლასში ორგანულ ნივთიერებათაგან თქვენ მხოლოდ ნახშირნყალბადებს გაეცანით. ამ სასწავლო წელს შეისწავლით ნახშირნყალბადების ჟანგბად- და აზოტშემცველ ნაერთებს – ორგანულ ნივთიერებებს, რომელთა მოლეკულებში ნახშირნყალბადის რადიკალი დაკავშირებულია ფუნქციურ ჯგუფთან ($-\text{OH}$, $-\text{CHO}$, $-\text{NH}_2$ და სხვ.). ამ ნაერთთა გაცნობას დავიწყებთ ჰიდროქსილშემცველი ორგანული ნივთიერებებიდან – **სპირტებიდან** და **ზენოლებიდან**. სპირტებსა და ფენოლებში ფუნქციურ ჯგუფად გვევლინება ჰიდროქსილის ($-\text{OH}$) ჯგუფი.

ჰიდროქსილების რჩქანელი ნაერთები

სპირტები
ზენოლები

სპირტები ორგანული ნივთიერებებია, რომელთა მოლეკულებშიც ერთი ან რამდენიმე ჰიდროქსილის ჯგუფი დაკავშირებულია ნახშირნყალბადის რადიკალთან.

სპირტები კლასიფიცირდება ნახშირნყალბადის რადიკალის ბუნებისა და ჰიდროქსილის ჯგუფების რიცხვის მიხედვით.



1.1. ნაჯერი ერთატომიანი სპირტები

1.1.1. ლიკვიდური და იზომერია


- გაიხსენით განვითარეთ მასალა •

- როგორ ირჩევთ ძირითად ნახშირბადოვან ჯაჭვს საერთაშორისო ნომენკლატურით ალკენების დასახელებისას?
- რა მიზეზით ჩნდება ალკანებსა და ალკენებში სტრუქტურული იზომერია?

■ სპირტებს სისტემატურად ვხვდებით ყოფაში, მედი-ცინაში და მრეწველობის სხვადასხვა დარგში. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, განვასხვავოთ სპირტები ერთმანეთისგან და სხვა ნივთიერებებისგან, აგრეთვე ვიცოდეთ მათი დასახელების წესები.

- რომელი წესების მიხედვით ასახელებენ სპირტებს?
- რა იცით ამის შესახებ?

საქმიანობა • სპირტების ნომენკლატურა. ქვემოთ მოცემული სქემების საფუძველზე მიუთითეთ კითხვის ნიშნით აღნიშნული ნივთიერებების სახელწოდებები და ჩამოაყალიბეთ ერთატომიანი სპირტების დასახელების წესები. გამოიყანეთ ნაჯერი ერთატომიანი სპირტების ზოგადი ფორმულა.



იმსჯელეთ: – რატომ შეესაბამება მეთანს ერთი სპირტი, პროპანს კი – ორი?

– რა მიზეზები შეიძლება განაპირობებდეს ალკანოლების სტრუქტურულ იზომერიას?

ნაჯერი ერთატომიანი სპირტების მოლეკულებში ალკილის რადიკალი (R) და კავშირებულია ჰიდროქსილის მხოლოდ ერთ ჯგუფთან: R-OH. ამიტომ ამ სპირტების ფორმულებს ადგენენ ალკანის ფორმულაში წყალბადის ერთი ატომის ჰიდროქსილის ჯგუფით შეცვლის გზით:



ნაჯერი ერთატომიანი სპირტების შედგენილობა გამოისახება ზოგადი ფორმულით $\text{C}_n\text{H}_{2n+1}\text{OH}$ ან $\text{C}_n\text{H}_{2n+2}\text{O}$ ($n \geq 1$).

X

შეისწავლა

სპირტების შეფარილობასთან დაკავშირებული გამოთვლები

ნაჯერი ერთატომიანი სპირტი	სპირტის M_f	მოლეკულაში ელემენტთა მასური თანაფარდობა
ROH	46	$m(\text{C}) : m(\text{O}) = ?$


ამონა:

გამოისახოთ სპირტის M_f მის მოლეკულაში ნახშირბადის ატომების რიცხვის (n) მიხედვით:
 $M_f(\text{C}_n\text{H}_{2n+2}\text{O}) = 12n + 2n + 2 + 16 = 14n + 18;$ $14n + 18 = 46;$ $n = 2.$


ამგვარად, სპირტის ფორმულა იქნება C_2H_6O , ანუ C_2H_5OH .
მაშინ მოლეკულაში ნახშირბადისა და ჟანგბადის მასური თანაფარდობა ტოლი იქნება:

$$m(C) : m(O) = (2 \cdot 12) : 16 = 24 : 16 = 3 : 2; \quad m(C) : m(O) = 3 : 2$$

გრაფიკზე ნაჩვენებია თითოეული ელემენტის მასის ($m_{\text{ელ}}$) სპირტის მოლურ მასაზე (M) დამოკიდებულება ალკანოლების მოლეკულებში. რომელ ელემენტებს შეესაბამება α , β და γ ნიველები?








ნომენკლატურა. ნორმალური (არაგანშტოებული) ნაჯერი ერთატომიანი სპირტების საერთაშორისო ნომენკლატურით დასახელებისთვის ნახშირბადატომების შესაბამისი რიცხვის შემცველი ალკანის დასახელებაში ფუძეს ემატება დაბოლოება „ოლი“:




- ისტორიულად **მეთანოლს** უწოდებდნენ კარბინოლს ან ხის სპირტს, ხოლო **ეთანოლს** – ღვინის სპირტს.

განშტოებული ნახშირბადოვანი ჩირჩხის მქონე ალკანოლების სახელწოდებები ინარმოება შემდეგი თანმიმდევრობის დაცვით:

1. შეირჩევა ყველაზე გრძელი ნახშირბადოვანი ჯაჭვი (ძირითადი ჯაჭვი), რომელიც შეიცავს $-OH$ -ჯგუფთან დაკავშირებულ ნახშირბადის ატომს;
2. ძირითადი ჯაჭვის ნახშირბადის ატომები ინომრება იმ ბოლოდან, რომელთანაც ახლოსაა $-OH$ -ჯგუფი;
3. სახელწოდებაში მიეთითება ნახშირბადის იმ ატომების ნომრები, რომლებთანაც ჩანაცვლებულია რადიკალები, რადიკალების რიცხვი და დასახელება;
4. სპირტის მოლეკულის მთავარი ჯაჭვის შესაბამისი ალკანის სახელწოდების ფუძეზე „ოლის“ დამატების შემდეგ მიეთითება ნახშირბადის ატომის ნომრი, რომელიც დაკავშირებულია $-OH$ -ჯგუფთან.




ნაჯერი ერთატომიანი სპირტების სახელწოდებები ინარმოება აგრეთვე შესაბამისი რადიკალის სახელწოდებიდან, სიტყვა „სპირტის“ დამატებით:




კლასიფიკაცია $-OH$ -ჯგუფთან დაკავშირებული ალკოლის რადიკალის ბუნების მიხედვით		
პირველადი სპირტები $CH_3-CH_2-CH_2-CH_2-OH$ პირველადი ბუტილის სპირტი	მეორეული სპირტები $CH_3-CH(OH)-CH_2-CH_3$ მეორეული ბუტილის სპირტი	მესამეული სპირტები CH_3 $CH_3-C(OH)-CH_3$ მესამეული ბუტილის სპირტი

იზომერია. ნაჯერ ერთატომიან სპირტებს ახასიათებს კლასის შიგნითა და კლასთაშორისის სტრუქტურული იზომერია. კლასის შიგნითა სტრუქტურული იზომერია ჩნდება ორი მიზეზით: ნახშირბადოვანი ჯაჭვის სხვადასხვა აგებულებისა და ამ ჯაჭვში $-OH$ -ჯგუფის ურთიერთგანსხვავებული მდებარეობის გამო.


კლასის შიგნითა იზომერია იწყება პროპანოლიდან. პროპანოლის იზომერია განპირობებულია მხოლოდ $-OH$ -ჯგუფის მდებარეობით ნახშირბადოვან ჯაჭვში.



ბუტანოლიდან დაწყებული, კლასის შიგნითა იზომერიას ორივე მიზეზი განაპირობებს:




მარტივ ეთერებსა და ნაჯერ ერთატომიან სპირტებს აქვთ ერთნაირი ზოგადი ფორმულა – $C_nH_{2n+2}O$, ამიტომ ისინი კლასთაშორისი იზომერებია. მაგალითად, კლასთაშორისი იზომერებია ეთილის სპირტი და დიმეთილის ეთერი.




ალკანოლებში გვხვდება აგრეთვე ოპტიკური იზომერი. მაგალითად, ბუტანოლ-2-ის მოლეკულაში მეორეული ნახშირბადის ატომი დაკავშირებულია 4 სხვადასხვა ატომთან და ატომთა ჯგუფთან ($-\text{H}$, $-\text{OH}$, $-\text{CH}_3$, $-\text{C}_2\text{H}_5$), რის შედეგადაც მოლეკულა წარმოქმნის ორ ოპტიკურ იზომერს:

შენიშვნა: სქემაზე **H** ატომი და ნახშირბადის ასიმეტრიული ატომი განლაგებულია ფურცლის სიბრტყეზე, $-\text{OH}$ და $-\text{C}_2\text{H}_5$ ჯგუფები მიმართულია ფურცლის სიბრტყის უკან, ხოლო $-\text{CH}_3$ -ჯგუფი – მკითხველისკენ.



• იცით თუ არა, რომ... • წყლის მოლეკულაში წყალბადის ერთ-ერთი ატომის ნახშირწყალბადის რადიკალით ჩანაცვლების შედეგად „წარმოქმნება“ სპირტები, ხოლო წყალბადის ორივე ატომის ჩანაცვლებისას – მარტივი ეფერები:




■ განამტკიცეთ შესრულებული მასალა

■ შეადგინეთ $\text{C}_5\text{H}_{11}\text{OH}$ სპირტის რვა შესაძლო კლასის შიგნითა სტრუქტურული ფორმულა და დაასახელეთ ისინი საერთაშორისო ნომენკლატურით.

■ რეზლუქსია და შეზაება

- I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შემოწმეთ მათი სისწორე.
 - ბუტანოლიდან დაწყებული, ნაჯერი ერთაურმიანი სპირტების კლასის შიგნითა სტრუქტურული იზომერების რიცხვი ... შესაბამისი ალკნის იზომერების რიცხვს, რადგან...
- II. გადმოეცით თქვენი შეხედულები ფრაზე, უპარატეტ რა კითხვებს:
 - მოცემული თემის რომელი ცნებები მოგეწვნათ ძნელად აღსაქმელი?
- III. შეასრულეთ დავალებები
 - 1. განსაზღვრეთ იზომერული სპირტები და დაასახელეთ ისინი საერთაშორისო ნომენკლატურით.



2. განსაზღვრეთ ჰომოლოგები.

1. CH_3OH 2. CH_3OCH_3 3. $\text{C}_2\text{H}_5\text{OH}$ 4. CH_3CHO 5. $\text{C}_3\text{H}_7\text{OH}$

3. მიუთითოთ ზედმეტი თითოეულ რიგში და ახსენით თქვენი არჩევანი.

1. პირველადი სპირტი, მეთანოლი, ეთანოლი, გლიცერინი.
2. მეთანოლი, ეთოლენგლიკოლი, გლიცერინი, აცეტალდეჰიდი.
3. CH_3OH , $\text{C}_2\text{H}_5\text{OH}$, $\text{C}_2\text{H}_4(\text{OH})_2$, $\text{C}_4\text{H}_9\text{OH}$

4. განსაზღვრეთ n.


ნაჯერი ერთატომიანი სპირტი	ჟანგბადის მასური წილი მოლეკულაში, %	სპირტის ადგილი ჰომოლოგიურ რიგში $n = ?$
ROH	50	

5. დაადგინეთ შესაბამისობა.

- | | |
|---------------------|----------------------|
| 1. პირველადი სპირტი | ა. პროპანოლ-2 |
| 2. მეორეული სპირტი | ბ. 2-მეთილპროპანოლ-2 |
| 3. მესამეული სპირტი | გ. პროპანოლ-1 |

6. მოცემულ სქემაზე მიუთითოთ მეთანოლისა და ეთანოლის შესაბამისი გამოთქმები:

- a. შედგენოლობა შესაბამება ფორმულას $\text{C}_n\text{H}_{2n+1}\text{OH}$.
- b. M_f შეიძლება გამოვთვალით ფორმულით $14n+18$.
- c. მოლეკულაში ელემენტების მასათა თანაფარდობა $m_{\text{C}}:m_{\text{O}}:m_{\text{H}}$ უდრის 3:4:1.
- d. მოლეკულაში ატომთა რიცხვითი თანაფარდობა $n_{\text{H}}:n_{\text{C}}$ უდრის 3:1.



7. საერთაშორისო ნომენკლატურით დასახელეთ სპირტი, წარმოქმნილი მეთანოლის მოლეკულაში მეთილის რადიკალის წყალბადის 2 ატომის იზოპროპილის რადიკალებით ჩანაცვლების შედეგად შეადგინეთ მისი ნებისმიერი კლასთაშორისი იზომერის სტრუქტურული ფორმულა.

8. განსაზღვრეთ სპირტის M_f და მის მოლეკულაში ატომთა საერთო რიცხვი ($\Sigma_{\text{ატომ.}}$).

ნაჯერი ერთატომიანი სპირტი	მოლეკულაში ნახშირბადის ატომების რიცხვი	ფარდობითი მოლეკულური მასის გამოსახულება	მოლეკულაში ატომების საერთო რიცხვი
ROH	$m - 1$	$M_f(\text{ROH}) = ?$	$\Sigma_{\text{ატომ.}} = ?$

გაკვეთილის
შემსრულებელი


მოამზადეთ ცნობა სპირტების ისტორიულად ჩამოყალიბებული და თანამედროვე სახელწოდებების შესახებ:

1. სპირტების დასახელების წესები.
2. სპირტების ისტორიულად ჩამოყალიბებული სახელწოდებები და მათი ნომრშობის მიზუხბი.
3. სპირტების ტრივიალური ნომენკლატურა.
4. სპირტების საერთაშორისო ნომენკლატურა (IUPAC).
5. სპირტების სხვადასხვა ნომენკლატურის შედარება.
6. IUPAC-ის ნომენკლატურის უპირატესობანი.

1.1.2. მიღება

• გაცესენით განვალიღო გასაღა •

- რომელი ნახშირწყალპადის პიდრატაციით იღებენ ეთილის სპირტს?
- რომელ პროცესს ეფუძნებოდა ეთილის სპირტის მიღების (ხსნარის სახით) პირველი ხერხი ძველ დროში?




საქმიანობა • ეთილის სპირტის მიღება.

სქემაზე გამოსახულია ეთილის სპირტის მიღება გლუკოზიდან. სქემის საფუძველზე განსაზღვრეთ X, Y, Z და K ნივთიერებები და შეადგინეთ შესაბამისი რეაქციების ტოლობები.


იმსჯელეთ:

- ახსენით, როგორ მიმდინარეობს მოცემული პროცესი.
- რატომ იცვლება თერმომეტრის ჩვენება?




ბუნებაში სპირტები თავისუფალი სახით იშვიათად გვხვდება. ამიტომ მათ ძირითადად სინთეზური გზით იღებენ.

I. მეთანოლს მრეწველობაში იღებენ სინთეზ-აირიდან:



- მეთანოლს ადრე ხის მერქნის პიროლიზით იღებდნენ.

II. ეთანოლს იღებენ შაქრივარი ნივთიერებებიდან, რომლებიც შეიცავს გლუკოზას ან მის ნაშთებს:



შეისწავლა

სპირტების მიღებასთან დაკავშირებული გამოთვლები

რამდენი მ³ (ნ.პ.) სინთეზ-აირის საჭირო 64 კგ მეთანოლის მისაღებად, თუ სპირტის გამოსავალი თეორიულის 80%-ს შეადგენს? M_r(CH₃OH) = 32.

ამონია:

ვაპოვოთ სპირტის თეორიულად მოსალოდნელი მასა, ანუ მასა დანაკარგების გათვალისწინების გარეშე:

თუ 80% გამოსავლისას მიღება 64 კგ მეთანოლი მშინ 100% გამოსავლისას მიღება x კგ მეთანოლი

რეაქციის ტოლობის მიხედვით გამოვთვალოთ 80 კგ მეთანოლის მისაღებად აუცილებელი სინთეზ-აირის მოცულობა (ნ.პ.):



ამგვარად, 80% გამოსავლით 64 კგ მეთანოლის მისაღებად საჭიროა 168 მ³ (ნ.პ.) სინთეზ-აირი.

განსაზღვრეთ m და V.


გამოიყენე

ფულილის რეაქციაში შესული გლუკოზის მასა, კგ	წარმოქმნილი სპირტის მასა, კგ	წარმოქმნილი აირის მოცულობა (ნ.პ.), ლ	რეაქციის გამოსავალი, %
90	m = ?	V = ?	80


$$M_r(\text{გლუკოზ}) = 180$$

ხის მერქნიდან (ცელულოზიდან) ეთილის სპირტის მიღება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს, რადგან ამ დროს გამოიყენება საკეებად უვარვისი იაფი ნედლეული. ცელულოზიდან მიღებულ ეთილის სპირტს ჰიდროლიზური სპირტი ეწოდება.


დღეს მრეწველობაში ეთილის სპირტს იღებენ ეთილენის კატალიზური ჰიდრატაციით:



ეთილენის ჰიდროგების ჰიდრატაციით იღებენ მეორეულ და მესამეულ სპირტებს:





III. ამილის სპირტებს იღებენ შესაბამის ალკილჰალოგენიდებზე ტუტის წყალსნარის მოქმედებით:



ამილის სპირტები ($C_5H_{11}OH$) გამოიყენება სუნამოების წარმოებაში – რთული ეთერების მისაღებად, ხოლო იზოამილის სპირტი (3-მეთილბუტანოლ-1) – რძის პროდუქტების (ჰემიანობის განსასაზღვრავად).

პირველადი სპირტები შეიძლება მივიღოთ ალდეპიდების ჰიდრირებით, ხოლო მეორეული სპირტები – კეტიონების ჰიდრირებით.



■ განამტკიცეთ შესწავლის მასალა

- რომელ შემთხვევაში შეიძლება მეტი ფინანსური მოგების მიღება: 20% გლუკოზის შემცველი 1 ტონა სპირტის გაყიდვით, თუ თვით ყურძნის გაყიდვით? დამატებითი სარჯები მხედველობაში არ მიღოთ.

დულილი მიმდინარეობს 60% გამოსავლით	1კგ ყურძნის ფასი 0,4 მანათი	1 ლ სპირტის ფასი 6 მანათი	ჩათვალეთ, რომ $P_{\text{სპირტ}} = 0,8 \text{ გ/ლ}^3$
---------------------------------------	--------------------------------	------------------------------	---

ରୂପାଳ୍ପିନୀରୁଦ୍ଧ ଓ ସାହଚାରିତା

■ I. დაასრულოთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შემონაბეჭდი მათი სისწორე.

- ნაჯერი ერთატომიანი სპირტების პირველ წარმომადგენელს მრეწველობაში იღებენ...
 - ალკანოლების მეორე წარმომადგენელი მიიღება ეთილენის ... გზით და ფერმენტული მეთოდით ...დან.
 - ნაჯერი ერთატომიანი მეორეული სპირტების მიღება შეიძლება ორი ხერხით: ...

■II. გადმოეცით თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვებს

- የጠቅላላ ሰነድኑንግጥና ማረጋገጫውን በመተካት እንደሚከተሉ ይችላል

■ III. შეასრულეთ დაკალებები

- ### 1. რომელი რეაქციით არ იღებენ სპირტებს?

2. განსაზღვრეთ ნაშინიბადის ოთხი ატომის შემცველი ალფეპიდიდან მიღებული სპირტის, კლასთაშინორისი იზომერის ფორმულა.

$\text{C}_4\text{H}_9\text{OH}$

3

$$\text{CH}_3\text{OC}_2\text{H}_5 \quad \text{C}_2\text{H}_5\text{OC}_2\text{H}_5$$

3. C₄H₈C₆

3

3. ՀԱՅԻՆԱՔԾԱՐՆԱԾ X ԴՐԱ ՎՐ

 ალკენის ჰიდრატაციით მიღებული სპირტი	ალკენის მოლეკულში ნახშირბადის პროველადი ატომების რიცხვი	ალკენის მოლეკულაში ნახშირბადის მეორული ატომების რიცხვი
მესამეული აზილის სპირტი	$x(C_{\text{პრო}}) = ?$	$y(C_{\text{გერ}}) = ?$

4. მიუთითეთ ზედმეტი თოთოვეულ რიგში და ასენით თქვენი არჩევანი.

 1. მეთანოლი, სინთეზ-აირი, ხის სპირტი, ალკოჰოლური სასმელი;
 2. ეთანოლი, ეთოლენი, გლუკოზია, ხის სპირტი;
 3. ჰიდროლიზური სპირტი, ჰიდროლიზი, დუღილი, კრეკინგი.

5. ქვემოთ მოცემულთაგან (1-5) რომელი შესაბამება **ა-ს** და **ბ-ს**?

 1. ჰიდრატაცია
 2. კატალიზური პროცესი
 3. მიერთება
 4. უნგვა-ალდენა
 5. არა კატალიზური პროცესი


ა. მეთანოლის მიღება სინთეზ-აირიდან **ბ.** ეთანოლის მიღება ეთოლენიდან **—**

ბ 6. სქემის შესაბამის უჯრებში მიუთითეთ გამოთქმები, რომლებიც მიეკუთვნება პროპანოლ-1-სა და ბუტანოლ-1-ს.

 - ა. შეიძლება მივიღოთ ბუტილექლორიდის ჰიდროლიზით ტუტე არეში;
 - ბ. მისი ჰიმოლოგი მიიღება ეთენის ჰიდრატაციით;
 - გ. იზომერები წარმოიქმნება შესაბამისი ალდეჰიდის ან კეტონის ჰიდრირებით;
 - დ. შეიძლება მივიღოთ ჰიდრატაციის, ჰიდროლიზის და ჰიდროლიზის რეაქციებით;
 - ე. მისი ჰიმოლოგი წარმოიქმნება პროპილენის ჰიდრატაციით.

პროპანოლ-1 **ბუტანოლ-1**

7. დაასრულეთ მეთანოლისა და ეთანოლის სამრეწველო მიღების სქემები:



8. შეადგინეთ 1-ქლორ-3-მეთილპუტანის ჰიდროლიზის რეაქციის ტოლობა ტუტე არეში და საერთაშორისო ნომენკლატურით დასახელეთ რეაქციის ძირითადი პროცესტი.

၁၀

ეთანოლის მაგალითზე შეადგინეთ ნაფური ერთატომიანი სპირტების მიღწების რეაქციათა სტრუქტურა.

1.1.3. აღნაგობა და ფინანსური თვისებები

- ბაისენით განვლილი გასტარი
 - რაში მდგომარეობს წყლისა და ეთანოლის მოლეკულების აღნაგობის საერთო განსაკუთრებულობები?
 - მულავნების თუ არა აღნაგობაში წყლის, ეთანოლისა და მეთანოლის ფიზიკური თვეების განვითარებით დატოვებული დატოვებები?

- ასაფუებლად დატოვებულ საფურიან ცომს სპირტის სპურით გარე სუნი აძის.

- რითაა ეს განპირობებული?


საქმიანობა • სპირტების აღნაგობა და ფიზიკური თვისებები. შეადარეთ ეთანოლისა და პროპანის ფიზიკური თვისებები და უპასუხეთ კითხვებს:

	C_3H_8	CH_3CH_2OH
ფარდობითი მოლეკულური მასა	44	46
აგრეგატული მდგომარეობა	აირადი	თხევადი
დუღილის ტემპერატურა ($^{\circ}C$)	-42	78
წყალში ხსნადობა	არ იხსნება	კარგად იხსნება
რომელი ნივთიერების მოლეკულებს შორის არის მიზიდვის ძალები უფრო ძლიერი? (+)		
რომელი ნივთიერების მოლეკულები უფრო ძლიერად იზიდავს წყალს? (+)		

იმსჯელეთ: – როგორ აიხსნება განსხვავება მოლეკულათაშორის მიზიდვის ძალებს
შორის ეთანოლის წყალხნარში და პროპანში?

აღნაგობა. აღნაგობის მოლეკულებში ნახშირბადის ატომის მეზობელი ჟანგბადის ატომი იმყოფება sp^3 ჰიბრიდიზაციაში, ამიტომ სპირტებში, მაგალითად მეთანოლის მოლეკულაში, სავალენტო კუთხე $\angle C-O-H$ ($108,6^{\circ}$) (გ) ახლოსაა ტეტრაედრულ ($109,5^{\circ}$) კუთხესთან.

მაგრამ, ნახშირბადის ატომებისგან განსხვავებით, ჟანგბადის ატომის ოთხი sp^3 ჰიბრიდული ორბიტალიდან მხოლოდ ორი მონანილეობს ბმების წარმოქმნაში; ორ სხვა ორბიტალზე განლაგებულია გაუზიარებელი ელექტრონული წყვილები (ა):



(ა) – ჟანგბადის ატომის გაუზიარებელი ელექტრონული წყვილები მეთანოლის მოლეკულაში


(ბ) – პოლარული $C-O$ და $O-H$ ბმები

(გ) – მეთანოლის მოლეკულის ბურთულდეროვანი მოდელი

სპირტების მოლეკულებში $O-H$ და $O-C$ ბმები პოლარული ბმებია. ორივე ბმის ელექტრონები გადაწყვეტილია ჟანგბადის ატომისაკენ (ბ). $O-H$ ბმის შემთხვევაში ეს გადაწყვეტილი ბმის შედეგადაც $O-H$ ბმა ძლიერ პოლარული კოვალენტური ბმაა.

ამ ორი ბმის პოლარულობა განაპირობებს სპირტების მოლეკულების პოლარულობას.

მეთანოლის მოლეკულის ელექტრონული სიმკვრივის რუკაზე ნანილობრივი უარყოფითი მუხტი (ნითელი არე) განლაგებულია ჟანგბადის ატომის ირგვლივ, ხოლო ნანილობრივი დადებითი მუხტი (ლურჯი არე) – ჰიდროქსილის ჯგუფის H ატომის ირგვლივ.



სპირტების ელექტრონული ალნაგობა და ზოგადი ფორმულა
განსაზღვრეთ ატომების საერთო რიცხვი ნაჯერი ერთატომიანი სპირტის მოლეკულაში, რომელიც ($m+1$) ნახშირბადის ატომს შეიცავს.

ამოხსნა:

ფორმულაში $C_nH_{2n+1}OH$ ი შევცვალოთ $(m+1)$ -ით და ატომების საერთო რიცხვი მოლეკულაში გამოვსახოთ m -ით:

$$C_{m+1}H_{2(m+1)+1}OH: \quad m+1(C) + [2(m+1)+1](H) + 1(O) + 1(H) = 3m + 6$$

გამოიყენე

გამოთვალეთ ბმების ნარმოქმნაში მონაწილე 1s ობიტალების რიცხვი ნაჯერი ერთატომიანი სპირტის მოლეკულაში, რომელიც ($m-1$) ნახშირბადის ატომს შეიცავს.

სპირტების მოლეკულებში ძლიერ პოლარული O–H ბმის არსებობა აისახება მათ ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებში.

ფიზიკური თვისებები. სპირტები, რომელთა მოლეკულები შეიცავს ნახშირბადის 12-მდე ატომს, სითხეებია, ხოლო $C_{12}H_{25}OH$ -დან დაწყებული – მყარი ნივთიერებები. სპირტების დუღილის ტემპერატურა

(დ) წყალბადური ბმა
თხევად ეთანოლში


უფრო მაღალია, ვიდრე დაახლოებით ასეთივე მოლეკულური მასის მქონე ალკანების დუღილის ტემპერატურა. მაგალითად, ეთანოლის დუღილის ტემპერატურა 78°C , ხოლო პროპანისა – $–61^{\circ}\text{C}$.

სპირტების მაღალი დუღილის ტემპერატურა აისახება მათ მოლეკულებს შორის წყალბადური ბმის არსებობით (დ).

მოლეკულების ზომის ზრდასთან ერთად მათ შორის მიზიდვის ძალები იზრდება; ამიტომ ფარდობითი მოლეკულური მასის ზრდასთან ერთად სპირტების დუღილის ტემპერატურა იზრდება.

M_r	მეთანოლი	ეთანოლი	პროპანოლ-1
დოფ. (°C)	32	46	60
	64	78	97

მეთანოლი, ეთანოლი და პროპანოლ-1 წყალს ერევა ნებისმიერი თანაფარდობთ. ეს დაკავშირებულია წყალსნარებში სპირტისა და წყლის მოლეკულებს შორის წყალბადური ბმების ნარმოქმნასთან:



მოლეკულური მასის ზრდასთან ერთად სპირტების წყალში ხსნადობა მცირდება. ოქტანოლიდან ($C_8H_{17}OH$) თანებული, სპირტები პრაქტიკულად არ იხსნება წყალში.

ყველა სპირტი წყალზე მსუბუქია მეთანოლს, ეთანოლსა და პროპანოლ-1-ს აქვთ ალკოჰოლის დამახასიათებელი სუნი. მეთანოლი ძალზე მომნამლავია.

ნივთიერების აგრეგატულ მდგომარეობაზე მოქმედი ძალები

ნებისმიერ არაპოლარულ მოლეკულებს შორის მოქმედი მიზიდვის ძალები ვან-დერ-ვაალსური ძალებია. სწორედ მათი არსებობის გამო არაპოლარული მოლეკულებისგან შემდგარი ალკანები: პენტანი, ჰექსანი და სხვ. ოთაბის ტემპერატურაზე თხევად მდგომარეობაში იმყოფება. თუ ნივთიერება პოლარული მოლეკულებისგან შედგება, მათ შორის, ვან-დერ-ვაალსური ძალების გარდა,

არსებობს ელექტროსტატიკური ბუნების დიპოლ-დიპოლური ურთიერთქმედება. ეს ძალები გავლენას ახდენს აგრეთვე ნივთიერების დუღილის ტემპერატურაზე. მაგალითად, ეთანი დუღს მინუს 89°C -ზე, მაშინ როცა მეთანოლი, რომელსაც აქვს დაახლოებით ასეთივე მოლეკულური მასა, დუღს 154°C -ით მაღლა, ანუ $+65^{\circ}\text{C}$ -ზე. ეს განსხვავება დუღილის ტემპერატურებში ძირითადად მეთანოლის მოლეკულებს შორის დიპოლ-დიპოლური ურთიერთქმედებითაა გახპირობებული.

■ განამტკიცეთ განვლილი მასალა

- რატომ არის სპირტები $\text{C}-\text{O}-\text{H}$ კუთხი ახლოს ტეტრაედრულ კუთხესთან?
- რატომ იხსნება კრისტალური იოდი კარგად ეთანოლში და ცუდად – წყალში?

■ რეაციებისა და შეფასება

I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.

- ჩვეულებრივ პირობებში ალკანოლების ჰომოლოგიური რიგის პირველი ნარმომადგენელი ... სითხეა, რადგან... .
- ალკანოლების ჰომოლოგიური რიგის პირველი ნარმომადგენლები წყალს ერევა ... , რადგან
- სპირტების მოლეკულებს შორის წყალბადური ბმების ნარმოქმნის მიზეზია

II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

– კმაყოფილი ხართ თუ არა გაკვეთილზე თქვენი საქმიანობით?

III. შეასრულეთ დავალებები:

- ა** 1. განალაგეთ ნივთიერებები დუღილის ტემპერატურის ზრდის მიხედვით:
1. $\text{CH}_3\text{CH}_2\text{CH}_2\text{CH}_2\text{OH}$
 2. $\text{CH}_3\text{CH}_2\text{OH}$
 3. CH_3OH
 4. $\text{CH}_3\text{CH}_2\text{CH}_2\text{CH}_3$
2. მიუთითეთ ნივთიერებები, რომელთა მოლეკულებს შორის არსებობს წყალბადური ბმები:
1. C_4H_{10}
 2. H_2O
 3. $(\text{CH}_3)_2\text{C}=\text{O}$
 4. CH_3OH
 5. $\text{C}_4\text{H}_9\text{OH}$
- ბ** 3. ნაჯერი ერთატომანი სპირტის მოლეკულაში ბმების ნარმოქმნაში მონაწილე ელექტრონების საერთო რიცხვია 22. შეადგინეთ სპირტის მოლეკულური ფორმულა და შეადარეთ მასი ფიზიკური თვისებები მეთანოლის თვისებებს.
4. გამოსახეთ ს-ბმების საერთო რიცხვი ალკონისა და ალკანოლის მოლეკულებში ნახშირბადატომების რიცხვის (n) მიხედვით. შეადარეთ ეს ორი გამოსახულება და ასენით მათი განსხვავებულობა.
5. შეადგინეთ ეთანოლის ელექტრონული ფორმულა, აქვე აჩვენეთ $\text{C}-\text{O}$ და $\text{O}-\text{H}$ ბმების ელექტრონების გადნენვა და ამ გადაწევის მიზეზები.
6. სქემის შესაბამის უჯრებში მიუთითეთ გამოიქმები, რომლებიც მიეკუთვნება მეთანოლისა და ეთანოლის მოლეკულებს.
- ა. კუთხი $\text{C}-\text{O}-\text{H}$ რიცხობრივად ახლოსაა ტეტრაედრულობა.
 - ბ. აქვს სივრცული აღნაგობა.
 - გ. ბმების ნარმოქმნაში მონაწილეობს 10 ელექტრონი.
- დ შეიცავს 1 არაპოლარულ ს-კოვალენტურ ბმას.
- ე. $\text{O}-\text{H}$ -ბმა ნაკლებ პოლარულია, ვიდრე წყლის მოლეკულაში.



7. დუღილის ტემპერატურისა და წყალში ხსნადობის ზრდის მიხედვით განალაგეთ პროპანოლ-1, ბუტანოლ-1 და პენტანოლ-1.

8. განსაზღვრეთ x და y :

ალკენის ჰიდრატაციით მიღებულ სპირტში	ალკენის მოლეკულაში sp^3 ჰიბრიდული ორბიტალების ჯამური რიცხვი	სპირტის მოლეკულაში ბმების ნარმოქმნაში მონაწილე sp^3 ჰიბრიდული ორბიტალების ჯამური რიცხვი
$m_C:m_O:m_H = 15:4:3$	$x(sp^3)_{\text{ალკ.}} = ?$	$y(sp^3)_{\text{სპ.}} = ?$

გაკვეთილის
შემსრულებელი

დაწერეთ ესე შაქროვანი ნივთიერებების ფერმენტაციით ღვინისა და ძმრის ნარმოების ისტორიის შესახებ.


1.1.4. ქიმიური თვისებები და გამოყენება

- გაიხსენით განვალი მასალა •
- რატომ აკუთვნებენ სპირტებს უანგბადურებელ ორგანულ ნივთიერებებს?
- იყიდოთ რა სპირტების O-H ბმის პოლარულობის შესახებ, რა შეგიძლიათ თქვათ მათ ქიმიურ თვისებებზე?


ეთოლის სპირტის სისტემატური მიღებისას მისი გარდაქმნის პროცესი - აცეტალდეჰიდი ინვენს რიგ უარყოფით შედეგებსა და ავადმყოფობებს, როგორიცაა ტვინის მუშაობის შესუსტება, ღვიძლის ცირკონი და სხვ.



- რომელ პირველად გარდაქმნას განიცდის ეთანოლი ადამიანის ორგანიზმში?



საქმიანობა-1 • სპირტის ქიმიური თვისებები. განიხილეთ ორი ცდის სქემა და უპასუხეთ კითხვებს:




- იმსჯელეთ:** - რომელი თხევადი ნივთიერება შეგროვდა ხსნარს ზემოთ 1-ელ ცდაში? რა ენოდება ამ რეაქციას?
- განხორციელდება თუ არა რეაქცია, თუ იზოამილის სპირტის ნაცვლად ავიღებთ ეთანოლს? რატომ?
- რომელი ნივთიერებები ნარმოქმნება მეორე რეაქციაში?
- წყალთან თუ ეთანოლთან უფრო ენერგიულად ირეაგირებს ნატრიუმი? რატომ?
- შეადგინეთ ორივე რეაქციის ტოლობა.

სპირტების რეაქციების უმრავლესობა განპირობებულია მათ მოლეკულებში არსებული O-H ბმის პოლარობით.


1. ინდიკატორებზე მოქმედება. სპირტების წყალხსნარები ინდიკატორებს ფერს არ უცვლის.

2. მეტალებთან ურთიერთქმედება. აქტიური მეტალები (Na, K და სხვ.) ადვილად ჩანაცვლებენ სპირტების O-H-ჯგუფის წყალბადს. რეაქციის შედეგად წარმოქმნილ ორგანულ ნივთიერებას ალკოჰოლატი ეწოდება.




• იცით თუ არა, რომ... • ტუტე მეტალები სპირტებთან რეაგირებს უფრო ნელა, ვიდრე წყალთან. ამიტომ ქიმიურ ლაბორატორიებში ცდების შედეგად დარჩენილი ჭარბი მეტალური ნატრიუმის გასაუცნებლებლად იყენებენ ეთილს სპირტს.

ალკოჰოლატები მყარი ნივთიერებებია. წყალხსნარებში ისინი არამდგრადებია, განიცდის ჰიდროლიზს, წარმოქმნის რა სპირტსა და ტუტეს:




ამ მიზეზით ნაჯერი ერთატომიანი სპირტების ტუტის ხსნართან რეაქციები ჩვეულებრივ პირობებში ბოლომდე არ მიდის.

3. მუვებთან ურთიერთქმედება. სპირტები ურთიერთქმედებს ორგანულ და არაორგანულ ჟანგბადიან მუვებთან რთული ეთერების წარმოქმნით. მაგალითად:



ამ რეაქციას ეთერიფიკაციის რეაქცია ეწოდება. წყლის მოწყვეტა ამ რეაქციის მიმდინარეობისას გოგირდმუვას მონაწილეობით ხდება.

4. სპირტების დეპილრატაცია კონცენტრირებული გოგირდმუვას თანაობისას. კონცენტრირებული გოგირდმუვას თანაობისას სპირტები, ტემპერატურისგან დამოკიდებულებით, განიცდის შიგამოლეულურ და მოლეკულათაშორის დეპილრატაციას. 140°C -ზე მაღალ ტემპერატურაზე მიმდინარეობს შიგამოლეულური დეპილრატაცია და წარმოქმნება ალკენი:




ზაიცევის წესის მახედვით, მეორეული და მესამეული სპირტების შიგამოლეულური დეპილრატაციისას წყალბადის ატომი მოწყდება ძირითადად ნახშირბაზის ატომითან, რომელთანაც წყალბადის ატომების ნაკლები რიცხვია.

შეისწავლა

**მეორეული და მესამეული სპირტების შიგამოლეულური დეპიდრატაცია
დაასახელეთ ალკენი, რომელიც უპირატესად წარმოქმნება ბუტანოლ-2-ის დეპიდრატაციისას.**
ამონა:

ზაფვების წესის მიხედვით, წყლის მოლეკულა ნარმოქმნება -OH-ჯგუფიდან და მეთილენის ($>\text{CH}_2$) ჯგუფის წყალბადის ატომიდან:




ამიტომ ბუტანოლ-2-ის დეპიდრატაციის შედეგად უპირატესად წარმოქმნება ბუტენ-2.

გამოიყენე

შეადგინეთ 2-მეთილბუტანოლ-2-ის დეპიდრატაციის შედეგად უპირატესად წარმოქმნილი ორგანული ნივთიერების სტრუქტურული ფორმულა და დაასახელეთ ის.



თუ ტემპერატურა 140°C -ზე დაბალია, პირველადი და მეორეული სპირტები განიცდის მოლეკულათაშორის დეპიდრატაციას და წარმოქმნება მარტივი ეთერები:



ორი სხვადასხვა სპირტის მიღებულათაშორისი დეპიდრატაციისას წარმოქმნება სამი მარტივი ეთერის ნარევი.

- **იცით თუ არა, რომ...** • დიეთილის ეთერი 1540 წელს მიიღო ალქიმიკოსმა ვალერი კორდუსმა, ეთილის სპირტიდან, გოგირდმჟავას თანაობისას. ამიტომ მას „გოგირდის ეთერი“ დაარქვეს. XIX საუკუნის შუახანებიდან დაწყებული, მას სანარკოზოდ იყენებდნენ და ამიტომ „სამედიცინო ეთერიც“ დაარქვეს.

მარტივი ეთერების ზოგადი ფორმულაა $\text{R}^1-\text{O}-\text{R}^2$. თუ R^1 და R^2 რადიკალები ერთნაირია, მაშინ მარტივი ეთერს სიმეტრიულს უწოდებენ, თუ სხვადასხვაგვარი – არასიმეტრიულს, ანუ შერეულს:



მოლეკულებში $-\text{OH}$ ჯგუფების არასებობის გამო მარტივი ეთერები ერთმანეთთან წყალბალურ ბმებს არ წარმოქმნის. ამიტომ მარტივი ეთერების დუღილის ტემპერატურა უფრო მცირეა, ვიდრე ამდენივე ნახშირპადატომის შემცველი სპირტების დუღილის ტემპერატურა.

მარტივი ეთერები წყალზე მსუბუქია და წყალში ცუდად იხსნება. ისინი კარგად იხსნება ორგანულ ნივთიერებებში. ბევრ მათგანს სასიმოვნო სუნი აქვს.

მარტივი ეთერები (თუ გამოვრიცხავთ მათ ადვილად აალებადობას) მცირედ რეაქციის უნარიანი ნივთიერებებია.

- ნავერი ერთატომიანი სპირტების დაუანგვა

საქმიანობა-2 • ეთანოლის ურთიერთქმედება ქრომის ნარევთან


უზრუნველყოფა: კალიუმის დიქრომატის 5%-იანი წყალხსნარი, გოგირდმშვავას 20%-იანი სსნარი, ეთილის სპირტი, სპირტ-ქურა, სინჯარები.

სამუშაოს მსვლელობა: სინჯარაში შეურიეთ 2-2 მლ კალიუმის დიქრომატის 5%-იანი ხსნარი და გოგირდმჟავას 20%-იანი ხსნარი, 1 მლ ეთანოლი და დააცვირდით ხსნარის ფერს. სინჯარა გააცხელეთ ხსნარის ფერის შეცვლამდე. ამის შემდეგ გახურება შეწყვიტეთ და ფრთხილად დაყნოსეთ სინჯარა.

იმსჯელეთ


- რატომ შეიცვალა სსნარის ფერი ყვითლიდან მწვანემდე?
 - რეაქციათა რომელ ტიპს მიეკუთვნება განხილული გარდაქმნა? რატომ?

ጀ ታቦችዎላዎች ዓይነት ስርዓት እንደሆነ የሚከተሉት ስምምነት መረጃዎች ይዘጋል፡



- რეაქციის პირველ სტადიაზე ნარმონიქმნება შუალედური ნაერთი, რომლის მოლეკულაში ორი OH ჯგუფი და ეკავშირებულია ნახშირადის ერთ ატომთან. როგორც უმდგრად ნაერთს, მას სწყდება წყლის მოლეკულა და გარღვევის მნიშვნელოვანი დანართი.

მეორეული სპირტები და ჟანგვისას კეტონებად გარდაიქმნება:



ძლიერი მჟანგავები ($KMnO_4$, $K_2Cr_2O_7$) კონცენტრირებული გოგირდმჟავას თანაბისას) ეთანოლს ჟანგავენ ქმარმჟავამდე.

მესამეული სპირტები სპილენძ(II)-ის ოქსიდით არ იუანგება.


ბ წვის რეაქციები. სპირტები შედის წვის რეაქციებში. ეთანოლი ჰაერზე იწვის მოცისფრო ალიტ:



- **ცუდით თუ არა, უკავშიროდ** • მეთანოლით ან ეთილენგლიკოლით მონამვლისას ზოგჯერ შესაძლინა აღმდეგად ერთანობით გამოიყენება. ამგვარ შემთხვევებში ეთანოლის მიღება ამჟირებს ორგანიზმზე მაგრა ზემოქმედების მქონე შეალებულობრივი ნაერთის რაოდინობას.

ნვის რეაქციებთან დაკავშირებული გამოთვლები

რომელი ნაჯერი ერთატომიანი სპირტის 1 მოლის სრული ნვისას იხარჯება 6 მოლი ჟანგბადი?
ამოხსნა:




პირობის გათვალისწინებით $\frac{3n}{2} = 6$; ვპოულობთ, რომ: $n = 4$.

სპირტის ფორმულა $\text{C}_4\text{H}_9\text{OH}$.

გამოიყენეთ

რამდენი ლ (ნ.პ.) ჰაერია საჭირო 0,5 მოლი 46-ის ტოლი მოლეკულური მასის მქონე ნაჯერი ერთატომიანი სპირტის სრული ნვისთვის? ჩათვალეთ, რომ ჰაერში ჟანგბადის მასური წილი 20%-ია.

8 ურთიერთქმედება ჰალოგენწყალბადებთან. კონცენტრირებული გოგირდმუავას თანაბისას სპირტები ჰალოგენწყალბადებთან ალკილჰალოგენიდებს წარმოქმნის:



გამოყენება. მეთიოლის სპირტი გამოიყენება გამხსნელად, აგრეთვე მრავალ ორგანულ სინთეზში, მაგალითად, ფორმალდეჰიდის, სალებავების და სამკურნალო პრეპარატების სინთეზისას.

ეთილის სპირტი გამოიყენება სინთეზური კაუჩუკის, პლასტმასების, სუნამოების, ნამლებისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოქაში, აგრეთვე ანატომიური პრეპარატების დასაკონსერვებლად. ეთანოლი გამოიყენება ბევრი სხვა ორგანული ნივთიერების: დიეთოლის ეთერის, სალებავების, მარმუავას, უკვამლო დენთის წარმოებაშიც.

ეთანოლისა და ბეზინის ნარევს იყენებენ შიგაწვის ძრავების საწვავად. ეთილის სპირტი გამოიყენება აგრეთვე მედიცინაში – კანის საღეზინფექციოდ, ნაყენებისა და ექსტრაქტების დასამზადებლად.

ტექნიკურ სპირტს ურევენ ცუდი სუნის მქონე ან შეფერილ ნივთიერებებს, რათა გამოირიცხოს მისი შინაგანი მიღება. ასეთ სპირტს დენატურირებულ სპირტს (დენატურატს) უწოდებენ.



■ განამტკიცეთ შესრულები მასალა

1. (კენტრში დაწერეთ ძირითადი (ცნება „ეთანოლი“).
2. განსაზღვრეთ ძირითად (ცნებასთან დაკავშირებული ცნებები (მაგალითად, მისი სინთეზისთვის გამოყენებული ან მისგან მიღებული ნივთიერებების სახელები, კლასის შეგნითა და კლასთაშორისი იზომერების სახელები).
3. განსაზღვრეთ ამ უკანასკნელი (ცნებების იერარქიული დამოკიდებულება (რომლები განლაგდება პირველად და რომლები – მოშორებით).
4. განალაგეთ არაძირითადი (ცნებები ძირითადი ცნების ირგვლივ.
5. ისრებით უჩვენეთ კავშირი ძირითად (ცნებასა და სხვა ცნებებს შორის.
6. ისრებზე დაწერეთ ამ კავშირის ამხსნელი გამოსახულებები (გამოთქმები).
7. ისრებით შეართეთ ურთიერთდაკავშირებული არაძირითადი (ცნებებიც).

■ რეზლექსიდა და შეცასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.

- ალკოჰოლური არის ... პროდუქტები.
- ზაფროვის ნესის მიხედვით, პენტანოლ-2-ის დეპილრატაციისას უპირატესად წარმოიქმნება ..., რადგან
- ჰიდროქსილის ჯგუფის შემცველ ნახშირბადთან დაკავშირებული ... ატომების რიცხვის ზრდასთან ერთად სპირტის დაუანგვა
- სპილენდის (II) ოქსიდით სპირტების დაუანგვისას შეიძლება წარმოიქმნას ... და ... წოდებული ორგანული ნაერთები.

■ II. გამოხატეთ თქენი შეხელულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

- რომელი მეთოდებითა და საშუალებებით (ცხრილების, სქემების შედგენა, თეზისების დაწერა, ცდების ჩატრება და სხვ.) სარგებლობდით გაკვეთილზე?

■ III. შეასრულეთ დავალებები:

- a** 1. რომელ ნივთიერებებთან რეგირებს ეთანოლი ჩვეულებრივ პირობებში?
1. კალიუმთან 2. ლაქტისი ხსნართან 3. ტუტის ხსნართან
 4. გოგირდმუავასთან 5. ძმარმუავასთან
 - 1,2,3,4
 - ბ) მხოლოდ 2
 - გ) მხოლოდ 2
 - დ) 3,5
 - ე) 2,3
 2. რომელი ნივთიერებები და რა თანმიმდევრობით უნდა გამოიყენოთ პროპანოლ-1-ის პროპანოლ-2-ად გარდასაქმნელად?
 1. HCl(კონც.)
 2. KOH
 3. H₂SO₄(კონც.)
 4. O₂5. H₂O 3. განსაზღვრეთ სპირტის ფორმულა, თუ ცნობილია, რომ 36,8 გ ამ სპირტის ნატრიუმთან ურთიერთუმედებისას გამოყოფილი წყალბადი სრულად რეაგირებს 8,96 ლ (6.პ.) ეთილენთან.
- განსაზღვრეთ x და y .

ნაჯერი სპირტის ფენოლური გარტივი ეთერი	მარტივი ფენორის ფარადობითი მოდებულური მასა	სპირტის კლასის შეგნითა სტრუქტურული იზომერების რიცხვი	სპირტის კლასთაშორისი იზომერის სტრუქტურული ფორმულა
R-O-R	M _r = 102	x = ?	y - ?



- b** 5. გაითვალისწინეთ მეთოლის ჯგუფის ელექტრონდონორული ბუნება და განსაზღვრეთ, რომელი სპირტიდან გამოიყოფა წყალბადი მაქსიმალური სიჩქარით ნატრიუმის მოქმედებისას.

- a. CH₃CH₂-OH b. (CH₃)₂CH-OH c. (CH₃)₃C-OH

6. სქემის შესაბამის უჯრებში მიუთითეთ გამოთქმები, რომლებიც მიეკუთვნება მეთანოლსა და ეთანოლს.

- ა. ეთერიფიკაციის რეაქციაში მონაწილეობს სპირტის H ატომი.
- ბ. შიგამოლექულური დეპიდრატაციისას წარმოიქმნება ალკენი.
- გ. მოლეკულათაშორისი დეპიდრატაციისას წარმოიქმნება მარტივი ეთერი.
- დ. ნატრიუმთან უფრო ნელა რეაგირებს, ვიდრე წყალთან.
- ე. 1 მოლის სრული წვისას იხარჯება 1,5 მოლი უანგბადი.

7. დაასრულეთ ბუტანოლ-1-ის მონაწილეობით მიმდინარე რეაქციათა სქემები და დასახელეთ რეაქციის პროცესები.



8. შეადგინეთ გარდაქმნათა ტოლობები.

ეთანოლი → ეთოლენი → ეთანი → ქლორეთანი → ეთანოლი → ძმრის ალდეჰიდი



მომზადეთ როლური თამაშისთვის „ეთანოლის გასამართლება“.

1.1.5. პრაქტიკული სამუშაო. „ეთანოლის გასამართლება“

(„ჯანმრთელი ცხოვრება“ – აღმზრდელობითი და განმავითარებელი როლური თამაში)

ცხოვრების ჯანმრთელი წესის დამკაიდრებისა და ადამიანის ჯანმრთელობის გაკაუჭების პრობლემები თანამედროვე საზოგადოების უმნიშვნელოვანეს მოთხოვნილებად გვევლინება. ადამიანის ცხოველქმედების ფიზიოლოგიური საფუძვლების, პირადი ჰიგიენის წესების, სომატური, ფსიქიკური და ინფექციური დაავადებების პროცესის წესების ცოდნა, აგრეთვე ადამიანის ჯანმრთელობაზე ალკოჰოლური სასმელების ზემოქმედების საფრთხეზე წარმოდგენის ქონა თითოეული ინდივიდის ნორმალური ცხოველქმედების აუცილებელი პირობაა. მოცემული როლური თამაშის ძირითადი ამოცანაა ადამიანის ორგანიზმზე ალკოჰოლის მავნე ზემოქმედების განხილვა და ამ მოვლენის შესახებ სწორი დასკვნის გაკეთება.

სასამართლო პროცესზე განიხილება სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლების ბრალდებები ეთანოლის მიმართ.

- (ა) გაკვეთილამდე ერთი კვირით ადრე განსაზღვრეთ „სასამართლო სხდომის მონაწილეთა“ სია.
- (ბ) როლების განაწილების შემთხვევაში თითოეულმა მონაწილემ უნდა შეაგროვოს თავისი სასარგებლო ფაქტები და მტკიცებულებები, გამოიყენოს რა სახელმძღვანელო და ინფორმაციის სხვა ნაკაოები (ამისთვის გაკვეთილამდე რამდენიმე დღით ადრე მონაწილეებს ეძლევა დავალებები).
- „სასამართლო პროცესი“ შეიძლება მომზადდეს როგორც შემოსავაზეშეტევი, ასე წებისმიერი სხვა, უფრო შესაფერის სცენარით.

- გაკვეთილის ბოლოს ფასდება თითოეული მონაწილის შემოქმედებითობა.

მ ო ნ ა წ ი ლ ე ე ბ ი

მოსამართლე: მეცნიერი-ქიმიკოსი

პრალმდებლები: საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი, ექიმი-ტოქსიკოლოგი, საგზაო პოლიცია, ეკოლოგი

მოპასუხები: ეთანოლი

ადვოკატები: ფარმაკოლოგი, პარფიუმერი, ქიმიური მრეწველობის ინჟინერი, ენერგიის აღმტერნატიული ნარჩენების ინჟინერი

მოწმეები: ქიმიკოსები, ექიმები, ეკოლოგები, ეკონომისტები, საგზაო პოლიცია, საზოგადოების ნარმომადგენლები.

სასამართლო სხდომა (მოკლე სცენარი)

მოსამართლე: ბევრი პროფესიის ნარმომადგენელმა წარმოადგინა სარჩელი საზოგადოებაზე ეთანოლის მავნე ზემოქმედების შესახებ. თავიდან ერთ-ერთ მოწმეს ვთხოვთ, მოკლედ გაგვაცნოს ინფორმაცია ეთანოლზე.

მონმედ-ქიმიკოსი წარმოადგენს მოკლე ინფორმაციას ეთანოლის აღნაგობის, ფიზიკურ-ქიმიური თვისებებისა და მიღების მეთოდების შესახებ.

მოსამართლე: რა ფაქტების წარმოდგენა შეუძლია პირველ პრალმდებელს?

პირველი პრალმდებელი-საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი: პირები, რომლებიც სპირტის საშეღებს იღებენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და ალკოჰოლური თროპის მდგომარეობაში იმყოფებიან, ზიანს აყენებენ საკუთარ თავსა და გარშემოყოფებს, დაძაბულობას ქმნიან საზოგადოებაში.

მოსამართლე: დაე, თავიდან ჩვენებები მოგვცენ მოწმეებმა, შემდეგ კი – მოპასუხემ და მისმა ადვოკატებმა.

მონმედები ფაქტებით ასაბუთებენ, რამდენად სერიოზულ პრობლემებს ქმნის საზოგადოებაში მსგავსი მოვლენები. მოპასუხის მხარე და მისი ადვოკატები ასაბუთებენ იდეას, რომ, შესაბამისი კანონების მიღების გზით, აგრეთვე სხვა მეთოდებით შეიძლება წარმატებით ვებრძოლოთ მსგავს საზოგადოებრივ დარღვევებს.

მოსამართლე: მეორე პრალმდებელია ექიმი-ტოქსიკოლოგი. სიტყვა თქვენ გეძლევათ.

მეორე პრალმდებელი – ექიმი-ტოქსიკოლოგი: ადამიანებს, რომლებიც დიდი რაოდენობით იღებენ ალკოჰოლურ სასმელებს, უზიანდება, შეიძლება ითქვას, ყველა შინაგანი ორგანო. ამ ადამიანებს უსუსტდება მეხსიერება, ურღვევა ღვიძლის, თირკმელების, კუჭისა და ნაწლავების მოქმედება, რასაც განუკურნებელ დაავადებამდე მივყავართ. ცნობილია შემთხვევებიც, როცა მცენარეების სპირტიანი ექსტრაქტების კომპრესების ახალშობილებისთვის გამოყენებას ლეტალური გამოსავალი მოჰყვა ეთანოლის ორთქლის ჩასუნთქვის გამო.

მოსამართლე: რა ფაქტების წარმოდგენა შეუძლიათ მოწმეებს ამ პრალდებასთან დაკავშირებით?

მეორე პრალმდებლის მოწმეები ასახელებენ მისი სისწორის დამადასტურებელ ფაქტებს.

მოსამართლე: რის თქმა შეუძლიათ მოპასუხება და მის მოწმეებს ამ პრალდებასთან დაკავშირებით?

მოპასუხება მხარე და მისი ადვოკატები გამოთქვამენ ამ პრალდების გამაპათილებელ აზრებს, მიუთითებენ, რომ გონიერულად, მცირე რაოდენობით ალკოჰოლის მიღებას ზიანი არ მოქვე.

მოსამართლე: ახლა სიტყვა ეძლევა მესამე პრალმდებელს – საგზაო პოლიციას.

მესამე პრალმდებელი – საგზაო პოლიცია: ავტოსაგზაო შემთხვევების დაახლოებით 80% მთვრალი მძღოლების მიზეზით ხდება. მთვრალი მძღოლი საჭესთან დიდ საფრთხეს წარმოადგენს არა ბარტო საკუთარი თავისთვის, არამედ გარშემოყოფათვისაც.

მოსამართლე: ვთხოვთ მოწმეებს.

მესამე პრალმდებლის მოწმეები ნარმოადგენენ სტატიისტიკურ მონაცემებს მთვრალი მძღოლების მიერ გამოწვეული ტრაგიკული შემთხვევების რიცხვისა და გართულებების შესახებ.

მოსამართლე: რის თქმა შეუძლიათ მოპასუხესა და მის მოწმეებს ამ პრალმდებასთან დაკავშირებით?

მოპასუხე მხარე და მისი ადვოკატები გამოდიან ამ პრალმდების წინააღმდეგ, ასაბუთებენ რა მსგავსი უბედული შემთხვევების აღკვეთის შესაძლებლობას სხვადასხვა ავტომომსახურებისა („ფხილები მძღოლი“) და თანამედროვე ელექტრონული ხელსაწყობის დახმარებით.

მოსამართლე: ახლა სიტყვა ეძლევა მეოთხე პრალმდებელს – ეკოლოგს.

მეოთხე პრალმდებელი – ეკოლოგი: მეცნიერთა მიერ ჩატარებული გამოკვლევები აჩვენებს, რომ ეთანოლზე მომუშავე აეტომობილების გამონაბოლქვი აირები მკეთრად უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე, ამიტომ საწვავის ამ ტიპზე გადასვლისას მონამცვლით გამოწვეული სიკვდილიანობა გაიზრდება.

მოსამართლე: ვთხოვთ მოწმეებს.

მოწმეები ნარმოადგენენ დასაბუთებულ პოზიციას ბიოსანვავის მიერ ცოცხალი გარემოსთვის მიყენებული ზიანის შესახებ.

მოსამართლე: რის თქმა შეუძლიათ მოპასუხესა და მის მოწმეებს ამ პრალმდებასთან დაკავშირებით?

მოპასუხე მხარე და მისი ადვოკატები ნარმოადგენენ ინფორმაციას მსოფლიო ენერგეტიკული კრიზისისა და ენერგიის ალტერნატიული და განახლებადი წყაროების შესახებ. ისინი ცდილობენ, დაასაბუთონ ეთანოლის, როგორც ბიოსანვავის, მნიშვნელობა.

მოსამართლე: საბოლოო სიტყვა ეძლევა მოპასუხეს.

სასამართლოსადმი მიმართვაში ეთანოლი სთხოვს მოსამართლეს, განაჩენის გამოტანისას მხედველობაში მიიღოს მისი მნიშვნელოვანი როლი ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში – პარფიუმერიაში (სუნამოების ნარმოებაში), მედიცინაში, ქიმიური მრეწველობისა და სხვა დარგების პროდუქტების ნარმოებაში (ჩამოითვლება გამოყენების ძირითადი სფეროები).

მხედველობაში მიიღო რა პრალმდებელთა საჩივრები, სასამართლომ, მეცნიერი-ქიმიკოსის ხელმძღვანელობით, დაადგინა:

ბანარენი

პრალმდებელთა საჩივრებზე დაყრდნობით მომზადდეს ეთანოლის მიერ საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის აღკვეთის ლონისძიებათა გეგმა. ადამიანთა ზორმალური და უსაფრთხო საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით ეთანოლი ვალიდულია, მჭიდროდ ითანაშორომლოს პრალმდებლებთან.

- საშინაო დავალება:
ლონისძიებათა გეგმის შემუშავება

1.2. ნაჟარი მრავალაზომიანი სპირტები

1.2.1. ეთილენგლიკოლი

- გაიხსენეთ განვითარები გასაღა •

- როთ ასხსნება მეთანოლისა და ეთანოლის მოლეკულების პოლარულობა?
- რომელი ატომით ან ატომთა ჯგუფით უნდა შევცვლოთ ეთანოლის მეთილის ჯგუფის წყალბადის ატომი, რომ O-H ბმის პოლარულობა გაიზარდოს?


ავტომობილის dრაგის $85-90^{\circ}\text{C}$ -ზე მეტად
გადახურების ალსაკვეთად იყენებენ
ეთილენგლიკოლის საფუძველზე დამზადებულ
ანტიფრიზებს.



- რატომ ასხამენ
ზამთრობით ავტომო-
ბილების რადატორებში
არა წყალს, არამედ
ეთილენგლიკოლის
წყალსხსნარს?

საქმიანობა • ეთილენგლიკოლის
ფიზიკური თვისებები და
მოლეკულის აღნაგობა.





გამოიყენეთ რა დიაგრამა (ა) და
რეაქციათა სქემები (ბ), განსაზ-
ღვრეთ ეთილენგლიკოლის
დუღილის ტემპერატურისა და
მჟავური თვისებების (ცვლილება
ეთანოლთან შედარებით).



იმსჯელეთ:

- როგორ შეიძლება
ეთილენგლიკოლისა
და ეთანოლის
დუღილის
ტემპერატურისა და
მჟავური თვისებების
შესახებ თქვენი
დასკვნების
დაკავშირება მათი
მოლეკულების
აღნაგობასთან?

საერთაშორისო ნომენკლატურით, ორ- და სამატომიანი სპირტების სახელწოდებები ნარმოიქმნება სპირტის ყველა -OH ჯგუფის შემცველი, ყველაზე გრძელი ჯაჭვის შესაბამისი ალკანის სახელწოდებიდან, დაბოლოება „დიოლის“ ან „ტრიოლის“ დამატებისა და ჯაჭვში -OH ჯგუფების მდებარეობის ციფრებით მითითების გზით. ძირითადი ჯაჭვის ნახშირბადის ატომები ინომრება იმ ბოლოდან, რომელთანაც ახლოსაა ერთ-ერთი -OH ჯგუფი. მაგალითად:




ეთილენგლიკოლი ნაჯერი ორატომიანი სპირტების (გლიკოლების) უმარტივესი ნარმომადგენელია. ნაჯერი ორატომიანი სპირტების ზოგადი ფორმულაა $C_nH_{2n}(OH)_2$ ანუ $C_nH_{2n+2}O_2$.


მიღება. ლაბორატორიაში ეთილენგლიკოლის მიღება შეიძლება კალიუმის პერმანგანატის ხსნარით ეთილენის დაუანგვით:




ნარმოებაში ეთილენგლიკოლს იღებენ: – ეთილენის ოქსიდის ჰიდრატაციით:



– ეთილენის წყალბადის პეროქსიდით კატალიზური დაუანგვით:





– ეთანის 1,2-დიჰალოგენნარმების ჰიდროლიზით ტუტის ან სოდის თანაობისას:



ფიზიკური თვისებები. ეთილენგლიკოლი უფერო, სიროფის მსგავსი, ტკბილი გემოს მქონე სითხეა. ძალიან შხამიანი ნივთიერებაა. იყინება $-13,2^{\circ}\text{C}$ -ზე, დუღს $+197^{\circ}\text{C}$ -ზე. ეთილენის დუღილის მაღალი ტემპერატურა და სიბლანტე განპირობებულია საკმაოდ ძლიერი მოლეკულათაშორისი წყალბადური ბმების არსებობით $-OH$ ჯგუფებს შორის.

კარგად იხსნება წყალში და ეთანოლში. ორივე ამ გამხსნელში კარგი ხსნადობა დაკავშირებულია წყალბადური ბმების ნარმოქმნასთან ეთილენგლიკოლისა და წყლის, აგრეთვე ეთილენგლიკოლისა და ეთანოლის მოლეკულებს შორის.

ქიმიური თვისებები. ეთილენგლიკოლი ურთიერთქმედებს ტუტე მეტალებთან, ტუტეებთან, აგრეთვე ორგანულ და არაორგანულ მჟავებთან:



შეისწავლე


მრავალატომიანი სპირტების მოლეკულური ფორმულის დადგენა

განსაზღვრეთ X-ის მოლეკულური ფორმულა.

ნაჯერი სპირტი	სპირტის მოლეკის რიცხვი	Na-თან სრული ურთიერთქმედებისას ნარმოქმნილი H_2 -ის მოლების რიცხვი	ნატრიუმის ალკოჰოლატის მასა, g
X	0,2	0,2	21,2

ამოხსნა:

ა. 0,2 მოლი სპირტიდან 0,2 მოლი წყალბადის წარმოქმნა მიუთითებს, რომ საწყისი სპირტი ორატომიანი სპირტია: $C_nH_{2n}(OH)_2$. რეაქციის ტოლობიდან გამოვთვალით ნატრიუმის ალკოჰოლატის მოლური მასა:



ბ. გამოვსახოთ ალკოჰოლატის მოლური მასა n -ის საშუალებით და აქედან ვიპოვოთ n -ის მნიშვნელობა:

$$M_r(C_nH_{2n}(ONa)_2) = 14n + 78; \quad 14n + 78 = 106; \quad 14n = 28; \quad n = 2.$$

მაშასადამე, სპირტის ფორმულა $C_2H_4(OH)_2$.

გამოიყენე

15,2 გ ნაფერი ორატომიანი სპირტის ჭარბ ნატრიუმთან ურთიერთქმედებისას გამოიყენე 4,48 ლ (ნ.პ.) წყალბადი. განსაზღვრეთ წყალბადის ატომების რიცხვი სპირტის მოლეკულაში.

ეთილენგლიკოლი, ერთატომიანი სპირტებისგან განსხვავებით, ტუტე არეში სპილენდ(III)-ის ჰიდროქსიდთან წარმოქმნის სპილენდ(III)-ის გლიკოლატის კაშკაშა ლურჯ სნარს:



ეს რეაქცია მრავალატომიანი სპირტების თვისებითი რეაქციაა.

შენიშვნა: ამ რეაქციის პროცესის რთული აღნაგობა აქვს, ამიტომ ტოლობაში მოტანილია მისი გამარტივებული ფორმულა.

გამოყენება: ეთილენგლიკოლის წყალსნარები 0°C -ზე დაბალ ტემპერატურაზე იყინება; მაგალითად, ეთილენგლიკოლის 67% -იანი წყალსნარი იყინება მხოლოდ მინუს 75°C -ზე. ამიტომ ზამთრობით ისინი ანტიფრიზებად გამოიყენება ავტო-მობილების, ტრაქტორებისა და სხვ. მექანიზმების რადიატორებში.

ეთილენგლიკოლი გამოიყენება ლაგსანის ბოჭქოს, გამხსნელ დიოქსანის, ფეთქებადი ნივთიერებების, მაგალითად, დინიტროგლიკოლის წარმოებაში.

■ განამტკიცეთ შესცავლილი მასალა

■ დაასრულეთ რეაქციების სქემები და განსაზღვრეთ, რეაქციათა რომელ ტიპს მიეკუთვნება თითოეული მათგანი.



- a) ჩანაცვლების ბ) უანგვა-ალდეტის გ) მიმოცვლის დ) ეთერიფიკაციის
1. ____ 2. ____ 3. ____ 4. ____

რეაქციასთა და შეფასება

■ I. დაასრულეთ არაზები და ტექსტის მიხედვით შეამონეთ მათი სისწორე.

- ... განსხვავებით, ეთილენგლიკოლი ტუტე არეში ურთიერთქმედებს

- ეთილენგლიკოლი ... იხსნება წყალსა და ეთანოლში, რადგან
- ნარმოებაში ეთილენგლიკოლს, ისევე როგორც ... სპირტს, იღებენ ძირითადად

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:


- სად შეძლებთ გაკვეთილზე შესწავლილის გამოყენებას?

■ III. შეასრულეთ დავალება.

ა 1. მიუთითოთ სპირტების სწორი დასახელებები:

- HOCH₂CH₂OH
 - HOCH₂CHOHCH₃
 - CH₃CH₂CHOHCH₂OH
 - C₂H₄(OH)₂
- ეთილენგლიკოლი პროპანდიოლ-1,2,3 ბუტანდიოლ-1,2 ეთანდიოლ-1,2

2. რომელი სქემით შეიძლება მივიღოთ ეთილენგლიკოლი?



ბ 3. ნაშირბადის ატომების რიცხვის (n) საშუალებით გამოსახეთ ნახშირბადისა და წყალბადის მასური თანაფარდობა ($m_C:m_H$) ნაჯერ ორატომიან სპირტებში.

4. განსაზღვრეთ φ. $M_r(CH_2OHCH_2OH) = 62$.

ეთილენიდიან მიღებული ეთილენგლიკოლის მასა, კგ	რეაქციაში შესული ეთილენის მოცულობა (ნ.კ.), მ ³	ეთილენგლიკოლის გამოსავალი, %
55,8	22,4	φ = ?

ბ 5. მიუხედავად ეთილენგლიკოლისა და პროპანოლ-1-ის მოლეკულური მასის დაახლოებით ერთნაირი მნიშვნელობისა (60 და 62), რატომ დუღს პირველი უფრო მაღალ ტემპერატურაზე (198°C), ვიდრე მეორე (97°C)?

6. მიუთითოთ, რა არის სწორი და რა – არასწორი ეთილენგლიკოლისთვის. პასუხი დაასაბუთოთ.

	დიახ (+)	არა (-)
მისა სიბლანტე დაკავშირებულია მოლეკულათაშორის ურთიერთებულების ძალებით		
წყალბადური ბმები გავლენას არ ახდენს მის წყალში ხსნადობაზე		
იმავე ალკენისგან იღებენ, რომლისგანაც ეთანოლს		
წყლის მოლეკულებთან ურთიერთებულების მხოლოდ დიპოლ-დიპოლური ურთიერთებულების საშუალებით		

გ 7. ბუტანდიოლ-1,2 სპილენდ(II)-ის პილროესითან ნარმოქმნის კაშკაშა ლურჯი ფერის C₄H₈O₂C შედგენილობის (პირობითად) ნივთიერებას. შეადგინეთ პროდუქტის სტრუქტურული ფორმულა, რეაქციის ტოლობა და მიუთითოთ, რა მიზნით გამოიყენება ეს რეაქცია.

8. შეადგინეთ გარდამხატა ტოლობები:

ეთანი \rightarrow ქლოროთანი \rightarrow ეთილენი \rightarrow ეთილენგლიკოლი

••• გაკვეთილის შემთხვევა	1. ბუტანდიოლ-2,3-ის მაგალითზე შეადგინეთ ორატომიანის სპირტების დამახსიათებელი რეაქციების ტოლობები. 2. სპილენდ(II)-ის სულფატის 20%-იანი ხსნარის რამდენი გრამია საჭირო, რომ მივიღოთ 1 მოლ ბუტანდიოლ-2,3-თან სრული ურთიერთებულებისთვის საჭირო სპილენდ(II)-ის პილროესიდ?
--------------------------------	--

1.2.2. გლიცერინი

• გაიხსენით განვიღილი გასაშა •

- ეთანოლთან შედარებით, ეთილენგლიკოლის თვისებების როგორ ცვლილებამდე მივყავართ ამ უკანასკნელშის მოლეკულაში ორი ჰიდროქსილის $-\text{OH}$ ჯგუფის არსებობა?

გლიცერინი, როგორც დამატებიანებელი და დამარბილებელი, გამოყენება სასუნთქი გზების გასაწენდად, სამკურნალო პრეპარატების დასამზადებლად, ტყავის, სურნელოვანი ნივთიერებების, სხვადასხვა ნაყენის წარმოებაში.

- გლიცერინის რომელ თვისებებთანაა დაკავშირებული გამოყენების ჩამოთვლილი სფეროების უმრავლესობა?

საქმიანობა • მოლეკულათაშორისი მიზიდვის ძალები ეთილენგლიკოლსა და გლიცერინში ეთანოლის, ეთილენგლიკოლისა და გლიცერინის ფიზიკური თვისებების შედარების საფუძველზე შეავსეთ კითხვის ნიშნიანი უკარები.


ნივთიერება	CH_3-CH_2	CH_2-CH_2	$\text{CH}_2-\text{CH}-\text{CH}_2$
მონაცემები	$\begin{matrix} \\ \text{OH} \end{matrix}$	$\begin{matrix} \\ \text{OH} \end{matrix}$	$\begin{matrix} \\ \text{OH} \end{matrix}$
ფარდობითი მოლეკულური მასა	46	62	92
დუღილის ტემპერატურა (°C)	78	197,6	290
როგორ იცვლება მოლეკულებს შორის მიზიდვის ძალები ეთანოლთან შედარებით? (იზრდება/მცირდება)	-	?	?
რომელი მიზეზები განაპირობებს მოლეკულებს შორის მიზიდვის ძალების ცვლილებას ეთანოლთან შედარებით?	-	?	?

იმსჯელეთ: როგორ ახსნით მოლეკულებს შორის მიზიდვის ძალების ცვლილებას ეთილენგლიკოლსა და გლიცერინში, ეთანოლთან შედარებით?


გლიცერინი $[\text{C}_3\text{H}_5(\text{OH})_3]$ ნაჯერი სამატომიანი სპირტების უმარტივესი წარმომადგენელია.

ნაჯერი სამატომიანი სპირტების ზოგადი ფორმულაა $\text{C}_n\text{H}_{2n-1}(\text{OH})_3$ ანუ $\text{C}_n\text{H}_{2n+2}\text{O}_3$ ($n \geq 3$).

მიღება. გლიცერინი მიიღება ცხიმების ჰიდროლიზით (ტუტე არეში):




და პროპილენის დაუანგვით:




ფიზიკური თვისებები. გლიცერინი უფერო, სიროფის მსგავსი, ტკბილი გემოს მქონე სითხეა. ის ჰიგროსკოპულია და წყალს ერევა ნებისმიერი თანაფარდობით; იყინება $17,9^{\circ}\text{C}$ -ზე, დუღს 290°C -ზე. არ არის მომწამლავი.

ქიმიური თვისებები. გლიცერინი, ისევე როგორც ეთილენგლიკოლი, რეაგირებს აქტიურ მეტალებთან, ტუტებებთან და მჟავებთან. როგორც მრავალაზომიანი სპირტი, ის სპილენდ(III)-ის ჰიდროქსიდთან ნარმოქმნის სპილენდ(II)-ის გლიცერატის კაშაშა ლურჯ ხსნარს:




ეს რეაქცია გლიცერინისთვისაც **თვისებით რეაქციად** ითვლება.
შენიშვნა: ამ რეაქციის პროდუქტს რთული აღნაგობა აქვს, ამიტომ ტოლობაში მოტანილია მისი გამარტივებული ფორმულა.

კონცენტრირებული გოგირდმჟავას თანაობისას გლიცერინი აზოტმჟავასთან ნარმოქმნის რთულ ეთერს – ნიტროგლიცერინს (გლიცერინტრინიტრატს):




ნიტროგლიცერინი (გლიცერინტრინიტრატი)

ნიტროგლიცერინი მძიმე, ზეთისებრი, უფერო სითხეა. გამოიყენება, როგორც ფეთქებადი ნივთიერება. გაცხელებით ან დარტყმისას ფეთქდება:



ისტორია



- ნიტროგლიცერინი – ფეთქებადი და სამკურნალო ნივთიერება ნიტროგლიცერინი პირველად 1847 წელს მიიღო იტალიელმა ასკანიო სობრერომ. საემაოდ სწრაფად დაიწყეს მისი გამოყენება ასაფეთქებლად წყლის არხების, გვირაბების, გზების გაყვანისას, აგრეთვე სამხედრო საქმეში; ოლონდ სუფთა ნიტროგლიცერინს ჰქონდა ნაკლი: ის ხშირად და მოუღლდნელად ფეთქდებოდა, ამ მიზეზით მისი გამოყენება დიდ სიფრთხილესთან იყო დაკავშირებული.

1865 წელს შვედმა ქიმიკოსმა ალფრედ ნობელმა გამოარკვია, რომ მყარი ადამიანური მთავრობისას ნიტროგლიცერინი მხოლოდ ანთებისას ფეთქდება. ამ ნარევს ნობელმა დინამიტი დაარქვა.

- ნობელის ანდერძის მახვიდვით, მის მიერ შექმნილი ნობელის ფონდი ყოველწლიურად ნობელის პრემიას გაუცემს ფიზიკის, ფიზიოლოგიის, ქიმიის, ლიტერატურისა და ეკონომიკის დარგებში ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენებისთვის.
- ნიტროგლიცერინის 1%-იანი სპირტებისარი მედიცინაში გამოიყენება სისხლძარღვაზე გასაფართოებლად გულ-სისხლძარღვაზე დაავადებებისას.

ცხიმოვან მუავებთან გლიცერინი წარმოქმნის რთულ ეთერებს (ტრიგლი-ცერიდებს). სწორედ ტრიგლიცერიდების სახით გვხვდება გლიცერინი ბუნებაში – ცხიმების შედგენილობაში.

გამოყენება. გლიცერინი გამოიყენება ნიტროგლიცერინისა და დინამიტის მისაღებად. მას იყენებენ საპარფიუმერიო მრეწველობაში – კრემების, პომადების, კბილის პასტების შედგენილობაში, სადაც ის ასრულებს კანის დამატენიანებელ და დამარბილებელ ფუნქციას; ტყავის წარმოებაში – ტყავის გამოშრობის აღსაკვეთად; საპის წარმოებაში; საფეიქრო წარმოებაში – ქსოვილებისთვის ერასტიურობისა და სირბილის მისანიჭებლად, ზოგიერთი ფისისა და საღებავის წარმოებაში.

■ განამტკიცეთ შესავლილი გასაღა

■ მ-ისა და ა-ის რომელი მნიშვნელობებისას ასახავს სწორად ფორმულა $C_nH_{2n+2}O_x$ ერთ-, ორ- და სამატომიანი სპირტების შედგენილობას?

■ რეალერსია და შეფასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე:

- გლიცერინი დუღს უფრო მაღალ ტემპერატურაზე, ვიდრე ეთილენგლიკოლი, რადგან...
- ეთანოლისგან განსხვავებით, გლიცერინი ურთიერთებების ...თან და ...თან, რადგან გლიცერინის მოლეკულაში.... .

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:


- რამდენად აქტიური იყავით გაკვეთილზე?

■ III. შეასრულეთ დავალება.

ა 1. განალაგეთ სპირტები $-OH$ ჯგუფის წყალბადის ატომის ძვრადობის ზრდის მიხედვით.



2. განსაზღვრეთ ფარდობა $v_1 : v_2$, აგრეთვე ამ ფარდობის შესაბამისი წყალბადის სტექიომეტრული კოეფიციენტი სქემაში:



ბ 3. შეადგინეთ მოლეკულური და სტრუქტურული ფორმულები ნაჯერი სამატომიანი სპირტისა, რომლის მოლეკულაშიც sp^3 ჰიბრიდულ მდგომარეობაში მყოფი 7 ატომია.

4. განსაზღვრეთ x და y .

სამატომიანი სპირტის მოლეკულაში	H ატომების რიცხვი სპირტის მოლეკულაში	სპირტის მოლეკულაში ბმების წარმოქმნაში მონაზილე sp^3 ჰიბრიდული ორგატალების რიცხვი
$m_C:m_O = 9:12$	$x(H) = ?$	$y(sp^3) = ?$

გ 5. მიუთითეთ, რა არის სწორი და რა – არასწორი გლიცერინისთვის:

	და	არა (-)
მოლეკულაში $-OH$ ჯგუფი ერთმანეთთან ურთიერთების		
მოლეკულებს ძროის მოძრევებს მხოლოდ ვან-დერ-ვალსური ძალები		
აზოტმჟავასთან წარმოქმნის მხოლოდ ერთი სახის რთულ ეთერს		
ეთილენგლიკოლის მსგავსად, მომწამლავია		
პროპანის ნაწარმია		


6. დაადგინეთ შესაბამისობა.

- | | |
|-------------------|------------------------|
| 1. $C_3H_5(OH)_3$ | 4. $C_nH_{2n-1}(OH)_3$ |
| ა. ტრიოლები | 2. $HOCH_2CHOHCH_2OH$ |
| ბ. დიოლები | 3. $HOCH_2CH_2CH_2OH$ |
| | 6. გლიკოლები |

დ

7. სქემის შესაბამის უჯრებში მიუთითეთ გლიცერინისა და ეთოლენგლიკოლისთვის მართებული გამოთქმები:

- ა. აღმოაჩენენ სპილენძის (II) ჰიდროქსიდით;
ბ. შედის ეთერიფიკაციის რეაქციაში;
გ. მრეწველობაში იღებენ ცხიბებიდან;
დ. მრეწველობაში იღებენ ალენიდან.



8. შეადგინეთ გლიცერინმონიტრატისა და, გამარტივებული სახით, სპილენზ(II)-ის გლიცერინტის ნირმოქმნის რეაქციათა სქემები. განსაზღვრეთ, რომელ რეაქციაში ამჟღავნებს გლიცერინი მჟავურ და რომელში – ფუძე თვისებებს.

გაკვეთილი
შემთხვევა

შეავსეთ ცხრილი „გლიცერინისა და მისი ნანარმების თვისებები და ამ თვისებებზე დამყარებული მათი გამოყენების სფეროები“.

გლიცერინისა და მისი ნანარმების თვისებები	გამოყენება

1.3. ფენოლი

1.3.1. მიღება, აღნაგობა და ფიზიკური თვისებები

• განვითაროთ განვითაროთ მასალა •


- რომელ ორგანულ ნაერთებს ეწოდება არომატული?
– როგორ იცვლება $O-H$ ბმის პოლარობა, თუ წყლის მოლეკულაში წყალბადის ერთ-ერთ ატომს ჩავანაცვლებთ ალკილის რადიკალით? რატომ?

ფენოლი პირველად გამოყვეს (XIX ს.) ქვანაბშირის გამოხდის პროდუქტებიდან. რადგან ის ბენზოლის ნანარმებიდან დაგენდა (ბენზოლს კი მაშინ „ფენს“ უწოდებდნენ) და მჟავური თვისებებით ხასიათდებოდა. სახელად „ფენოლის მჟავა“ უწოდეს. შემდეგ, ფ. უერარის ნიმუშებით, მას „ფენოლი“ დაარქევეს.

– რატომ შემოგვთავაზა
ფ. უერარმა ამ ნივთიერებისთვის
სახელწოდება
„ფენოლი“?

ფენოლი (C_6H_5-OH) ფენოლების უმარტივესი ნარმომადგენელია. ფენოლები ორგანული ნივთიერებებია, რომლებშიც ერთი ან რამდენიმე $-OH$ ჯგუფი დაკავშირებულია ბენზოლის ან მისი პომოლოგების ბენზოლის ბირთვის ნახშირბადის ატომებთან.

–OH ჯანუარების რიცხვის მიხედვით განასხვავებენ ერთატომიან, ორატომიან და მრავალატომიან ფინოლებს:




ორთო-, მეტა- და პარა-კრეზოლები (2-, 3- და 4-მეთილფენოლები) აგრეთვე ფენოლებს (ჰ) მიეკუთვნება.

ფენოლებში ბეზოლის რგოლის ნახშირბადის ატომების დანომვრას იწყებენ -OH ჯგუფთან დაკავშირებული ნახშირბადის ატომიდან და აგრძელებენ უახლოესი ჩამნაცვლებლისკენ.

ფენოლებს შორის უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ფენოლს.

მიღება. მრეწველობაში ფენოლს იღებენ ძირითადად 3 ხერხით:

1) የከፍል በመሆኑ እንደሆነ ስራውን ተስፋል ይችላል፡፡




2) ქვანახშირის პიროლიზის პროცესის – ქვანახშირის ფისის გადადენით;

3) გენერაციული მოწყვეტილების გადახდის გადაწყვეტა;



საქმიანობა • ფუნქციების მოლეკულის აღნაგობა და ფიზიკური თვისტები

გრაფიტზე ასახულია ნახშირბადატომების ერთი და მასვე რიცხვების შემცველი ბენზოლის, ციკლოპენგვანოლისა და ფენოლის დუღილის ტემპერატურის მოლურ მასაზე დამოკიდებულება. ასენით ნივთიერებათა დუღილის ტემპერატურის ცვლილება მათი მოლურებულებისა და O-H ბმის პოლარულობის ცვლილება.




იმსჯელება: – რატომ არის O-H ბმა უფრო პილარული ფენოლის მოლეკულაში, ვიდრე წყლისა და ეთანოლის მოლეკულებში?

ფიზიკური თვისებები. ფენოლი უფერო, კრისტალური, დამახასიათებელი სუნის მქონე ნივთიერებაა ($t_{\text{დ}} \approx 41^{\circ}\text{C}$). ცივ წყალში მცირედ იხსნება, მაგრამ 70°C -ზე იხსნება ნებისმიერი თანაფარდობით. ის **მომნამღლავია** და კანზე ნარმოქმნის ძნელად შესახორცებელ იარებს.



- O-H ბმის მაღალი პოლარულობის გამი ფენოლის მოლეკულები ერთმანეთთან ნარმოქმნის მტკიცე წყალბადურ ბმებს.
ამიტომ ფენოლი დუღს მაღალ ტემპერატურაზე (182°C).

მოლეკულის აღნაგობა. ფენოლის მოლეკულაში ბენზოლის რგოლის π -ელექტრონული სისტემა მიიზიდავს გაუზიარებელ sp^3 -ელექტრონულ წყვილს უანგბადის ატომიდან, ამცირებს რა ელექტრონულ სიმკვრივეს ამ უკანასკნელზე. შედეგად, უანგბადის ატომი კიდევ უფრო მიიზიდავს თავისკენ O-H ბმის ელექტრონულ სიმკვრივეს. ელექტრონული სიმკვრივის ამგვარი გადანაცვლება განაპირობებს ფენოლის შემდეგ ქიმიურ თვისებებს:



1) წყალხსნარებში გაადვილებულია $-\text{OH}$ ბმის წყალბადის ატომის მონიკეტა პროტონის სახით (ნაჯერ სპირტებთან შედარებით) და ფენოლი ამჟღავნებს მჟავურ თვისებებს. ამ მიზეზით მის წყალხსნარს კარბოლმჟავას უწოდებენ.

2) ბენზოლის რგოლის ნახშირბადის ატომებთან $2,4,6$ -მდებარეობაში არსებული წყალბადის ატომები, ბენზოლთან შედარებით, ადვილად ჩაენაცვლება ბრომის ატომებით ან ნიტროჯგუფებით.



- **იცით თუ არა, რომ** • ბუნებაში ფენოლის ნაწარმები გვევდება ალვის ან ტირიფის ქერქში, კვლიავის, პიტნის, მისაკის, ქონდრის ზეთებში, აგრეთვე ნიწაკებში.
- ფენოლის ნაწარმებს ანტიოქსიდანტის სახით უმატებენ ზოგიერთ საკვეპ პროდუქტს, მათი სწრაფი გაფუჭების თავიდან აცილების მიზით.

■ განამტკიცეთ შესრულებული მასალა

■ ალკილის რადიკალსგან განსხვავებით, რაში მდგომარეობს ფენილის ჯგუფის გავლენა $-\text{OH}$ ჯგუფზე? პასუხი დაასაბუთეთ კონკრეტული მაგალითებით.

■ რეაციებისა და შედეგები


■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტურაშიხედვით მეამონმეთ მათი სისწორე.

- ფენოლი ავლენს სუსტ მჟავურ თვისებებს, რადგან
- ფენოლის მოლეკულაში ფენილის ჯგუფისა და $-\text{OH}$ ჯგუფის ურთიერთგავლენა ხორციელდება π -სისტემის მეშვეობით, რადგან ამ ურთიერთქმედებისას
- ფენოლის მაღალი დუღილის ტემპერატურის ძირითადი გამომწვევი მიზეზია

■ II. გათხატეთ თემაზე უცხოულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

– როგორ აიასებთ თქვენს საქმიანობას გაკვეთილზე?

■ III. შესასრულეთ დავალებები:



2. განსაზღვრეთ ფენოლის ჰომოლოგები:

- ბ. 1. ბენზილის სპირტი 2. მეტა-კრეზოლი 3. ტოლუოლი 4. 4-მეთილფენოლი
3. მიუთითოთ, რა არის სწორი და რა - არასწორი ფენოლის კუმოლური მეთოდით მიღებისთვის. პასუხი დასაბუთეთ.

	დიახ(+)	არა (-)
ბენზილის ბირთვი კარბავს ბრტყელ აღნაგობას		
პროპილენში იცვლება C-ატომების პიბრიდული მდგომარეობა		
პროპილენი უერთდება ბენზილს		
თანაურ პროდექტს არ გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობა		
პროცესი მიმდინარეობს ერთ სტადიაზ		

4. განსაზღვრეთ გამოთქმები, რომლებიც მართებულია ფენოლის მოლეკულისთვის:

1. აქეს შეუძლებული π -სისტემა;
2. აქეს ბრტყელი აღნაგობა;
3. შეიცავს sp^2 -პიბრიდულ მდგომარეობაში მყოფ ნახშირბადის 6 ატომს;
4. შეიცავს 11 არაპოლარულ σ-ბმას;
5. პოლარული მოლეკულაა.

5. იპოვეთ შესაბამისობა:


- ა. პიროკატენინი ბ. პიროგალოლი გ. 4-მეთილფენოლი დ. მეტა-კრეზოლი

ერთატომიანი ფენოლი _____ ორატომიანი ფენოლი _____

6. შეადგინეთ 2-მეთილფენოლის იზომერული სპირტის სტრუქტურული ფორმულა და დასახელეთ ის.

7. შეადგინეთ ფენოლის ჰომოლოგიური რიგის მესამე ნარმომადგენლის სტრუქტურული ფორმულები და დასახელეთ ისინი.

8. დასახელეთ X, Y, Z და L და შეადგინეთ მათი სტრუქტურული ფორმულები:



•••
გავეთილის
გეგმა

შეადგინეთ ფორმოლებიმი სახელთდებით: „ფენოლი და მისი ნაწარმები ჩვენს ცოდვებაში“.

- პრეზენტაციის გეგმა:
1. სატიტულო გვერდი;
 2. ფენოლის ნაწარმების წყრილები;
 3. ფენოლი სალიკავიბის ნარმოებაში;
 4. ფენოლი ფარმაციაში;
 5. ფენოლის ნივთიერებები და ფენოლის ნაწარმები;
 6. ფენოლის ნაწარმები - მეტალისა და ხის ნაკეთობების შემცველებები;
 7. პლასტმასები ფენოლფორმალდეპიდური ფისის ბაზაზე.

1.3.2. ქიმიური თვისებები და გამოყენება

• გაიხსენით განვითარეთ მასალა •

– ორგანულ ნაერთთა აღნაგობის თეორიის თანახმად, როგორ არის ურთიერთდა-მოკიდებული ნივთიერების აღნაგობა და თვისებები?

ფენოლფორმალდეპიდური ფისისგან დამზადებული ნაკეთობები, მათი მაღალი მექანიკური მდგრადობიდან, ელექტროსაიზოლაციი და ქიმიური ნივთიერებების მიმართ მდგრადობის თვისებებიდან გამომდინარე, ფართოდ გამოიყენება მრეწველობაში, ყოფაში, მედიცინაში და სხვ. სფეროებში.



– რომელი ფანგბადშემცველი ორგანული ნივთიერებებიდან და რომელი რეაქციით იღებენ ფენოლფორმალდეპიდური ფისს?



საქმიანობა • ატომთა ჯგუფების ურთიერთგავლენა ფენოლის მოლეკულაში. განხილეთ ფენოლის, ბენზოლისა და ეთანოლის რეაქციათა სქემები და უპასუხეთ კითხვებს:

1. $C_6H_6 + \text{ბრომიანი ნიჟარე} (\text{Br}_2) \rightarrow \text{რეაქცია არ მიმდინარეობს}$
2. $C_6H_5OH + \text{ბრომიანი ნიჟარე} (\text{Br}_2) \xrightarrow{20^\circ\text{C}} C_6H_2\text{Br}_3\text{OH} + 3\text{HBr}$
3. $C_2H_5OH + \text{NaOH} \rightarrow \text{რეაქცია მიმდინარეობს}$
4. $C_6H_5OH + \text{NaOH} \rightarrow C_6H_5\text{ONa} + \text{H}_2\text{O}$

კითხვა	პასუხი
რომელი რეაქციები ასახავს $-\text{OH}$ ჯგუფის გავლენას ბენზოლის ბირთვზე?	?
რომელი რეაქციები ასახავს ფენოლის ჯგუფის გავლენას $-\text{OH}$ ჯგუფზე?	?


იმსჯელეთ: – როგორ შეიძლება დავუკავშიროთ ამ ორ კითხვაზე თქვენი პასუხები ფენოლის მოლეკულის ელექტრონულ აღნაგობას?

ფენოლის ქიმიური თვისებები განპირობებულია მის მოლეკულაში ბენზოლის ბირთვებისა და $-\text{OH}$ ჯგუფის არსებობით.


ქმნიური თვისებები. ჰიდროქსილის ჯგუფის რეაქციები. ფენოლი რეაგირებს მეტალურ ნატრიუმთან და კალიუმთან. ამ დროს ნარმოიქმნება ფენოლის მეტალ-შემცველი ნანარმები – ფენოლური:



ფენოლი ამჟღავნებს სუსტ მუავურ თვისებებს. ამიტომ, ნაჯერი ერთატომიანი სპირტებისგან განსხვავდებით, ის რეაგირებს ტუტეებთან:




ვინაიდან ფენოლი სუსტი მუავაა, მინერალური მუავები, თვით ნახშირმუავაც კი, აძევებს მას მარილყბიდან – ფენოლატებიდან:




კალიუმის ფენოლატი H_2CO_3 ფენოლი

ბენზოლის ბირთვის რეაქციები. ბენზოლის ბირთვზე $-OH$ ჯგუფის გაცვლენის გამო ფენოლი, ბენზოლისგან განსხვავებით, გაცხელებისა და კატალიზატორის გარეშე შედის ჩანაცვლების რეაქციაში ბრომთან (t. ა) და აზოტმჟავასთან (t. ბ). არეაქციაში წარმოიქმნება 2,4,6-ტრიბრომფენოლი, ბ რეაქციაში – 2,4,6-ტრინიტ-როფენოლი:




ბენზოლის ბირთვზე ჰიდროქსილის ჯგუფის გავლენა მუღავნდება ფენოლისა და ფორმალდეპიდის ურთიერთქმედების რეაქციაში. მაგალითად, ბენზოლი ფორმალდეპიდთან არ რეაგირებს, ხოლო ფენოლი ოთახის ტებერატურაზევე შედის აოლიკონდენსაციის რეაქციაში ფორმალდეპიდთან, წარმოქმნის რა ფენოლფორმალდეპიდურ ფის:



თანოლის ქიმიური თვისებები

დაასრულეთ სქემები და დაასახლეთ X და Y ნივთიერებები.



რამდენი გ ნატრიუმის ფენოლატი წარმოქმნება $0,3$ მოლი ფენოლის 8 გ ნატრიუმის ჰიდროსილითან ურთიერთშებულისას? $M_r(\text{NaOH}) = 40$, $M_r(\text{C}_6\text{H}_5\text{ONa}) = 116$.

- იცით თუ არა, რომ 1872 წელს გერმანელმა მეცნიერმა ა. ვაიერმა ფენოლის ფორმალდებადთან რეაქციათ ფისის მსაგასი პროდუქტი მიიღო. შემდგომში ჰილანდელმა მეცნიერმა ლ. ბაკელანდმა დაამუშავა ამ ნივთიერების მზღვების სამრენველო მეთოდი. 1912 წლიდან ფენოლფორმალდეპილური ფისი ბაკელიტის სახელწოდებით იწარმოება.

გამოყენება. ფენოლი ფართოდ გამოიყენება სალებავების, ნამლების, ფეთქებადი ნივთიერებების (პიკრინმჟავას მარილების – პიკრატების), ფენოლფორმალდეპიდური პლასტმასების სანარმოებლად.

ფენოპლასტები, მათი კარგი მექანიკური და ელექტროსაიზოლაციო თვისებების გამო, გამოიყენება მეტროპოლიტენის ესკალატორების საფეხურების, ვაგონების სამუხრუჭების სუნდების დასამზადებლად. გარდა აღნიშნულისა, მათგან ამზადებენ ელექტრომრიცხველების, უთოებისა და ძრავების კორპუსებს; ტელეფონებსა და ფოტოპარატებს, სამზარეულოს მოწყობილობის (დანების, ქვაბების, გაზქურების) სახელურებს, აგრეთვე ჭადრაკის ფიგურებს, შაშის, დომინოს ქვებს და სხვ.

მისი ხსნარები, ანტისეპტიკური თვისებების გამო, გამოიყენება დეზინფექციისთვის.

ფენოლს **საზღვრავენ** მის ხსნარზე FeCl_3 -ის მოქმედებისას ისფერი შეფერვის წარმოქმნით:




ფენოლისა და მისი წანარმების გარემოზე გავლენა.

ფენოლი მომწამლავი ნივთიერებაა; ის აზიანებს ადამიანის ცენტრალურ ნერვულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემას, თირკმლებს. ფენოლი მავნე ზემოქმედებას ახდენს ცხოველებსა და მცენარეებზეც.


ფენოლი და მისი ნაერთები ფართოდ გამოიყენება მრეწველობასა და ყოფაში. ისინი გვევლინება ქიმიური და ნავთობქიმიური წარმოების მრავალტონაზეან პროდუქტებად. ამიტომ, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მეშვეობით, ფენოლი და მისი წანარმები აბინძურებს გრუნტის წყლებს, ნიადაგსა და ატმოსფეროს.

ფენოლის დიდი რაოდენობის შემცველ ჩამდინარე წყლებს ფენოლისგან ასუფთავებენ ძირითადად დაუანგვით. ამ მიზნით მანგავებად გამოიყენება: ქლორ(IV)-ის ოქსიდი, ჰაერის ჟანგბადი, მანგანუმ(IV)-ის ოქსიდი, ელექტრული დენი და სხვ.

ფენოლის დაუანგვა მანგანუმ(IV)-ის ოქსიდით აღინერება ტოლობით:



ძლიერ დაბინძურებული ჩამდინარე წყლებიდან ფენოლს აცილებენ ადსორბენტების, მაგალითად გააქტიურებული ნახშირის, მეშვეობით.



(ა)

LAWICH

■ განამტკიცეთ შესძლებილი მასალა

■ შეადგინეთ ფენოლთან დაკავშირებული ცნებების რუკა.

■ რეფლექსია და შეფასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.

- ფენოლი, ბენზოლისგან განსხვავებით, ადვილად შედის ჩანაცვლების რეაქციებში ...თან და ...თან, რადგან
- ფენოლფორმალდეპიდური ფისის ნარმოქმნის რეაქცია კიდევ ერთხელ ადასტურებს ... გავლენას, რადგან ფორმალდეპიდი ბენზოლთან

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

- თემის რომელი ცნებები მოგეწვენათ ასათვისებლად ძნელი?

■ III. შეასრულეთ ცავალებები:

- ა** 1. რომელ ორ ნივთიერებასთან წარმოქმნის ფენოლი ერთი და იმავე ტიპის ნივთიერებას?

1. მჟავებთან 2. ტუტეებთან 3. წყალთან 4. მეთანალთან 5. ტუტე მეტალთან
2. ნაჯერი ერთატომიანი სპირტებისგან განსხვავებით, რომელ ნივთიერებასთან რეაგირებს ფენოლი.

1. Na 2. KOH 3. K 4. NaOH 5. HNO₃

- ბ** 3. მიუთითოთ, რომელია მცდარი ფენოლის ქიმიური თვისებების შესახებ გამონათქვამებიდან:

- ა. ბენზოლთან შედარებით, ადვილად შედის ჩანაცვლების რეაქციებში;
- ბ. აზოტმჟავსთან წარმოქმნის 2,4,6-ტრინიტროფენოლს;
- გ. ნატრიუმნანარმის წყალსნარს აქვს მჟავა არე;
- დ. 2,4,6-ტრიბრომფენოლის წარმოქმნისას გამოიყოფა 1 მოლი აირადი ნივთიერება;
- ე. ფენოლის განსაზღვრის რეაქციებში მონაწილეობს ჰიდროქსილის ჯგუფი.


4. განსაზღვრეთ m.

ქლორბენზოლიდან მიღებული ფენოლის მასა, გ	რეაქციაში შესული ქლორბენზოლის მასა, გ	რეაქციის პროცენტის გამოსავალი, %
18,8	m = ?	φ = 80

- ბ** 5. ფენოლი ცუდად იხსნება ცივ წყალში. როგორ ახსნით ფენოლის კარგ ხსნადობას ნატროუმის ცუტის ცივ ხსნარში?

6. შეადგინეთ რეაქციათა ტოლობები, რომლებიც მიმდინარეობს ნატრიუმის ფენოლატის ხსნარში ნახშირმჟავა აირის გატარებისას. ახსენით რეაქციის გარეგნული ნიშნები.

დ 7. დაასრულეთ რეაქციათა სქემები, რომლებიც ასახავს ბენზოლის ბირთვზე ჰიდროქსილის ჯგუფის გავლენას ფენოლის მოლეკულაში. შეადარეთ ამ რეაქციის ორგანული პროდუქტების მჟავური თვისებები ფენოლის მჟავურ თვისებებს.



8. შეადგინეთ გარდაქმნათა ტოლობები:

- $\text{C}_6\text{H}_6 \rightarrow \text{C}_6\text{H}_5\text{Cl} \rightarrow \text{C}_6\text{H}_5\text{OH} \rightarrow \text{C}_6\text{H}_2\text{Br}_3\text{OH} \rightarrow \text{C}_6\text{H}_2\text{Br}_3\text{ONa}$
- $\text{CH}_4 \rightarrow \text{C}_2\text{H}_2 \rightarrow \text{C}_6\text{H}_6 \rightarrow \text{C}_6\text{H}_5\text{OH} \rightarrow \text{2,4,6-ტრიბრომფენოლი}$



მოამზადეთ რეფლექსით თემაზე: „გარემოს დაბინძურება ფენოლისა და მისი ხანარმების მიერ და მასთან ბრძოლის ხერხები“.

1. სპირტები და ფენოლები ჰიდროქსილშემცველი ორგანული ნაერთებია.
2. პირველად სპირტებში –OH ჯგუფთან დაკავშირებული ნახშირბადის ატომის ბმას წარმოქმნის ნახშირბადის მხოლოდ ერთ ატომთან, მეორეულ სპირტებში – ორ ატომთან, მესამეულ სპირტებში – სამ ატომთან.
3. დაბოლოება „ოლი“ ნივთიერების სახელნოდებაში მიუთითებს მის შედგენილობაში –OH ჯგუფს არსებობაზე.
4. სპირტის მოლეკულაში –OH ჯგუფის რიცხვი განსაზღვრავს სპირტის ატომიანობას.
5. ერთატომიან სპირტებში სტრუქტურული იზომერია განპირობებულია ნახშირბადოვანი ჯაჭვის იზომერითა და ჯაჭვიში –OH ჯგუფის მდებარეობით.
6. ნაჯერი ერთატომიანი სპირტები (გარდა მეთანოლისა) წარმოქმნის კლასთაშორის იზომერებს ორი ალკილის შემცველ მარტივ ეთერებთან.
7. ეთანოლი მრეწველობაში მიიღება ეთილენის კატალიზური ჰიდრატაციით, აგრეთვე გლუკოზიდნ ან გლუკოზის ნაშთის შემცველი შაქროვანი ნივთიერებებიდან.
8. მეთანოლს იღებენ ძირითადად სინთეზ-აირიდა.
9. სპირტებში მოლეკულათაშორისი წყალბადური ბმების არსებობა იმის მიზეზია, რომ სპირტების პირველი წარმომადგენლები ჩვეულებრივ პირობებში აირადი არ არის.
10. სპირტისა და წყლის მოლეკულებს შორის წყალბადური ბმების არსებობის გამო, სპირტების პირველი წარმომადგენლები წყალს ერევა ნებისმიერი თანაფარდობით.
11. ალილის სპირტი – უჯერი, ხოლო ბენზილის სპირტი არომატული სპირტია.
12. სპირტების წყალსწარები ინდიკატორებს ფერს არ უცვლის.
13. სპირტების მეტალშემცველ ნაწარმებს ალკოჰოლატები ეწოდება. ისინი განიცდის ჰიდროლიზუ.
14. სპირტების განიცდის მოლეკულათაშორის და შიგამოლეკულურ (გარდა მეთანოლისა) დეპიდრატაციას.
15. სპირტები შედის ეთერიფიკაციის რეაქციაში.
16. პირველადი სპირტების დაუანგვით მიიღება ალდეჰიდები, მეორეული სპირტების დაუანგვით – კეტონები.
17. ეთილენგლიკოლი – ორატომიანი, გლიცერინი კი სამტომიანი სპირტია.
18. ნაჯერი ერთატომიანი სპირტები ორატომიანისგან შეიძლება განვასხვავოთ სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდით.
19. სპირტების მოლეკულათაშორისი დეპიდრატაციით მიიღება მარტივი ეთერები.
20. მარტივი ეთერები ქიმიურად მცირედ აქტიურება.
21. O-H ჯგუფის პილარულობა ფენოლში მეტია, ვიდრე სპირტებში.
22. ფენოლი, ნაჯერი ერთატომიანი სპირტებისგან განსხვავებით, რეაგირებს ტუტებთან.
23. ფენოლი, ბენზოლთან შედარებით, უფრო ადვილად შედის ჩანაცვლების რეაქციებში ბრომთან და აზოტმჟავასთან.
24. ფენოლი შეიძლება განვსაზღვროთ რკინა(III)-ის ქლორიდით.
25. მეთანოლი, უთლიერებული კოლი და ფენოლი ძლიერ მომწამლავი ნივთიერებებია.

LAW

1. დაადგინეთ შესაბამისობა:

1. **პროპანოლ-1** a. $m(C) : m(O) = 6 : 8$
2. **პროპანდიოლ-1,3** b. $m(C) : m(O) = 9 : 8$
3. **პროპანტრიოლ-1,2,3** c. $m(C) : m(O) = 9 : 4$
2. შეადგინეთ სტრუქტურული ფორმულა სპირტისა, რომელიც მიიღება მეთანოლში წყალბადის ორი ატომის – მეთილის რადიკალებით, წყალბადის მესამე ატომის კი ეთილის რადიკალით ჩანაცვლების შედეგად. დაასახელეთ სპირტი საერთაშორისო ნიომენცულატურით.
3. განალაგეთ ნივთიერებები დუღილის ტემპარატურის ზრდის მიხედვით და დაასაბუთეთ ეს თანმიმდევრობა.
 1. $\text{HOCH}_2\text{CH}_2\text{OH}$
 2. $\text{CH}_3\text{CH}_2\text{OH}$
 3. CH_3OH
 4. $\text{HOCH}_2\text{CHOHCH}_2\text{OH}$
4. ეთანოლისგან განსხვავებით, რომელ ნივთიერებებთან რეაგირებს გლიცერინი და ეთილენგლიკოლი?
 1. HBr
 2. $\text{Cu}(\text{OH})_2$
 3. H_2SO_4
 4. KOH
 5. CH_3COOH
5. შეადგინეთ 1, 2 და 3 მოლი ნატრიუმის ჭარბ გლიცერინთან ურთიერთქმედების რეაქციათა ტოლობები და დაასახელეთ ორგანული პროდუქტები.
6. შეადგინეთ სქემის $\text{CH}_3\text{OH} + \text{C}_2\text{H}_5\text{OH} \xrightarrow[t < 140^\circ\text{C}, \text{H}_2\text{SO}_4 \text{ (კონ.)}]{} \text{მიხედვით მიმდინარე რეაქციათა ტოლობები და დაასახელეთ ნარმოქმნილი მარტივი ეთერები. ახსენით, რატომ ნარმოქმნება ერთ-ერთი ეთერი დიდი რაოდენობით.}$
7. მიუთითეთ, რა არის სწორი და რა – არასწორი ფენოლისთვის. პასუხი დაასაბუთეთ.

	დაბ(+)	არ (-)
წყალში ხსნადობა დამოკიდებული არ არის ტემპერატურაზე		
მას გამოყოფენ ქვანამირის პიროლიზის პროდუქტიდან – ფენოლფორმლდეპიდური ფისიდან		
ფენოლის შემცველი ნარჩენები მაღნე ზეგავლენას ახდენს გარემოზე		
მყარ მდგომარეობაში აქვს იონური კრისტალური მესერი		
მოლეკულას აქვს ბრტყელი აღნაგობა		

8. შეადგინეთ რეაქციათა ტოლობები, რომლებიც ასახავს ბენზოლის ბირთვისა და $-\text{OH}$ ჯგუფის ურთიერთგავლენას ფენოლის მოლეკულაში.
9. შეადგინეთ რეაქციათა მოლეკულური და იონური ტოლობები, რომლებიც მიმდინარეობს ნატრიუმის ფენოლატის წყალხსნარში ქლორნიცილბადის გატარებისას.
10. შეადგინეთ გარდაქმნათა ტოლობები:

$$\text{C}_2\text{H}_2 \rightarrow \text{C}_6\text{H}_6 \rightarrow \text{C}_6\text{H}_5\text{Br} \rightarrow \text{C}_6\text{H}_5\text{OH} \rightarrow \text{C}_6\text{H}_2(\text{NO}_2)_3\text{OH} \rightarrow \text{C}_6\text{H}_2(\text{NO}_2)_3\text{ONa}$$



ნაცილი

ქარგპადევამცველი
ორგანიზაციი
ნართვაში

თავი

2


ალდეპიდები

2.1. ალდეპიდები

- 2.1.1. ნომენკლატურა და იზომერია
- 2.1.2. მიღება, აღნაგობა და ფიზიკური თვისებები
- 2.1.3. ქიმიური თვისებები და გამოყენება
პრაქტიკული სამუშაო-1. სპირტების, ფენოლისა და ალდეპიდების ქიმიური თვისებები

LAYIH

- ალდეჰიდის ჯგუფი
- კარბონილის ჯგუფი
- ჭიანჭველას ალდეჰიდი
- ძმრის ალდეჰიდი
- ფორმალინი
- „ვერცხლის სარკის“ რეაქცია
- ტოლენის რეაქტივი
- ფენოპლასტები
- პოლიფორმალდეჰიდი
- აცეტონი



1872 წელს ცნობილმა შევედმა მეცნიერ-ქიმიკოსმა კ. შეელემ, დაუანგა რა ეთილის სპირტი, ძმარმუავასთან ერთად მიიღო მკვეთრი სუნის მქონე ნივთიერება. 1825 წელს გერმანელმა მეცნიერმა ი. ლი-ბიხმა ეთანოლის დაუანგვის პროცესზე მიმდინარეობიდან გამოყო C_2H_4O შედ-გენილობის ნივთიერება, რომელიც შეიცავდა ორი ატომით ნაკლებ წყალბადს, ვიდრე საწყისი სპირტი. ამიტომ მან ამ ნივთიერებას „**Alkohol dehydrogenatus**“ – სპირტი, რომელმაც წყალბადი დაკარგა, ანუ მოკლედ „ალდეჰიდი“ უწოდა.

ალდეჰიდები მიეკუთვნება ფართოდ გავრცელებულ სურნელოვან ნივთიერებებს. ბუნებაში შეუძლებელია სურნელოვან ნივთიერების პოვნა, რომელიც ალდეჰიდს არ შეიცავს. ამიტომ ალდეჰიდების ალმოჩენამ დიდი როლი შეასრულა სურნელოვანი ნივთიერებების წარმოების განვითარებაში.

დღეს ალდეჰიდების პომოლოგიური რივის პირველი წარმომადგენელი – ფორმალდეჰიდი ფართოდ გამოიყენება პლასტმასების, სამედიცინო პრეპარატების, სალებავების წარმოებაში, აგრეთვე მწერების გასანადგურებლად.

LAY IT!

გაიხსენეთ VII-X კლასებში შესწავლილი მასალა და შეასრულეთ შემდეგი დავალებები:


1. რომელ ორგანულ ნივთიერებებს მიეკუთვნება ალდეჰიდები?
 - ა. ჰიდროქსილშემცველს;
 - ბ. აზოგშემცველს;
 - გ. უანგბადშემცველს
 - დ. არომატულს.
2. მიუთითეთ ალდეჰიდებისა და კეტონების ფუნქციური ჯგუფები, დაასახელეთ ეს ჯგუფები და შეადგინეთ მათი სქემები:
ა. $-\text{COOH}$ ბ. $-\text{OH}$ გ. $-\text{CHO}$ დ. $>\text{C=O}$
3. მიუთითეთ, შესაბამისად, ფორმალდეჰიდისა და აცეტალდეჰიდის ფორმულები:
 - ა. $\text{CH}_3\text{CH}_2\text{CHO}$
 - ბ. CH_3CHO
 - გ. $\text{C}_3\text{H}_7\text{CHO}$
 - დ. HCHO
4. შეუძლია თუ არა ალდეჰიდების მოლეკულებს, ერთმანეთთან წარმოქმნას წყალბადური ბმები? რატომ?
5. ნახშირბადატომების ერთი და იმავე რიცხვის შემცველი ალდეჰიდები თუ სპირტები უკეთ იხსნება წყალში? პასუხი დაასაბუთეთ.
6. რომელი ორგანული ნივთიერებები წარმოიქმნება „ვერცხლის სარკის“ რეაქციით ალდეჰიდების დაჟანგვისას?
7. რომელი ალდეჰიდი გამოიყენება ფართოდ პლასტმასების წარმოებაში?
8. რა არის ფორმალინი?

LAYIH

ნაწილი 2 ალდეჰიდები

- სიტყვა „ალდეჰიდი“ შედგენილია სიტყვებისგან: „ალკოჰოლი“ და „დეჰიდრირება“.

ალდეჰიდები, ისევე როგორც სპირტები და ფენოლები, მიეკუთვნება ჟანგბადშემცველ ორგანულ ნაერთებს. ალდეჰიდების ფუნქციური ჯგუფია ალდეჰიდის ჯგუფი:




- ალდეჰიდები ორგანული ნივთიერებებია, რომელთა მოლეკულებში ალდეჰიდის ჯგუფი დაკავშირებულია ნახშირწყალბადის რადიკალთან.

მხოლოდ ჭიანჭველას ალდეჰიდში ალდეჰიდის ჯგუფი დაკავშირებულია არა ნახშირწყალბადის რადიკალთან, არამედ წყალბადის ატომთან:





ალდეჰიდები კლასიფიცირდება რადიკალის ბუნების მიხედვით:



ალდეჰიდის ჯგუფი $>\text{C}=\text{O}$ ჯგუფს კარბონილის ჯგუფი ეწოდება.

კარბონილის ჯგუფი ეპტონების ფუნქციური ჯგუფია.

კეტონები ორგანული ნივთიერებებია, რომელთა მოლეკულებში ნახშირწყალბადის როი რადიკალი დაკავშირებულია კარბონილის ჯგუფთან:



2.1. ალგორითმები

2.1.1. ნოეცვლატურა და იზომერია



- გაიხსენით განვილილი მასალა •

- როგორ ნომრავენ ნახშირბადატომებს ალკანოლების ძირითად ჯაჭვები?
 - სტრუქტურული ზომერის რომელი სახე ახასიათებს ალკანოლებს?

თქვენთვის ცნობილია, რატომ უწოდებენ მეთანოლს
ხის სპირტს, ხოლო ეთანოლს – ღვინის სპირტს. ალფე-
ჰიდების პირველ ორ წარმომადგენელს კი ჭიანჭველას
და ძმრის ალფეჰიდები ეწოდება.

- როგორ შეიძლება
აიხსნას ამ
ალდეპიდების
სახელწოდებების
ნარმოშობა?

- ალდეპიდების ნომენკლატურა.** სქემის საფუძველზე განსაზღვრულ ალდეპიდების ნომენკლატურის წევები და კითხვის ნიშნების ადგილზე ჩანარით შესაბამისა ალდეპიდების სახელწოდებები. ახსენით ალდეპიდების სტრუქტურული იზომერიის მიზეზები.




იმსჯელეთ: – შეადარეთ ალდეპიტიდების თქვენ მიერ დადგენილი ნომენკლატურა იმავე წესებს ალკანოლებისთვის. მიუთითეთ მათი საერთო და განმასხვავებელი განსაკუთრებულობანი.

ნაჯერი ალდეპიდების ფორმულებს ადგენენ შესაბამისი ალკანის მოლექულაში წყალბადის ერთი ატომის ალდეპიდის ჯგუფით შეცვლის გზით:



ალდეჰიდების ზოგად ფორმულას გამოსახავენ $C_nH_{2n+1}CHO$ ($n \geq 0$) ან $C_nH_{2n}O$ ($n \geq 1$) სახით (პირველ ფორმულაში „ n “ აღნიშნავს ნახშირბადის ატომების რიცხვს R რადიკალში, მეორეში კი – ~~მოვლენულაში~~).



ნომერკულატურა. საერთაშორისო ნოდებულატურის თანახმად, არაგანშტო-
ებულჯაჭვიანი ალდეპიდების სახელწოდებები ნარმოიქმნება ალდეპიდის ჯგუფის
შემცველი ყველაზე გრძელი ნახშირბაზოვანი ჯაჭვის შესაბამისი ალკანის სახელ-
წოდებიდან, დაბოლოვება „ალის“ დამატებით:





განშტოებული ალნაგობის ალდეპიდების დასახელებისთვის შეარჩევენ ძირითად ნახშირბადოვან ჯაჭვს, რომელიც შეიცავს ალდეპიდების ჯგუფს. ძირითადი ნახშირბადოვანი ჯაჭვი ინომრება CHO ჯგუფის ნახშირბადატომიდან. ალდეპიდების დასახელებაში მიუთითებენ ნახშირბადის ატომის ნომერს, რომელთანაც დგას რადიკალი, რადიკალის დასახელებას და ძირითადი ჯაჭვის შესაბამისი ალკანის სახელწოდებას უმატებენ დაბოლოება „ალს“.

შეისწავლა

განშტოებული ალნაგობის ალდეპიდების დასახელება საერთაშორისო ნომენკლატურით დასახელეთ ა და ბ ალდეპიდები საერთაშორისო ნომენკლატურით:



ამოხსნა:



გამოყენება

შეადგინეთ 3-მეთილპენანალისა და 2,3-დიმეთილპენტანალის სტრუქტურული ფორმულები.

რაციონალური ნომენკლატურით ალდეპიდებს ასახელებენ, როგორც ძმრის ალდეპიდების ნანარმებს. მაგალითად, ზემოთ მოცემულ 2-მეთილპროპანალს ენოდება დიმეთილმერის ალდეპიდი, ოლონდ ეს მეთოდი იმვიათად გამოიყენება.



ალდეპიდების ტრიგიალურ სახელწოდებებს ანარმობენ იმ კარბონმჟავების ტრივიალური სახელწოდებებიდან, რომლებადაც ალდეპიდები გარდაიქნება დაუანგვისას. მაგალითად, ჭიანჭველას ალდეპიდი, ძმრის ალდეპიდი, პროპიონის ალდეპიდი და ა.შ.

H – CHO
ჭიანჭველას ალდეპიდი


CH_3-CHO
ძმრის ალდეპიდი

$\text{C}_2\text{H}_5-\text{CHO}$
პროპიონის ალდეპიდი


იზომერია. ალდეპიდების კლასის შიგნითა სტრუქტურული იზომერია განპირობებულია ნახშირბადოვანი ჯაჭვის ალნაგობით, რომელთანაც მიერთებულია ალდეპიდების ჯგუფი და ინყება პომოლოგიური რიგის მეოთხე წევრიდან:





ნახშირბადატომების ერთი და იმავე რიცხვის შემცველი ალდეპიდები და კეტონები ნარმოქმნის კლასთაშორის იზომერებს.




ალფეტიდებს ახასიათებს ოპტიკური იზომერიაც; მაგალითად, 2-მეთილბუტანის მოლეკულაში ნახშირბადის მესამეული ატომი დაკავშირებულია ოთხ სხვადასხვა ატომთან და ატომთა ჯგუფთან ($-H$, $-CH_3$, $-CHO$, $-C_2H_5$), რის შედეგადაც ის არსებობს ორი ოპტიკური იზომერის სახით:




კეტონების **სახელწოდებები** საერთაშორისო ნომერკლატურით ინარმოება $C=O$ ჯგუფის შემცველი ყველაზე გრძელი ნახშირბადოვანი ჯაჭვის შესაბამისი ალკანის სახელწოდებიდან, დაბოლოება „**ონის**“ დამატებით:



$C_5H_{10}O$ შედგენილობის კეტონიდან დაწყებული, უთითებენ იმ ნახშირბადის ატომის ნომერსაც, რომელთანაც დაკავშირებულია უანგბადის ატომი. ჯაჭვის დანომვრა იწყება იმ ბოლოდან, რომელთანაც ახლოსაა $C=O$ ჯგუფი:



რაციონალური ნომერკლატურის მიხედვით CO ჯგუფთან დაკავშირებული რადიკალების სახელწოდებებს ემატება სიტყვა „**კეტონი**“; ამასთან, რადიკალის სახელწოდება მიეთითება დასაწყისში:



კეტონებში კლასთაშორისი იზომერია იწყება ჰომოლოგიური რიგის პირველივე ნევრიდან ხოლო კლასის შიგნითა – მესამე ნევრიდან ($C_5H_{10}O$).

განამტკიცეთ შესახელით გასაღა

- შეადგინეთ ნახშირბადის 5 ატომის შემცველი ნაჯერი ალდეპიდის ყველა შესაძლო სტრუქტურული იზომერის სტრუქტურული ფორმულა და დასახელეთ ისინი საერთაშორისო ნომენკლატურით.

■ რეცლეასია და შეცასება

■ I. დაასრულეთ ფარაზები და ტექსტის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.



- დაბოლოება „ოლი“ მიუთითებს ორგანული ნივთიერების ... კლასთან მიკუთვნებაზე, ხოლო დაბოლოება „ალი“ – ... კლასთან.
- ბუტანალიდან დაწყებული, ნაჯერი ალდეპიდების კლასს შეგნითა სტრუქტურული იზომერების რიცხვი ... შესაბამისი ალანების იზომერების რიცხვს, რადგან

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

- მოსაზრენი ხომ არ მოგეჩვენათ ეს გაკვეთილი?

■ III. შეასრულეთ დავალებები.

3 1. დაასახელეთ ალდეპიდები საერთაშორისო ნომენკლატურის მიხედვით:



3. შეადგინეთ 100-ის ტოლი ფარდობითი მოლეკულური მასის მქონე ნაჯერი ალდეპიდის ყველა შესაძლო კლასს შეგნითა იზომერის სტრუქტურული ფორმულა და დასახელეთ ისინი საერთაშორისო ნომენკლატურით.

4. განსაზღვრეთ სტრუქტურული იზომერების რიცხვი და დაასახელეთ ისინი საერთაშორისო ნომენკლატურით..

ნაჯერი ალდეპიდის მასა, გ	მისი მოლების რიცხვი	მისი იზომე- რების რიცხვი	მისი იზომერების სახელწოდებები
14,4	0,2	$N_{\text{იზომ}} = ?$?

5. მითითეთ ზედმეტი თითოეულ რიგში და ახსენით თქვენი არჩევანი:

1. ეთანოლი, ეთანალი, აკროლეინი, ბენზოის ალდეპიდი;
2. მეთანალი, ეთანალი, პროპანალი, აკროლეინი;
3. პენტანალი, 2-მეთილბუტანალი, 3-მეთილბუტანალი, 2-მეთილპროპანალი.

6. სქემის შესაბამის უჯრებში მიუთითეთ გამოთქმები, რომლებიც მიეკუთვნება მეთანალსა და ეთანალს.

ა. შედგენილობა შეესაბმება ფორმულას $C_n\text{H}_{2n+1}\text{CHO}$;


ბ. M_r შეიძლება გამოვითავლით გამოსაზულებიდან

$$14n + 30 \quad (n \geq 0);$$

გ. მასში ნახშირბათის მასური წილია 40%;

დ. შეიცავს ნახშირბათს 1 ატომს sp^3 ჰიბრიდულ მდგომარეობაში;

ე. კლემტენტების მასური თანფარდობა ($m_{\text{C}}:m_{\text{O}}:m_{\text{H}}$) ტოლია 6:4:1.



- 8** 7. შეადგინეთ ეთანალის, პროპენალისა და ბენზოის ალფეპიდის სტრუქტურული ფორმულები. განალაგეთ ისინი რიგში ნახშირბადის მასური წილის ზრდის მიხედვით.
8. შეადგინეთ ალფეპიდის სტრუქტურული ფორმულა, თუ ცნობილია, რომ ფუნქციური ჯგუფი შეადგენს მოლეკულის მასის ნახევარს (50%).

გავათილის
შემთხვევა

შეაპირისპირეთ ნახშირბადის 6 ატომის შემცველი ნაჯერი ალფეპიდისა და ნაჯერი სპირტის სტრუქტურული იზომერები; განსაზღვრეთ მათი იზომერის მსგავსი და განვალის შევავებული ნიშნები; შედეგები წარმოადგინეთ ცხრილის ან სქემის სახით.

2.1.2. მიღება, აღნაგობა და ფიზიკური თვისებები

• გაიხსენით განვითილი მასალა •

- რომელი ორგანული ნივთიერება წარმოქმნება აცეტილენისგან კუნძულების რეაქციით?
- როგორ ასახება ალკანოლების აღნაგობასა და ფიზიკურ თვისებებზე მათ მოლეკულებში ჰიდროქსილის ჯგუფის არსებობა?

ანატომიური პრეპარატების კონსერვაციისთვის, აგრეთვე ქირურგიული ინსტრუმენტების დასამუშავებლად გამოიყენება ფორმალინი.

- რა არის ფორმალინი?
- მის რომელ თვისებებს ემყარება ზემოხსენებული გამოყენება?


საქმიანობა • ალფეპიდების მოლეკულების აღნაგობა და ფიზიკური თვისებები. ეთანის, მეთანოლისა და მეთანაღლის ფიზიკური თვისებების შედარების საფუძველზე შეავსეთ კითხვების ნიშნიანი უჯრები:

ნივთიერება მისი მახასიათებლები	$\text{CH}_3\text{-CH}_3$	H-CHO	$\text{CH}_3\text{-OH}$
ფარდობითი მოლეკულური მასა	30	30	32
დულილის ტემპერატურა ($^{\circ}\text{C}$)	-89	-21	+64
აგრეგატული მდგომარეობა (ოთახის ტემპ-ზე)	აირი	აირი	სითხე
წყალში ხსნადობა	არ იხსნება	კარგად იხსნება	კარგად იხსნება
მოლეკულა პოლარულია (+/-)	?	?	?
შეიცავს ძლიერ პოლარულ ბმას (+/-)	?	?	?
წყალთან წარმოქმნის წყალბადურ ბმას (+/-)	?	?	?


იმსჯელეთ:

- მეთანოლის მსგავსად, რატომ იხსნება კარგად წყალში მეთანალი, მაგრამ მისგან განსხვავებით, ითავსის ტემპერატურაზე აირად მდგომარეობაში იმყოფება?
- რატომ დუღს მეთანალი უფრო მაღალ ტემპერატურაზე, ვიდრე ეთანი?


ალდეჰიდები მიიღება შემდეგი მეთოდებით:
1. პირველადი სპირტების დაუანგვა და დეჰიდრირება. ალდეჰიდები შეიძლება მივიღოთ პირველადი სპირტების დაუანგვით:



მაგალითად, ჰაერისა და ეთანოლის ორთქლის გატარებით სპილენდ(II)-ის ოქსიდით დაფარულ გავარვარებულ სპილენძის ბადეზე წარმოიქმნება აცეტალ-დეჰიდრიდი:




მრეწველობაში მეთანოლის ჰაერის უანგპადით კატალიზური დაუანგვით იღებენ ფორმალდეჰიდს:




ეს მეთოდი ეკონომიკურად არახელსაყრელია.


პირველადი სპირტების ორთქლის კატალიზატორზე (Cu, Ag ან Pt) გატარებით 200-300°C-ზე სპირტები დეჰიდრირდება ალდეჰიდების წარმოქმნით:



ერთატომიანი მეორეული სპირტების $\text{R}^1\text{CH(OH)}\text{R}^2$ დაუანგვისას წარმოიქმნება კეტონები:



2. ნახშირწყალბადების დაუანგვა. მრეწველობაში მეთანის ჰაერის უანგბადით კატალიზური დაუანგვით იღებენ ფორმალდეჰიდს:




ფორმალდეჰიდის ჭიანჭველმუავამდე დაუანგვის თავიდან ასაცილებლად მეთანისა და ჰაერის ნარეცს სარეაქციო არეში ატარებენ დიდი სიჩქარით. ეს მეთოდი ეკონომიკურად ხელსაყრელია.


ეთოლენის კატალიზური დაუანგვით იღებენ აცეტალდეჰიდს:



3. აცეტილენის პირატაცია. მრეწველობაში აცეტალდეჰიდს იღებენ აგრეთვე აცეტილენის კატალიზური პირატაციით, კუნძულოვანი რეაქციის მიხედვით:




აცეტილენის ჰომოლოგების პიდრატაციისას წარმოქმნება კეტონები:



მრეწველობაში აცეტონს იღებენ მერქნის მშრალი გამოხდით, იზოპროპილბენზოლისა და პროპანოლ-2-ის დაუანგვით.

ალნაგობა. ალდეჰიდების ელექტრონული ალნაგობა, ფორმალდეჰიდის მოლეკულის მაგალითზე, მოცემულია ქვემოთ (ა):

(ა) ფორმალდეჰიდის მოლეკულის ელექტრონული ალნაგობა და π -ბმების წარმოქმნა.



ალდეჰიდის ჯგუფის ნახშირბადის ატომი sp^2 -ჰიბრიდიზაციაში იმყოფება. ერთმანეთისადმი 120° -ით მიმართული სამი ს-ბმა ერთ სიბრტყეშია განლაგებული (ა). ამის გამო ფორმალდეჰიდის მოლეკულას ბრტყელი ალნაგობა აქვს. ნახშირბადის ატომის p -ორბიტალი, რომელიც ჰიბრიდიზაციაში არ მონაწილეობს, უანგბადის ატომის p -ორბიტალთან გვერდითი გადაფარვის გზით წარმოქმნის π -ბმას უანგბადსა და ნახშირბადს შორის. უანგბადის ატომის უფრო მაღალი ელექტრონულყოფითობის გამო ორმაგი $C=O$ -ბმის შედარებით მოძრავი π -ელექტრონული ლუბელი გადაინაცვლებს უანგბადის ატომის მხარეს. ამის შედეგად უანგბადის ატომზე ჩნდება ნაწილობრივ უარყოფითი (δ^-), ნახშირბადის ატომზე კი – ნაწილობრივ დადებითი (δ^+) მუხტი: $C^{\delta^+} = O^{\delta^-}$.

$C=O$ -ბმის პოლარიზაცია ჩანს ფორმალდეჰიდის

მოლეკულის ელექტრონული სიმკვრივის რუკაზე:


ნაზილობრივ უარყოფითი მუხტი (წითელი არე)

განლაგებული უანგბადის ატომის ირგვლივ; ხოლო

ნაზილობრივ დადებითი მუხტი (ლურჯი არე) –

ნახშირბადის ატომის ირგვლივ.

შეისვნა: ელექტრონული სიმკვრივის რუკაზე ორმაგ $C=O$ -ბმას აღნიშნავენ ერთი ხაზით.



> $C=O$ ბმის პოლარიზაცია ალდეჰიდების მოლეკულებში გავლენას ახდენს მათ ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებზე.

ფიზიკური თვისებები. ალდეჰიდების მოლეკულებში $-\text{OH}$ ჯგუფის არარსებობის გამო ეს მოლეკულები ერთმანეთთან წყალბადურ ბმებს არ წარმოქმნის. ამიტომ ალდეჰიდების დუღილის ტემპერატურა ნახშირბადის ამდენივე ატომის შემცველი სპირტებისა და კარბონმჟავების დუღილის ტემპერატურაზე დაბალია.

ალდეპიდების ჰომოლოგიური რიგის პირველი წარმომადგენელი – ფორმალდეპიდი აირადი ნივთიერებაა, შემდეგი წევრები – სითხეები, უმაღლესი ალდეპიდები კი – მყარი ნივთიერიებები.

ფორმალდეპიდი და აცეტალდეპიდი კარგად იხსნება წყალში. მოლეკულური მასის ზრდასთან ერთად ალდეპიდების ხსნადობა მცირდება; ბუტანალი წყალში პრაქტიკულად არ იხსნება.

ალდეპიდებს ურთიერთგანსხვავებული სუნი აქვთ. მაგალითად, ფორმალდეპიდი უსიამოვნო სუნით გამოირჩევა, უმაღლეს ალდეპიდებს კი სასიამოვნო სუნი აქვთ და პარფიუმერიაში გამოიყენება.

ფორმალდეპიდი მკვეთრი სუნის მქონე, უფერო აირია, ძლიერ მომწამლავია. მის 40%-იან ხსნარს ფორმალინი ეწოდება.

აცეტალდეპიდი ადვილად აქროლადი ($t_{\text{დან}} \approx 21^{\circ}\text{C}$) უფერო სითხეა მკვეთრი სუნით. მომწამლავია.

აცეტონი უფერო, დამახასიათებელი სუნის მქონე, წვადი სითხეა. კარგად იხსნება წყალში. დუღს 56°C-ზე; კარგად ხსნის ცხიმებს, ფისებსა და სხვა ნივთიერებებს; ამიტომ ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული გამსხველია.

■ განამტკიცეთ შესრულებული მასალა

- აცეტალდეპიდის წყალში ხსნადობის ერთ-ერთი მიზეზია აცეტალდეპიდისა და წყლის მოლეკულებს შერის წყალპალური ბმების წარმოქმნა. გაითვალისწინეთ ნაწილობრივი დაფეხითი მუხტის სიდიდე $-OH$ და $-CHO$ ჯგუფების წყალპალის ატომებზე და შეადგინეთ ამ ბმის სქემა.

■ რეაციებისა და შეფასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.

- მოლეკულის ბრტყელი აღნაგობის მქონე ალდეპიდი შეიძლება მივიღოთ ... დაუანგვით, ხოლო ... ალდეპიდი – ეთოლენის ჰიდრატაციით.
- ალდეპიდის დუღილის ტემპერატურა მოლეკულაში ამდენივე ნახშირბადის ატომის შემცველი სპირტების დუღილის ტემპერატურაზე ..., რადგან

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

– რომელი ჩვევები შეიძინეთ ამ თემის შესწავლისას?

■ III. შეასრულეთ დავალებები.



1. რომელი სპირტის დაუანგვით ვერ მივიღებთ ალდეპიდს?

1. CH_3OH
2. $\text{CH}_3\text{CH}_2\text{OH}$
3. $(\text{CH}_3)_2\text{CHOH}$
4. $\text{CH}_3\text{CH}_2\text{CH}_2\text{CH}_2\text{OH}$

2. რომელი გამოთქმები შეესაბამება ნებისმიერი ალდეპიდის მოლეკულას?

1. აქვთ ბრტყელი აღნაგობა;
2. შეიცავს ატერიტულ მდგომარეობაში მყოფ C ატომს;
3. პოლარული მოლეკულებია;
4. შეიცავს რ და π-ბმებს;

5. შეიცავს პოლარულ ბმას;
 6. შეიცავს sp^3 ჰიბრიდულ მდგომარეობაში მყოფ C ატომს.



ბ 3. რამდენი გრამი ფორმალინი (40%) შეიძლება დავამზადოთ 160 გ მეთანოლიდან მიღებული მეთანალიდან?

$$M_r(CH_3OH) = 32, M_r(CH_2O) = 30.$$


4. 80% CaC_2 -ს შემცველი რამდენი კილოგრამი ტექნიკური კალციუმის კარბიდია საჭირო 110 კგ ძმისა ალღეზიდის მისაღებად?

$$M_r(CaC_2) = 64, M_r(CH_3CHO) = 44.$$

გ 5. დაასრულეთ რეაქციების სქემები და მიუთითეთ ტოლობა, რომლის მიხედვითაც მრეწველობაში იღებენ მეთანალს:



6. დაასრულეთ ეთანალის სამრეწველო მიღების რეაქციების სქემები:



დ 7. შეავსეთ ცხრილი და დაასაბუთეთ თქვენი პასუხი:

	მეთანალი	ეთანალი
მოლეკულაში σ-ბმების რიცხვი		
მოლეკულაში π-ბმების რიცხვი		
მოლეკულის პოლარობა (+)		
–CHO ჯგუფში სავალენტო კუთხეების მიახლოებითი მნიშვნელობა		

8. იცით რა, რომ პენტანს, ბუტანოლ-1-სა და ბუტანალს დაახლოებით ერთნაირი მოლური მასა აქვთ, განალლებით ისინი დულილის ტემპერატურის ზრდის მიხედვით და დაასაბუთეთ ეს თანმიმდევრობა.

გაკვეთილის
შემდეგ

შეადგინეთ ალდეჰიდების მიღების მეთოდების ამსახველი სქემა.

LAYIH

2.1.3. ძიმიური თვისებები და გამოყენება

- გამოყენები გამოღილი გასაღა •

- როგორ აისახება ნახშირწყალბადების ქიმიურ თვისებებზე მოლეკულაში ორმაგი ბმის არსებობა?
- რომელი ორგანული ნივთიერებები მიიღება პირველადი და მეორეული სპირტების დაუჯანგვისას?

დაპრესილი ნახერხისგან და ფეროლფორ-მალდეპიდური ფისისგან დამზადებული ავეჯის გარნიტურები, ჩვეულებრივ, 0,01%-მდე ფორმალდეპიდს შეიცავს. ამ ავეჯიდან თანდათანობით აორთქლებული ფორმალდეპიდი ადამიანისთვის გარკვეული საფრთხის შემცველია.



– რას შემოგვთავაზე გაზიდოთ საცხოვრებელ და სამსახურებრივ შენობებში ფორმალდეპიდის მავნე ზემოქმედების შესამცირებლად?

საქმიანობა • აცეტალდეპიდის ურთიერთქმედება ვერცხლის (I) ოქსიდან

უზრუნველყოფა: სინჯარა, სპირტქურა, ქიმიური ჭიქა, ვერცხლის (I) ოქსიდის ამიაკური ხსნარი, აცეტალდეპიდი, წყალი.

სამუშაოს მსვლელობა: 1. სინჯარაში მოათავსეთ 2-3 მლ ვერცხლის (I) ოქსიდის ამიაკური ხსნარი და დაამატეთ 1-2 მლ აცეტალდეპიდი. 2. სინჯარა ჩაუშვით თბილ წყალში და დააყოვნეთ 2-3 წთ. 3. გადასხით სინჯარის შიგთავსი და სინჯარა გადააბრუნეთ. 4. აღნიშნეთ რეაქციის გარეგნული ნიშნები და მისი შედეგი.




ომსჯელები:

- რომელ ნივთიერებად აღდგება Ag^+ იონები?
- რომელ ნივთიერებად იუანგება აცეტალდეპიდი?
- რა ენოდება ამ რეაქციას და რა მიზნით ატარებენ მას?

ქიმიური თვისებები. ალდეპიდები, მოლეკულაში ჰოლარული C=O ჯგუფის არსებობის გამო, რეაქციისუნარიანი ნივთიერებებია. მათვის დამახასიათებელია უანგვისა და მიერთების რეაქციები.

I. **უანგვის რეაქციები.** ამიაკან წყალში ($\text{NH}_3 \cdot \text{H}_2\text{O}$) (*) ვერცხლის (I) ოქსიდის ხსნართან გახურებისას ალდეპიდები იუანგება შესაბამის კარბონმჟავებად. ამ დროს Ag^+ იონები აღდგება მეტალამდე, რომელიც მბრნყინავი ფენის სახით ილექტბა სინჯარის კედლებზე (ს):





ამ რეაქციას „ვერცხლის სარკის“ რეაქცია ეწოდება და ალდეპიდების განსაზღვრისთვის გამოიყენება.

* - Ag_2O -ს წყალში უხსნადობის გამო, ჩვეულებრივ, იყენებენ ვერცხლის(I) ოქსიდის ხსნარს ამიაკიან წყალში (ტოლენის რეაქტივი).
შენიშვნა. ვინაიდან „ვერცხლის სარკის“ რეაქციაში ამიაკიან წყალს ჭარბად იღებენ, კარბონმჟავა წარმოიქმნება ამონიუმის მარილის სახით.


ალდეჰიდები იუანგება აგრეთვე ახლად დალექილი სპილენდ(III)-ის ჰიდროქსიდის მოქმედებით. ამ დროს ჯერ წარმოიქმნება სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდის ყვითელი ნალექი, რომელიც სუსტი გახურებისას იშლება წითელი ფერის სპილენდ(II)-ის ოქსიდის გამოყოფით (გ):

აცეტალდეჰიდის დაზანგვა სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდით:



ეს რეაქცია აგრეთვე ალდეჰიდების დამახასიათებელი რეაქციაა და მათი განსაზღვრისათვის გამოიყენება.

ალდეჰიდებისა და კეტონების ($\text{C}_n\text{H}_{2n}\text{O}$, $n \geq 1$) წვის ზოგად ტოლობას შემდეგნაირად გამოსახავენ:





ალდეჰიდები იუანგება ჰიდროს ფანგბადითაც. ამიტომაც დიდი ხნით შენახვისას ალდეჰიდებს ათავსებულ მირჩილულ ამპულაში, აზოტის ატმოსფეროში.

ალდეჰიდებისგან განსხვავებით, კეტონები არ იუანგება არც სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდით და არც „ვერცხლის სარკის“ რეაქციით.

II. მეტოქიების რეაქციები. ალდეჰიდებისა და კეტონების მიერთების რეაქციები მიმდინარეობს კარბონილის ჯგუფის π -ბმის განყვეტის შედეგად.


ალფეპიდების პიდრირებისას წარმოიქმნება პირველადი სპირტები, კეტონების პიდრირებისას – მეორეული სპირტები:



შეისწავლა


ალფეპიდების ქიმიური თვისებები

სქემის საფუძველაზე დაასახელეთ ალფეპიდი საერთაშორისო ნომენკლატურით.



ალფეპიდი

ამონია:




პირობის თანახმად: $44n = (14n+16) + 74$; აქედან $n = 3$.

ე.ო. ალფეპიდის ფორმულა $\text{CH}_3\text{CH}_2\text{CHO}$, ხოლო მისი სახელწოდება – პროპანალი.


გამოყენება

სრულად დაწვეს 1 მოლი $\text{C}_n\text{H}_{2n+1}\text{OH}$ სპირტის დაუარგვით მიღებული ალფეპიდი. გამოსახეთ ალფეპიდის წვაზე დახარჯული ჟანგბადის მოცულობა და რეაქციის პროდუქტების მასა ნახშირბადატომების რიცხვით (n).

ალფეპიდები იერთებს $\text{H}-\text{X}$ ტიპის პოლარული მოლეკულების შემცველ ნივთიერებებს, მაგალითად, წყალს, ამიაკს და სხვ. ამ დროს პოლარული მოლეკულის წყალბადის ატომი უერთდება ჟანგბადის ატომს, ხოლო დანარჩენი ნაწილი – $>\text{C}=\text{O}$ ჯგუფის ნახშირბადის ატომს.



ფორმალდეპიდი ამიაკთან წარმოქმნის ციკლური ალნაგობის უროტპოპინს (ჰექსამეთლენტრიამინს):



უროტპოპინი გამოიყენება მედიცინაში – შედის რიგი წამლის შედეგენილობაში. „მშრალი სპირტის“ სახელწოდებით ის ზოგჯერ გამოიყენება, როგორც სათბობი ყოფასა და ქიმიურ ლაბორატორიებში.

III. პოლიმერიზაციისა და პოლიკონდენსაციის რეაქციები. ალდეჰიდების პირველი წარმომადგენლები ადვილად შედის პოლიმერიზაციის რეაქციებში. მაგალითად, ფორმალდეჰიდი პოლიმერიზდება არაგანშტოებული აღანაგობის პოლიფორმალდეჰიდის წარმოქმნით:



პოლიტორმალდეპიდის ნაკეთობები ცვლის მეტალის ნაკეთობებს.

$n = 80-100$ მნიშვნელობებისას პოლიფორმალდეპიდს უწოდებენ პარაფორმალდეპიდს ან პარაფორმს. გაცხელებისას პარაფორმი დეპოლიმერიზდება, ხელახლა ნარმოიქმნება რა ფორმალდეპიდი.

- იცით თუ არა, რომ ... • ფინანსურული წარმოქმნის ტრიმერს – მყარ ნივთიერება ტრიოქსიმეტილებს. ტრიოქსიმეტილებს უშვებენ ტაბლეტების სახით, „მშრალი სპირტის“ სახელწოდებით. ტურისტები და ალპინისტები მას საწვავად იყენებენ საჭმლის მომზადებისას.

ფორმალდეპიდის ფენოლთან პოლიკონდენსაციისას მიიღება ფენოლფორმალდეპი-დური ფისი, რომელსაც მნიშვნელოვანი პრატექტიკული გამოყენება აქვს:



- Ուշադրությունը տրվում է ապրանքավաճառքի զարգացման համար և ապրանքագործության արագացնելու համար:

გამოყენება. ფორმალდეპიდი გამოიყენება პილიფორმალდეპიდის, ფენოლფორმალდეპიდური, კარბამიდფლორბალდეპიდური და სხვ. ფისების, აგრეთვე სალებავების, ნამლების (უროტორპინი) და ფეთქებადი ნივთიერებების (ჰექსო-გენი) წარმოებაში.

ფორმალინი გამოიყენება ტყავის თრომვლისთვის, ბიოპრეპარატების შესანახად, შენობებისა და ქიმიურგიული ინსტრუმენტების სადეზინფექციოდ, თესლების შესაბამლათ.

ქმრის ალდეკონისგან, ილებენ, ძირითადად, ქმარტუვას, ტრიქლორქმრის ალდეპითას (ქლოროვალის CCl_3CHO), პლასტმასებს, წამლებს.

აცეტონს, როგორც გამხსნელს, იყენებენ ლაქების, ხელოვნური აბრეშუმის, უკამავლო დენის, ენოლეტების და სხვ. წარმოებაში, აგრეთვე როგორც ნედლეულს ბევრი ორგანული ნივთიერების (ქლოროფორმის, იოდოფორმის და სხვ.) სინთეზისას.

შედარებით დიდი მოლექულების მქონე კეტონები (მაგალითად, დიფენილკეტონი $C_6H_5COCH_3$), სასიამოვნო სუნის გამო, გამოიყენება ბევრ პარფიუმერულ კომპოზიტიაში, აგრეთვე საპნების არომატიზაციისთვის.

■ განამტკიცეთ შესრულებული გასაღა

■ გაითვალისწინეთ ფორმალდეპიდის ტრიმერის (ტრიოქსიმეთილენის) ციკლური აგებულება, შეადგინეთ ტრიმერიზაციის რეაქციის ტოლობა და რეაქციის პროდუქტის სტრუქტურული ფორმულა.

■ რეფლექსია და შეფასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამონეთ მათი სისწორე.

- ალდეპიდები ძალზე რეაქციისუნარიანი ნივთიერებებია, რადგან
- ალდეპიდების განსაზღვრისას ...-ის მეშვეობით ან ... რეაქციით, ალდეპიდები იქანგება შესაბამის
- ალდეპიდების წყალბადით ... წარმოქმნება
- ფორმალდეპიდის ... წარმოქმნილი ნივთიერება ... გაცხელებისას განიცდის ... , ხელახლა წარმოქმნის რა

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

– რას შეცვლიდით გაკვეთილის მსვლელობაში?

■ III. შეასრულეთ დავალებები.

ა

1. ქვემოთ მოცემული რომელი ნივთიერება შეიძლება განისაზღვროს სპილენდ(III)-ის ჰიდროქსიდით? რომელი ნივთიერების სპილენდ(III)-ის ჰიდროქსიდთან ურთიერთქმდება არ წარმოადგენს უანგვა-ალდეგენას?

ა. გლიცერინი ბ. მეთანალი გ. ეთანოლი დ. ფენოლი


2. მოცემულთაგან რომელი რეაქციაა ალდეპიდებისთვის დამახასიათებელი? რატომ შედას ალდეპიდები ამ რეაქციებში?

ა. მიერთება ბ. დაშლა გ. უანგვა დ. ჩანაცვლება

ბ

3. შეადგინეთ რეაქციის ტოლობა: $\text{პროპანალ} + \text{Cu(OH)}_2 \xrightarrow[\text{(NaOH)}]{t} \dots$. რეაქციის ტოლობიდან განსაზღვრეთ მუანგვა და ალდეგენი.

4. შეადგინეთ ალდეპიდების უანგვის რეაქციათა ტოლობები და ჩამოთვალეთ ამ რეაქციების გარეგნული ნიშნები.



8

5. განსაზღვრეთ X .

ნაჯერი ალდეპიდის მასა, გ	ალდეპიდის ალდგენაზე დახარჯული წყალბადის მოცულობა, ლ (ნ.პ.)	ალდეპიდის კლასთაშორისი იზომერის სტრუქტურული ფორმულა
14,5	5,6	$X = ?$

6. რამდენი ლ (ნ.პ.) ჰაერი დაიხარჯება 1 მოლი ნაჯერი ალდეპიდის $C_nH_{2n}O$ სრული წვისას? ჰაერში ჟანგბადის მოცულობითი წილი ჩათვალეთ 20%-ის ტოლად.

9

7. 1 მოლი ნაჯერი ალდეპიდის სრული წვისას ნარმოქმნილი ნახშირმჟავა აირის მასა ალდეპიდის მასაზე 2-ჯერ მეტია. განსაზღვრეთ ალდეპიდის რიგითი ნომერი ჰომოლოგიურ რიგში.

8. განსაზღვრეთ x და y .

ნაჯერი ალდეპიდის მასა, გ	არაგანტრობული აღნაგობის ალდეპიდის დაუანგვით მიღებული კარბონმჟავას მასა, გ	sp^3 და sp^2 ჰიბრიდულ მდგომარეობაში მყოფი ნახშირბადაფატომების რიცხვი ალდეპიდის მოლექულაში
40	46,4	$x(sp^3) = ?$ $y(sp^2) = ?$

გავათილის შემსახური

გამოიყენეთ სხვადასხვა წყარო, დავალების ნიმუში (კითხვა 1) და უპასუხეთ ისრების ნომრების შესაბამის კითხვებს. დაასრულეთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები სქემაში „ფორმალდეპიდის გამოყენების სფეროები“.

1. რომელ სფეროებში გამოიყენება?
2. ფორმალდეპიდის რომელ თვისებებს ემყარება მისი გამოყენების სფეროები?
3. როგორ გავლენას ახდენს ამ პროდუქციის გამოყენება ადამიანების კეთილდღეობაზე?
4. როგორ გავლენას ახდენს ფორმალდეპიდშემცველი პროდუქციის ნარმოება და გამოყენება გარემოზე და ეკოლოგიაზე?

ფორმალდეპიდი

1

- სოფლის მეურნეობა
- მედიცინა
- ტყავის ნარმოება
- პოლიმერების ნარმოება

2



3

4

LAYIH

I

ნატრიუმის ალკოჰოლურის მიღება

- სინჯარაში 1 მლ იზოპროპილის სპირტს დაუმატეთ ნატრიუმის ასანთის თავისოდენა ნაჭერი. რეაქციის დამთავრების შემდეგ სინჯარაში ჩაამატეთ ცოტაოდენი წყალი და ფენოლურთალებინის ხსნარის რამდენიმე წვეთი.

იმსჯელეთ:

- რა შეამჩნიეთ ცდის პირველ ეტაპზე?
- რასთანაა დაკავშირებული ინდიკატორის ფერის ცვლილება მეორე სტადიაზე?
- შეადგინეთ ორივე რეაქციის ტოლობა.

II

სპილენდ(II)-ის გლიცერატის მიღება

- სინჯარაში მოთავსებულ 2 მლ სპილენდ(II)-ის სულფატის 10%-იან ხსნარს დაუმატეთ ნატრიუმის პიდროქსიდის 10%-იანი ხსნარი სპილენდ(II)-ის პიდროქსიდის (კისფერი ნალექის წარმოქმნამდე. ნალექს წვეთნვეობით დაამატეთ გლიცერინი, თან სიზუარა ანჯლრიეთ.

იმსჯელეთ:

- რა მოხდა შენჯლრევისას? რა ფერის ხსნარი წარმოიქმნა ამ დროს?
- შეადგინეთ ხსნარში მიმდინარე ცვლილებების ამსახველი რეაქციების ტოლობები, სპილენდ(II)-ის პიდროქსიდის წარმოქმნის ჩათვლით.
- გლიცერინის მსგავსად, ირეაგირებს თუ არა ეთანოლი სპილენდ(II)-ის პიდროქსიდთან?

III

ალღეპილის დაუანგვა „ვერცხლის სარკის“ რეაქციით

- 2 მლ ფორმალინის შემცველ სინჯარაში ჩაამატეთ რამდენიმე წვეთი ვერცხლის (II) ოქსიდის ამინაკური ხსნარი და სინჯარის შიგთავსი შეათბეთ სპირტქურაზე. დააკვირდით მიმდინარე მოვლენებს.

იმსჯელეთ:

- რა ცვლილებები მოხდა სინჯარში?
- რატომ ბრნეფინავს სინჯარის კედლები სარკესავით?
- შეადგინეთ ფორმალღეპილის მონაწილეობით მიმდინარე რეაქციის ტოლობა.

IV

ბენზალღეპილის დაუანგვა ჰაერის უანგვადით

- საათის მინაზე მოათავსეთ ბენზალღეპილის წვეთი და დააყოვნეთ ჰაერზე დაახლოებით 10-15 წუთის განმავლობაში. დააკვირდით ცვლილებებს საათის მინაზე.

იმსჯელეთ:

- რა ცვლილებები განიცადა წვეთმა?
- რას უკავშირდება შემჩნეულ ცვლილება? რომელ ნივთიერებად იუანგება ბენზალღეპილი ჰაერის უანგბადით?
- შედაგინეთ რეაქციების ტოლობები, რომელიც მიმდინარეობს საათის მინაზე.

1. ალდეპიდები და კეტონები უანგბადშემცველი ორგანული ნივთიერებებია.
2. ნივთიერების სახელწოდებაში დაბოლოება „ალი“ მიუთითებს მის ალდეპიდებთან, ხოლო დაბოლოება „ონი“ – კეტონებთან მიუუთვნებაზე.
3. ნაჯერ ალდეპიდებში კლასს შიგნითა სტრუქტურული იზომერია განპირობებულია მხოლოდ ნახშირბადოვანი ჯაჭვის იზომერით.
4. ნაჯერი ალდეპიდები კლასთაშორის იზომერებს წარმოქმნის კეტონებთან.
5. ალდეპიდები მიიღება პირველადი სპირტების დაუანგვით.
6. მრეწველობაში ფირმალდეპიდი მიიღება მეთანის კატალიზური დაუანგვით.
7. მრეწველობაში აცეტალდეპიდი მიიღება ეთილენის კატალიზური დაუანგვით და აცეტილენის კატალიზური ჰიდრატაციით.
8. ალდეპიდებს შორის მხოლოდ ფორმალდეპიდის მოლეკულას აქვს ბრტყელი აღნაგობა.
9. ალდეპიდები და კეტონები პოლარული ნივთიერებებია, ამიტომ მათი ჰომოლოგური რიგის პირველი წარმომადგენლები წყალში კარგად იხსნება.
10. ფორმალდეპიდი უფერო, შხამიანი, მკვეთრი სუნის მქონე აირია.
11. აცეტალდეპიდი უფერო, ადვილად აქროლადი, შხამიანი, მკვეთრი სუნის მქონე სითხე.
12. ფორმალდეპიდის 40%-იან წყალხსნარს ფორმალინი ეწოდება.
13. აკროლეინი – უჯერი, ხოლო ბენზინის ალდეპიდი არომატული ალდეპიდია.
14. ალდეპიდების მოლეკულები ერთმანეთთან წყალბადურ ბმებს არ წარმოქმნის.
15. ალდეპიდები შედის უანგვისა და მიერთების რეაქციებში.
16. ალდეპიდების რეაქციას ვერცხლის (I) ოქსიდის ამიაკურ ხსნართან „ვერცხლის სარკის“ რეაქცია ენიდება.
17. „ვერცხლის სარკის“ რეაქციას და ალდეპიდების ურთიერთქმედებას ახლად დალექილ სპილენძ(II)-ის ჰიდროქსიდთან იყენებენ ალდეპიდების განსაზღვრისთვის.
18. ხანგრძლივი შენახვისას თხევადი ალდეპიდები იუანგება ჰაერის უანგბადით.
19. ნაჯერი ალდეპიდების წყალბადით აღდგენისას მიიღება პირველადი სპირტები.
20. ალდეპიდები იერთებს პოლარული მოლეკულების მქონე ნივთიერებებს (წყალს, ამიაკს და სხვ.)
21. პარაფორმი წარმოიქმნება ფორმალდეპიდის პოლიმერიზაციის შედეგად.
22. ფენოლისა და ფორმალდეპიდის პოლიკონდენსაციით მიიღება ფენოლფორმალდეპიდური ფისი.
23. ფენოლი გამოიყენება ტყავის თრიქლისაფის, ბიოპრეპარატების შესანახად, შენობებისა და ქირურგოლი ინსტრუმენტების სადეზინფექციოდ.
24. კეტონები არ შედის „ვერცხლის სარკის“ რეაქციაში და არ ურთიერთქმედებს ახლად დალექილ სპილენძ(II)-ის ჰიდროქსიდთან.

LAUGH

1. დაასახელეთ ალდეჰიდები საერთაშორისო ნომენკლატურით და განსაზღვრეთ კლასთაშორისი იზომერები:



2. შეადგინეთ ალდეჰიდისა და კეტონების სტრუქტურული ფორმულები. თითოეულ ფორმულაში მიუთითეთ ფუნქციური ჯგუფები:

1. 2-მეთილ-3-ეთოლპენტანალი 2. პროპანალი
3. დიეთილკეტონი 4. მეთილპროპილკეტონი

3. განსაზღვრეთ იზომენული ნივთიერებები და დაასაბუთოთ თქვენი არჩევანი:

1. პენტანონ-2 2. 2-მეთილბუტანალი
3. 2,2-დიმეთილპროპანალი 4. 2,2-დიმეთილბუტანალი

4. განსაზღვრეთ ნივთიერებები, რომელთა მოლეკულებს შორის არსებობს წყალბადური ბები და მიუთითოთ ამ მოლენის მიზეზი.

1. პროპანოლ-2 2. მეთანალი 3. ეთანალი 4. ფენოლი 5. აცეტონი

5. შეადგინეთ რეაქციათა ტოლობები და დაამტკიცეთ, რომ ეს რეაქციები ჟანგვის რეაქციებია:



6. შეადგინეთ რეაქციათა ტოლობები და დაამტკიცეთ, რომ ეს რეაქციები ალდგენის რეაქციებია:



7. შეადგინეთ სტრუქტურული ფორმულა ჟექსანალის კლასს შეგნითა იზომერისა, რომელიც ნახშირბადის ორ მესამეულ ატომს შეიცავს და დაასახელეთ ის საერთაშორისო ნომენკლატურით.

8. განსაზღვრეთ, რომელი გამოთქმები მიესადაგება ალდეჰიდებსა და კეტონებს:

- ნახშირწყალბადების დაჟანგვის პროდუქტია.
- ფუნქციური ჯგუფის ნახშირბადის ატომის ჟანგვის რიცხვია +2.
- მოლეკულა შეიცავს ორ სხვადასხვა ჰიბრიდულ მდგომარეობაში მყოფ ნახშირბადის ატომს.
- არც ერთ მოლეკულას არა აქვს ბრტყელი აღნაგობა.

ნაჯერი ალდეჰიდები (R≠H) — — კეტონები — —

9. გამოთვალეთ ალდეჰიდის M_r .

გათხევადებული ნაჯერი ალდეჰიდის მოლების რიცხვი	ალდეჰიდის მასა, δ	ნარმოქმნილი წყლის მასა, δ	ალდეჰიდის ფარდობითი მოლეკულური მასა
1	m_1	m_1	$M_r = ?$

10. განსაზღვრეთ m და Y .

დაჟანგული მეთანოლის მოლების რიცხვი	ორგანული ნივთიერების გამოსავალი, %	ორგანული ნივთიერების მასა, δ	ორგანული ნივთიერების მოლეკულის სივრცული აღნაგობა
15	80	$m = ?$	$Y - ?$



ნაირი

ჟანგბადშემცველი
ორგანიზაციის
ნაირთაბი

თავი

3

პარპონებავები და მათი ნაწარმები

პარპონებავები და მათი ნაწარმები

3.1. ერთფუძიანი კარბონმჟავები

- 3.1.1. ნომენკლატურა და იზომერია
- 3.1.2. მიღება
- 3.1.3. აღნაგობა და ფიზიკური თვისებები
- 3.1.4. ქიმიური თვისებები და გამოყენება
- 3.1.5. ნაჯერი და უჯერი კარბონმჟავები

3.2. ორფუძიანი კარბონმჟავები


3.3. რთული ეთერები

- 3.3.1. ნომენკლატურა და იზომერია
- 3.3.2. მიღება და თვისებები

3.4. ცხიმები

3.5. საპნები და სარეცხი საშუალებები

- კარბონმჟავა
- კარბოქსილის ჯგუფი
- ბეზოის მჟავა
- ძმარმჟავა
- ჭიანჭველმჟავა
- ძმრის ანთიდრიდი
- ეთერიფიკაციის რეაქცია
- რთული ეთერების
ჰიდროლიზი
- პერეტერიფიკაციის რეაქცია
- თხევადი ცხიმები
- თხევადი საპონი
- სინთეზური სარეცხი
საშუალებები



ინფორმაცია ძმრის შესახებ ადამიანებისთვის უძველესი დროიდან არის ცნობილი. ის წარმოიქმნება შაქროვანი ნივთიერებების ფერმენტაციით (დუღილით) მიღებული ეთილის სპირტის დაჟანგვისას, ღვინის დამზადების პროცესში.

ძმარმჟავა პირველად მიღო ალქიმიის ფუძემდებელმა, ნასრედინ ტუსის თანამემამულემ, ჯაბირ იბნ ხაინმა, ძმრის დისტილაციით, მე-8 საუკუნეში.

ძმარმჟავას 3-9%-იანი წყალხსნარი, „სუფრის ძმრის“ სახელწოდებით, აზერბაიჯანული ეროვნული სამზარეულოს განუყოფელი ინგრედიენტია (საკაზმია), ხოლო უფრო კონცენტრირებული ხსნარები ფართოდ გამოიყენება ბოსტნეულის დამწნილებისას.

LAYİH

გაიხსენეთ VII-X კლასებში შესწავლილი მასალა და შეასრულეთ შემდეგი დავალებები:


1. რა ენოდება კარბონმჟავების ფუნქციურ ჯგუფს? რომელი ორი სიტყვისგან შედგება ამ ჯგუფის სახელწოდება?
 - ა. ალდეჰიდი;
 - ბ. ჰიდროსილი;
 - გ. კარბონილი;
 - დ. კეტონი.
2. მიუთითეთ მეთანისა და ეთანის მჟავების მოლეკულური ფორმულები და შეადგინეთ მათი სტრუქტურული ფორმულები.
 - ა. CH_3COOH
 - ბ. $\text{CH}_3\text{CH}_2\text{COOH}$
 - გ. $\text{C}_3\text{H}_7\text{COOH}$
 - დ. HCOOH
3. რით შეიძლება აიხსნას, რომ ალდეჰიდების ჰომოლოგიური რიგის პირველი წევრი აირადი ნივთიერებაა, ხოლო ნაჯერი ერთფუძიანი კარბონმჟავების პირველი ნარმომადგენელი – სითხე?
4. კარბონმჟავების მოლეკულის რომელი წყალბადის ატომი განაპირობებს მათ მჟავურ თვისებებს?
5. გაითვალისწინეთ მეთილის ჯგუფის ელექტრონოდონორული თვისებები და განსაზღვრეთ, რომელი უფრო ძლიერი მჟავაა: ჭიანჭველმჟავა თუ ძმარმჟავა? პასუხი დაასაბუთეთ.
6. რომელი რეაქციით წარმოიქმნება კარბონმჟავები ალდეჰიდებისგან?
 - ა. ალდგენის;
 - ბ. ჰიდრირების;
 - გ. ჟანგვის;
 - დ. ჰიდრატაციის.
7. რა მიზნით გამოიყენება ყოფაში ძმარმჟავა?
8. რომელ კარბონმჟავებს ენოდება უმაღლესი კარბონმჟავები? ჩვეულებრივ, რა სახით გვხვდება ისინი ბუნებაში?

თავი 3

კარბომჟავები და მათი ნაწარმები

- სიტყვა „კარბოქსილია“ წარმოქმნილია ორი ჯგუფის – კარბონილისა და კარბოქსილის – სახელწოდებებიდან.

კარბონმჟავები, ისევე როგორც სპირტები და ალფებიდები, მიეკუთვნება ჟანგბადშემცველ ორგანულ ნაერთებს. კარბონმჟავებში ფუნქციური ჯგუფია კარბოქსილის ჯგუფი:



კარბონმჟავები ორგანული ნივთიერებებია, რომელთა მოლეკულებში ნახშირწყალბადის რადიკალი და კავშირებულია ერთ ან რამდენიმე კარბოქსილის ჯგუფთან.


კარბონმჟავებს შორის მხოლოდ ჭიანჭველმჟავაში კარბოქსილის ჯგუფი და კავშირებულია არა ნახშირწყალბადის რადიკალთან, არამედ წყალბადის ატომთან:



კარბონმჟავები კლასიფიცირდება ნახშირწყალბადის რადიკალის ბუნებისა და კარბოქსილის ჯგუფების რიცხვის მიხედვით:

კარბომჟავები		
(ნახშირწყალბადის რადიკალის ბუნების მიხედვით)		
ნაჯერი	უჯერი	არომატული
CH_3COOH ძმიარმჟავა	$\text{CH}_2=\text{CH}-\text{COOH}$ აკრილის მჟავა	$\text{C}_6\text{H}_5-\text{COOH}$ ჰარიონის მჟავა

კარბომჟავები	
(კარბოქსილის ჯგუფების რიცხვის მიხედვით)	
ერთულური	მრავალური
HCOOH ჭიანჭველმჟავა	$\text{HOOC}-\text{COOH}$ მჟაუნმჟავა



3.1. ერთფუძიანი კარბონულავები

3.1.1. ნომენკლატურა და იზომერია

- გაიხსინოთ განვითარები გასაღა •

- რათან არის დაკავშირებული ჭიანჭველას, ძმრისა და ერბოს ალდეჰიდების სახელწოდებები?
- რაში მდგომარეობს განსხვავება ძირითადი ჯაჭვის ნახშირბადატომების დანომვრაში ალდეჰიდებისა და ერთატომიანი სპირტების შემთხვევაში?




კარბონმჟავები ბუნებაში ფართოდ არის გავრცელებული. კარაქში შედის ერბონმჟავას ნაშთი, ლიმონში – ლიმონმჟავა, თხის რქეში – კაპრონმჟავას ნაშთი (კაპრონ თხას ნიშნავს).



– რას
დაარქევდით
კარბონმჟავებს,
რომელიც
შედის სურათზე
გამოსახულ
ორგანიზმებში?



საქმიანობა • ნაჯერი კარბონმჟავების ნომენკლატურა და იზომერია. იცით რა, რომ კარბონმჟავების ძირითადი ჯაჭვის ნახშირბადატომები ისევე ინომრება, როგორც ალდეჰიდებისა, შეადგინეთ გ მჟავას იზომერების ფორმულები და დაასახელეთ ორივე ეს მჟავა.



იმსჯელეთ: – რა მიზეზით არის განპირობებული სტრუქტურული იზომერია ნაჯერ კარბონმჟავებში და რატომ მაინცდამაინც ამ მიზეზით?

ნაჯერი ერთფუძიანი კარბონმჟავების შედგენილობას გამოსახავენ ზოგადი ფორმულით $\text{C}_n\text{H}_{2n+1}\text{COOH}$ ($n \geq 0$), $\text{C}_n\text{H}_{2n}\text{O}_2$ ($n \geq 1$) ან RCOOH (პირველ ფორმულაში „ n “ აღნიშნავს ნახშირბადის ატომების რიცხვს რადიკალში R , მეორეში CO – მთელ მოლეკულაში).

შეისწავლა

კარბონმჟავების შედგენილობასთან დაკავშირებული გამოთვლები

გამოსახეთ ნაჯერი ერთფუძიანი კარბონმჟავას (X) მოლური მასა ალკენის მოლური მასით (m), რომლის მოლეკულაც ნახშირბადის იმდენივე ატომს შეიცავს.

ამონა:

გამოსახოთ ნაჯერი ერთფუძიანი კარბონმჟავასა და ალკენის მოლური მასები ნახშირბადის ატომების რიცხვით – n :

ალკენის მოლური მასა ($\text{g}/\text{მოლი}$):

მჟავას მოლური მასა ($\text{g}/\text{მოლი}$)

$$m = M(\text{C}_n\text{H}_{2n}) = 14n;$$

$$X = M(\text{C}_n\text{H}_{2n}\text{O}_2) = 14n + 32.$$

მჟავას მოლური მასის გამოსახულებაში $14n$ შევცვალოთ m -ით:

$$X = 14n + 32 = m + 32$$

რომელ საღიგუალოან არის დაკავშირებული კარბონმჟავების კლუტი ნაჯერ ერთფუძიან კარბონმჟავაში, რომლის მოლური მასაა $74 \text{ g}/\text{მოლი}$?


ნომენკლატურა. საერთაშორისო ნომენკლატურით, არაგანშტოცებული ალნაგობის კარბონმჟავების სახელწოდებები წარმოიქმნება $-COOH$ ჯგუფის შემცველი ყველაზე გრძელი ნახშირბადოვანი ჯაჭვის შესაბამისი ალკანის სახელწოდებიდან, სიტყვა „მჟავას“ დამატებით (ცხრილი 15).

ნაჯერი ერთფუძიანი კარბონმჟავები და მათი სახელწოდებები

კარბონმჟავები	სახელწოდებები საერთაშორისო ნომენკლატურით	ტრივიალური სახელწოდებები
HCOOH	H-COOH	მეთანმჟავა
CH ₃ COOH	CH ₃ -COOH	ეთანმჟავა
C ₂ H ₅ COOH	CH ₃ -CH ₂ -COOH	პროპანმჟავა
C ₃ H ₇ COOH	CH ₃ -(CH ₂) ₂ -COOH	ბუტანმჟავა
C ₄ H ₉ COOH	CH ₃ -(CH ₂) ₃ -COOH	პენტანმჟავა
C ₅ H ₁₁ COOH	CH ₃ -(CH ₂) ₄ -COOH	ჰექსანმჟავა
C ₆ H ₁₃ COOH	CH ₃ -(CH ₂) ₅ -COOH	ჰეპტანმჟავა
C ₁₅ H ₃₁ COOH	CH ₃ -(CH ₂) ₁₄ -COOH	ჰექადეკანმჟავა
C ₁₆ H ₃₃ COOH	CH ₃ -(CH ₂) ₁₅ -COOH	ჰეპტადეკანმჟავა
C ₁₇ H ₃₅ COOH	CH ₃ -(CH ₂) ₁₆ -COOH	სტერარინმჟავა

შენიშვნა. პროპიօნის და სტერარინის მჟავების სახელწოდებები ბერძნული წარმოშობისაა, დანარჩენი სახელწოდებები – ლათინური წარმოშობის.

თუ კარბონსილის ჯგუფთან დაკავშირებული რადიკალი განშტოცებული ალნაგობისაა, ირჩევენ მთავარ ნახშირბადოვან ჯაჭვს, რომელშიც უნდა შედიოდეს კარბონსილის ჯგუფს ნახშირბადის ატომი. ჯაჭვის ნახშირბადატომების დანომვრა იწყება $-COOH$ ჯგუფის ნახშირბადის ატომიდან. მჟავას დასახელებაში მიუთითებენ ნახშირბადის ატომის ნომერს, რომელთანაც დგას განშტოება, შემდეგ – ძირითადი ჯაჭვის შესაბამის ალკანს და უმატებენ სიტყვა „მჟავას“:




კარბონმჟავების ტრივიალური სახელწოდებები ცხრილშია მოცემული.


იზომერია. ვინაიდან ძირითადი ჯაჭვის ნახშირბადატომების დანომვრა $-COOH$ ჯგუფის ნახშირბადის ატომიდან, კარბონმჟავების კლასს შეგნითა სტრუქტურული იზომერია განპირობებულია მხოლოდ ნახშირბადოვანი ჯაჭვის ალნაგობით::



ნაჯერი კარბონმჟავები წარმოქმნის კლასთაშორის იზომერებს რთულ ეთერებთან, რომლებიც ალკილის რადიკალებს შეიცავს:



ერთფუძიან ნაჯერ კარბონმჟავებში შეიმჩნევა აგრეთვე ოპტიკური იზომერია; მაგალითად, 2-მეთილბუტანმჟავას მოლეკულაში ნახშირბადის მესამეული ატომი დაკავშირებულია ოთხ სხვადასხვა ატომთან და ატომთა ჯგუფთან ($-H$, $-CH_3$, $-C_2H_5$, $-COOH$). ამიტომ ის არსებობს ორი ოპტიკური იზომერის სახით:



2-მეთილბუტანმჟავას ოპტიკური იზომერები

■ განამტკიცეთ შესრულებული მასალა

■ შეადგინეთ 2,3-დიმეთილბუტანმჟავას ექვსი კლასს შიგნითა იზომერის სტრუქტურული ფორმულა და დაასახელეთ ისინი საერთაშორისო ნომენკლატურით.

■ რეზლუსია და შევასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამონეთ მათი სისწორე.

- ერთფუძიან ნაჯერ კარბონმჟავებში კლასს შიგნითა სტრუქტურული იზომერია განპრობებულია მხოლოდ ... , რადგან
- ერთფუძიანი ნაჯერი კარბონმჟავები გვევლინება მხოლოდ ალკილის რადიკალების შემცველი ... კლასთაშორის იზომერებად, რადგან

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:


- გაკვეთილის რომელი ეტაპი მიგაჩნიათ უფრო ნარმატებულად?

■ III. შეასრულეთ დავალებები.

ა 1. განსაზღვრეთ ერთფუძიანი ნაჯერი კარბონმჟავები:

- | | | |
|------------------|---------------------|-----------------------|
| 1. $CH_2=CHCOOH$ | 2. $HCOOH$ | 3. $HOOC(CH_2)_2COOH$ |
| 4. CH_3COOH | 5. $HOOCC_6H_4COOH$ | 6. C_6H_5COOH |

2. დაასახელეთ მჟავები საერთაშორისო ნომენკლატურით.



- ბ 3. შეადგინეთ მჟავას სტრუქტურული ფორმულა, რომელიც მიიღება ძმარმჟავას მეთოლის ჯგუფის წყალბადის ერთი ატომის – მეთოლის, ხოლო მეორე ატომის – პროპილის რადიკალით ჩანაცვლებისას. ჰასუხი დაასაბუთეთ. დაასახელეთ მჟავა საერთაშორისო ნომენკლატურით.

4. განსაზღვრეთ ერთფუძიანი ნაჯერი კარბონმჟავას ფორმულა, რომლის 7,4 გ შეიცავს 3,2 გ ჟანგბადს.

ბ 5. დაადგინეთ შესაბამისობა:

- ჭიათურელმჟავა
- პალმიტინმჟავა
- ბენზოის მჟავა
- ავკონინმჟავა
- სტეარინმჟავა

ნაჯერი კარბონმჟავა __

უჯერი კარბონმჟავა __

არომატული კარბონმჟავა __

6. მიუთითეთ, რა არის სწორი და რა - არასწორი ერთფუძიანი ნაჯერი კარბონმჟავებისთვის. პასუხი დაასაბუთეთ.

	დიახ(+)	არა (-)
შედგენილობა შეესაბამება ფურმულას $C_nH_{2n+2}O_2$ ($n \geq 1$).		
კლასს შეინითა იზომერია ინტერესის მესამე ნარმომადგენლიდან.		
პროპიონის მჟავა მეთილაცეტატისა და ეთილფორმიატის იზომერულია.		
3-მეთილპროპანმჟავა ბუტანმჟავას იზომერულია.		

დ

7. რატომ არის განპირობებული ნაჯერი ალდეჰიდებისა და ერთფუძიანი კარბონმჟავების სტრუქტურული იზომერია მხოლოდ ნახშირბადოვანი ჯაჭვის იზომერით?
8. ნაჯერი ერთფუძიანი კარბონმჟავების რომელ ზოგად ფურმულას შეესაბამება გამოსახულებები $M_r = 14n+32$ და $M_r = 14n+46$?



გავთიღობის ვარება

მოამზადეთ რეფერატი კარბონმჟავების ტრივიალური და თანამედროვე ნომენკლატურის შესახებ.

1. კარბონმჟავების ნომენკლატურები.
2. კარბონმჟავების ტრივიალური (ისტორიული) სახელწოდებები და მათი წარმოქმნის მიზეზები.
3. კარბონმჟავების საერთაშორისო ნომენკლატურა.
4. კარბონმჟავების ნომენკლატურათა შედარება.
5. IUPAC-ის ნომენკლატურის უპირატესობანი.

3.1.2. მიღება

• გათვალისწინებული განვითარებული განაკვეთი •

- რომელი არომატული ნახშირწყალბადების დაუანგვით იღებენ ბენზოის და ტერეფ-თალის მჟავებს?
- ეთანოლი თუ ეთანალია ეთანის უფრო ღრმა უანგვის პროდუქტი? პასუხი დაასაბუთეთ.

ძმარმჟავა პირველი კარბონმჟავაა,
რომელიც, „მმრის“ სახით, ჯერ კიდევ
4 ათასი წლის წინ მიიღეს და გამოიყენეს
ძველ ეგვიპტეში.



- როგორ იღებდნენ ძველი ეგვიპტელები
ძმარმჟავას?

- რომელი რეაქციები გვევლინება
ძმარმჟავას მიღების საფუძვლად?



საქმიანობა • კარბონმჟავების მოლება. სქემას საფუძველზე განიხილეთ, ორგანული ნივთიერებების რომელი კლასებიდან მეოთხება კარბონმჟავების მიღება.




იმსჯელეთ:

- რაში მდგომარეობს სქემაზე მოცემული გარდაქმნების საერთო განსაკუთრებულობა?
- მეთანის მაგლითზე შეათვინეთ სქემაზე მოცემულის მსგავსი გარდაქმნების ტოლობები.


ლაბორატორიაში კარბონმჟავების მიღება შეიძლება შესაბამისი მჟავას მარილზე გოვირდმჟავას მოქმედებით:




დღეისათვის მრეწველობაში კარბონმჟავები მიღება პირველადი სპირტების, ალდეჰიდებისა და ალკანების დაუსაწყის:



მაგალითად, ერბომჟავას იღებენ ბუტილის სპირტის ან ერბოს ალდეჰიდის დაუსაწყის:



მოლეკულაში 28-36 ნახშირბადის ატომის შემცველი ალკანების კატალიზური დაუსაწყის იღებენ მოლეკულაში 14-18 ნახშირბადის ატომის შემცველ კარბონმჟავებს, მაგალითად:



ეს მჟავები გამოიყენება საპნის წარმოებაში.

ჭიანჭველმჟავასა და ძმარმჟავას სხვა ხერხებითაც იღებენ.


არომატული – ბენზოისა და ტერეფთალის – მჟავების მიღების შესახებ თქვენ-თვის X კლასიდან არის ცნობილი.

შეისწავლა

კარბონმჟავების მოლებსიან ფაზურებული გამოთვლება

80 გ ალდეჰიდის დაუსაწყის მიღების 92,8 გ ერთფუძიანი ნავერი კარბონმჟავა. განსაზღვრეთ მჟავას მოლეკულური ფორმულა.

მოხსენენ:



რეაქციის სქემის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ 1 მოლი ალდეჰიდის დაუსაწყისას წარმოქმნილი მჟავას მასა 16 გ-ით მეტია ალდეჰიდის მოლურ მასაზე.

ამოცანის პირობების თანახმად, მასის ზრდა შეადგენს ($92,8 - 80$) გ = 12,8 გ. ამის საფუძველზე შევადგენთ პროპორციას და გამოვთვლით მჟავას მოლურ მასას:

$$\frac{92,8 \text{ გ მჟავას}}{1 \text{ მოლი (M)}} \frac{\text{მჟავას}}{\text{ნარმოქმნისას}} \frac{\text{მასის}}{\text{ნამატია}} = \frac{92,8 \cdot 16}{12,8} = 116 \text{ (გ/მოლი).}$$



$$M_r(C_nH_{2n}O_2) = 14n + 32 = 116; \quad n = 6$$

ე.ო. მჟავას ფორმულაა $C_5H_{11}COOH$.

გამოყენება

ბუტანის კატალიზური დაუკანგვისას მიღებულია 30 ტონა ძმარმჟავა, 70% გამოსავლით. გამოთვალეთ რეაქციაში შესული ბუტანის მოცულობა (ნ.პ.).

კარბონმჟავები მიღება აგრეთვე რთული ეთერების, მჟავათა ანჰიდრიდების ჰიდროლიზითა და სხვა ხერხებით:



■ განამტკიცეთ შესრულებული მასალა

■ შეადგინეთ გარდაქმნათა ტოლობები და დაკომენტარეთ თითოეული სტადია:

$$CaCO_3 \rightarrow \dots \rightarrow \dots \rightarrow \dots \rightarrow CH_3COOH$$

■ რეაციებისა და შეფასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.

- ...-ის დაუანგვით, ან შესაბამისი ... -ის ჰიდროლიზით კარბონმჟავას მიღებისას ნარმოქმნილი მჟავას მოლების რიცხვი ირჯერ მეტა რეაგენტის მოლების რიცხვზე.
- შესაბამისი ...-ისა და სპირტის დაუანგვით ბუტანმჟავას მიღებისას ... და ... ატომების რიცხვი მჟავასა და რეაგენტის მოლებულების ერთნაირია.

■ II. გამოხატეთ თქვენ შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

– რას მიაქცევდით უფრო დიდ ყურადღებას მომდევნო გაკვეთილებზე?

■ III. შეასრულეთ დავალებები.

1. კარბონმჟავების რომელი ნივთერებებისგან მიღება არის თქვენთვის ცნობილი?

1. ალკანებისგან
2. რთული ეთერებისგან
3. მარტივი ეთერებისგან
4. ალდეჰიდებისგან
5. სპირტებისგან

2. განსაზღვრეთ ძმრის ალჰემდის დაუანგვით მიღებული კარბონმჟავას ემპირიული (ბრუტო) ფორმულა.





1. $C_4H_8O_2$
2. CH_2O_2
3. $C_3H_6O_2$
4. $C_2H_4O_2$

3. 29 ალდეჰიდის დაუანგვისას ნარმოიქმნა 37 გ ნაჯერი ერთფუძიანი კარბონმჟავა. შეადგინეთ მჟავას კლასთაშორისი იზომერების სტრუქტურული ფორმულები.

4. რომელი ნივთიერების დაუანგვისას არის ნარმოქმნილი მჟავას რადიკალში ნაკლები ნახშირბადის ატომი, ვიდრე საწყის ნივთიერების რადიკალში?



5. ძირითადად რომელი სქემით იღებენ კარბონმჟავებს ლაბორატორიაში? შეადგინეთ ამ სქემის მიხედვით ჭიანჭველმჟავასა და ძმარმჟავას მიღების რეაქციათა ტოლობები.



6. შეადგინეთ შესაბამისი ალკანიდან პალმიტინმჟავას მიღების რეაქციის ტოლობა და განხილეთ ამ გარდაქმნის თავისებურებანი.

7. შეადგინეთ ნაფერი ერთფუძიანი კარბონმჟავას მიღების რეაქციის ტოლობა, რომლის შედგენილობაშიც ჟანგბადის მასა 16-ფერ აღემატება წყალბადის მასას.

8. შეადგინეთ ნაფერი ერთფუძიანი კარბონმჟავას სამი ხერხით მიღების რეაქციათა ტოლობები, თუ 24 გ მჟავა შეიცავს 12,8 გ ჟანგბადს.

● ● ●
გაკვეთილის
შემსახურება

მოიძიეთ ცნობები თემაზე: „კარბონმჟავების როლი ჩვენს ცხოვრებაში“. ძიების შედეგები ნარმოადგინეთ ბიულეტენის სახით.

3.1.3. ალნაგობა და ფიზიკური თვისებები

- გაიცხეთ განვითარებული განსაღება •

– არადა მეთანისგან განსხვავებით, რატომ იხსნება წყალში კარგად ანრად ფორმალდეპიდი?


– მოლეკულაში რომელი ფუნქციური ჯგუფის არსებობა განაპირობებს ნივთიერების მოლეკულებს შორის წყალბადური ბმის ნარმოებნას?

დმარმჟავაში მოლეკულათაშორისი წყალბადური ბმების არსებობის გამო 16,6°C-ზე ის გართიაქ-მნება ყინულის მსგავს კრისტალებად, ხოლო ორთქლოსებრ მდგრმარეობაში იმყოფება დომერული მოლეკულების სახით.



– იმავე პირობებში რატომ არ ახასიათებს ეს მეთანოლის?

საქმიანობა • კარბონმჟავების აღნაგობა და ფიზიკური თვისებები. განხილეთ დაახლოებით ერთნაირი მოლური მასის მქონე პროპანოლ-1-ის, პროპანალისა და ეთანმჟავას დუღილის ტემპერატურათა დიაგრამა და შეავსეთ ცხრილი.



	პროპანოლ-1	პროპანალი	ეთანმჟავა
შეიცავს $-OH$ ჯგუფს (+)			
შეიცავს უფრო პოლარულ $O-H$ ჯგუფს (+)			
ფერს უცვლის ლაქმუსის წყალხსნარს (+)			

იმსჯელეთ: – რატომ დუღს უფრო მაღალ ტემპერატურაზე უფრო პოლარული $O-H$ ჯგუფის შემცველი ნივთიერება?

– როთ არის განძირობებული ამ ნივთიერებაში $O-H$ ჯგუფის მაღალი პოლარულობა?


კარბოქსილის ჯგუფის ელექტრონული აღნაგობა. კარბოქსილის ჯგუფის ელექტრონული აღნაგობა და მასში ელექტრონული სიმკვრივის გადანაცვლება ნაჩვენებია ა და ბ სქემებზე:



ბ სქემიდან ჩანს, რომ კარბოქსილის ჯგუფში კარბონილის ჯგუფის ($>C^{\delta+}=O^{\delta-}$) ნაწილობრივ დადებითად დამუხტული ნახშირბადის ატომი $C-O$ ბმის მეშვეობით მიიზიდავს $O-H$ ბმის ელექტრონულ სიმკვრივეს. ეს, სპირტებთან და ფენოლებთან შედარებით, ზრდის $O-H$ ბმის პოლარობას, რის შედეგადაც ადვილდება მჟავას წყალხსნარში წყალბადის H^+ იონის სახით მოწყვეტა. ამ მიზეზით კარბონმჟავები (განსაკუთრებით, პომოლოგიური რიგის პირველი წევრები), სპირტებთან, წყალთან და ფენოლთან შეთარებით, უფრო ძლიერ მჟავურ თვისებებს ამჟღავნებს.

კარბოქსილის ჯგუფის პოლარიზაცია ნათლად ჩანს ქმარმჟავას ელექტრონული სიმკვრივის რუკაზე: ნაწილობრივ უარყოფითი მუხტი (წითელი არე) თავმოყრილია ძირითადად $>C=O$ ჯგუფის უანგბადის ატომის ირგვლივ, ხოლო ნაწილობრივ დადებითი მუხტი (ლურჯი არე) $-OH$ ჯგუფის წყალბადის ატომის ირგვლივ.


შენიშვნა: ელექტრონული სიმკვრივის რუკაზე $C=O$ ბმას ერთი ხაზით გამოსახულება.




კარბოქსილის ჯგუფის C=O, C—O და O—H ბმების პოლარულობა განაპირობებს კარბონმჟავების ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს.

ფიზიკური თვისებები. ნავერი ერთფუძიანი კარბონმჟავების პირველი 9 ($\text{HCOOH} - \text{C}_8\text{H}_{17}\text{COOH}$) ნარმომადგენელი მკვეთრი სუნის მქონე სითხეებია.

კარბონმჟავების მოლეკულები, სპირტების მოლეკულების მსგავსად, ერთმანეთთან წყალბადურ ბმებს წარმოქმნის (გ). კარბონმჟავებში ეს ბმა უფრო მტკიცეა; მაგალითად, ჭიანჭველმჟავა და ძმარმჟავა, წყალბადური ბმების ხარჯზე, ორთქლის მდგომარეობაშიც კი დიმერული მოლეკულების სახით იმყოფება (დ):



წყალბადური ბმა კარბონმჟავებში



წყალბადური ბმა ჭიანჭველმჟავას დამერში

ამიტომ კარბონმჟავები დუღს უფრო მაღალ ტემპერატურაზე, ვიდრე დაახლოებით ისეთივე მოლეკულური მასის მქონე სპირტები, ალდეჰიდები, კეტონები და ეთერები.

კარბონმჟავები წყალბადურ ბმებს წარმოქმნის წყლის მოლეკულებთანაც; ამიტომ კარბონმჟავების პირველი წარმომადგენლები წყალში კარგად იხსნება. R

შენიშვნა. კარბონმჟავები წყალთან წყალბადურ ბმებს წარმოქმნის როგორც კარბონილის ჯგუფის უანგბადის ატომის, ისე ჰიდროქსილის ჯგუფის უანგბადისა და წყალბადის ატომების ხარჯზე.

რადიკალის ზომის ზრდასთან ერთად, კარბონმჟავების წყალში ხსნადობა მცირდება. ნონანის ($\text{C}_5\text{H}_{11}\text{COOH}$) მჟავას ($\text{CH}_3-(\text{CH}_2)_7-\text{COOH}$) მომდევნო კარბონმჟავები წყალში უხსნადი მყარი ნივთიერებებია.

როგორც წესი, განშტოებული აღნაგობის მჟავები უფრო დაბალ ტემპერატურაზე დუღს, ვიდრე არაგანშტოებული აღნაგობის მჟავები.

განამტკიცეთ შესრულებული მასალა

■ რატომ დუღს არაგანშტოებული აღნაგობის კარბონმჟავები უფრო მაღალ ტემპერატურაზე, ვიდრე შესაბამისი განშტოებული აღნაგობის მჟავები?

რეაციებისა და შეცასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხევთვის შეამონეთ მათი სისწორე.

- კარბოქსილის ჯგუფის O—H ბმის ... უფრო პოლარულია, ვიდრე სპირტებში, ვინაიდან
- $-\text{COOH}$ ჯგუფში $\text{C}=\text{O}$ ბმის პოლარობა, ალდეჰიდებთან შედარებით, ... , რადგან
- კარბონმჟავებში წყალბადური ბმების წარმოქმნაში მონაწილეობს როგორც კარბონილის ჯგუფის ... , ისე ... ჯგუფის ორივე ატომი.

■ II. გამოხატეთ თქვენ შეასრულება ტექსტი, უპასუხეთ რა კითხვას:

— რომელმა ინტერმაციამ მიიცია თქვენი ყურადღება გაკვეთილზე?

■ III. შეასრულეთ დაუტყობისა:

- ა 1. მიუთითეთ პოლარული O—H ბმის შემცველი ნივთიერებები:
1. წყალი
 2. ეთანოლი
 3. ფორმალდეჰიდი
 4. ძმარმჟავა
 5. ჭიანჭველმჟავა

2. რა თანმიმდევრობით იზრდება O—H ბმის პოლარულობა?

1. CH_3COOH 2. HCOOH 3. CH_3OH 4. H_2O

ბ 3. განალაგეთ დუღილის ტემპერატურის ზრდის მიხედვით დაახლოებით ერთნაირი მოლური მასის ნივთიერებები: ჰექსანმჟავა, ჰეპტანალი და ჰეპტანოლ-1 და დასაბუთეთ ეს თანმიმდევრობა.

4. განსაზღვრეთ, რომელი გამონათქვამებია მცდარი:

- ა. O—H ბმის პოლარულობა ძმარმჟავაში ნაკლებია, ვიდრე ეთანოლში;
- ბ. კარბოქსილის ჯგუფის C=O ბმა უფრო პოლარულია, ვიდრე ალფებიდებისა;
- გ. წყალბადური ბმა ჭიანჭველმჟავაში უფრო სუსტია, ვიდრე მეთანოლში;
- დ. ეთანმჟავაში O—H ბმა უფრო პოლარულია, ვიდრე მეთანმჟავაში;
- ე. კარბოქსილის ჯგუფში $-\text{OH}$ და $>\text{CO}$ ბმები ერთმანეთზე გავლენას ახდენს.

გ 5. ჰექსანმჟავა წყალში მცირედ ხსნადია (1 გ 100 მლ წყალში). მოლეკულის რომელი ნაწილი უწყობს ხელს გახსნას და რომელი უშლის?

6. განალაგეთ მჟავები დუღილის ტემპერატურის შემცირების მიხედვით:

- ა. ჭიანჭველმჟავა ბ. ძმარმჟავა გ. პროპიონმჟავა

დ 7. პროპანმჟავა და მეთილაცეტატი ერთმანეთის სტრუქტურული იზომერებია. ერთი მათგანი დუღს 57°C -ზე, ხოლო მეორე – 141°C -ზე. განსაზღვრეთ ამ ნივთიერებათა დუღილის ტემპერატურა და დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

8. ძალიან მაღალ ტემპერატურაზე ძმარმჟავას ორთქლის სიმკვრივე წყალბადის მიმართ ორის ტოლია. როგორ ახსნით ამ ფაქტს?

გავათილის შემთხვევა

დაწერეთ სამეცნიერო სტატია თემაზე: „კარბონმჟავების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების კავშირი მათ აღნაგობასთან“.

სტატიის სტრუქტურა შეიძლება შემდეგნაირი იყოს:

- სტატიის სახელწოდება;
- ინფორმაცია სტატიის ავტორებზე;
- საკვანძო სიტყვები;
- შესავალი;
- ძირითადი ნაწილი;
- დასკვნა;
- შედეგები;
- გამოყენებული ლიტერატურული წყაროების სია.

LAYIH

3.1.4. ქიმიური თვისებები და გამოყენება

• გაიხსენოთ განვითარებული მასალა •

- სპირტების მოლეკულების რომელი ჯგუფი განაპირობებს მათ ქიმიურ თვისებებს?
- რომელ თვისებებს განაპირობებს ალფებიდების მოლეკულებში ალფებიდური ჯგუფის არსებობა?

წყლის გამაცხელებელი
მოწყობილობების, სარეცხი
მნენიების მინადულისგან
გასანმენდად ხშირად ლიმონისა და
ძმის მჟავებს იყენებენ.



- ლიმონისა და ძმის მჟავების რომელ
ქიმიურ თვისებებს ეფუძნება მათი
გამოყენება მინადულისგან განმენდის
მიზნით?

საქმიანობა • ძმარმჟავას ქიმიური თვისებები. დაასრულეთ რააქციათა სქემები (ა-დ),
რომლებიც ასახავს ძმარმჟავას ქიმიურ თვისებებს და დაასახელეთ
ნარმოქმნილი მარილება.

- $\text{CH}_3\text{COOH} + \text{ლაკმუსის ნყალხნარი} \rightarrow \text{ხსნარი ილებს} \dots \text{ფერს}$
- $\text{CH}_3\text{COOH} + \text{Mg} \rightarrow \dots + \dots \uparrow$
- $\text{CH}_3\text{COOH} + \text{CaCO}_3 \rightarrow \dots + \dots + \dots \uparrow$
- $\text{HCOOH} + \text{NaOH} \rightarrow \dots + \dots$

იმსკველეთ: - მჟავას მოლეკულის რომელი ატომი მონაწილეობს ამ რეაქციებში და
რასთან არის ეს დაკავშირებული?

კარბონმჟავების ბევრი ქიმიური თვისება განპირობებულია მათ მოლეკულებში
კარბოქსილის ჯგუფის არსებობით.

ქიმიური თვისებები. **მჟავური თვისებები.** კარბონმჟავები სუსტი ელექტრო-
ლიტებია. ნყალხსნარებში ისინი ნაწილობრივ დისოცირდება და ამიტომ წითლად
ლებავს ლურჯ ლაკმუსის ქაღალდს:



ნაჯერი ერთფურიანი კარბონმჟავების რიგში ყველაზე ძლიერია ჭიანჭველმჟავა.
შემდეგ, მჟავას მოლური მასის ზრდასთან ერთად, მჟავური თვისებები სუსტდება.

კარბონმჟავების ჰალოგენნარმების მჟავური თვისებები იზრდება ჰალოგენის
ელექტროუარყოფითობის ზრდასთან და მოლეკულაში მისი ატომების რიცხვის
ზრდასთან ერთად:




შეისწავლე

კარბონმჟავების ზრდასთან ჰალოგენნარმების მჟავური თვისებები

რატომ არის მეთანმჟავა ყველაზე ძლიერი ნაჯერი ერთფურიანი კარბონმჟავების რიგში?

ასენა: მეთანმჟავას ($\text{H}-\text{COOH}$) გამოკლებით, როგორც ნებრში კარბოქსილის ჯგუფი
დაკავშირებულია ალფილის რადიკალთან (R): $\text{R}-\text{COOH}$.


ალკილის რადიკალს ელექტრონოდონორული თვისებები აქვს, ამიტომ ის $R \rightarrow COOH$ ბმის ელექტრონულ სიმკვრივეს განიზიდავს ნახშირბადის ატომის მიმართულებით. ამით, მეთანმჟავასთან შედარებით, იზრდება ელექტრონული სიმკვრივე $O-H$ ბმაზე (სქემა ა). შედეგად $O-H$ ბმა უფრო მტკიცე ხდება და წყალსნარებში $RCOOH$ მოლეკულიდან ონის სახით წყალბადის მონვეტა ძნელდება:



ნახშირწყალბადოვანი რადიკალი (R) ამცირებს მჟავურ თვისებებს.


გამოყენება

იზრდება თუ მცირდება ძმარმჟავას ჰალოგენნარმების მჟავური თვისებები ძმარმჟავასთან შედარებით?




მონოჰლორმჟავა


კარბონმჟავები ურთიერთქმედებს აქტიურ მეტალებთან, ტუტეებთან, ფუძე ოქსიდებთან, სუსტი მჟავების მარილებთან და ამიაკთან:



მადეპიდრატირებელი ნივთიერებების მოქმედებისას კარბონმჟავები, ჭიან-ჭველმჟავას გამოვლებით, გარდაიქმნება შესაბამის ანჰიდრიდებად:




ეთერიფიკციის რეაქცია. გოგირდმჟავას თანაობისას კარბონმჟავები რეაგირებს სპირტებთან რთული ეთერების ნირმოქმნით. მაგალითად:



ამ ტიპის რეაქციებს ეთერიფიკაციის რეაქციები ეწოდება. ამ რეაქციაში ნებალი ნარმოიქმნება კარბონმჟავას $-OH$ ჯგუფისან და სპირტის H ატომისგან.

ნებალის ატომების ჩანაცვლება ნახშირნებალისადოვან რადიკალში

კარბონმჟავებში კარბოქსილის ჯგუფთან უშულიდ დაკავშირებული ნახშირბალის ატომთან არსებული ნებალის ატომები ადვილად ჩანაცვლება ქლორის ან ბრომის ატომებით:



იცით თუ არა, რომ ... • ნატრიუმის ბენზოატი ($\text{NaOOC-C}_6\text{H}_5$), კალიუმის პროპიონატი ($\text{KOOC-C}_2\text{H}_5$) და კალიუმის სორბატი [$\text{KOOC-CH=CH-CH=CH-CH}_3$] კალიუმის მარილი] კონსერვანტებად გამოიყენება კვების მრეწველობაში.

• ჭიანჭველმჟავა და ძმარმჟავა

საქმიანობა • ჭიანჭველმჟავას მოლეკულის სტრუქტურული თავისებურებანი. ჭიანჭველმჟავასა და ძმარმჟავას სტრუქტურული ფორმულების შედარების საფუძველზე შეავსეთ ცხრილი.

ნივთიერება	$\text{H}-\text{C}(\text{O})-\text{OH}$	$\text{CH}_3-\text{C}(\text{O})-\text{OH}$
შეიცავს კარბოქსილის ჯგუფს (+)		
შეიცავს ალფეპიდის ჯგუფს (+)		
იუანგება სპილენდ(III)-ის ჰიდროქსიდით (+)		
ნებალნარში H^+ იონების კონცენტრაცია მეტია (+)		



იმსჯელეთ: – ძმარმჟავასგან განსხვავებით, რატომ ამჟაღვნებს ჭიანჭველმჟავა აღმდგენ თვისებებს და რატომ არის უფრო ძლიერი?

ჭიანჭველმჟავა უფერო, მკვეთრი სუნის მქონე სითხეა, დუღს 101°C -ზე. წყალს ერევა ნებისმიერი თანაფარდობით. კანზე ნარმოქმნის დამწვრობას.


რიგი თვისებებით ჭიანჭველმჟავა განსხვავდება სხვა კარბონმჟავებისგან:

1. ის ყველაზე ძლიერი მჟავაა ჰიმოლოგურ რიგში. დისოციაციის ხარისხით ჭიანჭველმჟავა ახლოსაა ორთოფოსფორმჟავასთან (საშუალო სიძლიერის მჟავებთან).

2. ჭიანჭველმჟავა და მისი მარილები, სხვა კარბონმჟავებისგან განსხვავებით, იუანგება ვერცხლის (II) ოქსიდით და სპილენდ(III)-ის ჰიდროქსიდით:




3. ჭიანჭველმჟავას დაშლით ლაბორატორიაში იღებენ ნახშირბად(II)-ის მონო- ოქსიდს:



- იცით თუ არა, რომ... • ბუნებაში ჭიანჭველმჟავა გვხვდება ჭიანჭველების გამონაყოფში, ჭინჭარში და ნაძვის წიწვებში. ჭინჭრით კანის დასუსტვა გაძმოვეულია მის წვენში ჭიანჭველმჟავას არსებობით.

ტექნიკაში ჭიანჭველმჟავას იღებენ მეთანის კატალიზური დაშანგვით:





მას იღებენ აგრეთვე ნახშირბად(II)-ის მონოქსიდის ნატრიუმის ჰიდროქსიდთან ურთიერთქმედების შედეგად მიღებულ ნატრიუმის ფორმიატზე გაწავებული გოგირდმჟავას მოქმედებით:



გამოყენება. ჭიანჭველმჟავა გამოიყენება აღმდგენად ორგანული ნივთიერებების სინთეზისას, აგრეთვე მჟაუნმჟავას მისაღებად. გარდა ამისა, ის გამოიყენება კვების მრეწველობაში – დაკონსერვებისა და დეზინფექციისთვის, ქსოვილებისა და ქალალდის ღებვისას, მედიცინაში, ჭიანჭველას სპირტის სახელნოდებით, რევმატიზმის სამკურნალოდ (ჭიანჭველას სპირტი ჭიანჭველმჟავას 1,25%-იანი წყალსნარია). მისი როტული ეთერები გამოიყენება გამხსნელებად და სურნელოვან ნივთიერებებად.

ძმარმჟავა უფერო სითხეა მკვეთრი სუნით. $+16,6^{\circ}\text{C}$ -ზე დაბლა ის გარდა- იქმნება ყინულის მსგავს მასად. ამიტომ მას ზოგჯერ „ყინულოვან ძმარმჟავას“ უწოდებენ. წყალს ერევა წებისმიერი თანაფარდობით. მის 3-5%-იან წყალხსნარს ძმარს („სუფრის ძმარს“) უწოდებენ, ხოლო 70-80%-იან ხსნარს – „ძმრის ესეცციას“.

ძმარმჟავას იღებენ რამდენიმე ხერხით, მაგალითად, ძმრის ალდეპიდისა და ბუტანის კატალიზური დაშანგვით:




მეორე ხერხი ეკონომიკურად უფრო ხელსაყოფადია.

ძმარმჟავას იღებენ ეთანოლის დაშანებითაც, კატალიზატორის ან ბაქტერიების თანაობისას:



ძმარმჟავას მიღება შეიძლება აგრეთვე ხის მერქნის პიროლიზის პროდუქტებიდან და მეთანოლის ურთიერთქმედებით ნახშირბად(II)-ის მონოქსიდთან:



- იცით თუ არა, რომ... • ზოგიერთი კარბონმჟავა დიდი ოდენობით წარმოიქმნება და იხარჯება ნივთიერებათა ცვლის პროცესში; მაგალითად, ადამიანის ორგანიზმში დღულამის განმავლობაში დაახლოებით 400 გ ძმარმჟავა წარმოიქმნება.


გამოყენება. ძმარმჟავა გამოიყენება პლასტმასების, სალებავების (ინდიგი), წამლების (ასპირინი, ფენაცეტინი), აცეტატური ბოჭკოს, უნვადი კინო- და ფოტოფირების, ულტრაიისფერი სხივების გატარების უნარის მქონე მინებისა და სხვ. წარმოებაში.

ძმარმჟავას მარილები გამოიყენება ქსოვილების ღებვისას, ტყვია(II)-ის აცეტატი – თეთრი სალებავის სახით. სპილენდ(III)-ის აცეტატი და ძმარმჟავას ზოგიერთი ნაწარმი, მაგალითად 2,4-დიქლორფენოლმარმჟავას ნატრიუმის მარილი (გ), გამოიყენება ჰერბიციდებად.

ძმარმჟავა გამოიყენება ბოსტონულის დასაკონსერვებლად, მისი ეთერები – სუნამოებისა და კარამელის წარმოებაში.

ყოფაში ის, სუფრის ძმრის (გ) სახელწოდებით, საჭმლის შესაკაზმად გამოიყენება.

ძმარმჟავას გამოცნობა შეიძლება დამახასიათებელი სუნით.



სუფრის ძმარი

■ განამტიცეთ შესრულებული მასალა

- ახსენით, რატომ არის კარბონმჟავებში O-H ბმა უფრო პოლარული, ვიდრე სპირტებში, ხოლო C=O ბმა – ნაკლებად პოლარული, ვიდრე ალფებიდებში.

■ რეზლეასია და შეჯასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამონეთ მათი სისწორე.

- ნაჯერ ერთფუძიან კარბონმჟავებს შორის ჭიანჭველმჟავა ყველაზე ... მჟავაა, ვინაიდან
- მონოქლორდმარმჟავა ... , ვიდრე ძმარმჟავა, ვინაიდან
- ძმარმჟავას მონოჰალოგენნარმების მჟავური თვისებები მცირდება რიგში ... → ... → ... →
- ჭიანჭველმჟავა ავლენს როგორც ... , ისე ... თვისებებს.
- ფორმიატებზე ... და ... მოქმედებით მიიღება მჟავა მარილები.

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:


– რომელი ჩვევები შეიძინეთ მოცუმული თემის აღვისების შედეგად?

■ III. შეასრულეთ დავალებები.

- ა
1. მიუთითოთ, შესაბამისად, მაგნიუმის აცეტატისა და კალციუმის ფორმიატი:



2. რომელი ნივთიერებებიდან მიიღება ჭიანჭველმჟავა და ძმარმჟავა მრეწველობაში?



ჭიანჭველმჟავა — ძმარმჟავა —

- ბ** 3. განალაგეთ ნივთიერებები რიგში მუვური თვისებების კლების მიხედვით:



1. CCl_2COOH 2. CH_3COOH 3. CFH_2COOH
4. CF_2HCOOH 5. CF_3COOH

4. რამდენი კგ ძმარმუავა შეიძლება მივიღოთ $67,2 \text{ dm}^3$ (6.პ.) ბუტანის კატალიზური დაუკანგვით? მუავას გამოსავალია 60%.

გ 5. მიუთითეთ, რა არის სწორი და რა - არასწორი ეთანმჟავასთვის. პასუხი დაასაჭირო.

დიახ(+)	არა(-)
დეპიდრატაციას ატარებენ ფოსფონი (III)-ის ოქსიდის თანაობისას.	
შიგამოლექულური დეპიდრატაციისას მიიღება ანჰიდრიდი.	
ელექტრონული სიმკვრივე O-H ბმაზე მეტია, ვიდრე მეთანმჟავაში	
წყალსნარში წარმოქმნის ფორმიატ-ანიონს	
ძმრის ესენცია მიისი კონცენტრირებული წყალსნარია	

6. განსაზღვრეთ X და Y, აგრეთვე უანგვა-ალდგენის რეაქცია. X და Y შორის რომელი გამოიყენება ერთფუძიანი კარბონმჟავების ჰომოლოგიური რიგის პირველი ნარმომატების ნარმლებაში?



- დ 7. ნაჯერი ერთფუძიანი კარბონმჟავას 0,05 მოლის მასაა 4,8 გ. დაადგინეთ მჟავას ფორმულა. $A_f(Na) = 23$.

8. შეადგინეთ გარდაქმნათა ტოლობები.

მეთანი → აცეტილენი → აცეტალდეჰიდი → ეთანოლი → ძმარმუავა → მეთილაცეტატი

ପ୍ରକାଶକ
ବ୍ୟାକ

შეასრულოთ არბონიმუნაბრძან და გაშეირთვაბული ანგაბების რეა ა

3.1.5. ගාසුරු සහ ගාසුරු ප්‍රවාහනය ප්‍රංශයෙහි ප්‍රාග්ධනය

- გაიხსენოთ განვითარებული მასალა •
 - რატომ დუღს ბუტანმუჟავა უფრო მაღალ ტემპერატურაზე, ვიდრე განშტოებული ალანგობის 2-მეთილპროპანმუჟავა?
 - რით განსხვავდება ნაჯირი და უჯირი კარბონმუჟავის ქიმიური თვისებები?


ერთ-ერთი იმ ნივთიერებათაგან, რომლებიც ჩვენს ყოველდღიურ რაციონს შედგენს, ცხიმებია. ცხიმების შორის, როგორც იცით, მზეს მზირას და ზეითუნის ზეთი – ატვადი, ხოლო კარაქი და თხის ჭონა მყარი ნივთიერებისა.

**- რით აიხსნება, რომ ცხიმები
სხვადასხვა აგრეგატულ
მდგომარეობაში იმყოფება?**



უმაღლესი კარბონმჟავების მოლეკულათა შედგენილობაში, როგორც წესი, ნახშირბადის 10-დან 20-მდე ატომია. ბევრი მათგანი, გლიცერინის რთული ეთერების სახით, შედის ცხიმების შედგენილობაში. უმაღლეს კარბონმჟავებს, რომლებიც ცხიმებს წარმოქმნის, ცხიმოვან მჟავებს უწოდებენ.

საქმიანობა-1 • ცხიმოვანი მჟავების შედგენილობა, ალნაგობა და ფიზიკური თვისებები
შეადარეთ ცხიმოვანი მჟავების ალნაგობა და აგრეგატული მდგრამარეობა.



იმსჯელეთ:

- რომელი კანონზომიერებანი შეამჩნიეთ მოცემული ცხიმოვანი მჟავების მოლეკულათა ალნაგობაში, ნახშირბადის ატომთა და ფუნქციური ჯგუფების რიცხვში?
- ა და ბ სქემებზე გამოსახული მჟავებისგან განსხვავებით, რატომ არის გ სქემაზე გამოსახული მჟავა თხევად მდგრამარეობაში?
- $C_{17}H_{33}COOH$ შედგენილობის მჟავას რომელი გეომეტრიული იზომერია გ სქემაზე გამოსახული მჟავა?

ცხიმოვანი მჟავები იყოფა ნაჯერ და უჯერ მჟავებად. უჯერი მჟავების ნახშირბადოვან ჯაჭვში არსებობს მინიმუმ ერთი ორმაგი $C=C$ ბმა.


ცხიმოვანი მჟავების თავისებურებანი:

1. ცხიმოვანი მჟავების არაგანშტოებული ჯაჭვი შეიცავს ნახშირბადის ატომების ლუნ რიცხვს, როგორც წესი, 12-დან 20-მდე;
2. ბუნებაში უფრო გავრცელებულია პალმიტინის, სტეარინის და ოლეინის მჟავები (ტრიგლიცერიდების სახით);
3. უჯერი ცხიმოვანი მჟავების ნაშთები ცხიმების შედგენილობაში უპირატესად ცის-იზომერების ფორმითაა;
4. თუ არ ჩავთვლით უჯერი მჟავების $C=C$ ბმას, ცხიმოვანი მჟავების მოლეკულებში არ არის ფუნქციური ჯგუფები, გარდა კარბოქსილის;


5. უჯერი ცხიმოვანი მჟავების დნობის ტემპერატურა უფრო დაბალია, ვიდრე ნახშირბადის ატომების ისეთივე რიცხვის შემცველი ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების დნობის ტემპერატურა. ცხიმოვანი მჟავების მოლეკულებში $C=C$ ბმების რიცხვის ზრდასთან ერთად მათი დნობის ტემპერატურა მცირდება.

ნაჯერ ცხიმოვან მჟავებს მიეკუთვნება პალმიტინის ($C_{15}H_{31}COOH$) და სტეარინის ($C_{17}H_{33}COOH$) მჟავები, უჯერს – ოლეინის ($C_{17}H_{33}COOH$), ლინოლის ($C_{17}H_{31}COOH$) და ლინოლენის ($C_{17}H_{29}COOH$) მჟავები.

პალმიტინის (პექსადეკანის) და სტეარინის (ოქტადეკანის) მჟავები



ორივე მჟავა შედის ნაჯერი კარბონმჟავების დამახასიათებელ რეაქციებში, მაგალითად:



პალმიტინისა და სტერარინის მჟავების მარილებს ეწოდება, შესაბამისად, პალმიტატები და სტერატები. მათი ნატრიუმისა და კალიუმის მარილები საპნების ძირითადი კომპონენტებია.


პალმიტინისა და სტერარინის მჟავების ნარევი სტერარინის სანთლების დასამზადებლად გამოიყენება.

უმაღლესი კარბონმჟავები მიღილება ცხიმების ჰიდროლიზით (გვ. 108) და პარაფინების კატალიზური დაუზავებით (გვ. 80).


შენიშვნა: უმაღლესი კარბონმჟავების კალციუმისა და მაგნიუმის მარილები წყალში უხსნადია.

• უჯერი კარბონმჟავები

ოლეინის მჟავა უჯერი ერთფუძიანი კარბონმჟავაა, რომლის მოლეკულაც შეიცავს ერთ C=C ბმას.




(ბ) ოლეინმჟავას
მოლეკულის
ბურთულლეროვანი
მოდელი




ოლეინის მჟავა მიეკუთვნება უჯერი კარბონმჟავების ჰომოლოგიურ რიგს ზოგადი ფორმულით $\text{C}_n\text{H}_{2n-1}\text{COOH}$ ($n \geq 2$). ვინაიდან მათი მოლეკულები შეიცავს C=C ბმას და კარბოქსილის ჯგუფს, ისინი ავლენს როგორც მჟავების, ისე უჯერი ნახშირწყალბადების თვისებებს.

ოლეინის მჟავა ფუძებთან წარმოქმნის მარილებს, ხოლო სპირტებთან – რთულ ეთერებს. როგორც უჯერი ნაერთი, ის შედის მიერთების რეაქციებში:



ოლეინის მჟავა $\text{C}_{17}\text{H}_{33}\text{COOH}$ შედგენილობის მჟავას ცის-იზომერია. ამ მჟავას ტრანს-იზომერს ეწოდება ელაიდინის მჟავა. თხევადი ოლეინის მჟავასგან განსხვავებით, ელაიდინის მჟავა ჩვეულებრივ პირობებში (20°C) მყარი ნივთიერება და ბუნებაში, ცხიმების შედებილობაში არ გვხვდება.



ლინოლისა ($C_{17}H_{31}COOH$) და ლინოლენის ($C_{17}H_{29}COOH$) მჟავების მოლეკულები შეიცავს, შესაბამისად, ერთ და ორ $C=C$ ბმას. ორივე ეს მჟავა, ოლეინის მჟავასთან ერთად, შედის მცენარეული ცხიმების (ზეთების) – ზეითუნის, მზესუმზირის, სიმინდისა და ნუშის ზეთის – შედგენილობაში.

საქმიანობა-2 • უმაღლესი კარბონმჟავების ალნაგობა და ფიზიკური თვისებები გაითვალისწინეთ ცხიმოვანი მჟავების აღნაგობა და განალაგეთ ისინი დნობის ტემპერატურის ზრდის მიხედვით.

- | | |
|--------------------|---|
| ა. სტერინის მჟავა | 1. $t_{\text{დ}} = -11^{\circ}\text{C}$ |
| ბ. ოლეინის მჟავა | 2. $t_{\text{დ}} = -5^{\circ}\text{C}$ |
| გ. ლინოლის მჟავა | 3. $t_{\text{დ}} = +16^{\circ}\text{C}$ |
| დ. ლინოლენის მჟავა | 4. $t_{\text{დ}} = +70^{\circ}\text{C}$ |

იმსჯელეთ: – რატომ იცვლება კანონზომიერად ცხიმოვანი მჟავების დნობის ტემპერატურა თქვენ მიერ შერჩეულ რიგში?

შეისწავლა

ნაჯერი და უჯერი კარბონმჟავების ალნაგობა და დნობის ტემპერატურა

რატომ არის ა ალნაგობის ნაჯერი კარბონმჟავები ოთახის ტემპერატურაზე მყარი, ხოლო ბ ალნაგობის უჯერი კარბონმჟავები – თხევადი ნივთიერებები?



ამონია:

ნაჯერი კარბონმჟავების მეზობელი მოლეკულების ნახშირბადოვანი ჯაჭვები პარალელურად და მჭიდროდ არის ურთიერთგანლაგებული (ს). ასეთ მოლეკულებს შორის მიზიდვის ძალები დიდია და მათ გასადნობად უფრო მაღალი ტემპერატურა საჭირო.

უჯერი ცხიმოვანი მჟავების ცის-იზომერებს შორის (ბ) მიზიდვის ძალები მოქმედებს შეოლოდ ჯაჭვების მცირე სეგმენტებს შორის და, შედეგად, ეს ძალები სუსტია. ამიტომ (ბ) ალნაგობის მჟავების გასადნობად საჭიროა მცირე ენერგია (ნაკლები ტემპერატურა) და ისნინ, ჩვეულებრივ პირობებში, ძირითადად თხევადია.

გამოიყენე

რატომ მცირდება უჯერი ცხიმოვანი მჟავების დნობის ტემპერატურა მოლეკულაში $C=C$ ბმების რიცხვის ზრდათან ერთად?

უჯერი კარბონმჟავების პირველი წარმომადგენელია აკრილმჟავა (პროპენმჟავა) $\text{CH}_2=\text{CH}-\text{COOH}$. მისი პოლიმერიზაციით იღებენ პოლიაკრილმჟავას:



აკრილმჟავასთან HX ტიპის პოლარული მოლეკულების (HCl , HBr , HOH და სხვ.) მიერთება მიმდინარეობს მარკოვნიკოვის წესის საწინააღმდეგოდ, მაგალითად:



■ განამტკიცეთ შესრულებული მასალა

■ ოლეინისა და ელაიდინის მჟავების მოლეკულათა სქემების საფუძველზე ახსენით ერთნაირი $C_{17}H_{33}COOH$ შედგენილობის ამ მჟავების სხვადასხვა აგრეგატული მდგომარეობის მიზეზები.

■ რეაციებისა და შეზასეპბა

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.

- სტერინიმჟავას მოლეკულა შეიცავს ... ნახშირბადის ატომს და აქვს ... ნახშირბადოვანი ჯაჭვი.
- ... ცხიმოვანი მჟავები შედის ცხიმების შედგენილობაში, ძირითადად ... იზომერების სახით.
- ოლეინის მჟავა ამჟღავნებს როგორც ... , ისე ... თვისებებს, რადგან.... .
- ოლეინის მჟავას მოლეკულა შეიცავს sp^2 ჰიბრიდულ მდგომარეობაში მყოფი ... ატომს.
- ნაჯერი ცხიმოვანი მჟავა დნება ... ტემპერატურაზე, ვიდრე ნახშირბადის იმდენივე ატომის შემცველი ... ცხიმოვანი მჟავა.
- ოლეინის, ლინოლისა და ლინოლენის მჟავების რიგში დნობის ტემპერატურა

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

- გაკვეთილზე ყველაზე მეტად რომელმა ინფორმაციამ დაგაინტერესათ?

■ III. შეასრულეთ დავალებები.

ა 1. განსაზღვრეთ გამოთქმები, რომლებიც მიეკუთვნება სამიერე პალმიტინის, სტერინისა და ოლეინის მჟავებს შორის:



1. თხევად მჟავებია
2. ნაჯერი უმაღლესი კარბონიმჟავებია
3. ერთფუძიანი მჟავებია
4. ბუნებაში გვხვდება გლიცერინის რთული ეთერების სახით

2. განსაზღვრეთ უჯვრი მჟავები:

1. ლინოლმჟავა
2. აკრილმჟავა
3. ოლეინმჟავა
4. მეტაკრილმჟავა

ბ 3. რამდენი ლ ჰაერი დაიხსარებება 1 მოლი სტერინის მჟავას სრული წვისას? ჰაერში უანგბადის მოცულობითი წილი მიიღეთ 20%-ის ტოლად.

4. დაასრულეთ სქემები და მიუთითეთ მეთოლმეტაკრილატის წარმოქმნის რეაქციის ტოლობა:



5. დაადგინეთ შესაბამისობა და ახსენით თქვენი ვასუხი.

$$1. t_{1(\text{დგ.})} \quad 2. t_{2(\text{დგ.})} \quad 3. t_{3(\text{დგ.})}$$

$$t_{2(\text{დგ.})} < t_{1(\text{დგ.})} < t_{3(\text{დგ.})}$$

ლინოლის მჟავა — პალმიტინის მჟავა — ოლეინის მჟავა —

6. მიუთითეთ, რა არის სწორი და რა — არასწორი ცხიმოვანი მჟავებისთვის. პასუხები დაასაბუთეთ.

	დაახ (+)	არა (-)
მოლეკულები, ჩვეულებრივ, შეიცავს C ატომების კენტ რიცხვს		
მოლეკულების აქვთ არაგალებული ნახშირბადოვანი ჯაჭვი		
შეიცავს მხოლოდ ერთ ფუნქციურ ჯგუფს		
ბუნებაში გვხვდება ძირითადად გლიცერიდების სახით		
ოლეინმჟავა $C_{17}H_{33}COOH$ მჟავას ტრანს-იზომერია		

დ 7. რომელი მჟავების ნარევი ნარმოიქნება ლინოლენის მჟავას ჰიდრირებისას? შეადგინეთ ამ მჟავების მიღების რეაქციათა ტოლობები.

8. რომელი გამოთქმები მიეკუთვნება $C_{15}H_{31}COOH$ და $C_{17}H_{33}COOH$ მჟავებს?

1. ჰენტადეკანმჟავა 2. ჰექსადეკანმჟავა 3. ოქტადეცენმჟავა 4. ჰეპტადეცენმჟავა
ა. პალმიტატები ბ. სტეარატები გ. ოლეატები



•••
გაკვეთილის
შემდეგ

შეადგინეთ მეტაკრილის მჟავას ქიმიური თვისებების ამსახველი რეაქციების ტოლობები და დასახელეთ ნარმოქმნილი ახალი ორგანული ნივთიერებები. რეაქციათა ტოლობები და მეტაკრილის მჟავას გამოყენების სფეროები ნარმოადგინეთ ბუკლეტის სახით.

3.2. ორგანიზმის კარბონებავები

• გაიხსენოთ განვითარები მასალა •

- რატომ არის ჭიანჭველმჟავა უფრო ძლიერი მჟავა, ვიდრე მისი ჰომოლოგები?
– როგორი თვისებები აქვს კარბოქსილის ჯგუფს: ელექტრონოდონორული თუ ელექტრონოაქცეპტორული?

კარბოქსილის ორი ჯგუფისგან შემდგარი ორგანული ნივთიერება გამოიყენება მეტალის ნაკეთობების – ჟანგისგან, ქსოვილებისა და სანტენიკური მოწყობილობების ჟანგის ლაქებისგან გასახმენდად.

– რომელ ორგანულ ნივთიერებაზე და მის რომელ თვისებაზეა ლაპარაკი ტექსტში?

საქმიანობა • ჭიანჭველმჟავა და მჟაუნმჟავა. შეადგინეთ ჭიანჭველმჟავას და მჟაუნმჟავას სტრუქტურული ფორმულები, შეადარეთ მათი მჟავური თვისებები. მათი მოლეკულების აღნაგობის საფუძველზე ასხინით დასახელებულ მჟავთა მჟავური თვისებების ცვლილება. შეადგინეთ წყალხსარში მჟაუნმჟავას დისოციაციის ტოლობა.

იმსჯელეთ: – რატომ არის ადიპინის მჟავა $[HOOC-(CH_2)_4-COOH]$ უფრო სუსტი, ვიდრე მჟაუნმჟავა ($HOOC-COOH$)?


ორფუძიანი კარბონმჟავების მოლეკულები შეიცავს კარბოქსილის ორ ჯგუფს. ნახშირწყალბადოვანი რადიკალის ბუნებრივან დამოკიდებულებით, ასხვავებენ ნაჯერ, უჯერ და არომატულ კარბონმჟავებს.



ალკანდიკარბონმჟავებს მიეკუთვნება მალონის ($HOOC-CH_2-COOH$), ქარვისა $[HOOC-(CH_2)_2-COOH]$ და ადიპინის $[HOOC-(CH_2)_4-COOH]$ მჟავები.

ორფუძიანი ნაჯერი კარბონმჟავებიდან საშუალო სკოლაში გაეცნობით მჟაუნმჟავას და ადიპინმჟავას, ხოლო არომატულებიდან – ტერეფთალის მჟავას.

მიღება. ქვემოთ მოცემულია მჟაუნმჟავას, ადიპინმჟავასა და ტერეფთალის მჟავას მიღების რეაქციათა სქემები:




ფიზიკური თვისებები. ორფუძიანი კარბონმჟავები თეთრის კრისტალური ნივთიერებებია. ალკანდიგარბონმჟავების პირველი წარმომადგენლები კარგად იხსნება წყალში, სპირტსა და ეთერში.


ბოსტნეული
მდიდარია
მჟაუნმჟავათი.



ქიმიური თვისებები. ორფუძიანი კარბონმჟავები, ისევე როგორც ერთფუძიანი, შედის რეაქციებში მეტალებთან, ტუტეებთან, სპირტებთან. რეაქციაში მონაწილე კარბოქსილის ჯგუფების რიცხვის მიხედვით, წარმოქმნება საშუალო ან მჟავა მარილები, სრული ან არასრული რთული ეთერები, მაგალითად:



გაცხელებისას ორფუძიანი კარბონმჟავები განიცდის დეკარბოქსილირებას (გამოყოფს CO_2 -ს). ამ პროცესისას მჟაუნმჟავა გარდაიქმნება ჭიანჭველმჟავად. გოგირდმჟავასთან ერთად გაცხელებისას მჟაუნმჟავა იშლება საში იქსიდის წარმოქმნით:




ორფუძიანი კარბონმჟავები შესაბამის ერთფუძიან კარბონმჟავებზე ძლიერია. მჟაუნმჟავა ყველა კარბონმჟავაზე ძლიერი მჟავაა.

გამოყენება. მჟაუნმჟავა გამოიყენება ქსოვილების გასათეთრებლად, მეტალების ჟანგისგან გასაწმენდად, მინაცულის მოსაცილებლად და ა.შ. ადიპინმჟავას იყენებენ სინთეზური ბოჭკოს – ნაილონის წარმოებაში, ხოლო ტერეფთალის მჟავას – ბოჭკო ლავსანის მისაღებად.

- იცით თუ არა, რომ... • მჟაუნმჟავა ხელს უწყობს ორგანიზმში სისხლის წარმოქმნის პროცესს, ნივთიერებათა ცვლას და საჭმლის მომწელებელი სისტემის დეზინფექციას.

■ განამტკიცეთ შესრულები მასალა

■ შეადარეთ:



■ რეზლუსი და შევასება

■ I. დასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.

- მჟაუნმჟავა მეთანმჟავაზე ძლიერია, რადგან კარბოქსილის ჯგუფი

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

- მასწავლებლის მიერ გამოყენებული რომელი მეთოდი აღმოჩნდა თქვენთვის უფრო ეფექტურ?

■ III. შეასრულეთ დავალებები.

ა 1. რომელი მჟავები წარმოქმნის საშუალო და მჟავა მარილებს?

1. ოლეინმჟავა
2. ადიპინმჟავა
3. გოგირდოვანი მჟავა
4. ტერეფთალის მჟავა

2. დაადგინეთ შესაბამისობა:

- | | |
|--------------------|---------------------|
| ა. არომატული მჟავა | 1. ადიპინმჟავა |
| ბ. უჯერი მჟავა | 2. ტერეფთალის მჟავა |
| გ. ნაჯერი მჟავა | 3. მალეინმჟავა |

ბ 3. აირადი ნივთიერებების რა მოცულობა (ნ.პ.) წარმოიქმნება 0,5 მოლი მჟაუნმჟავას დაშლისას გოგირდოვას თანაობისას?

4. განალაგეთ ნივთიერებები მჟავური თვისებების ზრდის მიხედვით და დაასაბუთეთ ეს რიგი.

- | | |
|---------------|---------------|
| 1. ფენოლი | 2. მეთანმჟავა |
| 3. მეთანმჟავა | 4. მჟაუნმჟავა |

გ 5. განალაგეთ მჟავები sp^2 ჰიბრიდიზაციაში მყოფი ნახშირბადის ატომების რიცხვის კლების მიხედვით

1. მჟაუნმჟავა
2. მალეინმჟავა
3. ტერეფთალის მჟავა

6. შეადგინეთ მჟავების სტრუქტურული ფორმულები.

- | | | |
|---------------|---------------------|----------------|
| ა. მჟაუნმჟავა | ბ. ტერეფთალის მჟავა | გ. ადიპინმჟავა |
|---------------|---------------------|----------------|

დ 7. შეადგინეთ ა, ბ და გ პუნქტუალური მარილების გრაფიკული ფორმულები.

- ა. ლითოუმის აცეტატი
- ბ. კალციუმის ოქსალატი
- გ. კალიუმის ჰიდროკალატი

8. რამდენი გ მჟაუნმჟავა შეიძლება მივიღოთ 80 გ ნატრიუმის ჰიდროქსიდისა და 60 გ ნახშირბადის მონოჰიდრინგისგან? $M_r(\text{NaOH}) = 40$, $M_r(\text{CO}) = 28$.

გავათილის შემთხვევაში შეადგინეთ კლასტერი კარბონმჟავების ქიმიური თვისებების ამსახველი რეაქტორების ტოლობებისგან.

3.3. რთული ეთერები

3.3.1. ნომენციალურა და იზომერია

- გაიხსენით შესწავლით მასალა •

—რას უნდოებენ კარბონმჟავების სპირტებთან ურთიერთქმედების რეაქციებს?

რთული ეთერები ფართოდ გამოიყენება ხილის ნევრებისა და კარამელის პროდუქტების ნარმოებაში.




—რთული ეთერების რომელი თვისებებით არის განპირობებული მათი გამოყენება ზემოთ მითითებულ სფეროებში?



საქმიანობა	• რთული ეთერების ნომენციალურა და იზომერია. კარბონმჟავების მარილებისა და რთული ეთერების სახელმოდებების საერთო ნიშნების გათვალისწინებით, დაასახელეთ ხუთივე რთული ეთერი.	HCOOK კალიუმის ფორმატი	HCOOCH_3 ?
	შეადარეთ ა, ბ და გ რთული ეთერების ელემენტური შედგენილობა და დაადგინეთ მათი ზოგადი თავისებურებანი.	CH_3COONa ნატრიუმის აცეტატი	$\text{CH}_3\text{COOC}_2\text{H}_5$?
	(ა) $\text{C}_2\text{H}_5\text{CO}-\text{O}-\text{C}_2\text{H}_5$? (ბ) $\text{CH}_3\text{CO}-\text{O}-\text{C}_3\text{H}_7$? (გ) $\text{HCO}-\text{O}-\text{C}_4\text{H}_9$?		
იმსჯელეთ:	რატომ არის ალკილის რადიკალის შემცველი რთული ეთერი კარბონმჟავების კლასთაშორისი იზომერები?		

რთული ეთერები ორგანული ნივთიერებებია, რომლებიც წარმოიქმნება კარბონმჟავების სპირტებთან ურთიერთქმედების შედეგად:




რთული ეთერის წარმოქმნის რეაქციას ეთერიფიკაციის რეაქცია ეწოდება. ნაჯერი კარბონმჟავებისგან და ნაჯერი ერთატომიანი სპირტებისგან წარმოქმნილი რთული ეთერების ზოგადი ფორმულაა $\text{C}_n\text{H}_{2n}\text{O}_2$. მათ გამოსახვენ ქვემოთ მოცემულის ანალოგიურად (ჭიანჭველმჟავას რთული ეთერებში $\text{R}^1 = \text{H}$):




აქ R^1 და R^2 რადიკალები შეიძლება იყოს ერთნაირი ან განსხვავებული.


ეთერიფიკაციის რეაქციაში შედის აგრეთვე არაორგანული ჟანგბადშემცველი მჟავები:



ნომენკლატურა. რთული ეთერის დასახელებისას ეთერის წარმომქმნელი სპირტის რადიკალის სახელწოდებას უმატებენ: ერთ შემთხვევაში მჟავას ლათინური სახელწოდების ფუძეს დაბოლოებით „ატი“; მეორე შემთხვევაში – მჟავას სახელწოდებას საერთაშორისო ნომენკლატურით და დაბოლოებით „ოატი“. მაგალითად:



მეთილფორმიატი ან მეთილმეთანოატი
(5)





ეთილაცეტატი ან ეთილეთანოატი
(6)

რაციონალური ნომენკლატურით, შესაბამისი მჟავასა და სპირტის სახელწოდებებს უმატებენ სიტყვა „ეთერს“. მაგალითად, $\text{HCOO}-\text{CH}_3$ ჭიანჭველ-მჟავამეთილეთერი, $\text{CH}_3\text{COO}-\text{C}_2\text{H}_5$ ძმარმჟავაეთილეთერი.

შეისწავლე

რთული ეთერების სტრუქტურული ფორმულები და იზომერია

სამი ხერხით დასახელეთ რთული ეთერები:



ამოხსნა:

გამოვყოთ სპირტის რადიკალები ($-\text{C}_2\text{H}_5$, $-\text{CH}_2-\text{C}_2\text{H}_5$) და დავასახელოთ ეთერები სამი ხერხით:

a.

1. ეთილპროპიონატი
2. ეთილპროპანოატი
3. პროპიონმჟავაეთილეთერი

ბ.

- პროპილაცეტატი
პროპილეთანოატი
ძმარმჟავაპროპილეთერი

გამოიყენე


შეადგინეთ იზოპროპილფორმიატისა და ერბომჟავაეთილეთერის სტრუქტურული ფორმულები.

იზომერია. რთულ ეთერებსა და ერთფუძიან ნაჯერ მჟავებს აქვთ ერთი და იგივე ზოგადი ფორმულა $\text{C}_n\text{H}_{2n}\text{O}_2$. ამიტომ ისინი წარმოქმნის კლასთაშორის იზომერებს, მაგალითად, მეთილფორმიატი და ძმარმჟავა ერთმანეთის იზომერებია:




კლასს შემოინათ იზომერია განპირობებულია რამდენიმე მიზეზით:


5) ნახშირბადოვან კატეპი- $\text{COO}-\text{CH}_2\text{CH}_3$ ის მდებარეობით:




და




ბ) მუავასა და სპირტის ნაშთების რადიკალურის აღნაგობით. მაგალითად, ქვემოთ მოცემული ეთერების იზომერია განპირობებულია სპირტის ნაშთის რადიკალის აღნაგობით:



და




რთული ეთერები შედის ყვავილების, კენკრის, ხილის შედგენილობაში. მცენარეებისა და ხილის სპეციფიკური სუნთქმებულია სწორედ მათ შედგენილობაში რთული ეთერების არსებობით (ა, ბ, გ):



უმაღლესი რიგის კარბონმუავებისა და უმაღლესი რიგის ერთაჭომიანი სპირტების რთული ეთერები ცვილისებრი ნივთიერებებია.

- **იცით თუ არა, რომ...** • **მცენარეული და ცხოველური ცვილები.** დიდი ფარდობითი მოლეკულური მასის გამო მცენარეული და ცხოველური ცვილები ჩვეულებრივ პირობებში მყარი ნივთიერებებია. მაგალითად, ფუტკრის ცვილის ძირითადი კომპონენტია რთული ეთერი 1-ტრიაკონტილპალმიტატი:



- ცვილებს მცენარეებსა და ცხოველებში აქვთ დამცველი ფუნქცია.
- მრავალი ცვილი გამოიყენება, როგორც კოსმეტიკური საშუალება, სანთელი და მალამი.
- მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ცვილებისგან განსხვავებით, პარაფინული ცვილები შედგება მაღალმოლექულური ალკანებისგან.

■ განამტკიცეთ შესაცვლილი გასაღა

■ შეადგინეთ რთულ ეთერებთან დაკავშირებული ცნობების რუკა.

■ რეფლექსია და შეფხვება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და უკავშირის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.

- პროპილფორმიატის კლასს შეგნითა იზომერების რიცხვი ტოლია
- ეთილფორმიატის კლასთაშორის იზომერს ეწოდება
- ეთერიფიტაციის რეაქცია ექვემდებარება ... წესს, რადგან ეს რეაქცია არის ... რეაქცია.

■ II. გამონატეთ თემაზე შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

- რა სირთულეებს გადაწყდით „საქმიანობის“ დავალების შესრულებისას?

■ III. შეასრულეთ დავალებები.


3

1. განსაზღვრეთ, რომელი ფორმულები მიეკუთვნება რთულ ეთერებს.
1. $R^1-COO-R^2$ 2. $R-COO-H$ 3. $H-COO-R$ 4. $R^1-COO-R^1$ 5. R^1-CO-R^2
2. რომელი რთული ეთერია სწორად დასახელებული?

 1. $CH_3COOC_2H_5$ – მეთილპროპიონატი
 2. $CH_3COOCH(CH_3)_2$ – პროპილაცეტატი
 3. CH_3COOCH_3 – ძმარმჟავამეთილეთერი
 4. $CH_3COOC_2H_5$ – ეთილაცეტატი

ბ

3. ეთერიფიკაციის რეაქციით, რომელიც 70% გამოსავლით მიმდინარეობს, მიიღეს 30,8 გ ეთილაცეტატი. რამდენი გ ძმარმჟავა შევიდა რეაქციაში? $M_r(CH_3COOH) = 60$, $M_r(CH_3COOC_2H_5) = 88$.
4. გაითვალისწინეთ კოეფიციენტები მოცემულ სქემებში, შეადგინეთ რეაქციათა ტოლობები და დაასახელეთ წარმოქმნილი რთული ეთერები.




გ

5. მიუთითეთ, რა არის სწორი და რა – არასწორი რთული ეთერებისთვის. პასუხი დასაბუთეთ.

დიახ (+)	არა (-)
$-C=O-$ ჯგუფი რთული ეთერების ფუნქციური ჯგუფია	
პროპანმჟავა ეთილაცეტატის კლასთაშირისი იზომერია	
$HCOOC_2H_5$ და $CH_3COOC_2H_5$ ეთერები ერთმანეთის იზომერებია	
პროპილფორმიატი და ეთილფორმიონატი ერთმანეთის იზომერებია	

6. დაასრულეთ სქემა და უპასუხეთ, რა უნდა შესრულდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან წონასწორობის მარჯვენივ გადასანაცვლებლად?



1. წარმოქმნილი წყალი შევბოჭოთ გოგირდმჟავათი
2. ეთერი გამოვიტანოთ სისტემიდან
3. სისტემას დაუუმატოთ წყალი

დ

7. შეადგინეთ მოლეკულაში წახშირბადატომების უმცირესი რიცხვის შემცველი რთული ეთერის წარმოქმნის რეაქციის ტოლობა.

8. შეადგინეთ გარდაქმნათა ტოლობები და საბოლოო პროდუქტის სტრუქტურული ფორმულა.



გაკვეთილის
შემსრულებელი

დაწერული ესე თემაზე: „რთული ეთერების გამოყენება მრეწველობაში“


3.3.2. მიღება და თვისებები

- გაიხსენოთ განვითარებული მასალა •
 - ჩამოთვალეთ მარტივი და რთული ეთერების საერთო და განმასხვავებელი თვისებები.
 - რა პირობებში განიცდის ჰიდროლიზს რთული ეთერები?

ରତ୍ନୁଳୀ ଏଟର୍ରେବୋ, ରୋଗରୂପ ସାନ୍ତେଲ୍ଲେବଲ୍ଲେବୋ, ଗଵେଲିନ୍ଦେଶ୍ବା ଯୁଗେଲାଶ୍ବ
ମରାବାଲରୂପଥ୍ରଗବନ୍ ସାକ୍ଷେପ ଓରାମାତ୍ରେଶ୍ବାଦ. ଫ୍ଲେଶାଟାଇସ ଚନ୍ଦ୍ରବିଲ୍ଲୋ
1000-ଟେ ମେତ୍ରୀ ରୋଗରୂପ ଶ୍ରେଣୀବରୀରେ, ଯେହି ସିନ୍ଧୁରେଶ୍ଵର ଆସିବା
ସାନ୍ତେଲ୍ଲେବେଲ୍ଲୀରେ. ମାତି ଦିରିତାଦି ନାନିଲ୍ଲୋ ସାଲିମାନ୍ଦିନ୍ ଶ୍ରୀନିଃ ମଜ୍ଜନ୍ବେ
ମଜ୍ଜନ୍ବାର୍ଜନ୍ବିଦାନ ମିଲ୍ଲେବୁଲ୍ଲୀ କ୍ରମିକନ୍ତରାତ୍ରେବୋ ଓ ଗ୍ରେଟର୍ରାତ୍ରେବୋ.

- როგორ
შეიძლება
რთული
ეთერების
მიღება?


საქმიანობა • ეთერიფიკაციის რეაქციის სქემა და დაასახელეთ როტული ეთერი. დაადგინეთ, რომელი ფაქტორი უწყობს ხელს რეაქციის მიმდინარეობას. ცხრილში მიუთითოთ, როგორ უნდა შევცვალოთ რეაგენტებისა და რეაქციის პროცესუალების რაოდენობა, რომ წონასწორობამ გადაინაცვლოს მარჯვნივ.



ମ୍ୟାଗା	
ସେଇନ୍ତିକ୍	
ର୍ବ୍ୟାଲ୍ପି	
ରତ୍ନାଳୀ ଜୀବନୀ	

იმსჯელეთ: – რატომ არის ეთერიფიკაციის რეაქცია შექცევადი?

ბუნებრივ როგორ ეთერებს გამოყოფენ მცენარეებისგან, ორგანული გამხსნელებით ექსტრაქციის გზით; თუმცა მათ უმრავლესობას იღებენ ეთერიფიკაციის რეაქციით:




ეთერიფიკაციის რეაქციის ზოგიერთი თავისებურებაა:

- 1) რეაქციაში წყალი წარმოიქმნება კარბონმჴავას $-\text{OH}$ ჯგუფისა და სპირტის წყალბადის ატომისგან.
- 2) ეთერიფიკაციის რეაქცია შექცევადი რეაქციაა.
- 3) რეაქციას ატარებინ კონკინტრირებული გლობილური გარემონტურებას თანაბობისას.

ნონასნორობის ეთერის წარმოქმნის მხარეს გადასანაცვლებლად, ლე-
შატელიეს პრინციპის თანახმად, უნდა შესრულდეს შემდეგი:

ა) რეაქციის სითვის უნდა აყილოთ ჭარბი სპირტი ან მუსავა;
ბ) სარეაქციო არეს დისტილაციის გზით უნდა მოვაცილოთ ეთერი, ან




~~უკანასკერელ~~ (3) ~~რეაქციას~~ რთული ეთერების პერევეტერიფიკაციის რეაქცია ~~ენოდება.~~

ფიზიკური თვისებები. ნაჯერი ერთფუძიანი კარბონმჟავების დაბალმოლე-კულური რთული ეთერები წყალში ხსნადი აქროლადი ნივთიერებებია. ისინი წყალზე მსუბუქია. მოლეკულაში $-OH$ ჯგუფის არარსებობის გამო რთული ეთერების მოლეკულებს შორის წყალბადური ბმები არ ნარმოიქმნება. რთული ეთერები დუღს უფრო დაბალ ტემპერატურაზე, ვიდრე მათი იზომერული კარბონმჟავები.

ბევრ რთულ ეთერს აქვს ხილის სუნი.


ქიმიური თვისებები. რთული ეთერების ქიმიური თვისებები განპირობებულია მათ მოლეკულებში რთულეთერული ბმის (R^1CO-OR^2) განყვეტის სიადვილით; მაგალითად, რთულ ეთერზე წყლის მოქმედებით მიმდინარეობს მისი ჰიდროლიზი და ნარმოიქმნება შესაბამისი მჟავა და სპირტი:



ჰიდროლიზის ტუტე არეში ჩატარებისას რეაქცია შეუქცევადი ხდება და მთავრდება სპირტისა და კარბონმჟავას მარილის ნარმოქმნით:



ანუ




ჰიდროლიზი რთული ეთერების უმნიშვნელოვანესი უნარია. მარტივი ეთერები ჰიდროლიზს არ განიცდის.



სხვა სურნელოვან ნივთიერებებთან ერთად, რთული ეთერები, ხილის ესენციების სახით, გამოიყენება ხილის წვენების, გამაგრილებელი სასმელების, საკონდიტრო ნაწარმის ნარმოებაში, აგრეთვე სურნელოვან ნივთიერებებად – პარფიუ-მერიაში.

უჯერი რთული ეთერები – მეთილაკრილატი $CH_2=CH-COOCH_3$ და მეთილმეტაკრილატი



მაგალითად, პოლიმეთილაკრილატი გამოიყენება ხელოვნური ტყავისა და წებოების ნარმოებაში, ხოლო პოლიმეთილმეტაკრილატი – ორგანული მინის – პლექსიგლაზის (გ), კბილის პროთეზების, საათის მინების ნარმოებაში.

■ განამტკიცეთ შესავალი მასალა

■ პროპილფორმიატის ეთერითზე დადგინეთ კავშირი რთული ეთერის ჰიდროლიზისა და ეთერიცვაციის რეაციის შორის. ახსენით, რატომ არს ამ ეთერის ჰიდროლიზი მჟავა არეში შექცევადი, ხოლო ტუტე არეში – შეუქცევადი. პროპილფორმიატის მაგალითზე მიუთითოთ რთულეთერული ბმა.


■ რეაქციები და შეფასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.

- მუავა არეში რთული ეთერების ჰიდროლიზი ... არ მიმდინარეობს.
- ტუტე არეში რთული ეთერების ჰიდროლიზი ... რეაქციაა, რადგან ... ერთმანეთთან არ ურთიერთქმდება.
- ეთილაცეტატი უფრო აქროლადია, ვიდრე ძმარმუავა, რადგან
- II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:
- გამარილა თუ არა გაკვეთილმა თქვენი მოლოდინი?

■ III. შეასრულეთ დავალებები:

- ა 1. განსაზღვრეთ გამონათქვამები, რომლებიც მართებულია მეთილფორმინატისთვის:
1. აქროლადი სითხეა
 2. აქს სასიამოვნო სუნი
 3. შეიცავს $-\text{OH}$ ჯგუფს
 4. წყალში ხსნადია
 5. განიცდის ჰიდროლიზს
2. მიუთითოთ რთული ეთერების გამოყენების სფეროები:
- | | |
|---------------------------------------|--------------------------|
| 1. გამაგრილებელი სასმელების წარმოება | 2. გამხსნელი |
| 3. სურნელოვანი ნივთიერებების წარმოება | 4. პლასტმასების წარმოება |
- ბ 3. დაასახელეთ რთული ეთერი:



4. 17, 6 გ რთული ეთერის ჰიდროლიზისას მიიღეს ნაჯერი ერთფუძიანი მუავა და 12 გ პროპილის სპირტი. განსაზღვრეთ მუავა.

გ 5. მიუთითოთ, რა არის სწორი და რა - არასწორი რთული ეთერებისთვის. პასუხი დაასაბუთეთ.

	დასხ (+)	არა (-)
მუავა არეში რთული ეთერის ჰიდროლიზით შეიძლება საპნის მიღება		
მეთილფორმინატის დუღილის ტემპერატურა მეტია, ვიდრე მეთანოლისა		
მეთილფორმინატის დუღილის ტემპერატურა მეტია, ვიდრე მეთანმუავასი		
უმაღლესი კარბონმჟავების რთული ეთერები წყალში იხსნება		
მეთილფორმინატის მოლეკულებს შორის წყალბადური ბმა არ წარმოიქმნება		

6. განსაზღვრეთ, შესაბამისად, X, Y და Z ნივთიერებები.



1. $\text{C}_2\text{H}_5\text{ONa}$ 2. Na_2CO_3 3. CH_3COONa 4. CO_2 5. NaOH

დ 7. დაახასიათეთ რთული ეთერების ფიზიკური და ქიმიური თვისებებები. შეადგინეთ შესაბამისი რეაქციების ტოლობები.

8. შეადგინეთ გარდაქმნათა ტოლობები:



3.4. ცხიმები

• გაიხსენოთ განვითარები მასალა •

— რომელი ნივთიერებები წარმოიქმნება გლიცერინისა და უმაღლესი კარბონმჟავების ურთიერთქმედების შედეგად?

წარმოშობის,
აგრეგატული
მდგომარეობისა და
შედგენილობის
მიხედვად ცხიმის
უმნიშვნელოვანესი
ფუნქცია ადამიანის
ორგანიზმის არის
ორგანიზმის ენერგიით
მომარაგება.




— რომელი ორი
ქიმიური
გარდაქმნის
შედეგად
ასრულებს
ცხიმები
ორგანიზმში
მითითებულ
ფუნქციას?

ცხიმები წარმოადგენს გლიცერინისა და, უპირატესად, უმაღლესი ურთიერთქმედების კარბონმჟავების რთულ ეთერებს. მათი ზოგადი სახელწოდებაა ტრიგლიცერიდები.


საქმიანობა • ცხიმების შედგენილობა,
აგრეგატული მდგომარეობა და
წარმოშობა. სქემის მიხედვით
განსაზღვრეთ ურთიერთკავშირი
ცხიმების წარმოშობას, აგრეგატულ
მდგომარეობასა და ცხიმში მჟავას
ნაშთის აღნაგობას შორის.

იმსჯელეთ:

- რომელი ფერითაა გამოსახული
ცხიმის ქონისა და ზეთიუნის ზეთის
ჯგუფის ცხიმების შემაერთებელი
ხაზები? პასუხი დაასაბუთეთ.



ცხიმებს წარმოქმნის ძირითადად პალმიტინის, სტეარინისა და ოლეინის მჟავები. სტეარინმჟავას ტრიგლიცერიდი სინთეზური გზით პირველად გლიცერინისა და სტეარინმჟავას ურთიერთქმედებით მიიღეს (1854 წ., ბერთლო):






მ. ბერთლონ
(1827-1907)
ფრანგი
ქიმიკოსი

• სინთეზურად მიიღო ორგანულ ნივთიერებათა დიდი რიცხვი (ეთილის სპირტი, ჭიანჭველ-მჟავა, ცხიმები და სხვ.).

კლასიფიკაცია და აღნაგობა. ცხიმებს ყოფენ წარმოშობის მიხედვით – მცენარეულად და ცხოველურად, აგრეგატული მდგომარეობის მიხედვით – მყარად და თხევადად, შედგენილობის მიხედვით – ძირითადად, უმაღლესი კარბონმჟავების უჯერი და ნაჯერი ნაშთის შემცველად.

მყარ ცხიმებს წარმოქმნის უპირატესად ნაჯერი – პალმიტინის ($C_{15}H_{31}COOH$) და სტეარინის ($C_{17}H_{35}COOH$) – მჟავები. თხევად ცხიმებს (ზეთებს) წარმოქმნის უჯერი – ოლეინის ($C_{17}H_{33}COOH$), ლინოლის ($C_{17}H_{31}COOH$) და ლინოლენის ($C_{17}H_{29}COOH$) – მჟავები.

ჩვეულებრივ, ტრიგლიცერიდების შედგენილობაში შედის არა ერთი, არამედ სხვადასხვა მჟავას ნაშთები. ასეთ ცხიმებს შერეული ცხიმები ეწოდება:




- **იცით თუ არა, რომ...** • ლინოლისა და ლინოლენის მჟავები (შეუცვლელი მჟავები) არ სინთეზირდება ორგანიზმში, ამიტომ ისინი ორგანიზმში ხვდება მხოლოდ საშუალებით.
- ზოგჯერ ცხიმების შედგენილობაში შედის დაბალმოლეკულური კარბონმჟავებიც; მაგალითად, კარაქი შეიცავს ერბომჟავას (C_3H_7COOH) რთულ ეთერს.

ფიზიკური თვისებები. ცხიმები წყალზე მსუბუქია და წყალში არ იხსნება. ისინი კარგად იხსნება ორგანულ გამხსნელებში, მაგალითად ბენზოლში, ჰექსანში და სხვ. ბუნებრივი მყარი ცხიმები სხვადასხვა ტრიგლიცერიდების ნაჯევებია, ამიტომ ისინი ლლება არა განსაზღვრულ ტემპერატურაზე, არამედ ტემპერატურის გარკვეულ შუალედში.

როგორც წესი, ცხოველური ცხიმები (კარაქი, თხის ქონი, ცხვრის ქონი და სხვ.) მყარია, ხოლო მცენარეული ცხიმები, ანუ ზეთები (მაგალითად, მზესუმზირას, ზეთუნის, სიმინდის ზეთები) – თხევადი. თუმცა ცნობილია ცხოველური წარმოშობის თხევადი ცხიმები (თევზის ქონი) და მცენარეული წარმოშობის მყარი ცხიმები (პალმის ზეთი).


- **იცით თუ არა, რომ...** • სუფთა ცხიმები უფერო, უსუნო, უგემო ნივთიერებებია. ცხიმების ფერი, სუნი და გემ განაპირობებულია მათში გახსნილი სხვა ნივთიერებებით; მაგალითად, მარგარინის უფალ ფერს განაპირობებს კაროტინი, რომელსაც მარგარინს დამზადების პროცესში უმატებენ.

ქიმიური თვისებები. ცხიმები განიცდის ჰიდროლიზს. ჰიდროლიზის შედეგად წარმოიქმნება ვლიცერინი და კარბონმჟავები:




ცხიმები, რომლებსაც საკვების სახით ვიღებთ, საჭმლის მომნელებელ ორგანოებში განიცდის ჰიდროლიზის ფერმენტ ლიპაზას ზემოქმედებით. ჰიდროლიზის პროცესებისგან – გლიცერინისა და კარბონმჟავებისგან – სხვა ფერმენტების მოქმედებით წარმოქმნება ამ ორგანიზმისთვის დამახასიათებელი ახალი ცხიმები.

ცხიმების ჰიდროლიზი შექცევადი პროცესია. ჰიდროლიზის სოდის ან ტუტის თანაბით ჩატარებისას პროცესი შეუქცევადი ხდება:



ვინაიდან ადრე საპონს ამ მეთოდით იღებდნენ, ტუტე არეში ცხიმის ჰიდროლიზს ცხიმის გასაპვნა ეწოდება.

თხევადი ცხიმების შედგენილობაში არსებული C=C ბმების ჰიდრირებისას ზეთები გარდაიქმნება მყარ ცხიმებად:



ეს რეაქცია მრეწველობაში გამოიყენება მცენარეული ცხიმებისგან მარგარინის მისაღებად. მარგარინი ჰიდრირებული ცხიმის, ცხოველური ცხიმის, რძისა და სხვა ნივთიერებების (მარილების, შაქრის, ვიტამინების და სხვ.) ნარევია.

• ცირი თუ არა, რომ... • ტრანს-ცხიმოვანი მჟავები. ცხიმოვანი მჟავების ტრანს-იზომერები გვხვდება ბუნებრივ ნივთიერებების და წარმოებაში მიღებულ საკვებ პროდუქტებშიც. ჩვეულებრივ, ბუნებრივ ხორც- და რძის პროცესებში მათი შემცველობა 5-8%-ია. სანარმოო პროცესშიც ტრანს-ცხიმები მიიღება თხევადი ცხიმების ჰიდრირების პროცესში; მაგალითად, მარგარინის წარმოებისას წარმოქმნება 20-30% ტრანს-ცხიმები (სრული ჰიდრირებისას მიღებული ცხიმი მეტისმეტად მაგარის).

საკვებში ტრანს-ცხიმების გამოიყენება ნიადაგს ქმნის გულ-სისხლძარღვთა და ავთვისებიაზი დავადებულებისთვის, აგუთვე ლვიძლის დავადებისა და შაქრიაზი დიაბეტისთვის. ამიტომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) აკრძალა ან მეტაცრად შეზღუდა ტრანს-ცხიმების შემცველი სამრეწველო პროცესების გამოყენება.

ბევრი საკვები პროდუქტის ეტიკეტზე მითითებულია, რომ ეს პროცესები არ შეიცავს ტრანს-ცხიმებს.

გამოყენება. მრეწველობაში ცხიმები გამოიყენება გლიცერინის, კარბონული გვების, საპნის მისაღებად.

ცხიმები, როგორც საკვები პროდუქტების შემადგენელი ნაწილი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ისინი გვევლინება ორგანიზმის ენერგიის ძირითად წყაროდ. ცხიმების დაუანგრისას წარმოქმნილი ენერგია დაახლოებით 2-ჯერ მეტია ნახშირწყლებისა ან ცილების დაუანგრისას წარმოქმნილ ენერგიასთან შედარებით:

ცხიმი – 39 კჯ/გ; ცილა – 19 კჯ/გ; ნახშირწყალი – 17 კჯ/გ.

■ ბანაზტკიცეთ შესრულებული მასალა

■ **შეადგინეთ შესაძლო ტრიგლიცერიდების ფურმულები, რომელთაგან თითოეული შეიცავს სხვადასხვა მუჟავურ ნაშთს (A, B, C).**

■ რეფლექსია და შეფასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამონეთ მათი სისწორე.

- ... რეაქციით თხევადი ცხიმებისგან შეიძლება მივიღოთ მყარი ცხიმები.
- მყარი ცხიმები, ჩვეულებრივ, შეიცავს ... მუჟავების ნაშთებს.
- თხევადი ცხიმები ძირითადად ... წარმოშობისაა.

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

– სად შეძლებთ გაკვეთილზე შესწავლითი გამოყენებას?

■ III. შეასრულეთ დავალებები:

ა 1. დაამყარეთ შესაბამისობა:

- ჩვეულებრივ, შეიცავს ნაჯერი კარბონმუჟავების ნაშთებს;
- ჩვეულებრივ, შეიცავს უჯერი კარბონმუჟავების ნაშთებს;
- ძირითადად მცენარეული წარმოშობისაა;
- ძირითადად ცხოველური წარმოშობისაა;
- ორგანიზმში განიცდის ჰიდროლიზს.

მყარი ცხიმები —

თხევადი ცხიმები —

2. რომელი სქემები ასახავს ცხიმების გასაპვნას?

- ცხიმი + HOH $\xrightarrow{\text{ფერმენტები}}$
- თხევადი ცხიმი + NaOH \rightarrow
- ცხიმი + Na₂CO₃ \rightarrow
- მყარი ცხიმი + KOH \rightarrow

ბ 3. დაამყარეთ შესაბამისობა:


- ცხვრის ქონი
- თევზის ქონი
- ზეითუნის ზეთი
- ქორისის ზეთი
- ბამბის ზეთი
- სიმინდის ზეთი

მყარი ცხიმები —


თხევადი ცხიმები —

4. 133 გ მყარი ცხიმის ჰიდროლიზისას ნარმოიქმნა ერთი ნაჯერი კარბონმჟავა და 15,18 გ გლიცერინი. განსაზღვრული მუჟავას ფორმულა. $M_r(\text{გლიცერინი}) = 92$.


5. ტრიგლიცერიდების შედგენილობაში შედის ა, ბ და გ პუნქტებში მოცემული მუჟავებს ნაშთები. განალაგეთ ეს ტრიგლიცერიდები დნობის ტემპერატურის ზრდის მიხედვით:
- ა. პალმიტინის, პალმიტინის, სტეარინის
 - ბ. ოლეინის, სტეარინის, პალმიტინის
 - გ. ოლეინის, ლინოლის, ოლეინის
6. მიუთითოთ, შესაბამისად, თხევადი და შერეული ცხიმების ფორმულები:



1.



2.



3.

- დ 7. აღნერეთ ცხიმების ქიმიური თვისებები და შეადგინეთ შესაბამისი რეაქციების ტოლობები.
8. ნახშირბადის რამდენ ატომს შეიცავს კარბონმჟავების მოლეკულები, რომლებიც ნარმოქმნის, შესაბამისად, ტრიპალმიტებსა და ტრიოლეატებს.

გაკვეთილის
შემსახვევა

მოამზადეთ რეფერატი ცხიმების შესახებ.

რეფერატის სარეკომენდაციო გეგმა:

ცხიმების ბუნებაში გავრცელება;

ცხიმების როლი ადამიანის ორგანიზმში;

ცხიმების გამოყენება სხვადასხვა სფეროში;

ცხიმების ნარმოება;

ცხიმების ნარმოების ნარჩენების გავლენა გარემოზე.

LAYIH

3.5. საპონი და სხვა სინთეზური სარეცესი საშუალებები

- გაიცემთ განვითარებული გასაღა •

- რატომ არ არის მიზანშეწონილი საპნით რეცხვისას ხისტი წყლის გამოყენება?
- პალმიტინმჟავას მოლეკულის რომელი ნანილია პიდროფილური და რომელი - ჰიდროფილური?

საპონის ამზადებდნენ ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე 2800 წლის წინ, შუმერსა და ბაბილონში. ძველი ჩანაწერების თანხმად, საპონის იღებდნენ ქუნჯუტის ზეთის, ტუტის, წყლისა და ლაიმის (ციტრუსოვანი მცენარე) წვენის ნარევის დუღილით.



- ამ ინფორმაციის თანახმად, რისგან შედგება საპნის ძირითადი ნაწილი?

• საპონი

საპნები უმაღლესი კარბონმჟავების ნატრიუმისა და კალიუმის მარილებია.

საქმიანობა • საპნისა და სინთეზური სარეცხი საშუალებების რეცხვითი თვისებების შედარება.

უზრუნველყოფა: ორი სინჯარა, კალციუმის ქლორიდის ხსნარი, საპონი, სინთეზური სარეცხი ფხვნილი.

სამუშაოს მსვლელობა: ორ სინჯარაში ჩაასხით 3-4 მლ ხისტი წყალი (მაგალითად კალციუმის ქლორიდის ხსნარი). ერთ მათგანს წვეთობით დაუმატეთ საპნის ხსნარი, მეორეს - სინთეზური სარეცხი ფხვნილის ხსნარი, თან სინჯარების შიგთავსი განუწყვეტლივ ანჯლრით.

იმსჯელეთ:


- რომელ სინჯარაში დაგჭირდათ მეტი მოცულობის სარეცხი ხსნარის დამატება მდგრადი ქაფის ნარმოსაქმნელად?
- რომელი სარეცხი სისტემა ინარჩუნებს რეცხვით თვისებებს ხისტ წყალში? რატომ?

ჩვეულებრივი საპონი შედგება პალმიტინის, სტეარინისა და ოლეინის მჟავების მარილთა ნარევისგან. ნატრიუმის მარილები შეადგენს მყარი საპნის, ხოლო კალიუმის მარილები - თხევადი საპნის ძირითად ნანილს. კალიუმის მარილები, ნატრიუმის მარილებთან შედარებით, წყალში უკეთ იხსნება და, ამ მიზეზით, უკეთესი რეცხვითი უნარით გამოირჩევა.

დღეისათვის საპნის ნარმობისთვის აუცილებელ კარბონმჟავებს, ძირითადად, ნავთობის პარაფინების დაუანგვით იღებენ:




მყარი და თხევადი საპნის ძირითად ნანილის შემადგენელი მარილები შეიძლება მივიღოთ შემდეგი რეაქციებით:



მიღებულ მარილებს უმატებენ გლიცერინს, საღებავებს, სურნელოვან და ანტისეპტიკურ ნივთიერებებს, აგრეთვე მცენარეულ ექსტრაქტებს და იღებენ საპონს.

ხისტ წყალში საპონი ცუდად რეცხავს, რადგან საპნის შედგენილობაში არსებული მჟავური ნაშთები ხისტი წყლის შედგენილობაში არსებულ Ca^{2+} და Mg^{2+} ონებთან ნალექს წარმოქმნის. შედეგად საპნის რეცხვითი თვისებები მცირდება:



მეორე მხრივ, საპნის ჰიდროლიზისას წარმოქმნილი ტუტე არე გავლენას ახდენს ქსოვილზე, აუარესებს რა მის ხარისხს. ამიტომ ყოფასა და მრეწველობაში, საპნების გვერდით, იყენებენ აგრეთვე სინთეზურ სარეცხ საშუალებებს, რომლებსაც აღნიშნული წაკლოვანები არ გააჩნია.

• სინთეზური სარეცხი საშუალებები

სინთეზური სარეცხი საშუალებები უმაღლესი ერთატომიანი სპირტებისა და გოგირდმჟავას მჟავა რთული ეთერების წატრიუმის მარილებია.

ზოგადი სახით სინთეზური სარეცხი საშუალებების წარმოქმნა შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ორი ტოლობის სახით:




ჩვეულებრივ, უმაღლესი სპირტების მოლეკულებში R წარმოადგენს არაგან-შტოებული ალნაგობის მქონე ნაჯერი, არომატული და სხვ. ნახშირწყალბადის რადიკალს.

შეისწავლა

საპნის „მოლეკულას“ აღნაგობა

პალმიტატ-იონის რომელ ნაწილს აქვს სწრაფვა წყლისადმი და რომელს – ცხიმებისადმი?





წყალში წატრიუმის პალმიტატის „მოლეკულა“ დისოცირდება პალმიტატ-იონად და ნატრიუმის იონად. პალმიტატ-იონის უარყოფითად დამუხტული კარბოქსილის ჯგუფი, იზიდავს რა წყლის პოლარულ მოლეკულებს, ამჟღავნებს წყლისადმი სწრაფვას.

პალმიტატ-იონის დაუმუხტავი და არაპოლარული ნახშირწყალბადოვანი რადიკალი (R), ცდილობს რა დაშორდეს წყლის პოლარულ მოლეკულებს, მისიხრაფვის არაპოლარული აღნაგობის მქონე ცხიმებთან კონტაქტისკენ. ამიტომ საპნების ნახშირწყალბადოვან რაციკალს ახასიათებს ცხიმებისადმი სწრაფვა და რეცხვის პროცესში უშუალოდ მონაბიოობს ნივთის ზედაპირიდან ცხიმის ნაწილაკების მოცილებაში.

განსაზღვრეთ სინთეზური სარეცხი საშუალების წარმომქმნელი დოდეცილსულფატის ონის $[CH_3-(CH_2)_{10}CH_2-O-SO_2^-]$ ჰიდროფილური და ჰიდროფობური ნაწილები.

საპნებისა და სინთეზური სარეცხი საშუალებების ფორმულები ზოგადი სახით შემდეგადარჩება შეიძლება გამოვსახოთ:



სინთეზური სარეცხი საშუალებებსაც აქვს ნაკლოვანები. საპნეისგან განსხვავებით, ისინი გამოყენების შემდეგ ბუნებრივ პირობებში არ იშლება, რითაც ზიანს აყენებს გარემოს, სახელდობრ, ანადგურებს ფლორასა და ფაუნას.

სინთეზური სარეცხი საშუალებები გამოიყენება ზოგიერთ დანამატთან – ქაფის სტაბილიზატორებთან, მათეთრებლებთან – ერთად.

კარბონატების განვითარება და განვითარება კარბონატების განვითარება

• იცით თუ არა, რომ... •

• როგორ რეცხავს საპნეი

წყალსხნარში საპნეი „მოლეკულები“

(მაგალითად, $RCOONa$) დისოცირდება Na^+

იონად და მუავას ნაშთის ანიონად. რაცი $RCOO^-$

ანიონის ჰიდროფილური პოლარული

კარბოქსილური ჯგუფები ჰიდრატირდება წყლის

მოლეკულებით, ხოლო მისი რადიკალი R

ჰიდროფობურია, მუავური $RCOO^-$ ნაშთები

ერთად გროვდება, ხარმოქმნის რა საპნეის

მიცელებს, როგორც ეს ა სეემაზეა ნაჩენები.

ჭუჭყანი ნაკეთობის (ქსოვილის) რეცხვისას

საპნეი ნახშირწყალბადვანი რადიკალი აღწევს

ჭუჭყის (ცხმი, ნავთობის ლაქები) ნანილაკებში,


რომელიც არაპოლარული ნივთიერებებისგან

შედგება, მოწყვეტს და „ხსნის“ მათ (გ).

რამდენადაც საპნეი ნანილაკები წყლით სველ-

დება, ისინი აღვილად ირეცხება წყლით.

(გ) საპნეის მიცელის გეერდითი ჭრილი წყალსხნარში



• ჩვეულებრივ, შალისა და აბრეშუმის

ნივთების რეცხვისთვის რეკომენდებულია

ფენოლების გამოყენება, რომლებიც არ შეიცავს

სოდას და ტუტე თვისებების მქონე

სხვა ნივთიერებებს.

ბამბისა და სელის ქსოვილის რეცხვისთვის


რეკომენდებულია სარეცხი ფენოლების

გამოყენება, რომლებიც შეიცავს სოდას,

ნატრიუმის სილიკოტსა და ნატრიუმის

პოლიფოსფატს, ვინაიდან ეს ქსოვილები

მდგრადია ტუტე არემი.



■ ბანამტკიცეთ შესრულებული გასაღა

■ შეადგინეთ ჰექსაფენისგან სინთეზური სარეცხი საშუალების მიღების რეაქციების ტოლობები.

■ რეაქციები და შეფასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.

- ... საპნის წარმოებაში არ შეიძლება სოდის გამოყენება.
- ... დაუანგვა ფართოდ გამოიყენება საპნის წარმოებაში.
- ... ნაკლია მათი რეცხვითი უნარის შემცირება ხისტ წყალში.
- სინთეზური სარეცხი საშუალებების ნაკლია მათი

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

- რას შეცვლიდით გაკვეთილის მსვლელობაში?

■ III. შეასრულეთ დავალებები:

ა 1. მიუთითოთ, შესაბამისად, მყარი და თხევადი საპნების შემადგენელი ნაწილი:

- | | |
|--------------------------------|-----------------------|
| 1. $C_{15}H_{31}COONa$ | 2. $C_{17}H_{35}COOK$ |
| 3. $C_{12}H_{25}-CH_2OSO_2ONa$ | 4. $C_{17}H_{35}COOK$ |

2. განსაზღვრეთ, რომელი გამოთქმებია სწორი მყარ საპნებთან მიმართებაში:

- იღებენ სქემით $C_{17}H_{35}COOH + KOH \rightarrow$.
- იღებენ სქემით $C_{15}H_{31}COOH + Na_2CO_3 \rightarrow$.
- აქვთ უფრო დიდი რეცხვითი უნარი, ვიდრე თხევად საპნებს.

ბ 3. განსაზღვრეთ, რომელი გამოთქმებია სწორი თხევად საპნებთან მიმართებაში:

- შეიძლება მივიღოთ სქემით: მცენარეული ზეთი + $KOH_{b6b} \rightarrow$.
- შეიძლება მივიღოთ სქემით: მყარი ცხიმი + $KOH_{b6b} \rightarrow$.
- იღებენ სქემით $C_{17}H_{35}COOH + K_2CO_3 \rightarrow$.
- ხისტ წყალში ნალექს არ წარმოქმნის.

4. შეადგინეთ ცეტილის სპირტისგან ($C_{15}H_{31}CH_2OH$) ნარმოქმნილი ცეტილსულ-ფატის იონის სტრუქტურული ფორმულა. აჩვენეთ ამ ფორმულაში იონის ჰიდროფილური და ჰიდროფიზური ბოლოები.

გ 5. მიუთითოთ, რა არის სწორი და რა - არასწორი მყარი და თხევადი საპნებისთვის. პასუხი დაასაბუთეთ.

	დიას (+)	არა (-)
აქვთ ერთხაირი უცალი სსნაფლება		
აქვთ ერთნაირი რეცხვითი თვისებები		
წყალსნარმი ნარმოქმნის ტუტე არეს		
წყალსმი ნარმოქმნის ნალექს Ca^{2+} და Mg^{2+} იონებთან		
ხისტ წყალში კარგად ქაფდება		

6. განსაზღვრეთ სწორი გამონათქვამები.

სინთეზური სარეცხი საშუალებები...

1. წარმოადგენს უმალლესი სპირტისა და გოგირდმჟავას მჟავა რთული ეთერის ნატრიუმის მარილებს;
2. რეცხვით უნარს არ კარგავს ხისტ წყალში;
3. არ ახდენს მავნე ზეგავლენას გარემოზე;
4. შეიძლება იყოს $C_{12}H_{25}-CH_2OSO_2ONa$ შედგენილობისა;
5. შეიძლება მივიღოთ თანმიმდევრული ა და ბ სქემების მიხედვით:
 - ა. $C_{12}H_{25}-CH_2-OH + HO-SO_2-OH \rightarrow \dots$
 - ბ. $C_{12}H_{25}-CH_2-O-SO_2-OH + NaOH \rightarrow \dots$

7. შეადგინეთ ცეტილის სპირტიდან ($C_{15}H_{31}CH_2OH$) სინთეზური სარეცხი საშუალების მიღების რეაციების ტოლობები. დაასახელოთ შუალედური და საბოლოო ნივთიერებები.

8. შედგენილობისა და აღნაგობის მხრივ, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სპირტი, რომ ის გამოვიყენოთ სინთეზური სარეცხი საშუალების მისაღებად?

გაკვეთილის შემდეგ

გამოიყენეთ დავალების ნიმუში (კითხვა 1) და უპასუხეთ ისრების ნომრების შესაბამის კითხვებს სქემაში „სინთეზური სარეცხი საშუალებები“.

1. სად გამოიყენება?
2. რომელ სარეცხ საშუალებებს იყენებენ?
3. როგორ უარყოფით გავლენას ახდენს ისინი ადამიანებზე და ქსოვილის ნაკეთობებზე რეცხვისას?
4. რას აკეთებენ ადამიანები ამ უარყოფითი ზეგავლენის აღსაკვეთად?
5. როგორ გავლენას ახდენს სინთეზური სარეცხი საშუალებები ეკოსისტემაზე?

სინთეზური
სარეცხი
საშუალებები

1

ყოფაში

2

?

3

?

4

?

5

LAYIH

1. კარბონმჟავები, რთული ეთერები, ცხიმები და საპნები ჟანგბადშემცველ ორგანულ ნაერთებს მიეკუთვნება.
2. კარბონმჟავას ფუძიანობა განისაზღვრება მის მოლეკულაში კარბოქსილის ჯგუფების რიცხვით.
3. ნაჯერი ერთფუძიანი კარბონმჟავები რთული ეთერების კლასთაშორისი იზომერებია.
4. ძმარმჟავას იღებენ ძმრის ალდეჰიდისა და ბუტანის კატალიზური დაუანგვით.
5. მრეწველობაში ჭიანჭველმჟავას იღებენ მეთანის კატალიზური დაუანგვით.
6. მრეწველობაში უმალეს კარბონმჟავებს იღებენ მოლეკულაში 28-36 ნახშირბადის ატომის შემცველი ალკანების კატალიზური დაუანგვით.
7. ნაჯერი ერთფუძიანი კარბონმჟავების, ნახშირბადის ატომების ისეთივე რიცხვის შემცველ სპირტებთან შედარებით, მაღალი დუღილის ტემპერატურა განპირობებულია მჟავებში წყალბადური ბმების მეტი სიმტკიცით.
8. ნაჯერი კარბონმჟავების რიგის პირველი ნარმომადგენლები წყალს ერევა წებისმიერი თანაფარდობით, რადგან მათი მოლეკულები წყალბადურ ბმებს ნარმოქმნის წყლის მოლეკულებთან.
9. აკრილმჟავა – უჯერი, ხოლო ბენზინის მჟავა არომატული მჟავაა.
10. კარბონმჟავების პირველი ნარმომადგენლები სუსტი ელექტროლიტებია: მათი სსნარები ლაქმუსის ლურჯ ქაღალდს წითელ შეფერვას აძლევს.
11. ძმარმჟავას მარილებს ენოდება აცეტატები, ჭიანჭველმჟავას მარილებს – ფორმიატები.
12. ჭიანჭველმჟავა ყველაზე ძლიერია ჰომოლოგიურ რიგში და, რიგის სხვა წევრებისგან განსხვავებით, შედის „ვერცხლის სარკის“ რეაქციაში.
13. პალმიტინის, სტეარინის და ოლეინის მჟავები უმაღლესი კარბონმჟავებია.
14. უმაღლესი კარბონმჟავები გლიცერინთან რთულ ეთერებს ნარმოქმნის.
15. პალმიტინისა და სტეარინის მჟავების ნატრიუმის მარილები – მყარი საპნის, ხოლო კალიუმის მარილები თხევადი საპნის ძირითადი შემადგენლი ნანიღებია.
16. უჯერი ცხიმოვანი მჟავები დწება უფრო დაბალ ტემპერატურაზე, ვიდრე ნაჯერი ცხიმოვანი მჟავები ნახშირბადის ატომების ისეთივე რიცხვით.
17. მჟაუნმჟავა და ტერეფთალის მჟავა ორთუძიანი მჟავებია.
18. ეთერიფიკაციის რეაქცია შექცევადი რეაქციაა.
19. რთული ეთერების უმნიშვნელოვანესი თვისებაა ჰიდროლიზი.
20. ცხიმები გლიცერინისა და უმაღლესი კარბონმჟავების რთული ეთერებია.
21. ცხოველური ცხიმები, ჩვეულებრივ, მყარი ნივთიერებებია, ხოლო მცენარეული ცხიმები – ძირითადად თხევადი ნივთიერებები.
22. გასაპენა არის ცხიმების ჰიდროლიზი ტუტის (ან სოდის) თანაობისას.
23. მცენარეული ცხიმების ჰიდროლიზა გამოიყენება მარგარინის ნარმოებაში.
24. სინთეზური სარეცხი საშუალებები უმაღლესი ერთატომიანი სპირტებისა და ვეგინდჟჟავას რთული მჟავა ეთერების ნატრიუმის მარილებია.

- შეადგინეთ პროპიონისა და ერბოს მჟავების მოლეკულური და სტრუქტურული ფორმულები.
- დაასახელეთ მჟავები და მიუთითოთ, მათგან რომლის მოლეკულა შეიცავს $C=C$ ბმას.

1. $C_{15}H_{31}COOH$	2. $C_{17}H_{29}COOH$
3. $C_{17}H_{35}COOH$	4. $C_{17}H_{33}COOH$
- განალაგეთ მჟავები რიგში დნობის ტემპერატურის ზრდის მიხედვით.

1. $C_{15}H_{31}COOH$	2. $C_{17}H_{31}COOH$
3. $C_{17}H_{35}COOH$	4. $C_{17}H_{33}COOH$
- დახატეთ ჭიანჭველმჟავას და წყლის მოლეკულებს შორის წყალბადური პმის ნარმოქმნის სამი შესაძლო სქემა.
- განალაგეთ მჟავები რიგში მჟავური თვისებების ზრდის მიხედვით.

1. CFH_2COOH	2. CH_3COOH
3. $CClH_2COOH$	4. $CBrH_2COOH$
5. CIH_2COOH	
- შეადგინეთ ნატრიუმის ფორმიატიდნ მხუთავი აირის მიღების რეაქციათა სქემები.
- დაასახელეთ სქემები და დაასახელეთ რეაქციების ორგანული პროდუქტები.
 - $C_{15}H_{31}COOH + NaOH \rightarrow$
 - $C_{17}H_{33}COOH + Na_2CO_3 \rightarrow$
 - $C_{15}H_{31}COOH + C_2H_5OH \xrightarrow{t, H_2SO_4}$
 - $CH_2=CHCOOH + CH_3OH \xrightarrow{t, H_2SO_4}$
- დაადგინეთ, რომელი გამონათქვამები შეესაბამება მოცემულ როულ ეთერებს:
 - შედის ჰიდროლიზის რეაქციაში
 - შედის შექცევად რეაქციაში
 - შედის შეუქცევად რეაქციაში
 - ისნება წყალში
 - დუღს უფრო დაბალ ტემპერატურაზე, ვიდრე ეთანოლი

$C_{15}H_{31}COOC_2H_5$ _____
 $HCOOC_2H_5$ _____
- დაასახელეთ რეაქციები და მათი პროდუქტები:
 - პალმიტინის ტრიგლიცერიდი + $H_2O \rightarrow$
 - ოლეინის ტრიგლიცერიდი + $H_2O \rightarrow$
 - სტეარინის ტრიგლიცერიდი + $NaOH_{\text{ხს}}$ →
 - ოლეინის ტრიგლიცერიდი + $H_2 \xrightarrow{t, \text{კატ.}}$
- მიუთითოთ ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება სარეცხი საშუალებების ნარმოებაში:
 - $NaOH$
 - H_2SO_4
 - KOH
 - Na_2CO_3
 - $C_{15}H_{31}CH_2OH$
 - $C_{15}H_{31}COOH$

მყრი საპონი _____
 თხევადი საპონი _____
 სინთეზური სარეცხი საშუალება _____



ნეიტრ

ჩანგაზოვოცვალი
ორგანიზი
ნართაბი

თავი

4

ნახშირცყლები (საქარიდები)

4.1. მონოსაქარიდები

- 4.1.1. გლუკოზა: აღნაგობა და ფიზიკური თვისებები
- 4.1.2. გლუკოზა: ქიმიური თვისებები და გამოყენება
- 4.1.3. ფრუქტოზა, რიბოზა და დეზოქსირიბოზა

4.2. დისაქარიდები

- 4.2.1. საქაროზა


4.3. პოლისაქარიდები

- 4.3.1. სახამებელი
- 4.3.2. ცელულოზა

პრაქტიკული სამუშაო 2. კარბონმჟავების, რთული ეთერების, სარეცხი საშუალებების და ნახშირწყლების ქიმიური თვისებები

LAWITH

- ნახშირწყლები
- მონოსაქარიდები
- დისაქარიდები
- პოლისაქარიდები
- გლუკოზია
- ტაუტომერია
- ალდეჰიდსპირტი
- სორბიტი
- გლუკონმჟავა
- გლიკოზიდური ჯგუფი
- ფრუქტოზა
- გალაქტოზა
- რიბოზა
- დეზირიბოზა
- საქაროზა
- მალტოზა
- ლაქტოზა
- სახამებელი
- გლიკოგენი
- ამილოზა
- ამილოპექტინი
- ცელულოზა
- პიროგ्लიკოზი
- აცეტატური
- აბრეშუმი
- ვისკოზური
- აბრეშუმი



ნახშირწყლები ფართოდაა გავრცელებული, განსაკუთრებით, მცენარეთა სამყაროში. მცენარეთა მშრალი ნივთიერების 80% ნახშირწყლების წილად მოდის, მაშინ როცა ცხოველთა ორგანიზმებში ისინი მშრალი მასის მხოლოდ 2%-ს შეადგენს.

მცენარეთა მიერ სინთეზირებული ნახშირწყლები ცხოველური ორგანიზმების საკვებ პროდუქტად გვევლინება.

ადამიანის ორგანიზმში ნახშირწყლებს, უპირველეს ყოვლისა, ენერგეტიკული ფუნქცია აქვთ: გლუკოზის დაუსწოვისას გამოიყოფა ორგანიზმის ცხოველქმედებისთვის აუცილებელი ენერგია. გლუკოზა ორგანიზმში ნარმოიქმება დისაქარიდებისა და სახამებლის ჰიდროლიზით. გარდა ამისა, გალაქტოზა და ფრუქტოზაც გარდაიქმნება გლუკოზად (ლვიძლში). ამიტომ სისხლში მონოსაქარიდებიდან მხოლოდ გლუკოზა შედის (დაახლოებით 0,1%). სისხლში არსებული გლუკოზის 60% იხარჯება ადამიანის თავის ტვინის მუშაობაზე. ითვლება, რომ ძველი ადამიანების საკვეპში სახამებლის შემცველობამ ხელი შეუწყო აზროვნების განვითარებას, რამაც ევოლუციამდე მიგვიყვანა.

მრწველობაში ნახშირწყლების გარდაქმნები საფუძვლად უდევს დუღილის, მერქნის ქიმიური გარდაქმნის, ქსოვილებისა და ქალაოდის დამზადების პროცესებს.

ამჟამად ნახშირწყლებისადმი დიოთ ინტერესი დაკავშირებულია სახამებლისა და ცელულოზის ბაზაზე ხელოენური პოლიმერების სინთეზის შესაძლებლობასთან, რომლებიც, გამოყენების შემდეგ, ადვილად იშლება მიკროორგანიზმებით ბუნებრივ პირობებში, არ აჭუჭადანებს რა გარემოს.

LAW

გაიხსენეთ IX კლასში შესწავლილი მასალა და შეასრულეთ დავალებები:

1. ახსენით სიტყვა „ნახშირწყლების“ მნიშვნელობა. რატომ ეწოდება ნახშირწყლებს საქარიდებიც?
2. რომელი ზოგადი ფორმულები ($n \geq 3$) გამოსახავს ნახშირწყლების შედგენილობას?
 - ა. $C_nH_{2m}O_m$
 - ბ. $C_nH_{2n}O_2$
 - გ. $C_n(H_2O)_m$
 - დ. $C_nH_{2n+2}O_3$
3. რაში მდგომარეობს ბუნებაში ნახშირწყლების წარმოქმნის თავისებურება?
4. განსაზღვრეთ მონოსაქარიდები:
 - ა . საქაროზა
 - ბ . ფრუქტოზა
 - გ . სახამებელი
 - დ . გლუკოზა
5. განსაზღვრეთ თაფლისა და ჩვეულებრივი შაქრის ფხვნილის ძირითადი შემადგენელი კომპონენტები:
 - ა . საქაროზა
 - ბ . ფრუქტოზა
 - გ . დეზოქსირიბოზა
 - დ . გლუკოზა


თაფლი _____ შაქრის ფხვნილი _____
6. განსაზღვრეთ საქარიდები, რომლებიც განიცდის ჰიდროლიზს:
 - ა . მონოსაქარიდები
 - ბ . დისაქარიდები
 - გ . პოლისაქარიდები
7. რომელი ნივთიერებით საზღვრავენ სახამებელს?
8. მიუთითეთ მერქნის ძირითადი კომპონენტი.
 - ა . ცილა
 - ბ . სახამებელი
 - გ . ცელულოზა
 - დ . გლიკოგენი

თავი 4 ნახშირნყლები (საქარიდები)


„ნახშირნყალი“
ნიშნავს „ჰიდრატი-
რებულ ნახშირბადს“
(ნახშირბადის
ჰიდრატს).

ნახშირნყლები ორგანული ნივთიერებებია, რომლებიც შეიცავს ჰიდროქსილის ჯგუფებს, აგრეთვე ალდეპიდის ან კარბონილის ჯგუფს. სახელწოდება ნახშირნყლები იმასთანაა დაკავშირებული, რომ მათი პირველად შესწავლილი ნარმომადგენლები შედგენილობით შეესაბა-
მებოდა ნახშირბადისა და წყლის ნაერთებს $C_n(H_2O)_m$ ($n \geq 3$). შემდეგ ცნობილი გახდა, რომ არსებობს ნახშირნყლები, რომელთა შედგენილობა არ შეესაბამება ამ ფორმულას, მაგალითად $C_6H_{12}O_5$ რამნოზა, $C_5H_{10}O_4$ დეზოქსირიბოზა. მიუხედვად ამისა, სახელწოდება ნახშირნყლები შემორჩინა.

ნახშირნყლებს ყოფენ მონოსაქარიდებად, დისაქარიდებად და პოლისაქა-
რიდებად:



ალდეპიდის ჯგუფის შემცველ მონოსაქა-
რიდებს ენოდება **ალდოზები**, კეტონის
ჯგუფის შემცველს – **კეტოზები**.
მოლეკულაში ნახშირბადის ატომების
რიცხვის მიხედვით მონოსაქარიდებს ყოფენ ტრიოზებად ($n=3$), ტეტროზებად ($n=4$), პენტოზებად, ($n=5$), ჰექსოზებად ($n=6$) და ა.შ. მაგალითად გლუკოზა ალდოპექსოზაა, ხოლო ფრუქტოზა – კეტოპექსოზა.



- იცით თუ არა, რომ... •
- მიუხედავად იმისა, რომ ფორმალდეპიდის (CH_2O), ძმარმუავას $[\text{C}_2(\text{H}_2\text{O})_2]$ და სხვა ორგანული ნივთიერებებს შედგენილობა შეესაბამება ფორმულას $C_n(H_2O)_m$, ისინი თვისებებით ერთმანეთისგან განსხვავდება.
- ლათინური სიტყვა *saccharum* ითარგმნება, როგორც „შაქარი“.

რიბოზა $[C_5H_{10}O_5]$ და დეზოქსირიბოზა $[C_5H_{10}O_4]$ პენტოზებს მიეკუთ-
ვნება.

4.1. მონისაქარიზმები

4.1.1. გლუკოზი: ალნაგორა და ფიზიკური თვისებები

- გაიცემოთ განვითარების მასალა •
 - რომელი ჯგუფებია სპირტებისა და ალდეპიდების ფუნქციური ჯგუფები?
 - როგორ თვისებებს ავლენს ამ ფუნქციური ჯგუფების შემცველი ნივთიერებები?

ადამიანის საქმიანობისთვის
აუცილებელი ენერგიის თითქმის
ნახევარი სისხლში გახსნილი
გლუკოზის გარდაქმნებზე მოდის.


- რომელ რეაქციაში შედის გლუკოზა ამ გარდაქმნის მიმღილანერიბისას?
- რა გზით ალდგება სისხლში გლუკოზის შემცველობა მისი შემცირებისას?

საქმიანობა • გლუკოზის ალნაგობა და ფაზიკური თვისებები. შეადარეთ გლუკოზის სქემაზე მოცემულ ნივთიერებებს და აღნიშნეთ მათი საერთო თავისებურებანი.




იმსჯელები: როგორ უკავშირდება გლუკოზის მცრო აგრეგატული მდგომარეობა და ნებალში კრის სსნადობა მის აღნაგობას?

ბუნებაში გლუკოზას შეიცავს ყურძნის წევი, თაფლი, მწიფე ხილი და კენკრა. ადამიანის ორგანიზმში, გარდა კუნთებისა, გლუკოზა შედის სისხლში (0,1%) და, უფრო მცირე რაოდენობით, ყველა ქსოვილში. წარმოიქმნება მცენარეებში, ფოტოსინთეზისას:



მიღება. გლუკოზა სინთეზურად პირველად მიიღეს ფორმალდეჰიდისგან (ა. ბუტლერი, 1861):



მრეწველობაში გლუკოზა მიიღება სახამებლის ან კელულოზის ჰიდროლიზით:




შენიშვნა. ჩვენს რესპუბლიკური გლობურზას იღებენ სიმინდის გადამუშავების შეალებული პროცესში ისგან, რომელის ქარხანაში, რომელიც ანარმობებს გლობურზას.


იზომერია. გლუკოზას აქვს რამდენიმე იზომერი. ორი მათგანია ფრუქტოზა და გალაქტოზა.

ფიზიკური თვისებები. გლუკოზა ტყბილი გემოს მქონე, წყალში კარგად ხსნადი კრისტალური ნივთიერებაა. მცირედ იხსნება სპირტში. წყალხსნარიდან ის გამოიყოფა კრისტალჰიდრატის $C_6H_{12}O_6 \cdot H_2O$ სახით.

ალნაგობა. წყალხსნარში გლუკოზის მოლეკულა არსებობს სამი იზომერული ფორმის – ხუთატომიანი ალდეჰიდსპირტისა და ორი ციკლური, α - და β -ფორმის – სახით. ალდეჰიდსპირტული ფორმის არაგაშტოებული ნახშირბადოვანი ჯაჭვი შეიცავს 5 -OH და ერთ ალდეჰიდის ჯგუფს:



თითოეული ციკლური მოლეკულა აგრეთვე შეიცავს 5 -OH ჯგუფს, მაგრამ აღმართ არსებობს ალდეჰიდური ჯგუფი:



წყალხსნარში β -ციკლური ფორმა	ალდეჰიდსპირტული ფორმა	α - ციკლური ფორმა
($\approx 63\%$)	($\approx 0,1\%$)	($\approx 37\%$)

- გლუკოზის მოლეკულის ალდეჰიდსპირტული და 2 ციკლური ფორმა
(ციკლის ნახშირბადის ატომები ნაჩვენები არ არის)

გლუკოზის წყალხსნარში ალდეჰიდსპირტული ფორმა ძალზე მცირე რაოდენობითაა ($\approx 0,1\%$). α -ციკლურ ფორმაში C_1 და C_2 ნახშირბადის ატომებთან დაკავშირებული $-OH$ ჯგუფები განლაგებულია ციკლის ერთ მხარეს, ხოლო β -ფორმაში – ციკლის სხვადასხვა მხარეს.

კრისტალურ მდგომარეობაში გლუკოზია α -ციკლური ფორმაში იმყოფება. წყალ-ხსნარში ის, ძირითადად, α - და β -ფორმებში არსებობს, რომლებიც დიდი სიჩქარით ურთიერთგარდაიქმნება ალდეჰიდსპირტული ფორმის გავლით.

გლუკოზის α - და β -ფორმების ურთიერთგარდაქმნის პროცესს ტაუტომერია ენოდება, ხოლო α - და β -ფორმებს – ტაუტომერები. ხსნარებში ტაუტომერები დინამიკურ წონასნორობაში იმყოფება.

■ ბანამჟირეთ შესრულები გასაღ

■ ახსენით გლუკოზის ალდეჰიდსპირტული ფორმის ციკლურ ფორმაში გადასვლის მიზეზი.

რეაქციები და შეფასება

■ I. დაასრულეთ ფრაგმები და ტექსტის მიხედვით შეამონეთ მათი სისწორე.

• გლუკოზია არ განიცდის ჰიდროლიზს, ამიტომ ის მიეკუთვნება

- გლუკოზა მიეკუთვნება ალდოჰექსოზებს, რადგან
- გლუკოზის მოლეკულა შეიცავს ..., ამიტომ ის მრავალატომიანი ალდეჰიდსპირტია.


■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

თანაკლასელთაგან ვინ იყო უფრო აქტიური ჯგუფური მუშაობისას?

■ III. შეასრულეთ დავალებები.

5. 1. მიუთითოთ გამოთქმები, რომელიც მართებულია გლუკოზისთვის:
1. ჰექსოზა
 2. ალდოზა
 3. ჰენტოზა
 4. ურინი
 5. ალდეჰიდსპირტი

6. დაასრულეთ სქემები და მიუთითოთ გლუკოზის სამრეწველო მიღების რეაქციები:




3. რამდენი კილოგრამული მზის ენერგია დასჭირდება 9 კგ გლუკოზის წარმოქმნას? რამდენი ლ ჟანგბადი გამოიყოფა ამ დროს? რეაქციის სითბური ეფექტია მინუს 2920 კვ.

8. 4. $C_6H_{12}O_6$ შედგენილობის რამდენი მონოსაქარიდია თქვენთვის ცნობილი? რა ენოდება ასეთ ნივთიერებებს? დაასახელეთ ეს მონოსაქარიდები.
5. მიუთითოთ, რა არის სწორი და რა – არასწორი გლუკოზისთვის. პასუხი დაასაბუთეთ.

	დიახ (+)	არა (-)
ბუნებაში წარმოიქმნება ეგზოთერმული რეაქციის შედეგად		
ბუნებაში წარმოიქმნება არაკატალიზური რეაქციის შედეგად		
მისი პოლიმერიზაციის შედეგად მიიღება სახამებელი		
წყალსწარში არსებობს 3 ფორმის სახით		

6. მიუთითოთ, შესაბამისად, გლუკოზის α და β -ციკლური ფორმები:



9. 7. რა პრინციპებით ყოფენ მონოსაქარიდებს ალდოზებად და კეტოზებად, აგრეთვე ჰენტოზებად, ჰექსოზებად და სხვ? მოიყვანეთ ყველა ჩამოთვლილის თითო მაგალითი.
8. მიუთითოთ ზედმეტი თითოეულ რიგში და დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.

1. გლუკოზა, ლაქტოზა, გალაქტოზა
2. საქართველოს, მოლტოზა, სახამებელი, ლაქტოზა
3. ცენტრული, გლიკოზი, სახამებელი, საქართველო

124 გამზიდეთ პრეზენტაცია თემაზე: „გლუკოზის როლი ორგანიზმში“.

4.1.2. გლუკოზი: პირის თვისებები და გამოყენება

- გაიცემით განვიღი მასალა

- როგორ შეიძლება მრავალატომიანი სპირტების განსაზღვრა?
- რომელი რეაქციები ახასიათებს ალდეჰიდებს?

ბიოქიმიურ ლაბორატორიებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პროცედურაა სისხლი, შარდში ან სხვა ბიოლოგიურ სისხლებში გლუკოზის განსაზღვრა. ამ მიზნით იყენებენ ფერმენტ გლუკოზაოქსიდაზას.



- მოლეკულის რომელი ჯგუფი მონანილებს ამ ტესტში და რომელ რეაქციაში შედის გლუკოზია პროცესის მიმდინარეობისას?




საქმიანობა • გლუკოზის მოლეკულის აღნაგობა და მისი ქიმიური თვისებები. გაითვალისწინეთ გლუკოზის აღნაგობა და გამოთქვით შეხედულება მის ქიმიურ თვისებებზე.

გლუკოზია	დაბ (+)	არა (-)
სპილენდ(III)-ის ჰიდროქსიდთან წარმოქმნის კაშკაშა ლურჯ ხსნარს		
შედის „ვერცხლის სარკის“ რეაქციაში		
წარმოქმნის წითელი ფერის ნალექს Cu(OH)_2 -თან გაცხელებისას		
წყალბადით ალდგენისას წარმოქმნის სპირტს		

ომსჯელეთ: - რატომ შედის გლუკოზა ადვილად ალდეჰიდებისთვის დამახასიათებელ რეაქციებში, მაშინ როცა წყალხსნარში ძირითადად ციკლურ ფორმაში იმყოფება?



გლუკოზის ალდეჰიდური ჯგუფის რეაქციები

გლუკოზის ალდგენა. კატალიზატორის თანაობისას გლუკოზა ალდგება წყალბადით, წარმოქმნის რა ექვსატომიან სპირტს – სორბიტს:




• იცით თუ არა, რომ... • სორბიტის სიტკბო, ჩვეულებრივ შაქართან შედარებით, 60%-ია. სორბიტს შექრის შემცვლელად იყენებენ დაბეტით დავადებულთათვის.

გლუკოზის დაუანგვა. ვერცხლის(I) ოქსიდით მოქმედებისას და სპილენდ(III)-ის ჰიდროქსიდთან სუსტი გახურებისას გლუკოზა იუანგვება გლუკონმჟავამდე. ორივე რეაქცია მიუთითებს გლუკოზის მიღებულაში ალდეჰიდის ჯგუფის არსებობაზე:




ამ რეაქციებში ნახშირწყალი აღადგენს მუანგავს, ამიტომ მსგავს ნახშირწყლებს აღმდგენი შაქრები ეწოდება.

ორგანიზმში, გლუკოზის საფეხურებრივი აღდგენის შედეგად, გამოიყოფა ცოცხალი არსებების ცხოველქმედებისთვის აუცილებელი ენერგია.




- იცით თუ არა, რომ... • ბიოლოგიურ სითხეებში (სისხლში, შარდში და სხვ.) გლუკოზის რაოდენობის განსაზღვრა

ტესტის მიმდინარეობისას ფერმენტი გლუკოზაინებრივი გლუკოზას გარდაქმნის გლუკონმჟავად:



წარმოქმნილი წყალბადის პეროქსიდი შეფერილ პროდუქტად ჟანგავს სისტემაში წინასწარ დამატებულ უფერო 2-მეთილალანინს:




სსნარის შეფერვის ინტენსივობა საშუალებას იძლევა, განისაზღვროს ნიმუშში გლუკოზის შემცველობა.

გლუკოზის ჰიდროქსილის ჯგუფების რეაქციები

აქტიურ მეტალებთან გლუკოზა წარმოქმნის ალკოჰოლურებს ტიპის საქარატებს; ეს არის გლუკოზის მოლეკულაში $-OH$ ჯგუფის არსებობის დამადასტურებელი.




სპილენდ(III)-ის ჰიდროქსიდთან გლუკოზა წარმოქმნის სპილენდ(III)-ის საქარატის კაშაშა ლურჯი ფერის ხსნარს, რაც ადასტურებს გლუკოზის მოლეკულაში რამდენიმე $-OH$ ჯგუფის არსებობას:



სპილენდ(III)-ის კაშაშა ლურჯი ფერის საქარატი

როგორი ეთერის – პენტააცეტილგლუკოზის წარმოქმნა გლუკოზის ძმარმჟავასთან ურთიერთქმედებისას მოუთითებს მის მოლეკულაში 5 $-OH$ ჯგუფის არსებობაზე.



გლუკოზიდური $-OH$ ჯგუფის რეაქციები (გლიკოზიდური გლუკოზიდების წარმოქმნა)


გლუკოზის ციკლურ ფორმებში ნახშირბადის ^{13}C ატომთან დაკავშირებული $-OH$ ჯგუფის წყალბადის ატომი უფრო მძლავაია, ვიზუალურად შევა 4 $-OH$ ჯგუფისა; მაგალითად, გლუკოზა სპილენდთან რეაგირებს მხოლოდ ამ $-OH$ ჯგუფის მონჩინელობით, წარმოქმნის რა გლიკოზიდებს:



ამ მიზეზით ნახშირბადის ^{13}C ატომთან დაკავშირებულ $-OH$ ჯგუფს გლიკოზიდური ეწოდება.

გლუკოზის სპეციფიკური თვისებები

ფერმენტების მოქმედებით გლუკოზა განიცდის სპირტულ (ტოლ. ა), ერბო-მჟავურ (ტოლ. ბ) და რძემჟავურ (ტოლ. გ) დუღილს:



გამოყენება. გლუკოზა ადვილად შესათვისებელი საკვები პროდუქტია. ამიტომ მას მედიცინაში იყენებენ სისხლის დაკანსერვებისას, აგრეთვე როგორც ორგანიზმის მოსამაგრებელ საშუალებას. ის გამოიყენება საფეიქრო მრეწველობაში – ქსოვილებზე გამოსახულების დატანისას, საკონდიტრო მრეწველობაში, აგრეთვე C ვიტამინის (ასკორბინის მჟავას) სინთეზში. პრაქტიკაში გლუკოზის დუღილით იღებენ ეთილის სპირტს (ტოლ. ა).

■ განამტკიცეთ შესძალები მასალა

- $C_6H_{2n}O_n$ შედგენილობის, 180 გ/მოლი მოლური მასის მქონე ნივთიერება შედის „ვერცხლის სარკის“ რეაქციაში. ამის გათვალისწინებით ცალ-ცალკე განსაზღვრეთ სპირტის პირველადი და მეორეული ჯგუფების რიცხვი ნახშირწყლის ალდეჰიდსპირტულ ფორმაში.

■ რეაციები და შეფასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამოწეთ მათი სისწორე.

- ორგენული ნივთიერების სახელნოდების დაბოლოება „ალ“ ნიშნავს, რომ ნივთიერება მიეკუთვნება ...-ს, ხოლო დაბოლოება „ოზა“ – ... -ს.
- გლუკოზის ჟანგვისას ორგანიზმში გამოყოფილი ენერგიის დიდი რაოდენობა გართულებებსა არ იწვევს, რადგან
- გლუკოზა სპილენდ(III)-ის ჰიდროქსიდთან რეაგირებს ორგანად, რადგან

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

– რომელი ჩვევები შეიძინეთ გაკვეთილის შესწავლისას?

■ III. შესრულეთ დავალებები.


1. ორგანულ ნაერთთა რომელი კლასების თვისებებს ავლენს გლუკოზა?

 1. კარბონმჟავების
 2. ალდეჰიდების
 3. კეტონების
 4. სპირტების

2. რომელ ნივთიერებებთან ურთიერთქმედება გლუკოზა?

 1. სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდთან
 2. ნიცალბადთან
 3. გლუკოზასთან
 4. ნატრიუმთან

3. გლუკოზის დუღილისას გამოიყო 67,2 ლ (6.ა) ნახშირბადის დონესიდი. გამოთვალეთ ნარმოქმნილი ეთოლის სიორტის მასა (გ.) $M_r(C_2H_5OH) = 46$.
4. დაასრულეთ სორბიტისა და გლუკონმჟავას ნარმოქმნის რეაქციათა სქემები და განსაზღვრეთ, ორგანულ ნაერთთა რომელ კლასებს მიეკუთვნება ისინი.




ბ 5. მიუთითეთ, რა არის სწორი და რა – არასწორი გლუკოზისთვის. პასუხი დაასაჭიროთ.

	დიას (+)	არა (-)
ძმარმჟავასთან წარმოქმნის რთულ ეთერს		
სპილენზ(II)-ის ჰიდროქსიდთან რეაგირებს მხოლოდ ალფეპილური ჯგუფით		
ჰიდრინორებისას წარმოქმნის ექვსატომიან ნაჯერ სპირტს		
შედის „ვერცხლის სარკის“ რეაქციაში $-OH$ ჯგუფის მონაწილეობით		

6. რომელი ნივთიერებების საშუალებით შეიძლება, გლუკოზა განვასხვავოთ გლიცერინისგან?

1. $Ca(OH)_2$ 2. $Cu(OH)_2$ 3. Cu_2O 4. Ag_2O 5. H_2SO_4

7. დაასრულეთ დულილის რეაქციათა სქემები და დაასახეთ X , Y და Z ნივთიერებები:



8. შეადგინოთ გარდაქმნათა ტოლობები:



● ● ●
გავათილის
შემსრულებელი

მოამზადეთ პოსტერი თემაზე: „გლუკოზა – ორგანიზმის ენერგიის წყარო“.

4.1.3. ფრუქტოზა, რიბოზა და დეზოქსირიპრიზა

• გაიხსენით განვალი მასალა •


- შედის თუ არა კეტონები „ვერცხლის სარკის“ რეაქციაში?
- რომელი კლასის ნივთიერებები წარმოქმნება ალდეჰიდების წყალბადით აღდგენისას?

ფრუქტოზა, რომელსაც ხილის შაქარიც ეწოდება, უნიკალური საკვები პროდუქტია, რომლის მიღება შეუძლია ყველა ჩვენგანს. გლუკოზისგან გასხვავებით, ფრუქტოზა ნელა შენოვება კუჭში, მაგრამ სწრაფად იშლება. ამ დროს გამოიყოფა ბევრი ენერგია.



– რატომ გრძნობენ თავს მხნედ ადამიანები, რომლებიც ხანგ-რძლივი დროის განმავლობაში იყენებენ ფრუქტოზას?

საქმიანობა • ფრუქტოზის ქიმიური თვისებები, გაითვალისწინეთ გლუკოზის ქიმიური თვისებები, ფრუქტოზს მოლეკულის აღნაგობა და სექტაში „+“ ნიშით აღნიშნეთ რეაქციები, რომლებშიც მონაწილეობს ფრუქტოზა.




იმსჯელეთ: – როგორ აისახება ფრუქტოზის აღნაგობა მის ქიმიურ თვისებებზე?

ა ფრუქტოზა


ფრუქტოზა ($C_6H_{12}O_6$, ხილის შაქარი), წარმოადგენს რა გლუკოზის იზომერს, მასთან ერთად გვხვდება ტკბილ ხილში. ის საქაროზაზე 1,5-ჯერ და გლუკოზაზე 3-ჯერ ტკბილია. თაფლის დიდ სიტყბო დაკავშირებულია მის შედგენილობაში ფრუქტოზის არსებობასთან.

გლუკოზისგან განსხვავებით, ფრუქტოზა ხუთატომიანი კეტონსპირტია:



ფრუქტოზის, როგორც კეტონსპირტის აღნაგონა

ხსნარში ფრუქტოზაც ციკლური α და β -ფორმების სახით არსებობს:





ფრუქტოზა (α -ფორმა)

ფრუქტოზა (კეტონსპირტი)

ფრუქტოზა (β -ფორმა)


როგორც მრავალატომიანი სპირტი, ის რეაგირებს აქტიურ მეტალებთან, ფუქსებთან $[Cu(OH)_2]$, $Ca(OH)_2$ და $SbCl_3$, წარმოქმნის რა ალკოჰოლუტების ტიპის საქარატებს, ხოლო უანგბადშემცველ მჟავებთან – რთულ ეთერებს. ვინაიდან ფრუქტოზის შედგენილობაში არ არის ალდეჰიდური ჯგუფი, ის, გლუკოზისგან განსხვავებით, არ რეაგირებს ვერცხლის (I) ოქსიდთან და სპილენძის (III) ჰიდროქსიდთან.

გლუკოზის მეორე იზომერს გაღაერტოზა ენოდება. ის გლუკოზისგან განსხვავდება მხოლოდ ნახშირბადის მეოთხე ატომთან (⁴C) H და $-OH$ ჯგუფების სივრცული განლაგებით:



ბ რიბოზა და დეზოქსირიბოზა


რიბოზა ($C_5H_{10}O_5$) და დეზოქსირიბოზა ($C_5H_{10}O_4$) პენტოზების წარმომადგენლებია. ალდეჰიდსპირტულ ფორმაში რიბოზა – ოთხატომიანი, ხოლო დეზოქსირიბოზა სამატომიანი ალდეჰიდსპირტია.




დეზოქსირიბოზის მოლეკულაში ნახშირბადის მე-2 ატომთან, ნაცვლად $-OH$ ჯგუფისა, წყალბადის ატომი იმყოფება. ამ მიზეზით დეზოქსირიბოზის შედგენილობა ($C_5H_{10}O_4$) არ შეესაბამება ნახშირნებლების ზოგად ფორმულას $C_n(H_2O)_m$.

როგორც მრავალატომიანი ალდეპიდსპირტები, რიბოზა და დეზოქსირიბოზა იუანგება „ვერცხლის სარკის“ რეაქციით და სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდის მოქმედებით, ალდგება წყალბადით, აგრეთვე წარმოქმნის კაშკაშა ლურჯი ფერის საქარატებს სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდთან, ხოლო კაბონმჟავებთან – რთულ ეთერებს.

რიბოზის წყალბადით ალდგენისას წარმოიქმნება ხუთატომიანი სპირტი – რიბოტი, ხოლო დაუანგვისას – რიბონმჟავა:



რიბოზა შედის რიბონუკლეინის მჟავების (რნმ), ხოლო დეზოქსირიბოზა – დეზოქსირიბონუკლეინის მჟავების (დნმ) შედგენილობაში. ნუკლეინის მჟავების შედგენილობაში რიბოზა და დეზოქსირიბოზა შედის β -ციკლური ფორმით:



**აზიზ სანკვარი
(1946)**
თურქული წარმოშობის ამერიკელი მეცნიერი

გამოჩენილმა მეცნიერმა 2015 წელს ნობელის პრემია მიიღო გამოკლევებისთვის სფეროში „დნმ-ის ალდგენის მექანიზმი“.

- განამტკიცეთ შესრულები ესავალი ესაა
- ახსენით ფრუქტოზის კეტონსპირტული ფორმის ციკლურ ფორმად გარდაქმნა.
- რეზლექსიდა და შევასრება
- I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამონეთ მათი სისწორე.
- დეზოქსირიბოზის მოლეკულაში ნახშირბადის 5 ატომია, ამიტომ ის მიეკუთვნება ...-ს. ფრუქტოზის, რიბოზისა და დეზოქსირიბოზის ატომიანობა იზრდება რიგში ..., რადგან ...;
 - ფრუქტოზა ... მოლეკულაში ... არარასებობის გამო, არ წარმოადგენს ალმდგენ ნახშირნებლას.

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

- რომელ მეგობართან ერთად იყო უფრო საინტერესო დავალების შესრულება?

■ III. შეასრულეთ დავალებები.

ა 1. რა არის მართებული ფრუქტოზისა და რიბოზისთვის?

1. ალდოზა 2. პენტოზა 3. კეტოზა 4. ყურძნის შექარი 5. პექსოზა

ფრუქტოზა _____

რიბოზა _____

2. რომელი ნივთიერებების საშუალებით შეიძლება ფრუქტოზის გლუკოზისგან განსხვავება?

1. $\text{Ca}(\text{OH})_2$ 2. $\text{Cu}(\text{OH})_2$ 3. Cu_2O 4. Ag_2O 5. H_2SO_4

ბ 3. მიუთითეთ გამონათქვამები, რომელიც მართებულია გალაქტოზისთვის:

1. გლუკოზის იზომერია;
2. ფრუქტოზის იზომერია;
3. ხსნარში შეიცავს ალდეჰიდურ ფორმას;
4. ექვსატომიანი კეტონსპირტია.

4. რიბონმჟავაში თუ რიბიტში მეტია ნახშირბადის მასური წილი?

გ 5. მიუთითეთ, რა არის სწორი და რა – არასწორი ფრუქტოზისთვის. პასუხი დაასაბუთეთ.

	დიას (+) არა (-)
ხსნარში არსებობს მხოლოდ ერთი ფორმის სახით	
ლიაკატვიან ფორმაში ექვსატომიანი კეტონსპირტია	
უმარტივესი ფორმულაა CH_2O .	
$\text{Ca}(\text{OH})_2$ -თან წარმოქმნის კაშკაშა ლურჯი ფერის ხსნარს მისი M_r საქართვის M_r -ზე ორჯერ მცირეა	

6. მიუთითეთ, რა არის სწორი და რა – არასწორი რიბოზისთვისაც და დეზოქსირიბოზისთვისაც. პასუხი დაასაბუთეთ.

	დიას (+) არა (-)
ორივე მოლეკულაში თანაფარდობა $m_C:m_H:m_O$ ერთნაირია	
არსებობს ალდეჰიდსპირტული და ციკლური სახით	
$\text{Cu}(\text{OH})_2$ -თან წარმოქმნის კაშკაშა ლურჯი ფერის ხსნარს შედას „ვერცხლის სარკის“ რეაქციაში	
ლიაკატვიან ფორმაში აქვს კეტონსპირტიანი აღნაგობა	

დ 7. რაში მდგომარეობს განსხვავება გლუკოზისა და გალაქტოზის მოლეკულების აღნაგობაში? შესაძლებელია თუ არა, ადამიანის რენგანიშიში გლუკოზა გალაქტოზად გარდაიქმნას? თუ შესაძლებელია, მაშინ როგორ წარმოვიდგინოთ ეს?

8. დაადგინეთ უმარტივესი და მოლეკულური ფორმულები ნივთიერებისა, რომლის შედეგებილობაა 40% C, 53,3 % O და 6,7% H. შეადგინეთ მისი სტრუქტურული ფორმულა, თუ მოლეკულაში 2 პირუელადი სპირტული ჯგუფია. M_r (ნივთ.) = 180.

•••
გაკვეთილის
შემსრულებელი

გამოიყენეთ სხვადასხვა წყარო და მოამზადეთ რეფერატი ნობელის პრემიის ლაურეატის, აზიზ სანჯარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

4.2. დისაქარიდები. საქაროზა

- განვითარებული მასალა •

– როიტ განსხვავდება ერთმანეთისგან აღნაგობის მხრივ გლუკოზისა და ფრუქტოზის მოლეკულები?

– გლუკოზის ციკლური ფორმების რომელი $-OH$ ჯგუფი განსხვავდება ერთმანეთისგან?

ცხოველთა საკვებად გამოყენებული ჭარხალი 1,3% საქაროზას შეიცავს და ამიტომ შაქრის წარმოების-თვის გამოუსადეგარია.

ჯერ კიდევ 1747 წელს, შაქარზე მოთხოვნილების დაკამაყოფილების მიზნით, ევროპაში სელექციონერებმა დაწყეს ბევრი შაქრის შემცველი ჭარხლის ახალი ჯიშების შექმნა. დღეისათვის შაქრის ჭარხლი 20%-ზე მეტ საქაროზას შეიცავს.

– რა აქვთ საერთო შექრის ჭარხალს, ხორბლის აღმონაცენებსა და რძეს?



საქმიანობა • დისაქარიდების აღნაგობა. შეადგინეთ დისაქარიდების ჰიდროლიზის რეაქცია-ათა ტოლობები მათი შედგენილობის ამსახველი (ცხრილის საფუძველზე).

დისაქარიდი	საქაროზა	ლაქტოზა	მალტოზა
მონოსაქარიდის ნაშთი	+	+	+
გლუკოზის ნაშთი	+	–	–
ფრუქტოზის ნაშთი	–	+	–




იმსჯელეთ:

- რატომ არის მონოსაქარიდების მოლეკულებში გლიკოზიდური $-OH$ ჯგუფი უფრო აქტიური, ვიდრე დანარჩენები?
- ლაქტოზისა და მალტოზის მოლეკულების აღნაგობის რომელი თავისებურებებით შეიძლება აიხსნას, რომ ისინი, საქაროზისგან განსხვავდით, შედის „ვერცხლის საკას“ რეაქციაში?

საქაროზის, მალტოზისა და ლაქტოზის მოლეკულებში გლიკოზიდური ბმით ერთმანეთთან დაკავშირებულია მონოსაქარიდების ორი ნაშთი.

ბუნებაში გავრცელება. საქაროზას ($C_{12}H_{22}O_{11}$) შეიცავს ძირითადად შაქრის ჭარხლისა (12-20%) და შაქრის ლერნშის (14-26%) წვენა, ამიტომ მას უნივერსუალური შარქლის შაქარსა და ლერნშის შაქარს. ის შედის აგრეთვე მრავალი ხილისა და ბოსტნეულის მწიფე ნაყოფებში.

მიღება. საქაროზას გამოყოფენ შაქრის ჭარხლისგან და შაქრის ლერნშისგან. ამისათვის ჭარხალს წვრილად ჭრიან და ცხელი წყლით ამუშავებენ. ამ დროს ჭარხალში არსებული საქაროზა ხსნარში გადადის. საქაროზასთან ერთად ხსნარში ხელება სხვადასხვა ორგანული მჟავა, ცილვი და შეფერილი ნივთიერებები. ამ მინარევების დასალექად ხსნარს დაამუშავებენ კირრით. ამ დროს საქაროზა კალციუმის ჰიდროქსიდთან წარმოქმნის $C_{12}H_{22}O_{11} \cdot CaO \cdot 2H_2O$ შედგენილობის, წყალში ხსნად კალციუმის საქარატს (ტოლ. 1). შემდეგ, ხსნარში არსებული ჭარბი კალციუმის ჰიდროქსიდისა და კალციუმის საქარატში არსებული კალციუმის დასალექად, ხსნარში ატარებენ ნახშირმჟავა აირს (ტოლ. 2,3):




გაფილტვრის გზით ხსნარს მოაცილებენ ნალექს, ვაკუუმის პირობებში ააორთქლებენ წყალს და მასში არსებულ შაქარს გამოყოფენ კრისტალიზაციის მეთოდით. თუ საქაროზა საკმარისად სუფთა არ არის, მას ხელახლა ხსნან წყალში, ხსნარს გაატარებენ გააქტიურებულ ნახშირზე, ააორთქლებენ და ხელახლა გამოაკრისტალებენ.

კრისტალიზაციის შემდეგ ხსნარში შაქრის შემცველობამ შეიძლება 50%-ს მიაღწიოს. ამგვარ ხსნარს მეღაასა ეწოდება. მეღაასა გამოიყენება ეთანოლის, ლიმონმჟავას, რძემჟავას და სხვ. წარმოებაში.


შენიშვნა. ჩვენს რესპუბლიკაში, **იმიშლინის** შაქრის ქარხანაში, საქაროზას შაქრის ჭარხლისგან იღებენ.

აღნაგობა. საქაროზის მოლეკულა შედგება α -გლუკოზისა და β -ფრუქტოზის ნაშთებისგან. საქაროზის მოლეკულის წარმოქმნაში მონანილეობს თითოეული მონოსაქარიდის გლიკოზიდური $-OH$ ჯგუფი, რის შედეგადაც გლუკოზა და ფრუქტოზა, გამოიყოფს რა წყლის 1 მოლეკულას, ერთმანეთს უერთდება უანგბადის ხიდის საშუალებით:




ფიზიკური თვისებები. საქაროზა (ჩვეულებრივი შაქარი) თეთრი კრისტალური ნივთიერებაა; ბევრად ტკბილია, ვიდრე გლუკოზი; წყალში კარგად იხსნება; დნება 160°C ტემპერატურაზე.

ქიმიური თვისებები. საქაროზა H^{+} იონების თანაობისას განიცდის ჰიდროლიზს, წარმოქმნის რა α -გლუკოზასა და β -ფრუქტოზას:




როგორც მრავალატომიანი სპირტი, საქაროზა წარმოქმნის საქარატებს აქტიურ მეტალებთან, მეტალთა ჰიდროქსიდებთან $[(\text{Ca}(\text{OH})_2, \text{Cu}(\text{OH})_2)]$; მაგალითად, სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდთან ის წარმოქმნის სპილენდ(II)-ის საქარატის კაშკაშა ლურჯი ხსნარს:



რაკი საქაროზის მოლეკულაში არ არსებობს ალდეპიდური ჯგუფი, ის არ იქანება „ვერცხლის სარკის“ რეაქციაში და სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდით, ე.ი. საქაროზა მათ არ ალადგენს.


საქაროზის წვისას მიიღება ნახშირმჟავა აირი და წყალი:




• მალტოზა და ლაქტოზა

მალტოზა და ლაქტოზა საქაროზის იზომერებია.


მალტოზა (ალაოს შაქარი) სახამებლის ჰიდროლიზის ერთ-ერთი შუალედური პროცესია. მისი მოლეკულა შედგება გლუკოზის ორი მოლეკულის ნაშთებისგან, ამიტომ ჰიდროლიზისას წარმოქმნის გლუკოზის ორ მოლეკულას:



ლაქტოზა (რძის შაქარი) შედის დედის რძის (5-8%) და ძროხის რძის (4-6%) შედგენილობაში. მისი ჰიდროლიზისას წარმოქმნება α-გლუკოზა და β-გალაქტოზა:



მალტოზისა და ლაქტოზის მოლეკულათა აღნაგობა



მალტოზისა და ლაქტოზის მოლეკულებში მონოსაქარიდის ერთ-ერთ ნაშთში შენარჩუნებულია ერთი გლიკოზიდური $-\text{OH}$ ჯგუფი. ამიტომ ეს დისაქარიდები, საქაროზისგან განსხვავებით, წყალშსნარებში წარმოქმნის ალდეპიდურ ჯგუფს და იუანგება გლუკონის მჟავად.

ამგვარად, დისაქარიდები მალტოზა და ლაქტოზა, ისევე როგორც გლუკოზა, რიბოზა და დეზოქსირიბოზა, მიკუთვნება ალმდგენ ნახშირწყლებს.

გამოყენება. საქაროზა ძირითადად გამოიყენება საკვებ პროდუქტად და საკონდიტრო მრეწველობაში. მისი ჰიდროლიზით იღებენ ხელოვნურ თაფლს.

■ განამტკიცეთ შესრულებულ მასალა

■ მალტოზისა და ლაქტოზისგან განსხვავებით, რატომ არ მიეკუთვნება საქაროზა ალმდგენ ნახშირწყლებს?

■ რეზლექსია და შეჯასეპა

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამტკიცეთ მათი სისწორე.

- საქაროზას, ლაქტოზასა და მალტოზას აქვთ ერთანარი ფარდობითი ..., რადგან
- საქაროზის წარმოებაში ნახშირმჟავა აირის თოლია

■ II. გამოხატეთ თქვენი შეკვეთულება თუმცა, უპასუხეთ რა კითხვას:

– რომელი ჩვეულები შეიძინეთ შესწავლილი მასალის საფუძველზე?

■ III. შეასრულეთ დავალებები.


1. მიუთითეთ გამოიქვები, რომლებიც მართებულია საქაროზისთვის:

1. დისაქარიდა;
2. უნიფერსულის შაქარს;
3. ნახშირწყალია;
4. მონოსაქარიდების დიმერიზაციის პროდუქტია.

2. რომელი თანაური პროდუქტი წარმოიქმნება საქაროზის წარმოებისას?

1. მელასა; 2. მალტოზა; 3. ძმარმჟავა.

3. დაასრულეთ რეაქციათა ტოლობები, რომლებიც მიმდინარეობს შაქრის ჭარბლიდან საქაროზის გამოყოფისას:



4. რამდენმა კგ საქაროზამ განიცადა პიდროლიზი, თუ მიღებულია 90 კგ მონოსა-ქარიდების ნარევი. $M_r(\text{C}_{12}\text{H}_{22}\text{O}_{11}) = 342$, $M_r(\text{C}_6\text{H}_{12}\text{O}_6) = 180$.


5. მიუთითოთ, რა არის სწორი და რა - არასწორი საქაროზისთვის. პასუხი დაასაბუთოთ.

დიახ(+) არა(-)
შედგება ორი მონოსაქარიდის მოლეკულებისგან უმარტივესი ფორმულაა CH_2O .
მისი M_r შეიძლება გამოვთვალით გამოსახულებით $M_r(\text{გლუკოზა}) + M_r(\text{ფრუქტოზა})$
პიდროლიზისას წარმოიქმნის α-ფრუქტოზას და β-გლუკოზას
მისი ალფებიდური ფორმა წყალხსნარში ძალზე მცირე რაოდენობითაა

6. დაადგინეთ შესაბამისობა დისაქარიდებსა და მონოსაქარიდების ნაშთებს შორის:

1. α-გლუკოზის ნაშთი 2. β-გალაქტოზის ნაშთი 3. β-ფრუქტოზის ნაშთი
საქაროზა _____ მალტოზა _____ ლაქტოზა _____

7. დაასრულეთ საქაროზის პიდროლიზის სქემა და განსაზღვრეთ რეაგენტებისა და რეაქციის პროდუქტების მასათა თანაფარდობა.



8. კლასტერის ფორმით მიუთითოთ საქაროზის გამოყენების სფეროები.

გაკვეთილის
გეგმვები

გამოსახეთ ნახშირწყლების დამახასიათებელი ცნებები. მათი თვისებურებანი წარმოადგინეთ ანალოგიების ჯაჭვის სახით.

კითხვა:	პასუხი:
• როგორი ნივთიერებაა საქაროზი?	• თეთრი კრისტალური ნივთიერება
• რომელი ნივთიერებაა თუთირი და კრისტალური?	...
• როგორი ნივთიერებაა გლუკოზი?	• ტყბილი გემოს მქონე
• კიდევ რომელი ნივთიერებაა ტყბილი?	...
• გააგრძელე...	...

ნივთიერების
სახელმძღვანელება:
საქაროზა

თვისება:
თეთრი
კრისტალები

სხვა
ნივთიერება
ანალოგიური
თვისებებით:

სხვა
თვისება:
...

4.3. პოლისაქარიზმი

4.3.1. საცავებელი

- გაიხსენით განვილილი გასაღა


- შეიძლება თუ არა, მაღლობის მოლეკულა განვიხილოთ, როგორც ა-გლუკოზის დიმერი?
 - რომელი ბიოპოლიმერი - ა-გლუკოზის პოლიკონდენსაციის პროდუქტი - არის თქვენთვის ნაკანობი?

სილის დამწიფების პროცესში მასში სახამებლის შემცველობა, როგორც წესი, მცირდება; მაგალითად, მკვანე ბანანში 18% სახამებელია, მნიშვნელი - 2%; მკვანე ვაშლი - 4-5%, ხოლო მნიშვნელი 1% სახამებელს შეიკავს.

- როთ აიხსნება ხილის
დამწიფებისას მასში
სახამებლის შემცველობის
შემცირება?

- სახამებლის მაკრომოლეგულის შედეგენილობა და აღნავობა. სახამებლის სტრუქტურული ერთეულის საფუძველზე შეავსეთ ცხრილი.

პასუხი
მაკრომოლეგულის ნარმომქმნელი მონოსაქარიდის სახელწოდება
მონოსაქარიდის ფორმა (α/β) მაკრომოლეგულის
ნაშეირადის ატომების ნომრები, რომელთა $-OH$ ჯგუფები მონაცილების უანგბადის ხიდის ნარმოქმნაში
სასამებლის მოლეკულური ფორმულა, სტრუქტურულ ერთეულში $-OH$ ჯგუფის რიცხვის ჩვენებით




იმსჯელეთ: როგორ შეუძლია $-OH$ ჯგუფებს, მონაწილეობა მიიღოს განშტოებული
მაკრომოლეკულების ნარმოების?

სახამებელი $[(C_6H_{10}O_5)_n]$ და ცელულოზა მცენარეულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული პოლისაქარიდებია. სახამებლის, ცელულოზის, აგრეთვე პოლისაქარიდ გლიკოგენის მოლეკულები შედგება გლუკოზის ნაშთების დოდი რიცხვისგან, რომელიც ერთმანეთთან გლიკოზიდური ბმებითაა დაკავშირებული.

სახამებელი გროვდება კარტოფილში (20%), ხორბალში (70%), ბრინჯაში (80%) და მცველი კონდიტორებში.

მიღება. სახამებელს იღებენ ძირითადად კარტოფილისგან, ბრინჯისგან და სიმინდისგან. ამ მიზნით დაწილადებული სახამებელი საცერზე წყლით გამოირცხება. სახამებლის სუსპენზიდან, რომელიც საცერში გადის „კარტოფილის რძის“ სახით, სახამებელს ლექავენ დაწილომის გზით, ხსნარს ფილტრავენ და დარჩენილ სახამებელს აშრობენ.

ალნაგობა. სახამებელი ($C_6H_{10}O_5$)_n შედგენილობის პოლიმერია, რომელიც α -გლუკოზის ნაშთებისგან შედგება. მისი მაკრომოლექულა წარმოქმნება ფოტო-სინთეზის პროცესში – α -გლუკოზის პოლიურიდენსაციის შედეგად (ა).




სახამებელი შედგება ორი პოლისაქარიდის – არაგანშტორებული ალნაგობის ამილოზისა და განშტორებული ალნაგობის ამილოპექტინისგან (გ, გ). უმრავლეს შემთხვევაში სახამებელი შეიცავს 20-25% ამილოზასა და 75-80% ამილოპექტინს. ამილოზის მოლეკულები სპირალისებრად არის დახვეული (გ, გ).


სქემიდან ჩანს, რომ სახამებლის წარმოქმნა მიმდინარეობს გლუკოზის 1,4-მდგომარეობაში მყოფი $-OH$ ჯგუფების მონანილეობით. სხვა სიტყვებით, პოლიკონდენსაციის რეაქციაში მონანილეობს გლიკოზიდური $-OH$ ჯგუფები. ამ მიზეზით სხვარში, სახამებლის მაკრომოლეკულის $C_6H_{10}O_5$ რგოლებში არ წარმოიქმნება ალდეპიდური ჯგუფები და სახამებელი არ აღადგენს ვერცხლის (I) ოქსიდსა და სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდს.

ამილოპექტინში განშტორება წარმოიქმნება 1,6-გლიკოზიდური ბმების ხარჯზე. ფიზიკური თვისებები. სახამებელი თეთრი ფერის, უგემო ფხვნილია, არ იხსნება ცივ წყალში. ცხელ წყალში გაჯირვდება, წარმოქმნის რა სახამებლის ბუბკოს.

ქიმიური თვისებები. 1. ფერმენტების მოქმედებით ან მუავებთან გაცხელებისას სახამებელი განიცდის ჰიდროლიზს. ჰიდროლიზის საბოლოო პროდუქტია გლუკოზია. მრეწველობაში გლუკოზას ამ გზით იღებენ:




პირობებისგან დამოკიდებულებით, სახამებლის ჰიდროლიზი შეიძლება წარიმართოს საფეხურებრივად, შუალედური პროდუქტების წარმოქმნით:




2. სახამებლის თვისებითი რეაქცია ლურჯი შეფერვის წარმოქმნა მასზე იოდის (I_2) მოქმედებისას. ამ პროცესში იოდის მოლეკულები აღნევს ამილოზის მოლეკულას სპირალად დახვევისას წარმოქმნილ სიცარიელეებში (გ). გაცხელებისას შეცემა ერთა, რადგან იოდის მოლეკულები ტოვებს სიცარიელეებს, ხოლო გაცივებისას შეფერვა ხელასლა წარმოიქმნება – I_2 მოლეკულები ხელმეორედ შედის სიცარიელეებში (დახურულ სისტემაში).

$-OH$ ჯგუფების ხარჯზე სახამებელი წარმოქმნის რთულ ეთერებს, მაგრამ მათ არა აქვს პრაქტიკული გამოყენება.

გამოყენება. სახამებელი, როგორც საკვები პროდუქტი, აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებას ნახშირწყლებზე. ორგანიზმი




ამილოპექტინის (3) და ამილოზის (2)
მაკრომოლეკულების სქემები



სახამებლის (უფრო სწორად, მისი ნაწილობრივი პიდროლიზის პროცესების – დექსტრინების) პიდროლიზის შედეგად ნარმოექმნება გლუკოზის ნაწილს ითვისებს ორგანიზმი, მისი ნაჭარბი კი გარდაიქმნება გლიკოგენად (ცხოველურ სახამებლად) და გროვდება ლვიძლში, როგორც სამარაგო ნივთიერება.

სახამებლისგან იღებენ დექსტრინებს, ბადაგს (დექსტრინებისა და გლუკოზის ნარევი), რომლებიც გამოიყენება კარამელის ნაწარმის დასამზადებლად, აგრეთვე გლუკოზასა და ეთანოლს. ის გამოიყენება ნებოს დასამზადებლად, თეთრეულის გასახამებლად, ქალალდისა და პოლიგრაფიულ მრეწველობაში. მის საფუძველზე მზადდება ანტიბიოტიკები, შესაფრევევი ფხვნილები, ნამლების კაფსულები და სხვ.




(ე) გლიკოგენის მაკრომოლეკულა

ლვიძლში. ორგანიზმში გლუკოზის მოთხოვნილების ნარმოქმნისას გლიკოგენი განიცდის პიდროლიზს გლუკოზის წარმოქმნით.

- იცით თუ არა, რომ... • კარტოფილისა და პურის თერმული დამუშავებისას სახამებელი განიცდას გარდაქმნებს, რაც პროდუქტს კარგ გემოს აძლევს, ხოლო გარდაქმნის პროდუქტები უფრო ადვილად ჰიდროლიზდება.

■ განამტკიცეთ შესრულებული მასალა

■ დაასახელეთ რეაქცია, რომლის სქემა ქვემოთაა მოცემული. გაითვალისწინეთ წყლის კონცენტრაციის მიხედვისას გარდა რეაქციის სისტემაში არ მოხდება განახლება.



■ რეაქციებისა და შეზარდება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხევთ ბეჭედით ბეჭედით სისწორე.

- გლიკოგენის მოლეკულას, სახამებლის მოლეკულისგან განსხვავებით, აქვს
- სახამებელი არ არის ალმდგენი ნაწილები, რადგან
- პურის გამოცხობისას ნარმოქმნება დექსტრინები, რადგანაც პროცესის მიმდინარეობისას
- სახამებლის მაკრომოლეკულის სტრუქტურული ერთეული შედგება
- II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:
- რომელი ცხოვრებისეული ჩვევები შეიძინეთ ამ თემის დამუშავებისას?
- III. შემარტინოთ თანამდებობა:

1. რა არის დაკავშირებული ბუნებაში სახამებლის ნარმოქმნასთან?

1. ფორმისინთეზი
2. კატალიზური პროცესი
3. პოლიენდენსაციის რეაქცია
4. ეგზოთერმული პროცესი
5. მხუთავი აირი
6. ნახშირბადის დიოქსიდი

2. განსაზღვრეთ სახამებლის შემცველი ბუნებრივი პროდუქტები:
1. კარტოფილი
 2. ხორბალი
 3. ბამბა
 4. ბრინჯი
 5. მერქანი

3. რამდენი კგ ეთანოლი შეიძლება მივიღოთ 1 ტ ხორბლისგან, რომელიც 64,8% სახამებელს შეიცავს? სპირტის დანაკარგი წარმოებაში 25%-ია.

$$M_r(C_2H_5OH) = 46, M_r(\text{სახამებელი}) = 162n.$$

4. განსაზღვრეთ ნივთიერებები, რომლებიც წარმოქმნება სახამებლის საფუძულებრივი ჰიდროლიზისას.

1. β-გლუკოზა
2. დექსტრინები
3. α-გლუკოზა
4. მალტოზა
5. საქაროზა

5. მიუთითოთ, რა არის სწორი და რა – არასწორი სახამებლისთვის. პასუხი დაასაბუთოთ.

დახ(+)	არა(-)
შედგება β -გლუკოზის ნაშთებისგან	
ქსოვილი ფორმულაა ($C_6H_{12}O_6$) _n .	
M_r (სახამებელი) შეიძლება გამოვთვალით გამოსახულებით 180·n	
M_r (სახამებელი) შეიძლება გამოვთვალით გამოსახულებით $(12\cdot6n + 18\cdot5n)$	
აქვს მარცვლოვანი აღნაგობა	

6. განსაზღვრეთ გლიკოგენისთვის მართებული გამოთქმები:

1. ელემენტური შედგენილობით განსხვავდება სახამებლისგან;
2. ადამიანის ორგანიზმის სარეზისტრო ნივთიერებაა;
3. ენოდება ცხოველური სახამებელი;
4. უფრო განშტოებული აღნაგობა აქვს, ვიდრე სახამებელს;
5. ძირითადად გროვდება კუჭასა და ნაწლავებში.

7. მიუთითოთ საერთო და განძასხვავებელი თავისებურებანი ამილო-ჰექტინის მაკრომოლეკულების აღნაგობაში.

8. შეადგინოთ გარდაქმნათა ტოლობები:

სახამებელი → დექსტრინები → მალტოზა → გლუკოზა → ეთანოლი → ეთილაცეტატი → აცეტატი

გავათილი გავლენა

მოამზადეთ რეფერატი თემაზე: „სახამებლის შედგენილობა, აღნაგობა და ფიზიკური თვისებები.“

4.3.2. ცელულოზა

- გაიხსენეთ განვითარებული მასალა •

- რით განსხვავდება ერთმანეთისგან ა და β -გლუკოზა აღნაგობისა და თვისებების მხრივ?
- რამდენი ტიპის რთულ ეთერს წარმოქმნის გლიცერინი ერთსა და იმავე მჟავასთან?


ცელულოზა
ბუნებაში
ყველაზე მეტად
გავრცელებული
ორგანული
ნივთიერებაა.
სახამებლისგან
განსხვავებით,
ცელულოზა
მცენარეებში
ბოჭკოს სახით
გვხვდება.



– რატომ წარმოქმნის
ცელულოზა ბოჭკოებს?



საქმიანობა • **ცელულოზის თვისებები და აღნაგობა.** ცელულოზისა და სახამებლის სტრუქტურული ერთეულების საფუძველზე შეავსეთ ცხრილი.



	ცელულოზა	სახამებელი
გლუკოზის ნაშთის ფორმა მის შედგენილობაში (α/β)		
გამოიყენება, როგორც საკვები პროდუქტი ($+/-$)		
ცივ წყალში სსნადობა	($+/-$)	
მაკრომოლეკულები წარმოქმნის ბოჭკოს	($+/-$)	
შედგება მხოლოდ არაგანშტოებული მაკრომოლეკულებისგან	($+/-$)	
მოლეკულური ფორმულა სტრუქტურულ ერთეულში $-OH$ ჯგუფების რიცხვის მითითებით		

იმსჯელეთ: – რით არის განპირობებული ცელულოზისა და სახამებლის განსხვავებულობანი?

ცელულოზა $[(C_6H_{10}O_5)_n]$, სახამებელთან შედარებით, უფრო გავრცელებული ნაშირწყალია. ის წარმოქმნის ყველა მცენარეული უჯრედის კედელს; მერქანტი – დაახლოებით 50%, ხოლო ბამბასა და ფილტრის ქალალდში 98% ცელულოზაა.


მიღება. ცელულოზას გამოყოფენ ბამბისგან, მერქნისგან, ლერწმისგან და სხვ. მერქნისგან მას იღებენ ძირითადად სულფიტური მეთოდით: წვრილად დაჭრილ მერქანს, წნევის ქვეშ და ტუტე არეში, ახურებენ კალციუმის ჰიდროსულფიტის $Ca(HSO_3)_2$ სსნართან. ამ დროს ცელულოზის თანმხლები ნივთიერებები, თვით ცელულოზის გარდა, გადადის სსნარში. სსნარს ფილტრავენ, ხოლო გამოცალევებულ ცელულოზას აშრობენ.

აღნაგობა. ცელულოზა, ისევე როგორც სახამებელი, $(C_6H_{10}O_5)_n$ შედგენილობის ბუნებრივი პოლიმერია. მაგრამ მათ აქვთ რიგი განძასხვავებელი ნიშანი. ცელულოზის საშუალო ფარდობითი მოლეკულური მასა სახამებლის მოლეკულურ მასაზე მეტია და რამდენიმე მილიონს აღწევს. სახამებლისგან განსხვავებით, ცელულოზის მაკრომოლეკულებს აქვთ მხოლოდ არაგანშტოებული აღნაგობა. ამის გამო ცელულოზის მაკრომოლეკულები, ერთი მიმართულებით განლაგებისას, წარმოქმნის ბოჭკოს (სელის, ბამბის და სხვ.) (ა).



ბოლოს, ცელულოზის მაკრომოლეკულები შედგება არა α -გლუკოზის ნაშთებისგან, როგორც სახამებელი, არამედ β -გლუკოზის ნაშთებისგან. ცელულოზის მაკრომოლეკულის წარმოქმნა შეძლება მემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

(ა) ცელულოზის წარმოქმნა β -გლუკოზის პოლიენდენსაციით



ცელულოზის არაგანშტოებული აღნაგობა და მისი წარმოქმნა β -გლუკოზის ნაშთებისგან იწვევს მათი თვისებების არსებით განსხვავებას: თუ სახამებელი საკვები პროდუქტია, ცელულოზა ამ მიზნით გამოუსადეგარია.


თითოეულ $C_6H_{10}O_5$ სტრუქტურულ ერთეულში სამი $-\text{OH}$ ჯგუფის არსებობის გათვალისწინებით, ცელულოზის ფორმულა შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:



- იცით თუ არა, რომ... • გამოთქმა „cellula“ ლათინურად უჯრედს ნიშნავს.
- M_r (სელის ბოჭკო) $\approx 6\,000\,000$, M_r (ბამბის ბოჭკო) $\approx 1,7\,000\,000$
- ცოცხალ ორგანიზმებში ცელულოზის ჰიდროლიზი მიმდინარეობს ფერმენტი β -გლიკოლიზიდანას მოქმედებით. რამდენადაც ეს ფერმენტი არსებობს მხოლოდ მცონნავი ცხოველების საჭმლის მომნელებელ სისტემებში, ცელულოზას ვერ ინელებს ადამიანისა და არამცონნავი ცხოველების ორგანიზმი.


ფიზიკური თვისებები. ცელულოზა თეთრი ფერის, მყარი ბოჭკოვანი ნივთიერებაა. არ იხსნება წყალში და ჩვეულებრივ გამხსნელებში (სპირტში, ეთერში, აცეტონში). ცელულოზის უხსნადობა და მისი ბოჭკოების მექანიკური სიმტკიცე განპირობებულია არაგანშტოებულ მაკრომოლეკულებს შორის დიდი რაოდენობის წყალბადური ბმების წარმოქმნით.

(გ) წყალბადური ბმა ცელულოზის მაკრომოლეკულებს შორის




ცელულოზა კარგად იხსნება სპილენდ(III)-ის ჰიდროქსიდის ამიაკურ ხსნარში – შვეიცერის რეაქტივში.

ქიმიური თვისებები. განზავებულ მჟავებთან გაცხელებისას ცელულოზა განიცდის ჰიდროლიზს, წარმოქმნის რა β -გლუკოზას:



ცელულოზის ჰიდროლიზიც საფეხურებრივად მიმდინარეობს. კონცენტრირებული გოგირდმუქას თანაბობისას ცელულოზა წარმოქმნის რთულ ეთერებს კონცენტრირებულ აზოტმჟავასთან: მონო-, დი- და ტრინიტრო-ცელულოზას:




ტრინიტროცელულოზა გამოიყენება, როგორც მძლავრი ასაფეთქებელი საშუალება უკამლო დენთის წარმოებისას. ტექნიკაში ტრინიტროცელულოზის საფუძველზე დამზადებულ პროდუქტს უწოდებენ პიროქსილინს, ხოლო დინიტროცელულოზის საფუძველზე დამზადებულს – კოლოქსილინს. კოლოქსილინისგან ამზადებენ კოლოდიუმს, რომელსაც იყენებენ მედიცინაში, ხოლო კოლოქსილინისგან და ქაფურისგან – ცელულოიდს.

ძმარმუავასთან ან ძმრის ანჰიდროდთან ცელულოზა წარმოქმნის რთულ ეთერებს: მონო-, დი- და ტრიაცეტილცელულოზას. ისინი გამოიყენება აცეტატური აბრეშუმის, უწვადი ფოტოფირისა და ორგანული მინის წარმოებაში, რომელიც ატარებს ულტრაინფერ სხივებს.

ცელულოზისგან იღებენ ვისკოზურ აბრეშუმსა და ცელოფანს. ორივე პროდუქტი ცელულოზისგან შედგება, ოღონდ, ჩვეულებრივი ცელულოზისგან განსხვავებით, ვისკოზური აბრეშუმის ძაფებსა და ცელოფანში მაკრომოლეკულები ერთი მიმართულებით არის განლაგებული. ეს მიიღწევა რიგი ფიზიკური და ქიმიური გარდაქმნებისას. ვისკოზად წოდებული ხსნარის ფილიერის წვრილ ნახვრეტებში გატარებით იღებენ ვისკოზური აბრეშუმის ძაფებს, ხოლო წვრილ გრძელ ხვრელებში გატარებით – ცელოფანს.

ცელულოზის შედგენილობაში არ შედის ალდეპიდის ჯგუფი, ამიტომ ის, ისევე როგორც სახამებელი, არ შედის „ვერცხლის სარკის“ რეაქციაში.

ცელულოზა კარგად იწვის:



უჰაერო გახურებისას ცელულოზა იშლება – განიცდის პიროლიზს. პიროლიზისას წარმოიქმნება ხის ნახშირი, წყალი და ორგანული ნივთიერებები: მეთანი, მეთანოლი, ძმარმუავა, აცეტონი და სხვ.

სელისა და ბამბის სახით ცელულოზა გამოიყენება ქსოვილების წარმოებაში. მისი უდიდესი რაოდენობა კი იხარჯება ქალალდისა და ეთილის სპირტის წარმოებაში.

ცელულოზისგან მიღებული გლუკოზის დუღილით იღებენ ეთილის სპირტს. ამ მეთოდით მიღებულ ეთილის სპირტს ჰიდროლიზურ სპირტს უწოდებენ (1 ტ მერქნისგან შეიძლება მივიღოთ დაახლოებით 200 ლ ჰიდროლიზური სპირტი).

■ განამტკიცეთ შესრულებული გასაძალა

■ დაასრულეთ ცელულოზის ეთერიფიკაციის სქემები და დაასახელეთ რეაქციათა ორგანული პროდუქტები:



■ რეაქციებისა და შეფასება

■ I. დაასრულეთ ფრანგულ და ტექსტის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.

• ცელულოზა არ გამოიყენება საკვებ პროდუქტად, რადგან

• სახამებლისგან განსხვავებით, ცელულოზის ნაწარმები ფართოდ გამოიყენება, რადგან... .

• ცელულოზა არ არის აღმდგენი ნახშირწყალი, რადგან

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

– გაკვეთილის რომელ ეტაპზე იგრძენით თავი უფრო თვითდარწმუნებულად?

■ III. შესარეულეთ დავალებები.

ა	<p>1. ჩამოთვლილთაგან რომელი შედგება ძირითადად ცელულოზისგან?</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ფილტრის ქაღალდი 2. ხორბალი 3. ბამბა 4. ბრინჯი 5. მერქანი 						
	<p>2. დასახელებულთაგან რა არის დაკავშირებული ბუნებაში ცელულოზის ნარმოქმნასთან?</p> <ol style="list-style-type: none"> 1. α-გლუკოზი 2. β-გლუკოზი 3. α-ინაზი ჟანგბადი 4. ნახშირმჟავა აირი 5. ნეალი 6. ქლოროფილი 7. ეგზოთერმული პროცესი 8. პოლიმერიზაციის რეაქცია 						
ბ	<p>3. შეადგინეთ 1 მოლი ცელულოზის სრული წვის რეაქციის ტოლობა და განსაზღვრეთ ტოლობაში სტექიომეტრული კოეფიციენტების ჯმი.</p> <p>4. 50% ცელულოზის შემცველი რამდენი კგ მერქანი უნდა ავილოთ, რომ მივიღოთ 184 კგ ეთოლის სპირტი? $M_r(C_2H_5OH) = 46$, $M_r(C_6H_{10}O_5)_n = 162n$</p>						
გ	<p>5. მიუთითოთ, რა არის სწორი და რა – არასწორი ცელულოზისთვის. პასუხი დაასაბუთეთ.</p> <table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <thead> <tr> <th style="text-align: left; padding: 2px;">დიახ (+) არა (-)</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td style="padding: 2px;">შედგება β-ფრუქტოზის ნაშთებსაგან</td> </tr> <tr> <td style="padding: 2px;">სახამებლის მსგავსად, აქვს ზოგადი ფორმულა $(C_6H_{12}O_6)_n$.</td> </tr> <tr> <td style="padding: 2px;">მისი M_r შეიძლება გამოვთვალით გამოსახულებით 162n</td> </tr> <tr> <td style="padding: 2px;">მაკრომოლეკულა შეიცავს ნი $-OH$ ჯგუფს</td> </tr> <tr> <td style="padding: 2px;">მაკრომოლეკულები ნარმოქმნის ბოჭკოებს</td> </tr> </tbody> </table> <p>6. მიუთითოთ გამოთქმები, რომელიც მართებული არ არის ცელულოზისთვის:</p> <ol style="list-style-type: none"> ა. მერქნისგან გამოიყოფენ სულფატური ხერხით ბ. მაკრომოლეკულებს შორის არ არსებობს ნეალბალური ბმა გ. მისი შედგენილობა შეიძლება გამოვსახოთ $[C_6H_7O_2(OH)_3]_n$ სახით დ. სახამებლისგან განსხვავებით, მისი ჰიდროლიზი მიმდინარეობს ერთ სტადიად ე. გამოიყენება ვისკოზური აბრეშუმის ნაომოებაში 	დიახ (+) არა (-)	შედგება β -ფრუქტოზის ნაშთებსაგან	სახამებლის მსგავსად, აქვს ზოგადი ფორმულა $(C_6H_{12}O_6)_n$.	მისი M_r შეიძლება გამოვთვალით გამოსახულებით 162n	მაკრომოლეკულა შეიცავს ნი $-OH$ ჯგუფს	მაკრომოლეკულები ნარმოქმნის ბოჭკოებს
დიახ (+) არა (-)							
შედგება β -ფრუქტოზის ნაშთებსაგან							
სახამებლის მსგავსად, აქვს ზოგადი ფორმულა $(C_6H_{12}O_6)_n$.							
მისი M_r შეიძლება გამოვთვალით გამოსახულებით 162n							
მაკრომოლეკულა შეიცავს ნი $-OH$ ჯგუფს							
მაკრომოლეკულები ნარმოქმნის ბოჭკოებს							
დ	<p>7. რით განსხვავდება ცელულოზა სახამებლისგან?</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ელემენტური შედგენილობით 2. მაკრომოლეკულის ნარმოქმნელი მონოსაქარიდის ნაშთის აღნაგობით 3. ბოჭკოების ნარმოქმნის უნივერსალურობით 4. ადამიანის ორგანიზმის მიერ მოუნელებლობით <p>8. დაადგინეთ შესაბამისობა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. პიროქსილინი 2. აცეტატური აბრეშუმი 3. ორგანული მინა 4. უკვამლო დონთი 5. უნვადი ფირი 6. ფეთქებადი ნივთიერება <div style="display: flex; justify-content: space-between; margin-top: 10px;"> РЕДАКТИРУЕТСЯ <div style="flex-grow: 1;"> $[C_6H_7O_2(ONO_2)_3]_n \quad$ $[C_6H_7O_2(OCOCH_3)_3]_n \quad$ </div> </div>						

ქვემოთ მოცემული, გაზითის გვერდიდან აღებული ინფორმაციის
ნაწილის საფუძველზე უპასუხეთ ჩარჩოში მოთავსებულ კითხვებს.

საგაზითო სტატია



... თუ ნავთობს უწოდებენ „შავ ოქროს“, ბუნებრივ აირს – „ცისფერ ოქროს“, ბამბას – „თეთრ ოქროს“, უეჭველია, ტყეს შეიძლება „მწვანე ოქრო“ ვუწოდოთ.

ადამიანები უძველესი დროიდან იყენებენ ტყეს სხვადასხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფლებლად (სამშენებლო მასალად, სახლების გასათბობად, ქალაობისა და სხვა პროდუქტების საწარმოებლად და ა.შ.).

მრავალი საუკუნეა, რაც მერქანი ქაღალდის წარმოების ერთადერთი ნედლეულია. ამჟამად ქაღალდის წარმოებისთვის ყოველწლიურად იხარჯება ათეულ მილიონობით კუბომეტრი მერქანი. „პლანეტის ფილტვებად“ წოდებული ტყეების გაჩეხა თანამედროვეობის ერთ-ერთ გლობალურ პრობლემად გვევლინება...

რათომ?

(განიხილება
პრობლემა)

რათომ ახდენს
ქაღალდის წარმო-
ება ასეთ გავლენას
ტყის გაჩეხაზე?

როგორ?

(ტექნოლოგიური
პროცესის
გამოსახვა)
როგორ წარმო-
ებენ ქაღალდს
მერქანისგნ?

რა გავაკვთო?

(წინადადებები პრობ-
ლემის გადასაჭრელად)
რა შეიძლება გავაკვთოთ
ქაღალდის წარმოების
მიზნით ტყის გაჩეხის
აღსაკვთად?

დასკვნები:

დასკვნები:

დასკვნები:

პრაქტიკული
სამუშაო

2 კარგობრავების რთული ეთორების, სარეცხი
საშუალების და ნახშირნყლების ძიმიური თვისებები

ა

ძმარმჟავას ურთიერთქმედება
მეტალებთან

- სინკვარაში ჩაასხით 2 მლ ძმარმჟავა, დაუმატეთ თუთიის 1-2 გრანულა და სინკვარა სუსტად გააცხელეთ სპირტერაზე.

იმსჯელეთ შედეგებზე:

- რა შეამჩნიეთ სინჯარის გაცხელებისას? რომელი აირი გამოიყოფა სინჯარიდან?
- შეადგინეთ რეაქციის ტოლობა.
- რომელ მეტალები რეაგირებს ძმარმჟავასთან? რომელი არ რეაგირებს?

ბ

ძმარმუავას რთული ეთერის მიღება

- სინჯარაში მოთავსებულ 2 მლ ეთანოლს დაუმატეთ 2 მლ ძმარმუავი და 1 მლ კონცენტრირებული გოგირდმუავა. სინჯარას დაახურეთ საცობი გაზგამყვანი მიღით და რამდენიმე წუთის განნავლითაში გააცხელეთ წყლის აბაზანაზე. გაცივების შემდეგ სინჯარაში ჩაასხით 4-5 მლ წყალი. ამ დროს წყლის ზედაპირზე წარმოქმნება ეთილაცეტატის ფენა და სინჯარიდან გავრცელდება სასიამოვნო სუნი.

გ

ვერცხლის (II) ოქსიდის მოქმედება გლუკოზზე და საქართვიზე

- ორ სინჯარას, რომელთაგან ერთ-ერთში გლუკოზის 2 მლ ხსნარია, ხოლო მეორეში – საქართვის ამდენივე ხსნარი, დაუმატეთ 1-2 მლ ვერცხლის ოქსიდის ამიაკური ხსნარი. ორივე სინჯარა გააცხელეთ მდულარე წყლის აბაზანაზე.

დ

იოდის მოქმედება სახამებელზე

- სინჯარას, რომელშიც მოთავსებულია 2 მლ სახამებლის ბუქი, დაამატეთ რამდენიმე წვეთი იოდის ხსნარი ეთანოლში და დააკვირდით ცვლილებებს.
- სინჯარას დაახურეთ საცობი და ნარევი სუსტად გააცხელეთ სპირტერაზე. დააკვირდით მომხდარს.
- სინჯარა ჩაუშვით ცივ წყალში და ისევ დააკვირდით მომხდარ ცვლილებას.

იმსჯელეთ შედეგებზე:

- შეადგინეთ ეთანოლსა და ძმარმუავას შორის რეაქციის ტოლობა.
- რა როლს თამაშობს რეაქციაში გოგირდმუავა?
- რა ეწოდება სინჯარაში წარმართულ რეაქციას?

იმსჯელეთ შედეგებზე:

- რა შეამჩნიეთ თითოეულ სინჯარაში?
- რას უკავშირდება ეს განსხვავება?
- გლუკოზის რომელი ფორმა – ალდეჰიდსპირტული თუ ციკლური – შედის „ვერცხლის სარკის“ რეაქციაში?
- შეადგინეთ რეაქციის ტოლობა.

იმსჯელეთ შედეგებზე:

- რა შეამჩნიეთ იოდის ხსნარის ბუქიზე დამატებისას?
- რა ემართება კლეისტერს გაცხელებისას? როგორ შეიძლება ამის ახსნა?
- როგორ ახსნით სინჯარის ცივ წყალში ჩაშვებისას მომხდარ ცვლილებებს?


LAYIH

1. ნახშირნყლების უმეტესობა ბუნებრივი პოლიმერებია ზოგადი ფორმულით $C_n(H_2O)_m$.
2. ნახშირნყლები იყოფა მონოსაქარიდებად, დისაქარიდებად და პოლისაქარიდებად.
3. მონოსაქარიდები ნახშირნყლებია, რომლებიც ჰიდროლიზაციის არ განიცდის.
4. დისაქარიდები ნახშირნყლებია, რომელთა ერთი მოლეკულიდან ჰიდროლიზაციის მოლეკულა მონოსაქარიდი წარმოქმნება.
5. პოლიქარიდები ნახშირნყლებია, რომელთა ერთი მოლეკულიდან ჰიდროლიზაციის მრავალი მოლეკულა მონოსაქარიდი წარმოქმნება.
6. ნივთიერების სახელწოდებაში დაბოლოება „ოზა“ მიუთითებს, რომ ის ნახშირნყლებს მიეკუთვნება.
7. ფრუქტოზა და გალაქტოზა გლუკოზის იზომერებია.
8. სსნარში გლუკოზა არსებობს ხუთატომიანი ალდეჰიდსპირტის, აგრეთვე ა და β ციკლურ ფორმაში.
9. გლუკოზის α და β ფორმების ურთიერთგარდაქმნას ტაუტომერია ენოდება, ხოლო α და β ფორმებს – ტაუტომერები.
10. კრისტალურ მდგომარეობაში გლუკოზა α -ფორმის სახით იმყოფება.
11. ვერცხლის(I) ოქსიდის მოქმედებით, სუსტი გახურებისას კი – სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდითაც გლუკოზა იუანგება გლუკონის მჟავად.
12. ტუტე არგში გლუკოზა სპილენდ(III)-ის ჰიდროქსიდთან წარმოქმნის სპილენდ(III)-ის საქარატის კაშკაშა ლურჯ სსნარს.
13. პირობებისგან დამოკიდებულებით, გლუკოზა განიცდის სპირტულ, ერბომჟავურ და რძემჟავურ დუღილს.
14. ფრუქტოზა ხუთატომიანი კეტონსპირტია; არ იუანგება ვერცხლის(I) ოქსიდით და სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდით.
15. საქაროზის მოლეკულაში α -გლუკოზისა და β -ფრუქტოზის ნაშთები შეერთებულია გლიკოზიდური ბმით.
16. საქაროზა არ იუანგება ვერცხლის(I) ოქსიდით და სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდით.
17. მალტოზა, ლაქტოზა, აგრეთვე გლუკოზა, რიბოზა და დეზოქსირიბოზა მიეკუთვნება აღმდგენ ნახშირნყლებს.
18. სახამებელი, ცელულოზა და გლიკოგენი პოლისაქარიდებია.
19. სახამებელი შედგება α -გლუკოზის, ხოლო ცელულოზა – β -გლუკოზის ნაშთებისგან.
20. სახამებლის მაკრომოლეკულებს აქვს განძტოებული და არაგანძტოებული აღნაგობა.
21. არაგანძტოებული აღნაგობის სახამებლის მაკრომოლეკულებს ენოდება ამილოზა, ხოლო განძტოებული აღნაგობისას – ამილოპექტინი.
22. ცხელ ნყალში სახამებელი წარმოქმნის ბუბკოს.
23. იოდის მოქმედებით სახამებელი ლურჯ შეფერვას იღებს.
24. ცელულოზა არაგანძტოებული აღნაგობის ბუნებრივი პოლიმერია.
25. ცელულოზა კარგად იხსნება ამიაკიან წყალში გახსნილ სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდში.
26. ცელულოზის რთულ ეთერებს ფართო გამოყენება აქვს.

დაამყარეთ შესაბამისობა:

1. გლუკოზა 2. ფრუქტოზა 3. გალაქტოზა 4. რიბოზა 5. დეზოქსირიბოზა
ალდოპენტოზა — **კეტოპენტოზა** — **ალდოპენტოზა** —

2. დაამყარეთ შესაბამისობა:



3. რომელი ნახშირწყლები განიცდის ჰიდროლიზს?

1. გლუკოზა 3. სახამებელი 5. ფრუქტოზა
 2. საქაროზა 4. მალტოზა 6. ცელულოზა

4. დაასრულეთ გამოთქმები, რომელიც ეხება გლუკოზას ან მის მოლეკულას:

- ა. კრისტალურ მდგომარეობაში გლუკოზა არსებობს მხოლოდ ... ფორმის სახით.
 ბ. ხსნარში გლუკოზა არსებობს ორი ... და ერთი ... ფორმის სახით.
 გ. გლუკოზის α - და β -ფორმების ურთიერთგარდაქმნის მოვლენას ეწოდება
 დ. ალდეჰიდის მიმდევარი ფორმაში შეიცავს 5 ... ჯგუფს და ერთ ... ჯგუფს.

5. რომელი რეაქციის საშუალებით შეიძლება გლიცერინისა და გლუკოზის განსაზღვრა?

- ა) $\text{Ca}(\text{OH})_2$ ბ) $\text{Cu}(\text{OH})_2$ გ) Cu_2O
 დ) Ag_2O ე) H_2SO_4

6. შეასწორეთ არასწორი გამონათქვამები, რომელიც ეხება ორივე მონოსაქარიდს: რიბოზასა და დეზოქსირიბოზას:

- ა. ოთხატომიანი ალდეჰიდის მიმდევარი ფორმა $\text{C}_n(\text{H}_2\text{O})_m$.
 ბ. შედგენილობა შეესაბამება ფორმულას $\text{C}_n(\text{H}_2\text{O})_m$.
 გ. ჩაკვეტილი ციკლები შეიცავს ატომთა ერთნაირ რიცხვს.
 დ. ჰექსოზებია.
 ე. ალდეჰიდი წყალბადით.

7. დაასრულეთ საქაროზის ქიმიური თვისებების ამსახველი სქემები:


1. $\text{C}_{12}\text{H}_{22}\text{O}_{11} \xrightarrow{\text{დუღილი}}$ 2. $\text{C}_{12}\text{H}_{22}\text{O}_{11} + \text{Cu}(\text{OH})_2 \rightarrow$
 3. $\text{C}_{12}\text{H}_{22}\text{O}_{11} + \text{O}_2 \xrightarrow{t}$ 4. $\text{C}_{12}\text{H}_{22}\text{O}_{11} + \text{H}_2\text{O} \xrightarrow{\text{H}^+}$
 5. $\text{C}_{12}\text{H}_{22}\text{O}_{11} + \text{I}_2 \rightarrow$

8. რომელ ნივთიერებებთან რეაგირებს სახამებელა?

1. H_2O 2. $\text{Cu}(\text{OH})_2$ 3. Ag_2O 4. I_2 5. O_2

9. რამდენ $-\text{OH}$ ჯგუფს შეიცავს გლუკოზის, საქაროზის, სახამებლისა და ცელულოზის თითო მოლეკულა?

10. რამდენი გ კარბონილი (I) ოქსიდია საჭირო 2 მოლი გლუკოზის გლუკონმჟავამდე ლასაუნგად? $M(\text{Ag}_2\text{O}) = 232$.



ნაცილი



აზოფშემცველი
ორგანული
ნაერთები

თავი

5

ნიტრონაერთები, ამინები,
ამინმჟავები და ცილები

5.1. ნიტრონაერთები

5.2 ამინები

5.2.1. ნომენკლატურა და იზომერია

5.2.2. მიღება, ალნაგობა და ფიზიკური თვისებები

5.2.3. ქიმიური თვისებები და გამოყენება

5.2.4. ანილინი

5.3. ამინმჟავები

5.3.1. ნომენკლატურა, იზომერია, მიღება და ალნაგობა

5.3.2. თვისებები და გამოყენება


5.4. ცილები

5.4.1. ალნაგობა

5.4.2. თვისებები და გამოყენება

ІНДИХ

- ნიტრონაერთები
- მონოამინები
- დიამინები
- პირველადი, მეორეული და მესამეული ამინები
- ორგანული ფუძეები
- ანილი
- α-ამინმჟავები
- გლიცინი
- შიგა მარილი
- ორგანული ამფოტერული ნივთიერება
- პოლიპეპტიდი
- პეპტიდური ჯგუფი
- პეპტიდური ბმა
- პროტეინები
- პროტეიდები
- ცილის ალნაგობა
- ცილის დენატურაცია
- რებატურაცია



აზოტშემცველ ორგანულ ნივთიერებებს შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ცილები და მათი წარმოქმნელი ამინმჟავები.

ცილები ცოცხალი ორგანიზმების სტრუქტურისა და ფუნქციის საფუძველია. თვით სახელნოდება პროტეინები (ბერძნ. – πρωτεΐνη, უმთავრესი) ასახავს ნივთიერებათა ამ კლასის პირველხარისხოვან ბიოლოგიურ მნიშვნელობას. მიუხედავად იმისა, რომ ცილები წარმოქმნილია სულ 20 ამინმჟავისგან, ისინი ძალზე ბევრია. გამოთვლილია, რომ ბუნებაში გვხვდება 10^{10} - 10^{12} სხვადასხვა ცილა, რომლებიც უზრუნველყოფს 10^6 სახეობის ცოცხალი ორგანიზმის არსებობას. მათგან ადამიანის ორგანიზმი შეიცავს 50 000 სხვადასხვა სახის ცილას. დღემდე დადგენილია დაახლოებით 2500 ცილის ალნაგობა.

ცილები წარმოიქმნება ცოცხალი ორგანიზმების უჯრედებში, ბიოსინთეზის პროცესში.

ცილები შეიძლება სინთეზურად მივიღოთ ქიმიურ ლაბორატორიებშიც. ამისთვის აუცილებელია მათი პირველადი სტრუქტურის დადგენა და, შემდეგ, ამინმჟავების ნაშთების შეერთება პირველადი სტრუქტურის შესაბამისი თანმიმდევრობით. მაგრამ ეს ძალზე რთული ამოცანაა. მაგალითად, უმარტივესი ცილის – ინსულინის ურთი პოლიპეპტიდური ჯაჭვის სინთეზისთვის – 89, ხოლო მეორე ჯაჭვის სინთეზისთვის – 138 რეაქციის განხორციელება მოუხდათ. ამ ყველაფერს 10 წელი დასჭირდა.

LAW

გაიხსენეთ VII-X კლასებში შესწავლილი მასალა და შეასრულეთ დავალებები.

1. დაასახელეთ CH_3NH_2 შედგენილობის ნაერთის წარმომქმნელი ორი ჯგუფი (რადიკალი) და მიუთითეთ მათი ვალენტობა.
2. IX კლასში შესწავლილი რომელი ორგანული ნაერთების შედგენილობაში შედის NH_2 ჯგუფი?
 - ა. კარბომჟავათა ამონიუმის მარილებში;
 - ბ. მხილოდ ცილებში;
 - გ. ამინმჟავებში;
 - დ. პოლიამიდურ ბოჭკოებში.
3. შედგინეთ მეთიოლამინის (CH_3NH_2), ეთილამინისა ($\text{C}_2\text{H}_5\text{NH}_2$) და ფენილამინის ($\text{C}_6\text{H}_5\text{NH}_2$) სტრუქტურული ფორმულები.
4. რომელი ნივთიერების ნაწარმებად შეიძლება განვიხილოთ ამინები?
 - ა. ნახშირწყლების;
 - ბ. მოლეკულური აზოტის;
 - გ. ამიაკის;
 - დ. ამონიუმის კატიონის.
5. როგორ ფიქრობთ, ჩვეულებრივ პირობებში რატომ არის მეთანოლი სითხე, ხოლი მეთიოლამინი – აირადი ნივთიერება?
6. ამიაკის წყალში ხსნადობის გათვალისწინებით, რა შეიძლება ითქვას მეთილამინის წყალში ხსნადობაზე? პასური დაასაბუთეთ.
7. რატომ ითვლება ამინმჟავები ორგანულ ამფოტერულ ნივთიერებებად?
8. რომელი ბმით უკავშირდება ერთმანეთს ამინმჟავების ნაშთები ცილის მოლეკულაში?
 - ა. ამიდური ბმით;
 - ბ. რთულეთერული ბმით;
 - გ. $\begin{array}{c} \text{O} \\ \parallel \\ \text{C}-\text{N}- \\ | \end{array}$ ბმით;
 - დ. ჰეპტიდური ბმით.

LAYITH

ნიტრონაერთები, ამინები, ამინოჟავები და ცილები


-NH₂

ფუნქციურ ჯგუფს
ეწოდება **ამინოჯგუფი.**

აზოტშემცველ ორგანულ ნივთიერებებს მიეკუთვნება **ნიტრონაერთები,** ამინები, ამინოჟავები, ცილები და სხვ.

- **ნიტრონაერთები** ორგანული ნაერთებია, რომელთა მოლეკულებში ერთი ან რამდენიმე ნიტროჯგუფი (-NO₂) შეერთებულია ნახშირწყალ-ბადის რადიკალთან.
- **ამინები** ამიაკის ნაარმებია, რომელშიც წყალბადის ატომები ჩანაც-ვლებულია ნახშირწყალბადის რადიკალით.

აზოტის ატომთან დაკავშირებული რადიკალების რიცხვისგან დამოკი-დებულებით, განასხვავებენ პირველად, მეორეულ და მესამეულ ამინებს.



-NH₂ ფუნქციურ ჯგუფს ამინოჯგუფი ეწოდება.

თუ ამინის მოლეკულა მხოლოდ ერთ ამინოჯგუფს (-NH₂) შეიცავს, მას მონამინი ეწოდება, თუ ორს - დამინი; მაგალითად, CH₃-NH₂ და C₆H₅-NH₂ მონომინებია, H₂N-CH₂-CH₂-NH₂ (ეთილენდიამინი) და H₂N-(CH₂)₆-NH₂ (ჰექსა-მეთილენდიამინი) - დიამინები.

ჩვეულებრივ, **დი-**, **ტრი-** და **სხვ.** ამინები, აგრეთვე **არომატული ამინები,** მაგალითად ფენილამინი (C₆H₅NH₂) განიხილება, როგორც ნახშირწყალბადების ნაარმები.

საშუალო სკოლაში ძირითადად შეისწავლიან ნაჯერ მონოამინებს, არომატული ამინებიდან კი - მხოლოდ ანთონის (ფანილამინს).

- **ამინოჟავები** ორგანული ნივთიერებებია, რომელთა მოლეკულები შეიცავს ამინო- (-NH₂) და კარბოქსილის (-COOH) ჯგუფებს.
- **ცილები** რთული შედეგენერობისა და აღნაგობის მაღალმოლეკულური ორგანული ნივთიერებებია, რომელთა მოლეკულებში ა-ამინოჟავების ნაშთები ერთმანეთთან დაკავშირებულია ჰეპტიდური ბმით.

5.1. ნიტრონაერთები

• გაიხსენით განვითარეთ გასაღა •

- რომელი რეაქციით იღებენ ალკანებისგან და არენებისგან ნიტრონაერთებს?
- რომელ არომატულ ნიტრონაერთს ენოდება პიკრინმჟავა?

ვარაუდობენ, რომ თანამედროვე ფეთქებადი ნივთიერებების პროტოტიპია „ბერძული ცეცხლი“, რომელიც შეიმუშავეს VII საუკუნის ბოლოს. ბოლო წლებში ფეთქებადი ნივთიერებების დასამზადებლად გამოიყენებოდა ძირითადად აზოტმჟავას ნანარმები, მათ შორის ნიტრონაერთები. პირველი მსოფლიო ომის წლებში საარტილერიო ჭურვების დასამზადებლად ფართოდ გამოიყენებოდა პიკრინმჟავა და მისი მარილები, აგრეთვე ტროტილი.



– რომელი არომატული ნივთიერების ნანარმებია პიკრინმჟავა და ტროტილი?



საქმიანობა • ნიტრონაერთები და აზოტმჟავას რთული ეთერები. შეავსეთ ცხრილი და განსაზღვრეთ ნიტროჯგუფის განმასხვავებელი თავისებურებაზე ამ ირ ნაერთში.


	C ₆ H ₅ NO ₂	C ₃ H ₅ O ₃ (NO ₂) ₃
შეადგინეთ ნაერთების სტრუქტურული ფორმულები		
ალნიშნეთ რთული ეთერი (+)		
დაწერეთ ნაერთთა სწორი სახელწოდებები		
ალნიშნეთ N-C ბმის შემცველი ნივთიერება (+)		
ალნიშნეთ მარტივი N-O ბმის შემცველი ნივთიერება (+)		

იმსჯელეთ: როთ განსხვავდება C₆H₅ და C₃H₅O₃ ნაშთებთან ნიტროჯგუფის ბმა მოცემულ ნაერთებში?



• ნიტრონაერთები ორგანული ნაერთებია, რომელთა მოლეკულებში ერთი ან რამდენიმე ნიტროჯგუფი (-NO₂) შეერთებულია ნახშირნყალბადის რადიკალთან.

მაგალითად, CH₃-NO₂, C₂H₅-NO₂, C₃H₇-NO₂ და სხვ. ნიტრონაერთებია.



ნახშირნყალბადის რადიკალის ბუნების მიხედვით ნიტრონაერთები შეიძლება დავყოთ ნიტროალკანებად, არომატულ ნიტრონაერთებად და სხვ.




საერთაშორისო ნომებკლატურით ნიტრონაერთების სახელწოდებები ნარმილირდა ნიტრონაერთის ნახშირნყალბადოვნი რადიკალის შესაბამისი ალკანის დასახელებაზე მოეფიქს „ნიტროს“ დამატებით. აუცილებლობის შემთხვევაში ციფრით მიუთითებენ ჯაჭვში ნიტროჯგუფის ადგილს, მაგალითად:




ნიტრონაერთების იზომერია განპირობებულია ნიტროჯგუფის მდებარეობით ნახშირბადოვან ჯაჭვში (1,2) და ამ ჯაჭვის აღნაგობით (3,4), მაგალითად:



ნიტრონაერთებში აზოტი ოთხვალენტიანია, ხოლო მისი უანგვის რიცხვია +3. როგორც აზოტმჟავას მოლეკულის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ნიტროჯგუფში ერთ-ერთი N–O ბმა ნარმოქმნილია აზოტის ატომის გაუზიარებელი ელექტრონული წყვილის სარჯებე, ორივე N–O ბმის სიგრძე ერთნაირია. აზოტის ატომი sp^2 -ჰიბრიდულ მდგომარეობაში იმყოფება (ს):




ნიტრონაერთებს ილებენ ძირითადად ნახშირნყალბადების რეაქციით. ნიტროალკანები მიიღება ალკანების განზავებულ აზოტმჟავასთან (კონვალოვის რეაქცია), ან ამ მჟავას ორთქლთან ($\approx 475^\circ\text{C}$) ურთიერთქმედებით:




ჰექსანი

10%-იანი


1-ნიტროჰექსანი




არომატული ნახშირნყალბადები, სხვა ნახშირნყალბადებთან შედარებით, ადგილად ნიტრირდება. მათ ნიტრირებას ატარებენ კინცენტრირებული აზოტმჟავასა და გოგირდმჟავას ნარევით:



ნიტრონაერთებს ილებენ აგრეთვე ალკილჰალოგენიდებზე ნატრიუმის ნიტრიტის მოქმედებით:



ნიტრონაერთების უმნიშვნელოვანესი ქიმიური თვისებაა მათი ამინებად გარდაქმნა წყალბადით აღდგენისას:



ნიტრონაერთები გამოიყენება ამინების, ალდეჰიდების, კარბონმჟავების, პოლინიტრონაერთების მისაღებად. მაგალითად, 2,4,6-ტრინიტროტოლუოლი გამოიყენება ფეთქებად ნივთიერებად.

■ განამტკიცეთ შესრულებული გასაღა

■ შეადგინეთ ნიტრომეთანის მოლეკულის ელექტრონული ფორმულა. მიუთითოთ ფორმულაში დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით ნარმოქმნილი კოვალენტური ბმა.

■ რეზლუსია და შეიასება

■ I. დასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.

- არომატული ნახშირნავალბადების ნიტრირება მიმდინარეობს ... მოქმედებით.
- ნაერთი $\text{C}_6\text{H}_5\text{NO}_2$ მიეკუთვნება არომატულ ნიტრონაერთებს, რადგან
- 2,4,6-ტრინიტროტოლუოლი მიეკუთვნება ტრინიტრონაერთებს, რადგან

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასურეთ რა კითხვას:


- რა შეისწავლეთ გაკვეთილის თემის ირგვლივ?
- რას მიაქცევდით მეტ ყურადღებას შემდეგ გაკვეთილებზე?

■ III. შეასრულეთ დავალებები.

ა 1. განსაზღვრეთ ნიტრონაერთები:

1. 1-ნიტროპენტანი 2. ნიტროგლიცერინი
3. ნიტროსენზოლი 4. 2,4,6-ტრინიტროტოლუოლი

2. რომელი სქემის მიხედვით ნარმოქმნება ნიტროალკანები?



ბ 3. რამდენი გ ნიტრობენზოლის მიღება შეიძლება 0,5 მოლი ბენზოლისგან, თუ რეაქციის გამოსავალი თეორიულის 80%-ია? $M_r(\text{ნიტრობენზოლი}) = 123$.

4. შეადგინეთ 1,3-დინიტრობენზოლისა და პ-ნიტროტოლუოლის სტრუქტურული ფორმულები.

5. შეადგინეთ 2-ნიტროპროპანის წყალბადით აღდგენის რეაქციის ტოლობა.

6. შეადგინეთ 2-ნიტრობუტანის ნახშირბადერვანი ჯაჭვის აღნაგობით განსხვავებული იზომერის ფორმულა და დაასახელეთ ის საერთაშორისო ნომერულატურით.

გ 7. შეადგინეთ აცეტილენისგან 2,4,6-ტრინიტროტოლუოლის მიღების რეაქციათა ტოლობები. მიუთითოთ მათი მიმდინარეობის პირობები.

8. დაწერეთ ნატრიუმის ნიტრიტისა და მეორეული ბუტილექლორიდის ურთიერთებებით ნიტრონაერთის მიღების რეაქციის ტოლობა და დაასახელეთ ეს ნაერთი საერთაშორისო ნომერულატურით.

- შეადგინეთ ბენზოლისა და ტოლუოლის ნიტრირების რეაქციათა ტოლობები.
- რეაქციის პროდუქტების შედგენილობის მიხედვით განსაზღვრეთ, რომელი რეაქცია უფრო ადვილად მიმდინარეობს და ახსენით ამ მოლენის მიზანი.

5.2. ამინები

5.2.1. ნომენკლატურა და იზომერია

- გაიხსენეთ განვიღები მასალა •

- რა აქტ საერთო ნიტრონაუროებსა და ამინებს?
- რომელი არაორგანული ნივთიერების ნაწარმად შეიძლება განვიხილოთ სპირტები?

XIX საუკუნის ბოლოს დადგინდა, რომ ადამიანები, რომლებიც დიდი ხნის გამოიჩინდნენ იყვებებით და ამინებს? ნერვული სისტემის აშლილობის ნიმუშით. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ამ დაავადებათა მიზეზია საკვებში ამინოჯგუფის ($-NH_2$) შემცველი ნივთიერების არარსებობა, რომელსაც „ვიტამინი“ (სიცოცხლის ამინი) უწოდეს და რომელსაც მხოლოდ ბრინჯის ჩენჩჩი შეიცავდა.

– ბრინჯის
ჩენჩჩი
არსებული
ამინაუროების
რომელ
თვისებაზე
მიუთითებს ეს
მონაცემები?


საქმიანობა • ამინების სტრუქტურული იზომერია. იცით რა, რომ ამინები ამიაკის ნაწარმებია, შეადგინეთ C_3H_9N შედეგნილობის ამინების სტრუქტურული ფორმულები.

იმსჯელეთ: – რომელი მიზეზები განაპირობებს ამინების სტრუქტურულ იზომერიას?

ნომენკლატურა. საერთაშორისო ნომენკლატურით ნაჯერი პირველადი ამინის სახელწოდება მიღება ამინის ნახშირწყალბადოვანი რადიკალის შესაბამისი ალკანის სახელწოდებაზე პრეფიქს „ამინოს“ დამატებით. მაგალითად:





$C_3H_9NH_2$ შედეგნილობის ამინიდან დაწყებული, უთითებენ აგრეთვე ჯაჭვში ამინოჯგუფის მდებარეობას. ნახშირბადის ატომების დანომვრას იწყებენ იმ ბოლოდან, რომელთანაც ახლოსაა ამინოჯგუფი:



რაციონალური ნომენკლატურით პირველადი ამინის სახელწოდებას ადგენენ რადიკალის სახელწოდებაზე სიტყვა „ამინის“ თამატებით: CH_3-NH_2 მეთილამინი, $CH_3-CH_2-NH_2$ ეთილამინი და სხვ.



მეორეულ და მესამეულ ამინებს ასახულებენ ძირითადად რაციონალური ნომენკლატურით; ამ დროს რადიკალებს ჩამოთვლიან მცირედან დიდისკენ:




შენიშვნა. ნივთიერებებს, რომლებშიც აზოტი დაკავშირებულია ოთხ ატომთან ატომთა ჯგუფთან, შემდეგნაირად ასახელებენ: $[RNH_3]^+$ – ალკილამონიუმის კატიონი, $[(C_2H_5)_2NH_2]Cl$ – დიუთილამონიუმის ქლორიდი და ა.შ.

იზომერია. ამინების იზომერია გამოწვეულია სამი მიზეზით:



1) ნახშირნყალბადოვანი ჯაჭვის აღნავობით, მაგალითად:



2) ნახშირნყალბადოვან ჯაჭვში ამინოჯგუფის $-\text{NH}_2$ მდებარეობით, მაგალითად:



3) აზოტის ატომთან დაკავშირებული რადიკალების რიცხვით, მაგალითად:



ამინებში არსებობს აგრეთვე ოპტიკური იზომერია. მაგალითად, 2-ამინობუტანის მოლეკულაში ნახშირბადის მეორეული ატომი დაკავშირებულია 4 სხვადასხვა ატომთან ან ატომთა ჯგუფთან ($-\text{H}$, $-\text{NH}_2$, $-\text{CH}_3$, $-\text{C}_2\text{H}_5$), რის შედეგადაც მისი მოლეკულა არსებობს ორი ოპტიკური იზომერის სახით:

2-ამინობუტანის ოპტიკური იზომერები

■ განამტკიცეთ შესრულები გასაძა

- შეადგინეთ $\text{C}_5\text{H}_{11}\text{NH}_2$ შედგენილობის ამინის ყველა სტრუქტურული იზომერის სტრუქტურული ფორმულა და დაასახელეთ ისინი საერთაშორისო ნომენკლატურით. მიუთითოთ ნახშირბადის ასიმეტრიული ატომის შემცველი ამინები.

■ რეზლუსია და შეფასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით მიმოწმეთ მათი სისწორე.

- პროპილამინი და იზოპროპილამინი ერთმანეთს იზომერებია, რადგან
- ბუტილამინის იზომერების რიცხვი ... პროპილამინის იზომერების რიცხვზე, რადგან $\text{C}_4\text{H}_9\text{NH}_2$ შედგენილობის ამინებს ახასიათებს ... იზომერია.
- $\text{C}_6\text{H}_{15}\text{N}$ შედგენილობის ამინს, რომელიც შეიცავს ნახშირბადის 3 პირველად ატომს, რაციონალური ნომენკლატურით ეწოდება

■ II. გამოხატეთ თუ კურსი შედება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

- რომელი ინტორესტი მოგეწიენათ ყველაზე საინტერესო?

■ III. შეასრულეთ დავალებები.

ა 1. მიუთითეთ მონოამინები.

1. CH_3NH_2 2. $\text{CH}_3\text{NHC}_2\text{H}_5$ 3. $\text{H}_2\text{NCH}_2\text{CH}_2\text{NH}_2$ 4. $\text{C}_6\text{H}_5\text{NH}_2$ 5. $(\text{CH}_3)_3\text{N}$

2. დაასახელეთ ამინები საერთაშორისო ნომენკლატურით:

1. $\text{CH}_3-\text{CH}_2-\text{CH}_2-\text{NH}_2$ 2. $\text{CH}_3-\underset{\text{NH}_2}{\text{CH}}-\text{CH}_3$ 3. $\text{CH}_3-\underset{\text{NH}_2}{\text{CH}}-\text{CH}_2-\text{CH}_2-\text{CH}_3$

ბ 3. შეადგინეთ ამინის სტრუქტურული ფორმულა, რომელიც მიღებულია მეთილ-ამინის მეთოლის ჯგუფის ერთი წყალბადის ატომის იზოპროპილის რადიკალით ჩანაცვლების შედეგად და დაასახელეთ ის საერთაშორისო ნომენკლატურით.

4. განსაზღვრეთ R_2NH ტიპის ნაჯერი ამინის ფორმულა, თუ ის 31,1% აზოტს შეიცავს.

გ 5. შეადგინეთ ამინების სტრუქტურული ფორმულები:

1. $\text{C}_7\text{H}_9\text{N}$ შედგენილობის მეორეული ალიფატური ამინი;
 2. $\text{C}_7\text{H}_9\text{N}$ შედგენილობის მეორეული არომატული ამინი;
 3. $\text{C}_8\text{H}_{11}\text{N}$ შედგენილობის მესამეული არომატული ამინი.

დ 6. დაადგინეთ შესაბამისობა:

- | | | |
|---|---|---|
| 1. $(\text{CH}_3)_2\text{CHNH}_2$
ა. ტრიმეთილამინი | 2. $\text{CH}_3\text{NHC}_2\text{H}_5$
ბ. იზოპროპილამინი | 3. $(\text{CH}_3)_3\text{N}$
გ. მეთილეთილამინი |
| პირველადი ამინი _____ | მეორეული ამინი _____ | მესამეული ამინი _____ |

დ 7. გამოსახეთ ნაჯერი პირველადი ამინის ფარდობითი მოლეკულური მასა მოლეკულაში ნახშირბადის ატომების რიცხვის (n) მიხედვით.

8. შეადგინეთ $\text{C}_4\text{H}_9\text{NH}_2$ შედგენილობის ამინის სტრუქტურული ფორმულები და დაასახელეთ ისინი საერთაშორისო ნომენკლატურით. შეადარეთ იზომერთა ეს რიცხვი $\text{C}_4\text{H}_9\text{OH}$ შედგენილობის ნაჯერი სპირტის იზომერთა რიცხვს და ახსენით განსხვავების მიზინი.



მოამზადეთ ბიულეტენი თემაზე: „ამინების როლი ადამიანის ცხოვრებაში“.

5.2.2. მიღება, აღნაგობა და ფიზიკური თვისებები


- გაიხსენეთ განვითარებული ასაღა.
- რით არის განპირობებული არომატული ნივთიერების, ამიაკის ფუძე თვისებები?
- რატომ იხსნება ამიაკი წყალში კარგად?

ალკილამინებსა და არომატულ ამინებს, რომლებიც ნამოუბად გამოიყენება, ჩვეულებით, შინაგანდ იღებენ მათთვის მარილების – ჰიდროქლორიდების სახით.




რის ხარჯზე ნარმოქმნის ამინების მოლეკულები ნაერთებს ქლორნყალბადთან?

საქმიანობა • მეთილამინისა და ფენილამინის მოლეკულათა ელექტრონული აღნაგობა. გაითვალისწინეთ მეთილამინის, ამიაკისა და ფენილამინის მოლეკულათა ელექტრონული აღნაგობა და შეასეთ ცხრილი.




	1	2	3
ნახშირბადის ატომის ჰიბრიდული მდგომარეობა			
აზოტის ატომის გაუზიარებელი ელექტრონული წყვილების რიცხვი			
ორბიტალის ტიპი, რომელიც შეიცავს გაუზიარებელ ელექტრონულ წყვილს			
ნივთიერება, რომელიც შეიცავს ელექტრონოდონორულ რადიკალს (+)			
იმსჯელეთ: რა თანმიმდევრობით იზრდება ელექტრონული სიმკვრივე აზოტის ატომზე დასახელებულ ნივთიერებებში? რით არის ეს განპირობებული?	1	2	3

მიღება. ნაჯერ ამინებს იღებენ ძირითადად ნიტრონაერთების წყალბადით აღდგენის გზით:



ალკილამინებს იღებენ აგრეთვე სპირტებზე ან ალკილჰალოგენიდებზე ამიაკის მოქმედებით:



ბოლო ორ რეაქციაში წარმოიქმნება პირველადი, მეორეული და მესამეული ამინების (RNH_2 , R_2NH , R_3N) ნარევი.

ამინების ელექტრონული აღნაგობა. ამინების მოლეკულებში, ისევე როგორც ამიაკის მოლეკულაში, აზოტის ატომი იმყოფება sp^3 ჰიბრიდულ მდგომარეობაში და გაუზიარებელი ელექტრონული წყვილი მოთავსებულია ამ ორბიტალზე (ს). ამიტომ ალკილამინებს, ამიაკის მსგავსად, აქვთ ფუძე თვისებები, ანუ ამინები ორგანული ფუძეებია.

ვინაიდან ალკილის ჯგუფს, წყალბადის ატომთან შედარებით, ელექტრონოდონორული თვისებები აქვს, ალკილამინის აზოტის ატომზე ელექტრონული ღრუბლის სიმკვრივე მეტია, ვიდრე ამიაკის შემთხვევაში. ამიტომ ალკილამინები ამჟაღვნები უფრო ძლიერ ფუძე თვისებებს, ვიდრე ამაკი. მოლეკულაში ალკილური ჯგუფების რიცხვის ზრდასთან ერთად ამინების ფუძე თვისებები იზრდება.

ვინაიდან ფენილის ჯგუფს, წყალბადის ატომთან შედარებით, ელექტრონაქცეპტორული თვისებები აქვს, ანილინის ($\text{C}_6\text{H}_5\text{NH}_2$) აზოტის ატომზე ელექტრონული ღრუბლის სიმკვრივე ნაკლებია, ვიდრე ამიაკის შემთხვევაში. შედეგად ანილინის აქს უფრო სუსტი ფუძე თვისებები, ვიდრე ამიაკი. მოლეკულაში ფენილის ჯგუფების რიცხვის ზრდასთან ერთად არომატული ამინების ფუძე თვისებები სუსტდება.

ამინების ფუძე თვისებები (R ალკილის ჯგუფია)

$$(C_6H_5)_3N < (C_6H_5)_2NH < C_6H_5NH_2 < NH_3 < RNH_2 < R_2NH$$


ტრიაზილამინი დიაზინილამინი ანლინი ! ! ამიაკი ალკილინი დიალკილამინი

არომატული ამინები **ალიფატური ამინები**

შეისწავლა

ამინების ფუძე თვისებები

ფუძე თვისებების ზრდის მიხედვით განალაგეთ:



ამოხსნა:

რადგან ალკილის (მეთილის) ჯგუფს ელექტრონოდონორული თვისებები აქვს, ფუძე თვისებები გაიზრდება რიგში: $NH_3 \rightarrow CH_3NH_2 \rightarrow (CH_3)_2NH$.

გამოიყენე

ფუძე თვისებების კლების მიხედვით განალაგეთ რიგში ეთილამინი, ამიაკი, ანლინი $C_6H_5-NH_2$ და დიაზილამინი $C_6H_5-NH-C_6H_5$.

ფიზიკური თვისებები. ამინების პირველი წარმომადგენლები: მეთილამინი, დიმეთილამინი, ტრიმეთილამინი წყალში კარგად ხსნადი, ამიაკის სუნის მქონე აირებია, შემდეგი ნევრები – სითხეები აყროლებული თევზის სუნით, ხოლო უმაღლესი ამინები ($n\geq 12$) – უსუნო მყარი ნივთიერებები.

წყალსნარებში ამინების მოლეკულები წყალბადურ ბმებს წარმოქმნის წყლის მოლეკულებთან. ამის გამო ამინები, დაახლოებით ისეთივე მოლეკულური მასის მქონე ნახშირწყალბადებთან შედარებით, წყალში უკეთ იხსნება. ხსნადობა მცირება მოლეკულური მასის ზრდასთან ერთად.

მოლეკულათაშორისი წყალბადური ბმა ალკილამინები

პირველადი და მეორეული ამინები შეიცავს პოლარულ $N-H$ ბმას, ამიტომ მათი მოლეკულები წყალბადურ ბმებს წარმოქმნის ერთმანეთთანაც.

ამავე დროს, $N-H...N$ წყალბადური ბმა უფრო სუსტია, ვიდრე $O-H...O$ წყალბადური ბმა. ამ მიზეზით მეთილამინი უფრო დაბალ ტემპერატურაზე დუღს, ვიდრე მეთანოლი, რომელსაც თითქმის ასეთივე მოლეკულური მასა აქვს:

ნივთიერება	M_r	$T_{\text{დფ.}}, ^\circ\text{C}$	წყალბადური ბმა
CH_3NH_2	31,0	-6,3	$N-H...N$
CH_3OH	32,0	65	$O-H...O$

■ განამტკიცეთ შესძენა მასალა

■ შეადგინეთ მეთილამინისა და წყლის მოლეკულებს შორის, აგრეთვე თვით მეთილამინის მოლეკულებს შორის წყალბადური ბმების წარმოქმნის სქემები.

LAUTHE

■ რეზლუსია და შეჯასეპა

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.

- აზოტის ატომზე ელექტრონული სიმკვრივე დომეთილამინის მოლეკულაში ... , ვიდრე აზოტის ატომზე მეთილამინის მოლეკულაში, რადგან
- ეთანოლთან შედარებით, ეთილამინი წყალში ... იხსნება, რადგან

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

– შენი რომელი ამხანაგი იყო უფრო აქტიური ჯგუფური მუშაობისას?

■ III. შეასრულეთ დავალებები.

ა

1. რომელი სქემით ნარმოიქმნება მხოლოდ პირველადი ამინი?



ბ

2. მიუთითეთ ფუძე თვისებების მქონე ნივთიერებები:

1. NH_3 2. $\text{C}_2\text{H}_5\text{NH}_2$ 3. $\text{C}_6\text{H}_5\text{OH}$ 4. $\text{C}_2\text{H}_5\text{CHO}$ 5. $\text{C}_6\text{H}_5\text{NH}_2$

გ

3. რამდენ ატომს აქვს ეთილამინის მოლეკულაში ტეტრაედრულად მიმართული ორბიტალები?

4. რამდენი sp^3 ჰიბრიდული ორბიტალი მონანილეობს ბმების ნარმოქმნაში ნაჯერი პირველადი ამინის ($\text{C}_n\text{H}_{2n+1}\text{NH}_2$) მოლეკულაში?

გ

5. განალაგეთ ნივთიერებები რიგში ფუძე თვისებების ზრდის მიხედვით და დაასაბუთეთ ეს რიგი:

1. NH_3 2. $\text{C}_2\text{H}_5\text{NH}_2$ 3. $\text{C}_2\text{H}_5\text{NHCH}_3$ 4. $\text{C}_6\text{H}_5\text{NH}_2$

6. მიუთითეთ, რა არის სწორი და რა – არასწორი ამინებისთვის. პასუხი დაასაბუთეთ.

	დიახ (+)	არა (-)
მეთილამინი უკეთ იხსნება წყალში, ვიდრე ეთანი		
პირველადი ამინები წყალთან წყალბადურ შბას არ ნარმოქმნის		
მეთილამინის მოლეკულა პოლარული მოლეკულაა		
მეთილამინიუმის კატიონში 2 sp^3 ჰიბრიდულ მდგომარეობაშია		

დ

7. რატომ დუღს ამინები უფრო დაბალ ტემპერატურაზე, ვიდრე ნახშირბადის იმდენივე ატომის შემცველი ნაჯერი ერთატომიანი სპირტები?

8. დაამზადეთ ტრიმეთილამინის მოლეკულის მოდელი. როგორ ახსნით მოდელის საფუძველზე შემდეგ ფაქტს: მიუხედავად იმისა, რომ ამ მოლეკულის N ატომზე ელექტრონული სიმკვრივე მეტია, ვიდრე დიმეთილამინში, ტრიმეთილამინს აქვს უფრო სუსტი ფუძე თვისებები, ვიდრე დიმეთილამინს.



5.2.3. ქიმიური თვისებები და გამოყენება

• გამოყენები გამოყენები გასაღა



- რომელ ნივთიერებებთან შეუძლია რეაგირება ამინებს? რატომ?
- რა ფერს იღებს ლაკმუსი ალკოლამინების წყალხსნარში? რატომ?

დაბალი რიგის ამინებისა და ამიაკის სუნის მსგავსების გამო, ამინებს დიდხანს ამიაკად მიზნებდნენ. მხოლოდ 1849 წელს, ფრანგმა ქიმიკოსმა შარლ ვიურცმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ამინები ჰაერზე იწვის და, საკუთარი ახალი ნარმოდგენების საფუძველზე, მოახერხა სინთეზურად მიეღო მეთილმინი და ეთოლამინი.



- როგორ მივიღა ვიურცი დასკვნამდე, რომ ამინები ამიაკი არ არის?

საქმიანობა • ალკოლამინების ქიმიური თვისებები. დაასრულეთ ა და ბ სქემები. დაასახელეთ რეაქციაში მონაწილე ორგანული ნივთიერებები და უპასუხეთ ცხრილში მოცემულ კითხვებს.




კითხვა	ა	ბ
ამინების რომელ თვისებებს ასახავს ა და ბ სქემები?		
რა ტიპის რეაქციებს მიეკუთვნება ა და ბ რეაქციები?		
როგორია აზოტის ჟანგვის რიცხვი და ვალენტობა რეაქციის პროცესში?		
რომელი ატომია დონორი და რომელი – აქცეპტორი რეაქციის პროცესში?		

იმსჯელეთ:

- რა არის საერთო ამინების ა და ბ რეაქციებსა და ამიაკის შესაბამის რეაქციებს შორის?
- რა მოუვა ბ რეაქციის პროცესში, თუ მას ტუტესთან ერთად გავაცხელებთ?

ნაჯერი ამინების ქიმიური თვისებები, ძირითადად, მათი ფუძე თვისებებით განისაზღვრება.


ქიმიური თვისებები. ამინებს აქვს ფუძე თვისებები, ამიტომ მათი წყალხსნარები ლურჯად ლებავს ლაკმუსის ნითელ ქალალდს:




სხვა სიტყვებით, ამინები ორგანული ფუძეებია. ამიტომ ნაჯერი ამინები წყალთან წარმოქმნის ალკოლამინიუმის ჰიდროქსიდებს, მუვებთან კი – წყალში ხსნად ალკოლამინიუმის მარილებს:



ალკილამონიუმის მარილები წყალში დისოცირდება, ტუტეების მოქმედებით კი იშლება ამინის გამოყოფით:



ამიაკისგან განსხვავებით, ამინები ჰაერზე იწვის:



შეისწავლა

ამინების ქიმიური თვისებები


დაასრულეთ სქემები და დაასახელეთ რეაქციათა ორგანული პროდუქტები:



ამონია:



დიმეთილამონიუმის პროდიდი



ეთოლამინი

გამოყენება

შეადგინეთ ტრიმეთილამონიუმისა და იოდწყალბადის რეაქციის ტოლობა, დაასახელეთ რეაქციის პროდუქტი.

გამოყენება. ნაჯერი ამინები გამოიყენება ფუძეების, ინჰიბიტორების, ფლოტორეაგენტებისა და ექსტრაგენტების სახით, აგრეთვე ზოგიერთი სამკურნალო ნივთიერების, სინთეზური ბოჭკოების (ნაილონი) და სხვ. წარმოებაში.

■ განამთავრეთ შესწავლილ მასალა

■ შეადგინეთ ამინებთან დაკავშირებული ცნებების რუკა.

■ რეზლუსია და შეჯასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.

• წყალსნარებში ალკილამინები ... ლებავს ლაპტუსის ნითელ ქაღალდს, რადგან სნარში წარმოიქმნება


• ამინების მუვებთან ურთიერთქმედებისას აზოტის ატომი ... ხარჯზე იერთებს მჟავას

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე „უძალესობების რა კითხვას:


– თემის რომელი ინფორმაცია მოვაჩერებათ უფრო საინტერესო?

■ III. შეასრულეთ დავალებები.



a. 1. ამინების რომელი რეაქცია არ მიმდინარეობს?








2. მიუთითოთ ამინების ფუძე უვისებების ამსახველი რეაქციათა სქემები:



ბ 3. დაასრულეთ რეაქციათა სქემები:



4. მიუთითეთ დიმეთილამონიუმის ჰიდროქსიდისა და ტრიმეთილამონიუმის ნიტრატის ფორმულები:



5. 11, 8 გ ნაჯერი პირველადი ამინის წყის პროდუქტების ტუტის წყალხსნარში გატარებისას მიღეს 2,24 ლ აირი (ნ.პ.). განსაზღვრულ ამინის ფორმულა.

6. მიუთითეთ, რა არის სწორი და რა – არასწორი ამინებისთვის. პასუხი დაასაბუთეთ.

	დიახ (+)	არა (-)
ალკილამინების წყალხსნარები მოქმედებს ინდიკატორებზე		
ეთილამინის წყალხსნარში H^+ იონების კონცენტრაცია მეტია, ვიდრე წყალში		
ალკოლმონიუმის მარილები არაელექტროლიტებია		
მეთილამონიუმის კატიონში აზოტი ელექტრონების დონორია		

გ 7. რატომ შედის ამინები მიერთების რეაქციებში მჟავებთან?

8. შეადგინეთ ქვემოთ მოცემული ნივთიერებების გრაფიკული ფორმულები.

- ეთილდიმეთილამონიუმის ჰიდროქსიდი
- დიმეთილამონიუმის იოდიდი
- მეთილფენილამონიუმის ბრომიდი

გაკვეთილის
გამდება

მოამზადეთ ელექტრონული პრეზენტაცია თემაზე: „ამონიუმის მარილები – სამკურნალო პრეპარატები“.

5.2.4. ანილინი

• განვითაროთ განვალილი გასასა •

- რომელი ნივთიერებები წარმოიქმნება ფენოლზე ბრომიანი წყლისა და აზოტმჟავას მოქმედებით?
- რაში მდგომარეობს ანილინისა და ფენოლის ქიმიური თვისებების ძირითადი განსხვავება?




ანილინი, ზოგიერთი სხვა ამინის მსგავსად, ძლიერ მომზამლავი ნივთიერებაა. ის უანიდან აღნევს სისხლში და ბლოკავს ჰემოგლობინის ფუნქციას. ანილინის დიდი კონცენტრაციისას ან ხანგრძლივი ზემოქმედებისას მოსალოდნელია სასიკვდილო შედეგიც. ამიტომ ანილინის კანზე მოხვედრისას მას სწრაფად მოიწმენთ სპირტში დასველებული ბამბით.

– რატომ იცილებენ ანილინს კანიდან სპირტში დასველებული და არა – წყალში დასველებული ბამბით?

ანილინი $C_6H_5NH_2$ (ამინობენზოლი, ფენილამინი) არომატული ამინების უმარტივესი წარმომადგენელია (არაბ. *an-nil* – მუქი ლურჯი).

საქმიანობა


- ანილინის მოლეკულაში ატომთა ჯგუფების ურთიერთგავლენა. განიხილეთ ანილინის, ბენზოლისა და ამიაკის რეაქციათა სქემები და უპასუხეთ (ახრილში მოკლეშილ, კითხვიბს).



კითხვა	პასუხი
რომელი სქემები ასახავს ბენზოლის რგოლზე ამინოჯგუფის გავლენას?	
რომელი სქემები ასახავს ბენზოლის რგოლის ამინოჯგუფზე გავლენას?	

იმსჯელეთ: როგორ დააკავშირობთ თქვენს პასუხებს ანილინის ელექტრონულ აღნაგობასთან?

მიღება. ანილინის ილებენ ძირითადად ნიტრობენზოლის აღდგენით. ეს რეაქცია პირველად განახორციელა ნ. ნ. ზინინმა (1842), რომელმაც აღმდგენად გამოიყენა ამონიუმის სულფიდი:




ნ. ნ. ზინინი
(1812–1880)
რუსი ქიმიკოს-
ორგანიკოსი

• 1842 წელს აღმოაჩინა არომატული ნიტრონა-ერთების აღდგენის რეაქცია და მიიღო ანილინი. დაადასტურა ამინების ფუძე თვისებები.

მრეწველობაში ანილინის ილებენ ნიტრობენზოლიდან ატომური წყალბადით ან, კატალიზატორის თანაბისას, მოლეკულური წყალბადით აღდგენის გზით:




ანილინის მიღება შეიძლება ქლორბენზოლის ამიაკთან ურთიერთქმედებითაც:



ფიზიკური თვისებები. ანილინი უფერო, ზეთისებრი სითხეა დამახასიათებელი სუნით, წყალზე მძიმეა, მომნამდავია. წყალში ცუდად იხსნება, სპირტში, ეთერში და ბენზოლში – კარგად. ჰაერზე მუქდება ნანილობრივი დაუანგვის გამო.

აღნაგობა. ანილინის ელექტრონული აღნაგობა მოცემულია Δ სქემაზე. სქემიდან ჩანს, რომ აზოტის ატომის გაუზიარებელი ელექტრონული წყვილი გადანაცვლებულია ბენზოლის რგოლის π -ელექტრონული სისტემის სერვე. ეს გადანაცვლება ასახება ანილინის ქიმიურ თვისებებზე:




1) აზოტის ატომზე ელექტრონული სიმკვრივის შემცირების გამო ანილინის ფუძე თვისებები, ამიაკთან შედარებით, მცირდება;

2) C ატომებთან 2,4,6-მდგომარეობაში არსებული წყალბადის ატომების ბრომით ჩანაცვლება, ბენზოლთან შედარებით, ადვილდება.

ქიმიური თვისებები


I. ფუძე თვისებები (ფენილის ჯგუფის ამინოჯგუფზე გავლენა). ამიაკთან შედარებით, ანილინის ფუძე თვისებების შესუსტების გამო ის, ალკილამინებისა და ამიაკისგან განსხვავებით, ნყალხსნარში ფერს არ უცვლის ლაქმუსის წითელ ქალალდს, მაგრამ წარმოქმნის მარილებს ძლიერ მჟავებთან:



ტუტების მოქმედებით ეს მარილები იშლება ანილინის გამოყოფით:



II. ბენზოლის ბირთვის რეაქციები (ამინოჯგუფის გავლენა ბენზოლის ბირთვზე). ბენზოლის ბირთვზე ამინოჯგუფის გავლენის გამო C ატომებთან 2,4,6-მდგომარეობაში არსებული ნყალბადის ატომების ჩანაცვლება ადვილდება. მაგალითად, ანილინი, ბენზოლისგან განსხვავებით, ადვილად რეაგირებს (გახურებისა და კატალიზატორის გარეშე) არა მარტო ბრომთან, არამედ ბრომიან ნყალთანაც, 2,4,6-ტრიბრომანილინის თეთრი ნალექის წარმოქმნით:



ბენზოლი კი ბრომიან ნყალთან არ რეაგირებს. ბენზოლისგან განსხვავებით, ანილინი იყანება აგრეთვე ჰაერის ჟანგბადით და სხვა მჟანგავებით, წარმოქმნის რა სხვადასხვა ფერის ნივთიერებებს, მაგალითად სალებავად გამოყენებულ „შავ ანილინს“.

გამოყენება. ანილინი, როგორც საწყისი ნივთიერება, გამოიყენება ანილინური სალებავების, სამკურნალო ნივთიერებების (თეთრი სტრეპტოციდის, ნოვოკაინის, სულფალიმეზინის და სხვ), ანილინფორმალდეპილური ფისებისა და სხვ. წარმოებაში.

განსაზღვრა. ანილინს საზღვრავენ მასზე ქლორიანი კირის მოქმედებისას ისფერი შეფერვის წარმოქმნით.

■ განამტკიცეთ შესძალები მასალა

■ მიუთითოთ ანილინის მოლეკულაში ქიმიური ბმების რიცხვი და ტიპი (σ-, π-).

	C-H	C-C	C-N	N-H
რიცხვი				
ტიპი				

■ რეაქტაცია და შეფასება

■ I. დაასრულეთ ფრანგის და ტექსტის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.

- ამიაკთან შედარებით, ანილინის ფუძე თვისებების ... მიზეზი დაკავშირებულია
- ანილინი, ამიაკისა და ... განსხვავებით, ნყალხსნარში ფერს ... წითელ ლაქმუსის ქალალდს, რადგან

- ანილინი, ბენზოლისგან განსხვავებით, ადვილად შედის ...-თან ჩანაცვლების რეაქციაში, რადგან

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:


– კმაყოფილი ხართ თუ არა გაკვეთილზე საკუთარი საქმიანობით?

■ III. შეასრულეთ დავალებები.

- 5 1. რომელი ნივთიერება რეაგირებს ეთანოლთან, ამიაკთან, ეთილამინთან და ანილინთან?




2. რომელი ნივთიერებების ნარმოებაში გამოიყენება ანილინი?




- 6 3. რამდენი გ ანილინი შეიძლება მივიღოთ 6,15 გ ნიტრობენზოლის აღდგენით? $M_r(\text{C}_6\text{H}_5\text{NO}_2) = 123$, $M_r(\text{C}_6\text{H}_5\text{NH}_2) = 93$.

4. დაასრულეთ სქემები და მიუთითეთ რეაქციის ტოლობა, რომლითაც პირველად მიღეს ანილინი:



5. განსაზღვრეთ X, Y და Z ნივთიერებები:



6. მიუთითეთ, რა არის სწორი და რა – არასწორი ანილინისთვის. პასუხი დაასაბუთეთ.

	დიახ (+)	არა (-)
ჰაერზე თავისითავად იუნგება		
ნიულსნარი ფერს უცვლის ლაკმუსის ქალალდს		
არ აუფერულებს ბრომიან ნეალს		
ქლორნებალბადთან ნარმოქმნის მარილს		

7. მიუთითეთ რეაქციის სქემა, რომელიც ასახავს ამინოჯგუფის გავლენას ბენზოლის ბირთვზე ანილინის მოლეკულაში და დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.



8. შეადგინეთ რეაქციის ტოლობა, რომელიც ასახავს ამინოჯგუფის გავლენას ბენზოლის ბირთვზე ანილინს მოლეკულაში. მიუთითეთ რეაქციის გარეგნული ნიშანი და დაასახელეთ მისი ორგანული პროცესი.

გაკვეთილის
შემთხვევა

შეადგინეთ გარდაქმნათა ტოლობები:



5.3. ამინმჟავები

5.3.1. ნომერულათურა, იზომერია, მილება და ალნაგობა

- გაიხსენეთ განვითარეთ მასალა •

– რომელ ქიმიურ თვისებებს ანიჭებს ნივთიერებას მასში ამინჯგუფის არსებობა?

– რომელი ნივთიერების ჰიდროლიზისას წარმოქმნება ამინმჟავები?

ამინმჟავები ორგანიზმში სხვადასხვა ფუნქციის ასრულებას. მაგალითად, ორგანიზმში ცილების სახით მოხვედროლა ამინმჟავების უმრავლესობა მონაწილეობს ქსოვილთა კუნთოვანი უჯრედების წარმოქმნაში.



– კიდევ რა იცით ორგანიზმში ამინმჟავების როლზე?

საქმიანობა • ამინმჟავების სტრუქტურული იზომერია. ბუტანმჟავას მოლეკულაში ($\text{CH}_3\text{—CH}_2\text{—CH}_2\text{—COOH}$) ნახშირბადის სხვადასხვა ატომთან დაკავშირებული თითო წყალბადის ატომი მორიგეობით შეცვალეთ ამინჯგუფით ($-\text{NH}_2$) და შეადგინეთ წარმოქმნილი ამინმჟავების სტრუქტურული ფორმულები.

იმსჯელეთ: რომელი მიზეზები განაპირობებს ამინმჟავების სტრუქტურულ იზომერიას?

ამინმჟავები ორგანული ნივთიერებებია, რომელთა მოლეკულები შეიცავს ერთდროულად ამინ- ($-\text{NH}_2$) და კარბოქსილის ($-\text{COOH}$) ჯგუფებს.

ამინმჟავები განიხილება, როგორც კარბონმჟავების ნაწარმები, რომელთა ნახშირბალბადოვან რადიკალში წყალბადის ატომი ჩანაცვლებულია ფუძე თვისებების მქონე ამინჯგუფით ($-\text{NH}_2$), მაგალითად:



ბუტანმჟავი ცილების ჰიდროლიზით მიღებულია 20-მდე ამინმჟავა. ბუტებრივ ამინმჟავები ამინ- და კარბოქსილის ჯგუფები ნახშირბადის ერთსა და იმავე ატომთან არის მიერთებული. ამგვარ ამინმჟავებს ა-ამინმჟავები ენოდება. ა-ამინმჟავების ზოგად ფორმულას ასე გამოსახავთ:





რიგი ამინმჟავა სინთეზირებულია ქიმიურ ლაბორატორიაში. ასეთ ამინმჟავებს სინთეზური ამინმჟავები ენოდება.

20 ბუტებრივი ამინმჟავადან თაახლოებით ნახევარი შეუცვლელი ამინმჟავაა (მაგალითად ვალინი, ლეიცინი და სხვ.), თადგან ისინი ვერ სინთეზირდება ადამიანის ორგანიზმში. ამ მეზეზით ისინი ორგანიზმში ხვდება მხოლოდ საკვებების საშუალებით. ამინმჟავებს, რომლებიც ორგანიზმში სინთეზირდება ნივთიერებათა (უღლის პროცესში, შენაცვლებადი ამინმჟავები ენოდება (მაგალითად გლიცინი, ალანინი და სხვ.).

ნომერულათურა. საერთაშორისო ნომერულათურით ამინმჟავების სახელწოდებები წარმოიქმნება შესაბამისი კარბონმჟავას სახელწოდებიდან, პრეფიქს „ამინოს“ დამატებით და ჯაჭვში ამინჯგუფის მდებარეობის ციფრის მითითებით.

ჯაჭვის ნახშირბადის ატომების ნუმერაცია იწყება კარბოქსილის ჯგუფის ნახშირბადის ატომიდან:




საერთაშორისო ნომერულატურა: 2-ამინოთანმეტავა

ტრიუალური ნომერულატურა: გლიცინი ანუ გლიკოლი


2-ამინოპროპანმეტავა

ა-ალანინი

რაციონალური ნომერულატურით ჯაჭვში ამინოჯგუფის მდებარეობას უთი-თებენ ბერძნული ანბანის ასოებით (α , β , γ და δ სხვ.). ამ შემთხვევაში აღნიშვნას იწყებენ კარბოქსილის ჯგუფთან დაკავშირებული ნახშირბადის ატომიდან:




α -ამინოერბომეტავა




ε-ამინოკაპრონმეტავა

იზომერია. ამინმეტავებს ახასიათებს ორი სახის იზომერია: სტრუქტურული და სივრცითი (სტერეოიზომერია). სტრუქტურული იზომერია განპირობებულია ნახშირწყალბადოვანი ჯაჭვის აღნაგობით (A , A') და ჯაჭვში ამინჯგუფის მდებარეობით კარბოქსილის $-\text{COOH}$ ჯგუფის მიმართ (B , B'), მაგალითად:




2-ამინოპენტამეტავა




2-ამინო-3-მეთილბუტამეტავა

ნახშირბადოვანი ჯაჭვის აღნაგობის იზომერია



2-ამინოპუტამეტავა




3-ამინობუტამეტავა


ჯაჭვში $-\text{COOH}$ ჯგუფის მიმართ ამინკავუფის მდებარეობის იზომერია

ამინმეტავების სტერეოიზომერია (ოპტიკური აქტივობა).


ამინმეტავების მოლეკულებში (გლიცინის, გამოკლებთ) ნახშირბადის ასმეტრიული ატომის არსებობის გამო ამინმეტავებს ახასიათებს სტერეოიზომერი.



~~ІДІОМЕТРИЧИСКАЯ~~ მიღება. ამინმეტავები მიღება ცილების ჰიდროლიზით:



ამიაკის მოქმედებით კარბონმჟავების ჰალოგენნანარმებზე და სხვ. მეთოდებით:



ალნაგობა. ვინაიდან ამინმჟავების მოლეკულები შეიცავს ამინო- და კარბოქსილის ჯგუფებს, ისინი ამჟღავნებს როგორც ფუძე, ისე მჟავურ თვისებებს, ანუ ამინმჟავები ორგანული ამფოტერული ნივთიერებებია. მათ წყალსნარებში მიმდინარეობს შიგამოლექულური ნეიტრალიზაციის რეაქცია: კარბოქსილის ჯგუფის წყალბადის იონი, უერთდება რა ამინოჯგუფს, წარმოქმნის შიგა მარილს (ბიპოლარულ იონს, ცვიტერ-იონს):



ასეთივე ალნაგობა აქვს ამინმჟავას მყარ მდგომარეობაში. ხსნაში და მყარ მდგომარეობაში ამინმჟავები არ არსებობს მოლეკულების სახით. ბიპოლარული ალნაგობა ხსნის მათ მრავალ ფიზიკურ და ქიმიურ თვისებას.

■ განამტკიცეთ შესრულები მასალა

- დაწერეთ მ-ამინოპროპიონმჟავას ფორმულა შიგა მარილის სახით, შეადგინეთ მისი შესაძლო იზომერების სტრუქტურული ფორმულები და დაასახელეთ ეს მჟავები საერთაშორისო ნომენკლატურით.

■ რეფლექსია და შეფასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამონეთ მათი სისწორე.

- ალანინი ა-ამინმჟავაა, რადგან
- საერთაშორისო ნომენკლატურით მ-ამინოერბონმჟავას ... უწოდებენ.
- ამინმჟავების ამფოტერული თვისებები განპირობებულია

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

- რომელი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ჩვეულები შეიძინეთ გაკვეთილის მიმდინარეობისას?


■ III. შეასრულეთ დავალებები.

1. რომელი ნიუკიურებების ნანარმებია ამინმჟავები?
 - ამიაკის
 - ამინების
 - კარბონმჟავების
2. მიუთითოთ ამინმჟავებთან დაკავშირებული გამოთქმები:
 - ცილა
 - მონოფუნქციური ნაერთი
 - ამფოტერული ნივთიერება
3. დაასახელეთ ამინმჟავები საერთაშორისო ნომენკლატურით.
 - $\text{CH}_3-\text{CH}_2-\text{CH}_2-\underset{\substack{\text{NH}_2 \\ |}}{\text{CH}}-\text{COOH}$
 - $\text{CH}_3-\underset{\substack{\text{NH}_2 \\ |}}{\text{CH}}-\text{CH}_2-\text{CH}_2-\text{CH}_2-\text{COOH}$
4. დაასახელეთ ამინმჟავები საერთაშორისო და რაციონალური ნომენკლატურით:
 - $\text{NH}_2-\text{CH}_2-\text{CH}_2-\text{COOH}$
 - $\underset{\substack{\text{NH}_2 \\ |}}{\text{CH}_2}-\text{CH}_2-\text{CH}_2-\text{COOH}$

- გ** 5. მიუთითეთ, რა არის სწორი და რა – არასწორი ა-ამინმჟავებისთვის. პასუხი დაასაბუთეთ.

	დიას (+)	არა (-)
ფუნქციური ჯგუფები შეერთებულია ნახშირბადის სხვადასხვა ატომთან		
ნეალბენარებში არსებობს მოლეკულების სახით		
იონური შედგენილობის მყარი ნივთიერებებია		
კლასს შეინითა სტრუქტურული იზომერია განპირობებულია ორი მიზეზით		

- დ** 6. განიხილეთ ფუნქციური ჯგუფების ურთიერთგავლენა ა-ამინმჟავებში.
 7. შეადგინოთ ა-ამინოპროპიონმჟავას და მ-ამინოერბომჟავას იზომერების სტრუქტურული ფორმულები.
 8. შეადგინოთ ჰიდროლიზის ტოლობა ფრიპეპტიდისა, რომელშიც ამინმჟავების ნაშთები განლაგებულია თანმიმდევრობით: გლიცილი-ალანილი-გლიცინი.



5.3.2. თვისებები და გამოყენება


- გაიხსენოთ განვითილი გასაღა •
- რატომ რეაგირებს ამინმჟავები ერთმანეთთან?
- რა ენოდება ნივთიერებას, რომელიც ავლენს როგორც მჟავურ, ისე ფუძე თვისებებს?

ამინმჟავების აღნაგობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ, არაორგანული ამფოტერული ნივთიერებების გვერდით, არსებობს აგრეთვე ორგანული ამფოტერული ნივთიერებები.

? – რა განსხვავებაა არაორგანულ და ორგანულ ამფოტერულ ნივთიერებებს შორის?

საქმიანობა • ამინმჟავების თვისებები. შეიძლინეთ შიგა მარილის ფორმის 2-ამინოპროპამჟავას რეაქციების ტოლობები მარილმჟავასთან და ნატრიუმის ჰიდროქსიდთან.

იმსჯელეთ: რომელ არეში არყებობს 2-ამინოპროპამჟავა, კატიონის (**ა**), შიგა მარილის (**ბ**) და ანიონის (**გ**) სახით?



ფიზიური თვისებები. ამინმჟავები უფერო კრისტალური, წყალში ხსნადი ნიუთერებებია; 250°C -ზე მაღლა ისინი დნება და ერთდროულად იშლება. ამინმჟავების წყალხსნარები ატარებს ელექტროდენს. ბევრ მათგანს ტკბილი გემო აქვს.


ქიმიური თვისებები

ა ინდიკატორებზე მოქმედება. იმ ამინმჟავების ხსნარებს, რომელთა მოლეკულები შეიცავს ამინო- და კარბოქსილის ჯგუფების ერთნაირ რიცხვს, აქვთ ნეიტრალური არე და ინდიკატორებზე არ მოქმედებს.


ამინმჟავები სუსტი მჟავური და ფუძე თვისებებით

თუ ამინმჟავას მოლეკულაში კარბოქსილის ჯგუფების რიცხვი მეტია, ვიდრე ამინოჯგუფებისა, ის ავლენს სუსტ მჟავურ თვისებებს (A), ხოლო თუ მეტია ამინოჯგუფების რიცხვი (B), არეს აქვს სუსტი ფუძე თვისებები, მაგალითად:


სუსტი მჟავური თვისებები



სუსტი ფუძე თვისებები



ბ მჟავური თვისებები. ამინმჟავები რეაგირებს აქტიურ მეტალებთან, ფუძე რეაქციებთან, ფუძეებთან, სუსტი მჟავების მარილებთან და სპირტებთან:



გ ფუძე თვისებები. ამინმჟავები ამინოჯგუფის მონანილებით რეაგირებს ძლიერ არაორგანულ მჟავებთან მარილების წარმოქმნით:




ამგვარად, ამინმჟავები ორგანული ამფოტერული ნიუთერებებია.

დ პეპტიდური ბმის ნარმოქმნა. ამინმჟავები რეაგირებს აგრეთვე ერთმანეთთან, ერთი მჟავას $-\text{COOH}$ ჯგუფსა და მეორის $-\text{NH}_2$ ჯგუფის ხარჯზე.



ატომთა ჯგუფს $-\text{CO}-\text{NH}-$ პეპტიდური ანუ ამიდური ჯგუფი ენოდება, ხოლო ბმას ნახშირბადისა და აზოტის ატომებს შორის – პეპტიდური ანუ ამიდური ბმა.

მუავას ორი ნაშთისგან შედგენილ რეაქციის პროდუქტს ეწოდება დიპეპტიდი. რადგან დიპეპტიდი შეიცავს ამინო- და კარბოქსილის ჯგუფებს, მას შეუძლია, რეაქციაში შევიდეს ამინმუავას მესამე, მეოთხე და ა.შ. მოლეკულასთან. რეაქციაში შესული ამინმუავების მოლეკულების რიცხვისგან დამოკიდებულებით, ნარმოიქმნება დიპეპტიდები, ტრიპეპტიდები, ტეტრაპეპტიდები და ა.შ. მაგალითად (A ალნიშნავს ამინმუავას, A' – ამინმუავას ნაშთს):






უკანასკნელ რეაქციას პოლიკონდენსაციის რეაქცია ეწოდება.

გამოყენება. ცოცხალ ორგანიზმებში ცილები სინთეზირდება ამინმჟავებისგან. ადამიანი და ცხოველები ამ ამინმჟავებს იღებენ ცილოვანი საკვებისგან. მედიცინაში ამინმჟავებს იყენებენ, როგორც სამკურნალო ნივთიერებებს (ლიზინი, ჰისტიდინი, ტრაპტოფანი, მეთიონინი), სოფლის მეურნეობაში – ცხოველთა საკვების დანამატად (ლიზინი, მეთიონინი). არაგანმტოებული ალნაფობის ე-ამინო-კაპრონმჟავასგან და ა-ამინონანტმჟავასგან იღებენ კაპრონისა და ენანტის ბოჭკოებს.

■ განამტკიცეთ შესწავლის მასალა

- შეადგინეთ სამივე – ა, ბ და გ – ამინტენავების მონაცილებით მიღებული შესაძლო ტრიპეპტიტიფების ფორმულები და ახსენით, რატომ აქვს ამ ტრიპეპტიტიფებს განსხვავებული თვისებები.




■ රෝගීවකුනා දා තොගාසෙකා

- II. გამოხატეთ ოქვენი შეხედულება – გაამართლა თუ არა გაკვეთი
- III. შეასრულოთ დავალებები

- ## 1. რომელი სტუმით წარმოიქმნება დიპუტიტი



2. განსაზღვრეთ რიალურა სქემები, რომლებიც ამინდუავების მუკურ თვისებებს ასახავს:



ბ 3. პოლიკონდენსაციის პროცესში გამოიყო 3,6 გ ნეალი და ნარმოიქმნა 18,65 გ პენტაპეპტიდი. გამოთვალეთ ამინმჟავას M_r . $M_r(H_2O) = 18$.

4. დაასრულეთ რეაქციათა სქემები:



გ 5. მიუთითოთ, რა არის სწორი და რა – არასწორი α -ამინმჟავებისთვის. პასუხი დასაბუთეთ.

	დიას (+)	არა (-)
ნეალში კარგად იხსნება		
გლიცინი ლლვება უფრო დაბალ ტემპერატურაზე, ვიდრე ძმარმჟავა.		
ნარმოიქმნება ცილების ჰიდროლიზით		
ამფოტრული ნაერთია		

6. შეადგინეთ α -ალანინის რეაქციათა ტოლობები გოგირდმჟავასთან და ნატრიუმის ჰიდროქსიდთან.

დ 7. შეადგინეთ შესაძლო ტრიპეპტიდების ფორმულები, რომლებიც ნარმოიქმნება α -ალანინის ერთი მოლეკულისა და ცისტეინის ($\text{H}_2\text{N}-\text{HC}(\text{CH}_2-\text{SH})-\text{COOH}$) ორი მოლეკულისგან. დაწერეთ ერთ-ერთი ტრიპეპტიდის მიღების რეაქციის ტოლობა.

8. რა განსაკუთრებულობებით ხასიათდება ბოჭკოების ნარმოებაში გამოყენებული ამინმჟავები? დაწერეთ ორი მათგანის სტრუქტურული ფორმულები.

გაკვეთილის შემთხვევა

შეადგინეთ ტრიპეპტიდების ფორმულები, რომლებიც ნარმოიქმნება სამი ამინმჟავას: გლიცინის, ალანინისა და ცისტეინის $\text{H}_2\text{N}-\text{HC}(\text{CH}_2-\text{SH})-\text{COOH}$ ურთიერთქმედებით.

5.4. ცილები

5.4.1. ალაზობა

• გაიცილეთ განვილი მასალა •

- რომელი ბიოპოლიმერი შეიცავს დიოზი რაოდენობის ფუნქციურ ჯგუფებს?
- რა ენოდება ასეთი პოლიმერების მონომერებს?


ხორცის, რძისა და კვერცხის ცილები, საკვები ლირებულების თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მცენარეული, რადგან პირველთა ამინმჟავური შედგენილობა ახლოსაა იდამიანის ორგანოებისა და უკრედების ამინმჟავურ შედგენილობათან

– ცილის რომელ სტრუქტურაზეა ლაპარაკი მოცემულ ინფორმაციაში?

საქმიანობა • ცილის მოლეკულის სტრუქტურა

ა, ბ, გ და დ სქემებზე მოცემულია ცილის მოლეკულის პირველადი, მეორეული, მესამეული და მეოთხეული სტრუქტურა. დაადგინეთ მათი შესაბამისობა.

ა) ბ) გ) დ)



პირველადი — მეორეული — მესამეული — მეოთხეული —

იმსჯელეთ:

— რით განსხვავდება ერთმანეთისგან ძალები, რომელთა მოლეკულებში ინარჩუნებს ცილის პირველად და მეორეულ სტრუქტურას?

ცილები რთული შედგენილობისა და აღნაგობის მაღალმოლეკულური ორგანული ნივთიერებებია, რომელთა მოლეკულებში α -ამინმჟავების ნაშთები ერთმანეთთან შეერთებულია პეპტიდური ბმის მიერთებით.

ცილები წარმოქმნილია ძირითადად 20 სხვადასხვა ა-ამინმჟავის ნაშთებისგან. ცხრილში მოცემულია ზოგიერთი α -ამინმჟავას სახელწოდება და ფორმულა.

ცილებისგან მიღებული ზოგიერთი ამინმჟავა (ფრჩხილებში მითითებულია მათი შემოკლებული აღნიშვნა)


შენაცვლებადი	შეუცვლელი
გლიცინი (Gly) $\text{H}_2\text{N}-\text{CH}_2-\text{COOH}$	ვალინი (Val) $\text{H}_2\text{N}-\underset{\text{CH}(\text{CH}_3)_2}{\text{CH}}-\text{COOH}$
ალანინი (Ala) $\text{H}_2\text{N}-\underset{\text{CH}_3}{\text{CH}}-\text{COOH}$	ფენილალანინი (Phe) $\text{H}_2\text{N}-\underset{\text{CH}_2-\text{C}_6\text{H}_5}{\text{CH}}-\text{COOH}$
ცისტეინი (Cys) $\text{H}_2\text{N}-\underset{\text{CH}_2-\text{SH}}{\text{CH}}-\text{COOH}$	ლეიცინი (Leu) $\text{H}_2\text{N}-\underset{\text{CH}_2-\text{CH}(\text{CH}_3)_2}{\text{CH}}-\text{COOH}$

ცილები (პროტეინები) წარმოიქმნება α -ამინმჟავების პოლიკონდენსაციით. ცილების მოლეკულებში ამინმჟავების ნაშთები ერთმანეთთან დაკავშირებულია პეპტიდური ბმით ($-\text{CO}-\text{NH}-$):



მნიშვნელოვანი მონოცემები ცილების აღნაგობისა და ქიმიის შესახებ მიღებულია რუსი ბიოქიმიკოსის, ა. ი. დანილევსკისა და გერმანელი ქიმიკოს-ორგანიკოსის, ე. ფიშერის გამოკვლევათა შედეგად.

ცილების კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნით ხდება:



ცილებს, რომლებიც შეიცავს ყველა შეუცვლელი ამინმჟავას ნაშთს, ეწოდება სრულფასოვანი, ხოლო რომლებიც მათ არ შეიცავს – არასრულფასოვანი. სრულფასოვანი ცილები ძირითადად ცხოველური წარმოშობისაა. მაგალითად, კვერცხის ცილა შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ თითქმის ყველა ამინმჟავას საჭირო თანაფარდობით.

პროტეინების ჰიდროლიზისას წარმოიქმნება მხოლოდ ა-ამინმჟავები. პროტეიდების ჰიდროლიზისას კი, ა-ამინმჟავებთან ერთად, წარმოიქმნება აგრეთვე არაცილური ბუნების ნივთიერებები (ნახშირწყლები, ნუკლეიინის მჟავები, ორთოფოსფორმჟავა, ლიპიდები და სხვ.).

ხსნად ცილებს, ჩვეულებრივ, აქვთ სფერული ფორმა. ამგვარი ცილებია, მაგალითად: ჰემოგლობინი (სისხლის ცილა), ალბუმინი (კვერცხის ცილა), ინსულინი (კუჭქვეშა ჯირკვლის ცილა).

უხსნად ცილებს, ჩვეულებრივ, აქვთ ძაფისებრი ფორმა. მათ მიეუუთვნება, მაგალითად: ფიბროინი (ბუნებრივი აბრეშუმის ცილა), კოლაგენი (კუნთისა და შემაერთებელი ქსოვილის ცილა), β -კერატინი (თმისა და ფრჩხილების ცილა) (1).

პეპსინი
 $(M_r = 35\ 000)$

ჰემოგლობინი
 $(M_r = 68\ 000)$

ფიბროინოგენი
 $(M_r = 450\ 000)$

კოლაგენი
 $(M_r = 350\ 000)$

(1) ზოგიერთი ცილის მოლეკულის ფორმა და ფარდობითი მოლეკულური მასა

ცილებს ყოფენ აგრეთვე იმ ფუნქციების მიხედვით, რომლებსაც ისინი ასრულებს ორგანიზმში.


ცილების სტრუქტურა

დადგენილია ცილის მოლეკულის პირველადი, მეორეული, მესამეული და მეოთხეული სტრუქტურა.

- **ცილის პირველადი სტრუქტურა** – ეს არის ამინმჟავების ნაშთების თანმიმდევრობა ~~ოროგიპეპტიდურ ჯაჭვში~~. მაგალითად, 1-ლ სქემაზე გამოსახული ცილის პირველადი სტრუქტურა განისაზღვრება ამ ცილის წარმომქმნელი ამინმჟავების **a-b-c-d-e-f-g** თანმიმდევრობით.


თუ ამინმჼავების ნაშთების ჯაჭვში იცვლება ამ ნაშთების თანმიმდევრობა ან რიცხვი, იცვლება პირველადი სტრუქტურაც. ამ მიზეზით 20 სხვადასხვა α -ამინმჼავა წარმოქმნის ათასობით და მილიონობით ცილას.

(1) მარტივი ცილის პირველადი, მეორეული, მესამეული და მეოთხეული სტრუქტურა.



• **ცილის მეორეული სტრუქტურა** – ეს არის ფორმა, რომელსაც სივრცეში იღებს პოლიპეპტიდური ჯაჭვის ზოგიერთი მონაკვეთი. ბევრი ბუნებრივი ცილის პოლიპეპტიდურ ჯაჭვს აქვთ სპირალური ფორმა. ცილის მეორეული სტრუქტურის ამგარმა ფორმამ α -სპირალის სახელწოდება მიიღო (იხ. სქემა 1, მეორეული სტრუქტურა).

მეორეული სტრუქტურა წარმოიქმნება წყალბადური ბმების ხარჯზე ($C=O \dots H-N$), რომლებიც მყარდება სპირალის მეზობელ ხვიებზე განლაგებულ $-CO-$ და $-NH$ ჯგუფებს შორის.



• **ცილის მესამეული სტრუქტურა** – ეს არის ფორმა, რომელსაც სივრცეში იღებს სპირალი. უმარტივეს შემთხვევაში ცილის მოლეკულის მესამეული სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ გორგლის სახით, როგორც მაგალითად ჰემოგლობინის ერთი პოლიპეპტიდური ჯაჭვის გორგლის შემთხვევაში (იხ. სქემა 1).

ცილის მესამეული სტრუქტურა წარმოიქმნება დისულფიდური ($-S-S-$) და მარილოვანი ($-HN^+ \dots ^-OOC-$) ხიდების, აგრეთვე რთულეთერული ($-COO-R$) და წყალბადური ($-CO \dots HN$) ბმების ხარჯზე, რომლებიც მყარდება სპირალის გარეთა მხარეს მიმართულ ფუნქციურ ჯგუფებს შორის.

ცილის ბიოლოგიური აქტიურობა ძირითადად მისი მესამეული სტრუქტურით განისაზღვრება.

ცილის მეოთხეული სტრუქტურა დაკავშირებულია სივრცეში ცილის მოლეკულის რამდენიმე პოლიპეტიდური ჯაჭვის განსაზღვრულ განლაგებასთან.

ეს სტრუქტურა წარმოიქმნება, როცა ცილა შედგება რამდენიმე პოლიპეტიდური ჯაჭვისგან (ჩვეულებრივ, ასეთი ცილების $M_r > 50\ 000$). მაგალითად, ჰემოგლობინის მოლეკულის მეოთხეული სტრუქტურა ($M_r = 68\ 000$) განპირობებულია ოთხი პოლიპეტიდური ჯაჭვის იმგვარი განლაგებით, როგორც ეს 1-ლ სქემაზე ნაჩვენები.

მეოთხეული სტრუქტურა ჩნდება იმავე ძალების ხარჯზე, რომლებიც განპირობებს მესამეულ სტრუქტურას, ოლონდ ამ შემთხვევაში ძალები მოქმედებს სხვადასხვა პოლიპეტიდურ ჯაჭვს შორის.

■ განამტკიცეთ შესანალი მასალა

- ცხრილში ჩაწერეთ იმ ფუნქციური ჯგუფების ფორმულები, რომლებიც წარმოქმნის ცილის მესამეული სტრუქტურის განვაპირობებელ ხიდებსა და ბმებს.

ხიდის ან ბმის სახელწოდება	დისულფიდური ხიდი	მარილოვანი ხიდი	რთულეთერული ბმა	წყალბადური ბმა
ფუნქციური ჯგუ- ფები, რომლებიც წარმოქმნის ხიდებსა ან ბმებს				

■ რეფლესია და შეფასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შემონმეთ მათი სისწორე.

- მარტივი ბუნებრივი ცილები ... პოლიკონდენსაციის პროდუქტებია.
- ცილის პირველადი სტრუქტურა წარმოიქმნება ... ბმების ხარჯზე, ხოლო მეორეული სტრუქტურა – ... ბმების ხარჯზე.

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

– რას უნდა მიაქციოს მასწავლებელმა ყურადღება შემდეგ გაკვეთილებზე?

■ III. შეასრულეთ დავალებები.

ა 1. რომელი გამოთქმები მიესადაგება ორგანიზმი ცილების სინთეზს?

1. დნმ
2. ა-ამინმჟავები
3. პოლიმერიზაცია
4. პოლიკონდენსაცია

2. ქვემოთ მოცემულთაგან რას აქვს დამოკიდებულება ცილების სინთეზსა და აღნაგობასთან?

- | | | |
|------------------|------------------------|------------------|
| 1. პოლიპეტიდი | 2. ამინტუაციის ნაშთები | 3. ე. ფრერი |
| 4. ა. დანილევსკი | 5. 6. ზირინი | 6. პეპტიდური ბმა |

ბ 3. განსაზღვრეთ, რას აქვს დამოკიდებულება პროტეინებთან და პროტეიდებთან:

- | | | |
|-------------------------|-----------------|-------------------|
| 1. რთული ცილა | 2. მარტივი ცილა | პროტეინები: _____ |
| 3. ამინმჟავების ნაშთები | 4. პოლიპეტიდები | პროტეიდები: _____ |

4. დაამყარეთ შესაბამისობა:

- | | | | |
|------------------|-------------|--------------------|-------------|
| 1. ჰემოგლობინი | 2. ფიბროინი | 3. ინსულინი | 4. კოლაგენი |
| ა. სფერული ფორმა | | ბ. ძაფისებრი ფორმა | |

სსნადი ცილა: _____

უსსნადი ცილა: _____

გ 5. მიუთითეთ, რა არის სწორი და რა – არასწორი ცილის აგებულებისთვის. პასუხი დაასაბუთეთ.

	დიახ (+)	არა (-)
I სტრუქტურა – ამინმჟავების ნაშთების თანმიმდევრობა პოლიპეპტიდურ ჯაჭვში		
II სტრუქტურა – შენარჩუნებულია მარილოვანი ხილების საშუალებით ცილის III სტრუქტურას წარმოადგენენ, როგორც გორგლის მსგავს სტრუქტურას		
IV სტრუქტურა შეინიშნება ყველა ცილაში		

6. რა შემთხვევაში შეცვლება ცილის პირველადი სტრუქტურა?

1. ჯაჭვში ამინმჟავების ნაშთების თანმიმდევრობის შეცვლისას;
2. ჯაჭვში ამინმჟავების ნაშთების რიცხვის შეცვლისას;
3. ცილის დენატურაციისას.

დ 7. დანერეთ ოთხი ფუნქციური ჯგუფის ფორმულა, რომელიც ხშირად გვხვდება ცილების შედგენილობაში:

1. ____ 2. ____ 3. ____ 4. ____

8. რატომ ითვლება ცხოველური ცილები უფრო სრულფასოვნად, ვიდრე მცენარეული ცილები? პასუხი დაასაბუთეთ.

•••
გაკვეთილის
შემსრულებელი

მოამზადეთ პრეზენტაცია თემაზე: „ცილის მეორეული სტრუქტურა“.

5.4.2. თვისებები და გამოყენება

• გაიხსენით განვითილი მასალა •

- ცილის რომელი ბმა წყდება მისი ჰიდროლიზისას?
- ცილების რომელი ფუნქციური ჯგუფები მონაწილეობს ფერად რეაქციებში?

ცილა პირველად გამოყო იტალიელმა მეცნიერმა ი. ბ. ბეკარიმ, 1728 წელს, ხორბლის ფქვილისაგან. ცალების თვისებების შესწავლისას დადგინდა, რომ მათ, ცხიმების, ნახშირნებულებისა და სხვა ორგანული ნივთიერებებისგან განსხვავდებით, აქვთ „სპეციფიური თვისება“. ამ მიზეზით ცილები გამოყვეს, როგორც ნივთიერებათა ცალკე ბიოლოგიური კლასი.

– ცილების რომელი თვისება იგულისხმება გამოთქმაში „ცალის სპეციფიური თვისება“?

– რა კავშირი აქვს სურათზე გამოსახულს ამ „თვისებასთან“?



საქმიანობა • ცილების ზოგიერთი დამახასიათებელი რეაქცია

უზრუნველყოფა: შაბიამნი, ტყვია(III)-ის აცეტატი, კონცენტრირებული აზოტმჟავა, ცილის (კვერცხის ცილის) ხსნარი, სამი სინვარა, სპირტებურა.

სამუშაოს მსვლელობა: ცილის დაღებვა მძიმე მატალის გარილებით

სამუშაოს მსვლელობა: ორ სინვარაში ჩასხით 1-2 მლ ცილის ხსნარი და წვეთ-წვეთობით, შენჯლრევის პირობებში დაუმატეთ ერთ მათგანს – შაბიამნის, ხოლო მეორეს – ტყვია(III)-ის აცეტატის ხსნარი და დაკვირდით მომხდარ ცვლილებებს.

3) ქსანტოპოლიმერის რეაცია

სამუშაოს მსვლელობა: 1. სინჯარას 2-3 მლ ცილის ხსნარით დაუმატეთ რამდენიმე წვეთი კონცენტრირებული აზოტმჟავა და აღნიშნეთ მომხდარი ცვლილებები.

2. გააცხელეთ სინჯარის შიგთავსი.


იმსჯელეთ:

- რა ცვლილებები შენიშნეთ **ა** და **ბ** ცდების ჩატარებისას?
- რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს **ც** ცდას ორგანიზმის მძიმე მეტალების მარილებით მონამვლისას?
- როგორ ახსნით სინჯარის გაცხელებისას ხსნარში მიმდინარე მოვლენებს? (**ცდა ბ**).

ფიზიკური თვისებები. ცილების ნაწილი (გლობულარული) იხსნება წყალში კოლოიდური ხსნარის ნარმოქმნით, მეორე ნაწილი იხსნება მარილთა განზავებულ ხსნარებში, ხოლო ფიდროლარული ცილები წყალში საერთოდ არ იხსნება. ზოგიერთი ცილა არსებობს კრისტალურ მდგომარეობაში. ცილები ელექტროლიტებია.

ქიმიური თვისებები. ცილების დამახასიათებელი ქიმიური თვისებები განპირობებულია მათი უნარით, შევიდეს ფერად რეაქციებში, განიცადოს ჰიდროლიზი და დენატურაცია.

ჰიდროლიზი. ცილების ჰიდროლიზი მათი უმნიშვნელოვანესი თვისებაა. ცილების ჰიდროლიზი მიმდინარეობს ფერმენტების მოქმედებით, აგრეთვე მჟავებან ან ტუტეებთან მათი გაცხელებისას. ჰიდროლიზის პროდუქტებია α-ამინმჟავები:




მონაცემებს ცილების შედგენილობასა და ქიმიურ აღნაცნაზე იღებენ სწორედ მათი ჰიდროლიზის შედეგად. ცილების ჰიდროლიზი საჭმლის მონელების პროცესის საფუძველია.

დენატურაცია არის ცილის მოლეკულის მეორეული და მესამეული სტრუქტურის რღვევა (ა). დენატურაცია მიმდინარეობს ტუტეების, ძლიერი მჟავების, ეთანოლის, მძიმე მეტალების (Hg, Pb, Fe და სხვ.) მარილების, რადიაციის მოქმედებით, აგრეთვე გახურებით.

კვერცხს ხარშვისას, საჭმლის მომზადებისას, სისხლის შედედებისას, რძის ამჟავებისას და სხვ ცილა განიცდის დენატურაციას. დენატურაციისას ცილა კარგავს მოლეკულის სპეციფიკურ სივრცულ სტრუქტურას (ა), ბიოლოგიურ აქტივორობას და წყალში ხსნადობას.

თუ დენატურაციის გამომიმდევი ფაქტორი სუსტია ან მცირე ხნით მოქმედებს, მაშინ თავდაპირველად დალექილი ცილა იხსნება, აღდგება საწყისი აგებულება და თვისებები (ბ). ამ მოვლენას დენატურაციას უწოდებენ.

განსაზღვრა (ფერადი რეაქციები). ცილებს საზღვრავენ მათი დამახასიათებელი ფერადი რეაქციების მიხედვით (ა, ბ, გ) და დამწვარი ბუმბულის სუნით მათი გახურებისას.




ცილის მოლეკულის დენატურაცია (ა) და რენატურაცია (ბ).

۳ ტუტე არეში ცილის ხსნარზე სპილენდ(II)-ის სულფატის მოქმედებით ხსნარი იფერება წითელ-იისფრად (დ). ამ რეაქციას ენოდება ბიურეტის რეაქცია და გამოიყენება ნივთიერებაში პეპტიდური ბმის არსებობის დასადასტურებლად.

۴ კონცენტრირებული აზოტმჟავას მოქმედებით ცილაზე, რომელიც შეიცავს არომატულ ამინმჟავას, წარმოიქმნება ყვითელი შეფერვა (ბენზოლის რგოლი ნიტრირდება).

۵ ტყვია(II)-ის აცეტატის მოქმედებით ცილის ხსნარზე, რომელიც გოგირდს შეიცავს, შეინიშნება ტყვია(III)-ის სულფიდის შავი ნალექის წარმოქმნა.

(დ) პეპტიდური ბმის განსაზღვრა (ბენზოლის რეაქცია)



მიღება. ცილები წარმოიქმნება ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეების უჯრედებში. ამინმჟავებიდან ცილების წარმოქმნის ცოცხალი ორგანიზმებში მიმდინარე პროცესს პიოსინთეზი ეწოდება. ბიოსინთეზი მიმდინარეობს ნუკლეინის მჟავების მონაწილეობით.

ცილების მნიშვნელობა და გამოყენება. ცილები ცოცხალი ორგანიზმების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ისინი შედის მცენარეული და ცოცხალი უჯრედების პროტოპლაზმისა და ბირთვის შედგენილობაში. ცილები არეგულირებს ცოცხალი ორგანიზმების მახასიათებელ ნიშნებსა და ფუნქციებს: ზრდას, მემკვიდრეობითობას, მოძრაობას, გრძნობათა ორგანობის მოქმედებას, დაავადებათა ხასიათს, იმუნიტეტის მოვლენას და სხვ. საკვებში ცილის ნაკლებობა სერიოზულ დაავადებებს იწვევს.

დღეისათვის მრავალი ცილოვანი ნივთიერება, მაგალითად ჰორმონები და ფერმენტები, მიკროორგანიზმების დახმარებით, ბიოტექნოლოგიური მეთოდებით მიიღება. მრეწველობაში ცილები გამოიყენება ბუნებრივი ბოჭკოების (აბრეშუმი, შალი), ტყავის, პლასტმასებისა და წებოების სახით.

■ განამტკიცეთ შესრულებული მასალა

■ შეადგინეთ ცილის პიდროლიზის რეაქციის ტოლობა და გამოსახულობა და x და y n -ის საშუალებით:



■ რეაციების და შეჯასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და შექსტის მსხვედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.

• ცილების პიდროლიზით ილებნ ინფორმაციას მათ ... და

• ცილის დეზატურაციისას ირლვევა ცილის მოლეკულის ... და

■ II. გამოსატეო თემები ქვედა თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

– რას შეცვლიდით გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში?

■ III. შეასრულეთ დავალებები.


- ## 1. ცილების დამახასიათებელ ქიმიურ თვისებებს მიეკუთვნება:

1. დენატურაცია
2. გახურებით დაშლა
3. ჰიდროლიზი
4. „ვერცხლის სარკის“ რეაქცია

2. განსაზღვრეთ ცილის დენატურაციის გამომწვევი ფაქტორები:

1. ტუტებები და ძლიერი მშავები
 2. მძიმე მეტალების მარილები
 3. მსუბუქი მეტალების მარილები
 4. რადიაცია და გაცხელება
 5. ეთილის სპირტი

- ### 3. რომელი სქემით შეიძლება ცილების განსაზღვრა?



- #### 4. რეაქციის რომელი სქემით:

- ა) სსნარი იფერება წითელ-იისფრად;**
ბ) წარმოიქმნება შავი ნალექი?



5. მიუთითოთ, რა არის სწორი და რა – არასწორი ცილების დენატურაციისთვის. პასუხი დაასაბუთოთ.

დიას (+)	არა (-)
ირლევა პირველადი სტრუქტურა	
არ იცოლება მოლეკულის სპეციფიკური სივრცული ფორმა	
იკარგება ბიოლოგიური აქტიურობა	
(კილა გამოილექტება	

- ## 6. რომელი სქემით ადასტურებენ ცილის მოლეკულაში:


- ა) S-H ბმის, ბ) ჰეპტოდენრი ბმის არსებობას?



- ## 7. განსაზღვრეთ X.

ამინმჟავას ტრიპეპტიდი	მასა, გ	ჰიდროლიზისას წარმოქმნილი ამინმჟავას მასა, გ	ამინმჟავას მოლუსკი მასა, გ/მოლი
	m	$m+6$	X

8. დაასახელეთ დიპეპტიდი. მიუთითეთ ფორმულაში ამიდური ჯგუფი და პეპტიდური ბენ.



ଗ୍ରାମୀଣ ପରିବହନ

- მოამზადეთ პრეზენტაცია თემაზე: „ცილივანი ბუნების სამრეწველო ნაკეთობანი (მასალები)“.

1. ამინები ამიაკის ნაწარმებია, რომლის მოლეკულაში წყალბადის ატომები ჩანაცვლებულია ნახშირწყალბადის რადიკალურით.
2. RNH_2 , R_1R_2NH და $R_1R_2R_3N$ შედგენილობის ამინებს, შესაბამისად, უწოდებენ პირველად, მეორეულ და მესამეულ ამინებს.
3. მეთიოლამინი (CH_3NH_2) – ნაჯერი, ფუნილამინი ($C_6H_5NH_2$) კი არომატული ამინია.
4. ამინების სტრუქტურული იზომერია განპირობებულია ნახშირწყალბადის რადიკალის აღნაგობით, ჯაჭვში ამინოჯგუფის მდებარეობით და აზოტის ატომთან მიერთებული რადიკალების რიცხვით.
5. ამინები ორგანული ფუძეებია.
6. ამინების ფუძე თვისებები განპირობებულია აზოტის ატომთან გაუზიარებელი ელექტრონული წყვილის არსებობით.
7. ალკოლამინები უფრო ძლიერ ფუძე თვისებებს ავლენს, ვიდრე ამიაკი.
8. ალკოლის რადიკალების რიცხვის გაზრდით ამინების ფუძე თვისებები ძლიერდება.
9. ანილინის ფუძე თვისებები უფრო სუსტია, ვიდრე ამიაკისა.
10. ფენილის რადიკალების რიცხვის გაზრდით ამინების ფუძე თვისებები სუსტდება.
11. ნაჯერი ამინები მიიღება ნიტრონაერთების წყალბადით აღდგენის გზით.
12. ნიტრომეთანი (CH_3NO_2) და 2,4,6-ტრინიტრობენოლი [$C_6H_3(NO_2)_3$] ნიტრონაერთებია.
13. ნაჯერი ამინები მჟავებთან ნარმოქმნის ალკოლამონიუმის მარილებს.
14. ამინების მარილებზე ტუტის მოქმედებით მარილები იშლება ამინის გამოყოფით.
15. ანილინის მოლეკულაში ამინოჯგუფი და ფენილის რადიკალი ერთმანეთზე გავლენას ახდენს.
16. ანილინის წყალსნარი ფერს არ უცვლის წითელ ლაკმუსის ქაღალდს.
17. ამინმჟავები ორგანული ნივთიერებებია, რომლებიც შეიცავს ამინო- და კარბოქ-სილის ჯგუფებს.
18. α-ამინმჟავებში $-NH_2$ და $-COOH$ ჯგუფები მიერთებულია ერთ C ატომთან.
19. ამინმჟავებს ახასიათებს სტრუქტურული და სივრცული იზომერია.
20. ცილების ჰიდროლიზისას ნარმოიქმნება ამინმჟავები.
21. ამინმჟავების წყალსნარებში მიმდინარეობს შიგამოლექულური ნეიტრალიზაცია.
22. ამინმჟავები არსებობს შიგა მარილის, ანუ ბიპოლარული იონის, სახით.
23. ამინმჟავები ამფოტერული ორგანული ნივთიერებებია.
24. ამინმჟავების პოლიკონდენსაციით მიღება პოლიპეტიდები.
25. $-CO-NH-$ ჯგუფს ეწოდება პეპტიდური ჯგუფი, ხოლო C-N ბმას – პეპტიდური ბმა.
26. ცილების მოლეკულებში ამინმჟავების ნაშთები ერთმანეთთან პეპტიდური ბმითაა დაკავშირებული.
27. ცილებს აქვთ ჰიდროლაზი, მეორეული, მესამეული და მეოთხეული სტრუქტურა.
28. ცილების უმნიშვნელოვანესი ქიმიური თვისებაა მათი ჰიდროლიზი.
29. დენატურაცია არის ცილის მეორეული და მესამეული სტრუქტურის რღვევა.
30. ცილებს სამიღვრავენ დამახასიათებელი ფერადი რეაქციებისა და გახურებისას დაწვარი ბუმბულის სუნის ნარმოქმნით.

1. დაადგინეთ შესაბამისობა.

- | | | |
|---|--|--|
| 1. $\text{CH}_3\text{NH}_2\text{C}_2\text{H}_5$ | 2. $\text{H}_2\text{NCH}_2\text{CH}_2\text{NH}_2$ | 3. $(\text{C}_4\text{H}_9)_2\text{NH}$ |
| 4. $(\text{CH}_3)_2\text{CHNH}_2$ | 5. $\text{CH}_3\text{CH}_2\text{CH}_2\text{CH}_2\text{NH}_2$ | 6. $(\text{C}_3\text{H}_7)_3\text{N}$ |
| მონოამინი | მეორეული ამინი | მესამეული ამინი |

2. განსაზღვრეთ დიეთოლამინის სტრუქტურული იზომერები და დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი:

- ა. მეთილი ზოპროპილამინი ბ. 2-ამინობუტანი
გ. დიმეთილეთოლამინი დ. მეთილბუტილამინი

3. შეადგინეთ ამინების მოლეკულური ფორმულები და განალაგეთ ისინი ფუძე თვისებების კლების მიხედვით:


1. დიფენილამინი 2. მეთილამინი
3. მეთილფენილამინი 4. მეთილეთოლამინი 5. ანილინი

4. დაასრულეთ სქემები და დაასახელეთ ორგანული პროდუქტები:



5. შესაბამისი სქემებისა და განტოლებების გამოყენებით აჩვენეთ ანილინის მოლეკულაში ატომთა ჯგუფების ურთიერთგავლენა.

6. უპასუხეთ კითხვებს ალნაგობის ამინმჟავასთან მიმართებაში:



1. რა ენოდება ამინმჟავას მოცემულ სტრუქტურას?
2. რომელი რეაქციის პროცესში წარმოიქმნება ამინმჟავას მოცემული სტრუქტურა?
3. როგორი ალნაგობა აქვს ამინმჟავას მყარ მდგომარეობაში?
4. რა ენოდება ამინმჟავას საერთაშორისო და რაციონალური ნომენკლატურით?

7. დაასრულეთ რეაქციათა სქემები და დაადგინეთ შესაბამისობა.

1. $\text{H}_2\text{NCH}(\text{CH}_3)\text{COOH} + \text{HI} \rightarrow$ 2. $\text{H}_2\text{NCH}(\text{CH}_3)\text{COOH} + \text{CH}_3\text{OH} \rightarrow$
3. $2\text{H}_2\text{NCH}(\text{CH}_3)\text{COOH} + \text{K}_2\text{CO}_3 \rightarrow$ 4. $\text{H}_2\text{NCH}(\text{CH}_3)\text{COOH} + \text{NaOH} \rightarrow$
ამინმჟავას ფუძე თვისებები — ამინმჟავას მჟავური თვისებები —

8. განსაზღვრეთ გამოთქმები, რომლებიც შესაბამება ცილის შეორეულ სტრუქტურას:

1. α-სპირალი 2. $>\text{C=O} \dots \text{H}-\text{N}<$ გრაის წყალბადური ბმა
3. პეპტიდური ბმა 4. რთულეთერული ბმა 5. მარილის ხიდი
9. რომელი გარეგნული ნიშნები ძიებინევა სილენცი(II)-ის სულფატთან და ტყვია(II)-ის აცეტატთან (ცილების რეაქციები? როგორი დასკვნები კეთდება ცილებთან მიმართებაში ამ რეაქციების საფუძველზე?)
10. დაასრულეთ გამოთქმება:
- ა. ამინები განიხილება, როგორც ... ნანარმები.
ბ. ამინმჟავები განიხილება, როგორც ... ნანარმები.
გ. ამინმჟავების ხამოების ... და ... ცვლილებისას იცვლება ცილის პირველადი სტრუქტურა.
დ. ცილების ბიოსინთეზის პროცესი მიმდინარეობს ... მონაწილეობით..



თავი


6

პოლიმერები

- 6.1.** პოლიმერების აღნაგობა და ფიზიკური თვისებები.
პლასტმასები
- 6.2.** ბუნებრივი და სინთეზური კაუჩუკი
- 6.3.** ბოჭკოები
- 6.4.** გარემოს დაცვა პოლიმერებით დაბინძურებისგან
- 6.5.** გაკვეთილი-დებატები: სარგებელი და ზიანი
პოლიმერებისგან
პრაქტიკული სამუშაო-3. ცილუბისა და პოლიეთილენის
ფიზიკური და ქიმიური თვისებები

LAKH

- თანაპოლიმერი
- თერმოპლასტიკური პოლიმერი
- თერმოპრეაქტიული პოლიმერი
- პოლიმერის სტერეორეგულარულობა
- პილივინილქლორიდი
- პოლისტიროლი
- პლასტმასა
- ბუნებრივი კაუჩუკი
- სინთეზური ბუტადიინური კაუჩუკი
- სინთეზური იზოპრენული კაუჩუკი
- ქლოროპრენული კაუჩუკი
- დივინილის კაუჩუკი
- რეზინი
- ვულკანიზაცია
- კაპრონის ბოჭკო
- ნაილონის ბოჭკო
- ლავსანის ბოჭკო
- ენანტის ბოჭკო



პოლიმერები – პლასტმასების, კაუჩუკებისა და ბოჭკოების სახით – გამოიყენება ადამიანის მოღვაწეობის ნებასმიერ სფეროში: მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, ელექტროტექნიკაში, რადიოტექნიკაში, საავტომობილო მრეწველობაში, თვითმშენებლობაში და ყოფაში.


პოლიმერებს უმნიშვნელოვანესია ადგილი უკავია მედიცინაში, განსაკუთრებით ქირურგიაში. პოლიმერებისგან ამზადებენ სისხლძარღვების, საჭმლის მომწელებელი და ნაღვლის სადინარების, გულის სარქველების პროთეზებს, აგრეთვე რთულ სამედიცინო ხელსაწყოებს: აპარატებს „ხელოვნური გული“, „ხელოვნური ფილტვები“, „ხელოვნური თირქმელი“ და სხვ. სისხლძარღვებზე ოპერაციებისას გამოიყენება ლავსანის, პოლიპროპილენის, კაპრონისა და სილიციუმორგანული პოლიმერების მასალები. ხელოვნური კბილებისა და პროთეზების დასამზადებლად ფართოდ გამოიყენება პოლიაკრილის პოლიმერები.

მაღალმოლეკულური ნაერთები (პოლივინილის სპირტი და სხვ.), რომლებიც თვისებებით ახლოსაა სისხლის პლაზმასთან, გამოიყენება სისხლის სინთეზური შემცვლელების სახით. ზოგიერთ პოლიმერ-სისხლის შემცვლელში შეჰქავთ ტუბერკულოზის, სკლეროზის სამკურნალი ჰეციფიკური ნივთიერებები, აგრეთვე ანტიბიოტიკები და კიბოს საწინაღოდევეო პრეპარატები. უკანასკნელ შემთხვევაში პოლიმერები, ნარმოქემის რა ძაღლად წყალხსნარებს, უთავსდება სისხლის პლაზმას. ასე წყდება პოლიმერების, როგორც პროლონგატორების – ნამლის მოქმედების გამახანგრძლივებული ნივთიერებების – გამოიყენების ამოცანა.

LAYER

გაიხსენეთ VII-X კლასებში შესწავლილი მასალა და შეასრულეთ დავალებები.

1. სქემაზე მიუთითეთ მონომერი, პოლიმერი და პოლიმერიზაციის ხარისხი.



2. განსაზღვრეთ მონომერები, რომელთა მოლექულები შეიცავს ერთ და ორ $\text{C}=\text{C}$ ბმას. შეადგინეთ ამ მონომერების სტრუქტურული ფორმულები.

- ა. ვინილქლორიდი;
- ბ. პროპილენი;
- გ. დივინილი;
- დ. იზოპრენი.

3. განსაზღვრეთ ბუნებრივი პოლიმერები:

- ა. ლავსანი;
- ბ. კილა;
- გ. სახამებელი;
- დ. ცელულოზა.

4. განსაზღვრეთ ხელოვნური პოლიმერები:

- ა. აცეტატური ბოჭკოვ;
- ბ. პოლივინილქლორიდი;
- გ. კაბრონი;
- დ. დივინილის კაუჩუკი.

5. მოიყვანეთ განშტოებული და არაგანშტოებული აღნაგობის პოლიმერების ორი მაგალითი.

6. რომელ პოლიმერებს აქვს ბადისებრი ალნაგობა?

- ა. რეზინს;
- ბ. კაუჩუკს;
- გ. პოლისტიროლს;
- დ. ფენოლფორმალდეპიდურ ფისს (ბაქელიტს).

7. ახსენით პოლიმერიზაციისა და პოლიკონდენსაციის რეაქციების საერთო და განმასხვავებელი თავისებურებანი.

8. რა მიზნით გარდაქმიან კაუჩუკს რეზინად? რა ეწოდება ამ პროცესს?

LAYIH

თავი 6 პოლიმერები

- გამოთქმაში „პოლიმერი“ „poly“ ნიშნავს ბევრს, „meros“ – ნაწილს.

6

პოლიმერები ანუ მაღალმოლეკულური ნაერთები ნივთიერებებია, რომელთა მოლეკულები შედგება მრავალჯერადად განმეორებული ატომთა ჯგუფებისგან.




პოლიმერებს მონომერებისგან იღებენ პოლიმერიზაციის ან პოლიკონდენსაციის რეაქციებით.

პოლიმერუნდენის რეაქცია არის მაღალმოლეკულური ნივთიერების წარმოქმნის რეაქცია მონომერის მოლეკულების ერთმანეთთან მრავალჯერადი შეერთების შედეგად:



პოლიკონდენსაციის რეაქცია არის დაბალმოლეკულურიდან მაღალმოლეკულური ნივთიერების წარმოქმნის რეაქცია, რომელსაც თან ახლავს თანაური პროდუქტის, მაგალითად წყლის, ამიაკის და სხვ. გამოყოფა:



• იცით თუ არა, რომ...

- ნივთიერებებს, რომელთა $M_r < 500$ ენოდება დაბალ-მოლეკულური, ხოლო თუ M_r არის 500-5000 ინტერვალში – მოლიკულური.
- ნებისმიერი პოლიმერისთვის პოლიმერიზაციის ხარსხი არ არის მუდმივი სიდიდე, ე.ი. ერთი და იმავე პოლიმერის სხვადასხვა მაკრომოლეკულა შეიცავს სტრუქტურულ ერთეულების სხვადასხვა რიცხვს. როგორც შედეგი, პოლიმერის ფარდობითი მოლეკულური მასა იღებს განსხვავებულ მნიშვნელობებს. ამ მიზეზით მიღებულია, პოლიმერები დავასასიათოთ საშუალო ფარდობითი მოლეკულური მასით.

პოლიმერიზაციის (ა) და პოლიკონდენსაციის (ბ) რეაქციებით მიღებული პოლიმერები	
ა	ბ
მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენი დაბალი სიმკვრივის პოლიეთილენი პოლიპროპილენი პოლისტიროლი პოლიტეტრაფოთორეთილენი (ტეფლონი) პოლივინილურიდი	ცილები სახამებელი (ამილოზა, ამილოპექტინი) ცელულოზა ფენოლფორმალდეპიდური ფისი კაპრონი ლაგსანი

6.1. პოლიმერის აღნაგორა და ფიზიკური თვისებები.

კლასტერები


• გაიხსენით განვლილი მასალა •

- რომელი ორგანული ნივთიერებების მაგალითზე განიხილავდით XI კლასში ფიზიკური თვისებების აღნაგობაზე დამოკიდებულებას?

თანამედროვე პოლიმერული მასალები ფართოდ გამოიყენება ავტომობილების, გემების, თვითმფრინავების, აგრეთვე კოსმოსურ წარმოებაში. მაგალითად, პოლიეთილენისგან ამზადებენ აფსკებს, დანაფარებს, მილებს და სხვ.

– როგორ ხერხდება, ერთი და იმავე შეფერენილობის პოლიმერისგან დამზადეს განსხვავებული თვისებების მქონე ნაკეთობები?


საქმიანობა • პოლიმერების სტერეოგულარული აღნაგობა. რომელ მაკრომოლეკულებშია მეთილის ჯგუფები კანონიზომიერად (მონესრიგებულად) განლაგებული ნახშირბადოვანი ჯაჭვის სიბრტყის მიმართ?



იმსჯელეთ:

- რატომ არის მიზიდვის ძალები უფრო დიდი ც და ბ აღნაგობის მაკრომოლეკულებში, ვიდრე გ აღნაგობის მაკრომოლეკულებში?

პოლიმერების სტერეოგულარულობა (სივრცული წესრიგი). პოლიმერების სტერეოგულარულობაში იგულისხმება მისი მაკრომოლეკულის ატომთა ჯგუფების მონესრიგებული (რეგულარული) განლაგება სივრცეში. მაგალითად, პროპილენის პოლიმერიზაციით იღებენ I-III პოლიპროპილენებს, რომელთა მაკრომოლეკულებიც განსხვავდება სივრცეში CH_3- -ჯგუფების განლაგებით:



სტერეოგულარული აღნაგობის (იზოტაქტიკური პოლიპროპილენი) სტერეოგულარული აღნაგობის (სინდიოტაქტიკური პოლიპროპილენი) არასტერეოგულარული აღნაგობის (ატაქტიკური პოლიპროპილენი)

თუ რადიკალები, ჩვენს შემთხვევაში – მეთილის ჯგუფები, განლაგებულია ნახშირბადოვანი ჯაჭვის სიბრტყის ერთ მხარეს (I), ან მონესრიგებულად – ორივე მხარეს (II), ასეთ პოლიმერებს სტერეოგულარული აღნაგობის (მესაბამისად, იზოტაქტიკური და სინდიოტაქტიკური) პოლიმერები ეწოდება. თუ რადიკალები მოუწესრიგებლად არის განლაგებული სიბრტყის ზემოთ და ქვემოთ (III), ასეთ პოლიმერებს არასტერეოგულარული აღნაგობის (ატაქტიკური) პოლიმერები ეწოდება.



პოლიმერების ფიზიკური თვისებები. პოლიმერების დიდი მოლეკულური მასის გამო მათ მაკრომოლეკულებს შორის მიზიდულობის დიდი ძალები მოქმედებს. ამიტომ პოლიმერებს აქვს დნობის (დაშლის) მაღალი ტემპერატურა, მცირე ხსნადობა და მაღალი მექანიკური სიმტკიცე. რადგანაც ერთი და იმავე პოლიმერის მაკრომოლეკულებში პოლიმერაზაციის ხარისხს განსხვავებული მნიშვნელობები აქვს, პოლიმერებს არ ახასიათებს დნობის მუდმივი ტემპერატურა და დნება განსაზღვრულ ტემპერატურულ ინტერვალში.

პოლიმერის აღნაგობის გავლენა მის ფიზიკურ თვისებებზე. არაგანშტორებული აღნაგობის პოლიმერების მაკრომოლეკულები მჭიდროდაა ურთიერთგანლაგებული, ამიტომ მათ შორის მიზიდვის ძალები დიდია. შედეგად, ასეთ პოლიმერს აქვს უფრო მაღალი სიმკვრივე, სიმტკიცე და დნობის ტემპერატურა, ვიდრე განშტორებული აღნაგობის შესაბამის პოლიმერს.

ამ მიზეზით სტერეორეგულარული აღნაგობის პოლიმერებს (I და II), არასტერეორეგულარული აღნაგობის პოლიმერებთან შედარებით, აქვთ დიდი სიმკვრივე, სიმტკიცე და დნობის ტემპერატურა.

განშტორებული და არაგანშტორებული აღნაგობის პოლიმერებისგან განსხვავებით, ბადისებრი პოლიმერები არ დნება და არ იხსნება გამხსნელებში.

არაგანშტორებული (5), განშტორებული (6) და ბადისებრი (7) აღნაგობის პოლიმერების მაკრომოლეკულები



საპიპ ალიევი
(1933—1990)
აზერბაიჯანელი
ქიმიკოს-ორგანიკოსი


- ალკენებისა და არილალკენების საფუძველზე სინთეზურად მიიღო მრავალი ოლიგომერი და თანალიგომერი. დაამუშავა ახალი კლასის, პოლიმერზაციის უნარის მქონე პოლიფუნქციური მონომერების სინთეზის ხერხები.



სოლთან მეჟდევი
(1914—1985)
აზერბაიჯანელი
ქიმიკოს-ორგანიკოსი

- დაამუშავა მონომერების, სალებავებისა და სურნელოვანი ნივთიერებების სინთეზსთვის გამოყენებული ნაერთების მიღების პროცესები.

პოლიმერების თვისებები დამოკიდებულია აგრეთვე მათი კრისტალურობის ხარისხზე. ჩვეულებრივ, პოლიმერების გრძელი მაკრომოლეკულები უწესრიგოდ არის განლაგებული, თუმცა განსაზღვრულ პირობებში მაკრომოლეკულების განსაზღვრული რიცხვი ან მოლეკულების განსაზღვრული ნაწილები შეიძლება სივრცეში მოწესრიგებულად განთავდეს (8). ამ შეზოვევებში ამბობენ, რომ პოლიმერს აქვს კრისტალურობის განსაზღვრული ხარისხის მერჩე პოლიმერები, ამორფული აღნაგობის იმავე პოლიმერებთან შედარებით, გამოირჩევა მაღალი დნობის ტემპერატურითა და სიმტკიცით.



პოლის, პოლიმერის თვისებები დამოკიდებულია მის პოლიმერზაციის ხარისხზე (n). მაგალითად, პოლიეთილენი პოლიმერიზაციის ხარისხით $n = 20$ სითხეა, ხოლო თუ $n = 5000-6000$ – ძალიან მაგარი ნივთიერება.

პოლიმერთა უდიდესი ნაწილი გამოიყენება პლასტმასების, კაუჩუკებისა და ბოჭკოების სახით.

პლასტმასები

- **პლასტმასები** პოლიმერების საფუძველზე მიღებული მასალებია, რომლებსაც აქვთ უნარი, გაცხელებისას მიღონ განსაზღვრული ფორმა და შეინარჩუნონ ის ექსპლუატაციის პროცესში.

პლასტმასები, პოლიმერების გარდა, შეიცავს სხვა კომპონენტებსაც: სალებავებს (ანიჭებენ ფერს), შემავსებლებს (პლასტმასას ანიჭებენ სიმტკიცეს), პლასტიფიკატორებს (ანიჭებენ ელასტიკურობას, გალუნვის უნარს) და სხვ.


არსებობს თერმოპლასტიკური და თერმორეაქტიული პლასტმასები.

თერმოპლასტიკური **პლასტმასები** გაცხელებისას რბილდება, დნება და გაცივებისას ინარჩუნებს მიცემულ ფორმას (4). თერმოპლასტიკურ **პლასტმასებს** ამზადებენ პოლიეთოლენის, პოლიპროპილენის, პოლიეტილინილქლორიდის, პოლისტიროლისა და მისი თანაპოლიმერების, ლავსანის, კაპრონის, კაუჩუკის და სხვ. საფუძველზე. დღეისათვის გამოყენებული პლასტმასების 85% თერმოპლასტიკურია.

თერმორეაქტიული **პლასტმასები** გაცხელებისას (სინთეზის შემდეგ) თუმცა რბილდება, მაგრამ არ დნება (5), რადგანაც თავდაპირველი გახურებისთანავე მათი მაკრომოლეკულები ერთმანეთს ეკერება. ამ მიზეზით ისინი, თერმოპლასტიკური პლასტმასებისგან განსხვავებით, არ გამოდგება ხელმეორე გადამუშავებისთვის. თერმორეაქტიული პლასტმასები პოლიმერებია, რომელთაც აქვს სივრცული აღნაგობა (შეკერილი, ბადისებრი პოლიმერები).

თერმორეაქტიულ პლასტმასებს მიეკუთვნება ფენოლფორმალდეპიდური ფისები, ეპოქსიდური ფისები და სხვ.

გამოყენება. პლასტმასების სიმსუბუქე, მაღალი ქიმიური და მექანიკური მდგრადობა, სითბო- და ელექტროგაუმტარობა ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში: მრეწველობაში, სოფლის მურნეობაში, მედიცინაში, ყოფაში და ა. შ. (6).



- **იცით თუ არა, რომ...** • ჩევენს რესაუბლიკაში, სუმგაითის „ეთილენ-პოლიეთილენის ქარხანაში“, წელიწადში 100 ათას ტონაზე მეტი პოლიეთილენი იწარმოება.

■ განამტკიცეთ შესრულებული მასალა

■ შეადგინეთ სტურეოგულარული აღნაგობის პოლისტიროლის მაკრომოლეკულათა სქემები.

■ რეფლექსია და შეფასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამონეთ მათი სისწორე.

- მაკრომოლეკულების აღნაგობა გავლენას ახდენს პოლიმერის ფიზიკურ თვისებებზე, რადგან
- იზოტაქტიკური აღნაგობის პოლისტიროლის მაკრომოლეკულაში ფენილის ჯგუფები
- პოლიმერი არ დნება ერთ კონკრეტულ ტემპერატურაზე, რადგან

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

— გავეთილის რომელ ეტაპზე გრძნობდით თავს უფრო თვითდარწმუნებულად?

■ III. შეასრულეთ დავალებები.

ა 1. დაასახელეთ მოცემული სტრუქტურული ერთეულების შესაბამისი პოლიმერები:

1. $(-\text{F}_2\text{C}-\text{CF}_2-)$
2. $(-\text{CH}_2-\text{O}-)$
3. $(-\text{CH}_2=\text{CH}-)$
4. $(-\text{C}_6\text{H}_{10}\text{O}_5-)$
Cl

2. განსაზღვრეთ პოლიმერის მახასიათებელი ცვლადი სიმინდები:

1. პოლიმერიზაციის ხარისხი;
2. ფარდობითი მოლეკულური მასა;
3. დნობის (დამლის) ტემპერატურა;
4. პოლიმერის ელემენტური შედეგენილობა.

ბ 3. განსაზღვრეთ 52000-ის ტოლი საშუალო მოლეკულური მასის მქონე პოლისტიროლის პოლიმერიზაციის ხარისხი. $M_r(\text{CH}_2=\text{CH}-\text{C}_6\text{H}_5) = 104$.

4. დაადგინეთ შესაბამისობა პოლიმერის აღნაგობასა და თვისებებს შორის.

- | | |
|---|------------------------------------|
| 1. არ დნება გახურებისას _____ | a. აქვს ბადისებრი აღნაგობა |
| 2. ნანილობრივ იხსნება ორგანულ
გამხსნელებში _____ | b. აქვს არაგანშტოებული
აღნაგობა |
| | c. აქვს განშტოებული აღნაგობა |

გ 5. განსაზღვრეთ განშტოებული და არაგანშტოებული აღნაგობის პოლიმერები:

- ა. ცელულოზა;
 - ბ. ბაკელიტი;
 - გ. რეზინი;
 - დ. პოლისტიროლი;
 - ე. გლიკოგენი.
- არაგანშტოებული პოლიმერი _____ განშტოებული პოლიმერი _____

6. მიუთითოთ $(+/-)$, რა არის სწორი და რა – არასწორი პოლიმერებისთვის. პასუხი დაასაბუთოთ.

პოლიფორმალდეპიდი	ცელულოზა
ბუნებრივი პოლიმერი	
აქვს არაგანშტოებული აღნაგობა	
მონომერისგან სინთეზისას მიღება მხოლოდ ერთი ნივთიერება	
ელემენტური შედეგენილობის მხრივ არ განსხვავდება მონომერისგან	
მაკრომოლეკულა შედგება მონომერის მოლეკულებისგან	

დ 7. როგორ პოლიმერებს ეწოდება იზოტაქტიკური, სინდიოტაქტიკური და ატაქტიკური?

8. რატომ აქვს პოლიმერებს დნობის (ΔG° დაშლის) მაღალი ტემპერატურა და გახსნის ცუდი უნარი?



მოამზადეთ პრეზენტაცია თემაზე: „აზერბაიჯანელი ქიმიკოსების დამსახურება პოლიმერების ქიმიის განვითარებაში“.

6.2. პუნეპრივი და სიცოგნიური პოლიმერები


- გაიხსენით განვიტოლი მასალა •

– რა მიზნით ახდენენ კაუჩუკის ვულკანიზაციას?

1823 წელს შოტლანდიელმა ქიმიკოსმა ჯ. მაკინტოშმა, ვაჟლინთა რა სქელი ქსოვილები ნავთში გახსილია კაუჩუკით, მიღლო წყალგაუმტარი ქსოვილი. ამ ქსოვილისგან ამზადებდნენ ლაბადებს, კალოშებს, ჩანთებს. მაგრამ, ძლიერი ყინვის დროს ან ზაფხულის ცხელ დღებში მათი გამოყენებისას, გაჩნდა რიგი პრობლემა. ამის გამო ზემოხენებულმა ქსოვილებმა ფართო გამოყენება ვერ მოიპოვა.

– რა ნაკლია
აქვს
კაუჩუკით
გაულენთილ
ქსოვილს?

საქმიანობა • ბუნებრივი კაუჩუკის მაკრომოლეკულის აღნაგობა. ბუნებრივი კაუჩუკის მაკრომოლეკულის სქემის საფუძვლის შეაგრძეთ ჯხრილი.



	პასუხი
მაკრომოლეკულის აღნაგობა (განშტოებული/არაგანშტოებული)	
ნახშირწყალბადების კლასი, რომელსაც მიეკუთვნება მონომერი	
სტრუქტურული ერთეულის გრომეტრიული ფორმა (ცის/ტრანს)	
პოლიმერის მოლეკულური ფორმულა და სახელწოდება	


იმსჯელეთ: – რატომ მიიღება კაუჩუკის გოგირდთან გაცხელებისას ბადისებრი აღნაგობის პოლიმერი? საწყისი მაკრომოლეკულის რომელი ჯგუფები მონაწილეობს ამ პროცესში?

კაუჩუკი ელასტიკური მასალაა, რომელიც ვულკანიზაციისას რეზინად გარდაიქმნება. ნარმომობის მიხედვით ასხვავებენ ბუნებრივ და სინთეზურ კაუჩუკს. ბუნებრივ (ნატურალურ) კაუჩუკს იღებენ მცენარე ჰევეიას რძისებრი წევნისგან, ხოლო სინთეზურს – ალკადიებებისა და მათი ნანარმებისგან.

ბუნებრივი კაუჩუკი იხსნება ბენზინში, ნახშირბადის დისულფიდში; ელასტიკურია და არ ატარებს წყალსა და აირებს. მას აქვს (C_5H_8)_n შედგენილობა და „საქმიანობის“ განყოფილებაში მოცემული აღნაგობა. მის მაკრომოლეკულაში მეთილენის $>\text{CH}_2$ ჯგუფები $\text{C}=\text{C}$ ბმის მიმართ განლაგებულია მხოლოდ ცის-მდგომარეობაში. ამიტომ ბუნებრივი კაუჩუკი ნარმოადგენს იზოპრენის სტერეორეგულარული აღნაგობის ცის-პოლიიზოპრენია.

თუ ერთ მაკრომოლეკულაში $>\text{CH}_2$ ჯგუფები განლაგებულია ცის- და ტრანს-მდგომარეობაშიც, ასეთი მაკრომოლეკულები არასტერეორეგულარული აღნაგობის მქონედ ითვლება. სამრეწველო მასშტაბით მიღებულ პირველ (ს. ლებედევი),


1932 წ.) სინთეზურ კაუჩუკს – ბუნებრივურ კაუჩუკს არასტერეორეგულარული აღნაგობა ჰქონდა:




ამიტომ ის, ელასტიკურობისა და ხახუნისადმი მდგრადობის მხრივ, ბუნებრივ კაუჩუკს ჩამორჩებოდა.

დღეს, კატალიზატორის $\text{Al}(\text{C}_2\text{H}_5)_3 + \text{TiCl}_4$ თანაბისას, უკვე იღებენ სტერეო-რეგულარული ალნაგობის ბუტადიენურ კაუჩუკს, რომელსაც დივინილის კაუჩუკს უწოდებენ (1). ამავე მეთოდით მიღებულია აგრეთვე სინთეზური იზოპრენის კაუჩუკი, რომელსაც აქვს ბუნებრივი კაუჩუკის ანალოგიური ალნაგობა (1a):

1a




1b



რეგულარული ალნაგობის სინთეზური იზოპრენის და დივინილის კაუჩუკი თვისებებით ახლოსაა ბუნებრივ კაუჩუკთან. დივინილის, აგრეთვე ქლოროპრენის (2) კაუჩუკი და ბუტადიენ-სტიროლური კაუჩუკი (3) ხახუნისადმი მდგრადობის მხრივ აღმატება კიდევ ბუნებრივ კაუჩუკს.

2



3

კაუჩუკის მაკრომოლეკულის ალნაგობასთან დაკავშირებული გამოთვლები

გამოთვალეთ sp^2 ჰიბრიდულ მდგომარეობაში მყოფი ნახშირბადის ატომების საერთო რიცხვი ი სტრუქტული ერთეულის შემცველ ბუტადიენ-სტიროლური კაუჩუკის მაკრომოლეკულაში.


ამონა:

sp^2 ჰიბრიდულ მდგომარეობაში მყოფი ნახშირბადის ატომების რიცხვი მოლეკულის სტრუქტურულ ერთეულში 8-ის ტოლია: 6 – ბენზოლის რგოლში და 2 – ფრაგმენტში $>\text{CH}=\text{CH}<$. შესაბამისად, გ მოლეკულაში sp^2 ჰიბრიდიზაციაში მყოფი ნახშირბადის ატომების საერთო რიცხვია 8-ი.

გამოიყენე

გამოთვალეთ sp^3 ჰიბრიდულ მდგომარეობაში მყოფი ნახშირბადის ატომების საერთო რიცხვი ბუნებრივი კაუჩუკის მაკრომოლეკულაში.

კაუჩუკის ნაკლოვანებებს (მაღალ ტემპერატურაზე რბილდება და წეპოვანი ხდება, სიცივეში კი ელასტიკურობას კარგავს და მაგარი და მყიფე ხდება) თავიდან იცილებენ მისი რეზინად გარდაქმნის გზით:



რეზინს აქვს ბაზისებრი ალნაგობა. ამიტომ ის, კაუჩუკისგან განსხვავებით, უფრო ელასტიკური და მტკიცეა, მდგრადია ტემპერატურის ცვლილებისა და

გამხსნელების მოქმედებისადმი (კაუჩუკისგან განსხვავებით, რეზინი არ იხსნება ბენზინში, მხოლოდ ჰაჯირჯვდება).



(ა) რეზინი

გამოყენება. სხვადასხვა სახის სინთეზური კაუჩუკი ფართოდ გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებებში, მანქანათმშენებლობაში, ელექტროლექნიკაში, ფეხსაცმლის წარმოებაში, წერვასა და ებონიტის, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნაკეთობების წარმოებაში (ა).

■ განართიერეთ შესრულებული მასალა

■ შეადგინეთ გუტაპერჩის კაუჩუკის – იზოპრენის ტრანს-პოლიმერის მაკრომოლეკულის სქემა.

■ რეზლექსია და შეავასება

■ I. დასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.

- კაუჩუკის მაკრომოლეკულა შეიძლება განვიხილოთ, როგორც უჯერი ... , რადგან
- დივინილის კაუჩუკის მაკრომოლეკულას აქვს სტერეოორეგულარული აღნაგობა, რადგან

■ II. გამოხატეთ თქვენი შესრულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

- სად შეიძლება გაკვეთილზე შესწავლილის გამოყენება?

■ III. შეასრულეთ დავალებები.

ა 1. განსაზღვრეთ კაუჩუკები, რომელთა მაკრომოლეკულებს აქვს ცის-აღნაგობა.

- 1. ბუტადიენის;
- 2. ბუნებრივი;
- 3. დივინილის;
- 4. ქლოროპრენის.

2. ბუნებრივი კაუჩუკის რომელი თვისება განაპირობებს მის ფართო გამოყენებას?

- 1. წყალ- და აირგუმტარობა;
- 2. ელასტიკურობა;
- 3. წყალში ხსნადობა;
- 4. გულკანიზაციის უნარი.

3. რამდენი გ ბრომია საჭირო $5,4$ გ დივინილის კაუჩუკში ორმაგი ბმების სრული ბრომირებისთვის? $A_r(\text{Br}) = 80$, $M_r(\text{C}_4\text{H}_6) = 54$.

4. განსაზღვრეთ კაუჩუკები, რომლებსაც აქვს ერთნაირი ქიმიური ფორმულა:

- 1. ბუტადიენის;
- 2. დივინილის;
- 3. იზოპრენის;
- 4. ბუნებრივი.

5. რით განსხვავდება დივინილის კაუჩუკი ბუტადიენურისგან?

- 1. სინთეზის პირობებით;
- 2. შედგენილობით;
- 3. თვისებებით;
- 4. აღნაგობით;
- 5. ვალკანიზაციის უნარით.

6. $>\text{C}=\text{C}<$ ბმის მიმართ მეთიონის ჯგუფების როგორი განლაგებისას ექნება კაუჩუკ სტერეოორეგულარული აღნაგობა?

- 1. მხოლოდ ცის-მდგრადარებაში;
- 2. მხოლოდ ტრანს-მდგრადარებაში;
- 2. ცის- და ტრანს-მდგრადარებაში.

7. რატომ რეაგირება იზერენის კაუჩუკი პრომიან წყალთან?

8. ალკადიენის მოლეკულათა რომელი ნახშირბადის ატომები ილებს უშუალო მონაწილეობას კაუჩუკის მაკრომოლეკულების წარმოქმნაში? პასუხი დაასაბუთეთ დივინილის პოლიმერიზაციის მაგალითზე.

თითოეული მონომერის რამდენი კგ უნდა ავილოთ თანაპოლიმერიზაციის რეაქციაში, რომ მივიღოთ $31,6$ კგ ბუტადიენ-სტიროლური კაუჩუკი 80% გამოსავლით? მონომერები რეაქციაში შედის $1:1$ მოლური

თანაფარდობით. $M_r(C_4H_6)=54$; $M_r(C_8H_8)=104$.

6.3. პოტკოები

- გაიხსენით განვლილი მასალა •

- რომელი ბმების ხარჯზე უკავშირდება ერთმანეთს სტრუქტურული ერთეულები მაკრომოლეკულაში?

ჯერ კიდევ V-VI საუკუნეებში სამხრეთ კავკასიაში ფართოდ იყო გავრცელებული მეაბრეშემებობა. ანტიკური პერიოდის ალბანელი ისტორიკოსი მ. კალანკატლი წერდა, რომ მდინარე მტკვრის ნაპირზე ბევრი თუთის სე იზრდებოდა, რომელიც ძირითადად აბრეშუმის ქსოვილის სანარმოებლად გამოიყენებოდა.

სწორედ აბრეშუმის ძაფისგან იქსოვებოდა Kelağayı – ნაციონალური თავსაფრები, რომლებსაც აზერბაიჯანელი ქალები თავსამკაულად იყენებდნენ.



- როგორ არის განლაგებული მაკრომოლეკულები ერთმანეთის მიმართ ბოჭკოებში?

- როგორ მიიღწევა ნარმოებაში მაკრომოლეკულების ამგვარი განლაგება ძაფებში და რაში მდგომარეობს ამ პროცესის არსი?



ბოჭკოები ძაფის, ნართის და საფეიქრო ნაკეთობების დასამზადებლად ვარგისი არაგანშტოებული აღნაგობის პოლიმერებია.


საქმიანობა • ბოჭკოების კლასიფიკაცია. დაასრულეთ ბოჭკოების კლასიფიკაციის სქემა.




იმსჯელეთ: რატომ ნარმოიქმნის ბოჭკოებს არაგანშტოებული აღნაგობის პოლიმერები?

ბოჭკოებს ყოფენ ბუნებრივ და ქიმიურ ბოჭკოებად. ბუნებრივი ბოჭკოები მცენარეული ან ცხოველური ნარმოშობისაა. ქიმიური ბოჭკოები იყოფა ხელოვნურ და სინთეზურ ბოჭკოებად. ხელოვნურ – აცეტატურ და ვისკოზურ ბოჭკოებს – იღებენ ცელულოზის ქიმიური გარდაქმნით. სინთეზურ ბოჭკოებს ამზადებენ სინთეზური პოლიმერების: კაპრონის, ნაილონისა და ლავსანისგან. ვინაიდან ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების ნარმოებაში გამოიყენება ქიმიური რეაქციები, მათ ქიმიურ ბოჭკოებს უწოდებენ. მაკრომოლეკულების სტრუქტურულ ერთეულებს შერის ამილური ან რთულეთერული ბმის არსებობისგან დამოკიდებულებით, ასევავებენ პოლიამიდურ და პოლიეთერულ ბოჭკოებს. პოლიამიდური ბოჭკოებია კაპრონი, ენანტი და ნაილონი (ანიდი), ხოლო პოლიეთერული – ლავსანი.

კაპრონის ბოჭკო განვითარებული მასალა (6-ამინოჰქსანმჟავას) პოლიკოდენსაციის პროდუქტია.




მრეწველობაში კაპრონს იღებენ ციკლური ნაერთის – კაპროლაქტამის პოლიმერიზაციით:




კაპრონის ბოჭკო არ შთანთქავს წყალს, ტენიან გარემოში არ კარგავს სიმტკიცეს. ბუნებრივ ბოჭკოებთა შედარებით, ლავსანი ხახუნისადმი უფრო მდგრადია. კაპრონის ბოჭკოს ნაკლია მუავების მოქმედებისას ჰიდროლიზის სიადვილე და კაპრონის ნაკეთობების არამდგრადობა გახურებისას ($t_{\text{ლა}} = 215^{\circ}\text{C}$). კაპრონის ბოჭკოსგან დამზადებული ნაკეთობები (პერანგები, ხელოვნური ბენზი, ხალიჩები და სხვ.) ფართოდ გამოიყენება ყოფაში. კაპრონის ფისისგან ამზადებენ მანქანათა და მექანიზმების მტკიცე ნაწილებს, აგრეთვე პარაშუტებს, ბავირებსა და თევზსაჭერ ბადეებს.


ენანტის ბოჭკოს იღებენ ო-ამინოჰექტანმჟავას (7-ამინოჰექტანმჟავას) პოლიკონდენსაციით:




ნაილონის ბოჭკოს იღებენ ორფუძიანი ადიპინმჟავასა და ჰექსამეთილენ-დიამინის ერთობლივი პოლიკონდენსაციით:



• იცით თუ არა, რომ... • ტერეფთალის მჟავასა და არომატული ამინის – 1,4-ბენზოლდიამინის პოლიკონდენსაციით ნარმოქმნილი პოლიარომატული ამინი (კევლარი) გამოიჩინა დიდი სიმტკიცით. კევლარის ძაფისგან მოქსოვილი უილეტები ცვლის ტყვიაგაუმტარ მასალებს.




ლავსანის ბოჭკო ნარმოქმნება ეთოლუნგლიკოლისა და ტერეფთალის მჟავას (ბენზოლ-1,4-დიერბონმჟავას) ერთობლივი პოლიკონდენსაციით:



ლავსანის ქსოვილები არ იჭმუჭნება, ამიტომ ისინი ფართოდაა გამოყენებული.

ლავსანის ბოჭკოს სიმტკიცე შესაძლებლობას იძლევა, ის გამოყენებული იქნას ბაგირების, ტრასპორტიორის ლენტების, ღვედების, თევზსაჭერი ბადეების, საიალქნო და კორდის ქსოვილების დასამზადებლად. ლავსანის ბოჭკო დიელექტრიკია, ამიტომ ის გამოიყენება ელექტროიზოლაციაში.



• ბოჭკოში მაკრომოლეკულების პარალელური განლაგება

პოლიმერისგან ბოჭკოს მისალებად შესაბამის გამდნარ (ან გახსნილ) პოლიმერს ატარებენ ფილიერში – ბევრი წვრილი წახვრეტის მქონე თალღაქში და აცივებენ (ან აორთქლებენ გამხსნელს). წარმოქმნილი ბოჭკოსთვის სიმტკიცის მინიჭების მიზნით მას ჭიმავენ გახურებულ მდგომარეობაში. გაჭიმვისას, ჯერ ერთი, სწორდება გაღუნული მოლეკულები, მეორეც, სხვადასხვა მიმართულებით განლაგებული მაკრომოლეკულები ორიენტირდება ერთი მიმართულებით. შედეგად იზრდება მოლეკულათაშორისი მიზიდვის ძალები და ბოჭკო ხდება უფრო მტკიცე.

■ განამტკიცეთ შესრულებული მასალა

- შეადგინეთ ჰექსამეთილენდიამინისა და ტერეფთალის მუჟავას ერთობლივი პოლიკონ-დენსაციის რეაქციის ტოლობა.

■ რეცლეარსია და შეცასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.

- ხელოვნურ და სინთეზურ ბოჭკოებს უწოდებენ ... ბოჭკოებს, რადგან მათ წარმოებაში
- კაპრონის ბოჭკო პოლიამიდურია, რადგან
- ლავსანის ბოჭკო პოლიეთერულია, რადგან

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

– რომელმა ინფორმაციამ დაგაინტერესათ გაკვეთილზე ყველაზე მეტად?

■ III. შეასრულეთ დავალებები.

1. განსაზღვრეთ ბუნებრივი ბოჭკოები:
 1. ბამბა;
 2. ლავსანი;
 3. აბრეშუმი;
 4. სელი;
 5. შალი.
2. მიუთითოთ ქიმიური ბოჭკოები:
 1. აცეტატური;
 2. კაპრონის;
 3. შალის;
 4. ენანტის;
 5. ვისკოზური.
3. დაადგინეთ შესაბამისობა.
 1. ლავსანი;
 2. ენანტი;
 3. კაპრონი;
 4. ნაილონი.

პოლიამიდური ბოჭკო

პოლიეთერული ბოჭკო

4. დაადგინეთ შესაბამისობა.

1. ვისკოზური;
2. ლავსანი;
3. ენანტი;
4. კაპრონი;
5. აცეტატური.


სისწორული ბოჭკო

ხელოვნური ბოჭკო

გ 5. მიუთითეთ, რა არის სწორი და რა – არასწორი.

	დიახ (+)	არა (-)
კაპრონის ბოჭკოს აქეს განშტოებული ალნაგობა		
კაპრონის ბოჭკოს ილეპენ უშუალოდ 6-ამინოჰექსანმჟავასგან		
აცეტატური და ვისკოზური ბოჭკოების საფუძველი ერთი და იგივე პოლიმერია		
ლაცსანის ბოჭკოს სინთეზი მონაწილეობს არომატული კარბონმჟავა		

6. შეადგინეთ ა და ბ პოლიმერების მონომერთა სტრუქტურული ფორმულები.



7. შეადგინეთ 6-ამინოჰექსანმჟავას შიგამოლევულური დეპიდრატაციის გზით კაპროლაქტამის ნარმოქმნის რეაქციის ტოლობა.
8. განიხილეთ კაპრონის ბოჭკოს მაკრომოლევულებს შორის წყალბადური პმის ნარმოქმნის შესაძლებლობა. პასუხი დაასაბუთეთ.

•••
გავათილის
შემდეგ

მოამზადეთ რეზერატი თემაზე: „სინთეზური ბოჭკოების როლი
მრეწველობაში“.

6.4. გარემოს დაცვა პოლიმერებით დაპირისაგან

• გაიხსენოთ განვითარების მასალა •

- რატომ იზრდება ეკოლოგიური პრობლემები პოლიმერების ნარმოების ზრდასთან ერთად?

ასეული წლების
განმავლობაში
ადამიანები იყენებენ
ნავთობში, ბუნებრივ
აირსა და ქვანახშირში
აკუმულირებულ
ენერგიას.



– ძირითადად რომელი ბიოპოლიმერების ქიმიური
გარდაქმნების ხარჯზე ნარმოქმნა ენერგიის ეს წყაროები
ბუნებრივ პირობებში??

საქმიანობა • პოლიეთოლენის ქიმიური მდგრადობა

უზრუნველყოფა: პოლიეთოლენის ნიმუშები, გოგირდმჟავასა და ნატრიუმის ჰიდროქ-სიდის კონცენტრირებული ხსნარები, კალიუმის პერმანგანატის ხსნარი, ბრომიანი ნიალი, 4 სინჯარა.

სამუშაოს მსვლელობა:

ოთხივე სინჯარაში მოათავსეთ პოლიეთოლენის თითო ნიმუში და ყოველ მათგანს ფრთხილად დაუმატეთ ზემოთ დასახელებული ხსნარები. დააკვირდით ცვლილებებს.

იმსჯელეთ:


- რა ცვლილებები შენიშნეთ სინჯარებში?
- როგორ დააკავშირებთ ცდების შედეგებს პოლიეთოლენის მოლეკულს აღნაგობასთან?

დღეისათვის სინთეზური პოლიმერების უზარმაზარი რაოდენობით წარმოებას, ვადაგადასული ნაკეთობების გადაყრას, აგრეთვე ამ პოლიმერების მდგრადობას – ქიმიური დამტების უუნარობას ბუნებრივ პირობებში (მზის გამოსხივების, ჰაერის უანგბადის, სითბოს, ტენის მოქმედებისას) გარემოს დაბინძურებამდე მივყავართ. ამიტომ პოლიმერული ნივთიერებებით დაბინძურებისგან გარემოს დაცვა თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა.

პოლიმერული ნივთიერებებით ბუნების დაბინძურებასთან საპრძოლველად გამოიყენება შემდეგი ხერხები:

1. ნამუშევარი და გადაყრილი პოლიმერების განადგურება მათი დაწვის გზით. ამ მეთოდით, ჩვეულებრივ, ანადგურებენ ძლიერ გაჭუქყიანებულ და შერეულ ნარჩენებს. ამგვარი ნარჩენები შეადგენს ყველა პოლიმერული ნარჩენის 60-85%-ს.

ამ მეთოდის ნაკლია ის, რომ დაწვისას ნადგურდება ფასეული ნივთიერებები და მასალები და, უკეთეს შემთხვევაში, წვის პროდუქტი – ნახშირმჟავა აირი, გადადის რა ატმოსფეროში, აძლიერებს სათბურის ეფექტს.



პოლიმერული მასალები, როგორც წესი, მრავალკომპონენტიანი სისტემებია. მაგალითად, პოლიმერთან ერთად, ისინი შეიცავს საღებავებს, შემაგსებლებს, ანტიოქსიდანტებს, პლასტიფიკატორებს, აგრეთვე კატალიზატორად გამოყენებული მძიმე მეტალების მინარევებს. ამიტომ მათი წვისას ნარმოიქმნება ისეთი მავნე აქროლათი ნივთიერებები (HCl, დიოქსინი, ფორმალდეპიდი და სხვ.), რომლებიც, ატმოსფეროს გარდა, წყალსა და ნიადაგსაც აბინძურებს.

ამ ნაკლის მიუხედავად, პოლიმერული ნარჩენების ნაწილს დაწვით ანადგურებენ, ოღონდ იჭერენ ნარმოქმნილ მავნე აქროლად ნივთიერებებს. ბევრ შემთხვევაში გამოიყენება წვის სითბოც.

2. ვადაგადასული პოლიმერებისა და მათი ნაკეთობების ხელმეორე გადამუშავება. დღეისათვის შესაძლებელია მხოლოდ პოლიმერული ნარჩენების 10%-ის ხელმეორე გამოყენება. მაშინაც კი, თუ პოლიმერული მასალები გულმოდგინედ არის გამოყოფილი სხვა მინარევებისგან, პრაქტიკულად შეუძლებელია მათი გადამუშავება საჭირო თვისებების მქონე პოლიმერულ მასალებად. ამის მიზეზია სხვადასხვა პოლიმერის ერთმანეთთან შერევის უუნარობა. ამიტომ ხელმეორე გადამუშავებისთვის შეიძლება გაიგზავნოს მხოლოდ ერთგვაროვანი პოლიმერები. ერთგვაროვანი პოლიმერების გადარჩევა კი მოითხოვს მათ დახარისხებას და, შესაბამისად, დანახარჯები იზრდება.

3. ბიოდაშლადი პოლიმერების დამუშავება და გამოყენება. ამ პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე ოპტიმალური გზა მდგომარეობს იმგვარი პოლიმერების დამუშავებასა და გამოყენებაში, რომლებიც ბუნებრივი ფაქტორების (ზიკრონორგანიზმების, მზის სხივების, ჟანგბადის, ტენის და სხვ.) ზემოქმედებით განიცდის ბიოდაშლას, გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენის გარეშე.

ასეთ პოლიმერებს მიეკუთვნება ცელულოზის საფუძველზე დამზადებული პოლიმერები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ პურ-ფუნთუშოვანი და ფხვიერი პროდუქტების შესაფუთად.



ამჟამად აშ შტატებსა და გერმანიაში, პოლისტიროლ-სახამებლისა და პოლი-სტიროლ-ცელულოზის საფუძველზე, გამოდის ბიოდაშლადი პოლიმერი (Ecoflex-ის სახელწოდებით), განკუთვნილი საკები პროდუქტების შესაფუთად და სასოფლო-სამეურნეო აფსების-თვის.

ეს პოლიმერი 50 დღე-დამის განმავლობაში განიცდის ბიოდესტრუქციას 60%-ით, ხოლო 80 დღე-დამის განმავლობაში – 90%-ით; მაგრამ დღეს გამოკვლევები ბიოდაშლადი პოლიმერების შესაქმნელად დამუშავების დონეზეა და უფრო მიზანშენილია, პლასტიკური მასების ნარჩენები ხელმეორედ გადამუშავდეს.

■ განამტკიცეთ შესხვალი მასალა

- რატომ ქმნის ეკოლოგიურ პრობლემას გარემოს დაბინძურება პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის მასალებით?

■ რეფლექსია და შეფასება

■ I. დაასრულეთ ფრაზები და ტექსტის მიხედვით შეამოწმეთ მათი სისწორე.

- პოლიმერული მასალებით გარემოს დაბინძურების პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალური გზა მდგომარეობს

■ II. გამოხატეთ თქვენი შეხედულება თემაზე, უპასუხეთ რა კითხვას:

- რას შეცვლიდით თქვენს საქმიანობაში მომავალ გაკვეთილებზე?

■ III. შეასრულეთ დავალებები.

ა 1. რომელი მოლეკულები დეგარადირდება ბუნებრივ პირობებში?

1. პოლიეთილენტერეფთალატი; 2. პოლიბუტილენი; 3. სახამებელი; 4. ცილა.

2. რომელი ბუნებრივი ფაზტორები ახდენს გავლენას პოლიმერებზე?

1. მიკროორგანიზმები; 2. მზის სხივები; 3. ტემპერატურა;
4. ჰაერის ჟანგბადი; 5. ჰაერის ტენიანობა.

ბ 3. რომელი ქიმიური ბმების საფუძველზე უერთდება ერთმანეთს სინთეზურ პოლიმერთა უმეტესობის სტრუქტურული ერთეულები?

1. O–C 2. N–C 3. C–C 4. C–H

4. რომელი ქიმიური ბმების საფუძველზე უერთდება ერთმანეთს ცელულოზის მაკრომოლეკულის სტრუქტურული ერთეულები?

1. O–C–O 2. C–N–C 3. C–O–C 4. N–C–C

გ 5. რის თქმა შეგიძლიათ სახამებლის მაკრომოლეკულაში C–O–C ბმის სიმტკიცეზე, პოლარულობაზე და სხვა თვისებებზე?

6. დაწერეთ ქიმიური ბმის სქემა, რომელიც აერთებს ცილის მაკრომოლეკულის სტრუქტურულ ერთეულებს და მიუთითეთ ბუნებაში მიკროორგანიზმების არსებობაზე, რომელიც ხელს უწყობს მათ დესტრუქციას. პასუხი დაასაბუთეთ.

დ 7. რატომ არ ნარმოადგენს ეკოლოგიურ პრობლემას ბუნებრივი პოლიმერებით (ცელულოზით, სახამებლით, ცილებით და სხვ.) გარემოს დაბინძურება?

8. ჩამოთვალეთ პოლიმერული ნარჩენების დაწვისა და ხელმეორე გადამუშავების მეთოდის ნაკლოვანებები და ახსენით გარემოზე მათი უარყოფითი ზეგავლენის მიზიზი.

გაკვეთილის
შემდეგ

ჩატარეთ თქვენი საცხოვრებელი რაიონის დამაპინძურებელი პოლიმერული ნივთიერებების ანალიზი და შეავსეთ ცხრილი.

გარემოს დამპინძურებელი პროდუქტის სახელწოდება	ზომის ერთფული	საშუალოდ 100 გ ² ტერიტორიაზე	დაბინძურების მიზეზები	რას შემოგვთავა- ზებდით თქვენი რაი- ონის დაბინ- ძურების აღსაკვთად

VALID

6.5. გაკვეთილი-დებატები: სარგებელი და ზიანი პოლიმერებისაგან

თითოეული იდეის განსჯისთვის იქმნება ორი ჯგუფი. ორივე ჯგუფს – მომხრესა და მოწინააღმდეგეს – სახელმძღვანელოში მოცემული იდეების გარდა, მოჰყავთ დამატებითი დასაბუთებანი. ერთი მხარე გამოიტვამს თავის არგუმენტებს, მოწინააღმდეგე მხარე – საწინააღმდეგო არგუმენტებს. დებატების შემდეგ მოელი კლასი აკეთებს დასკვნას, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს განხილულ იდეას. შემდეგ იწყება დებატები მომდევნო იდეის ირგვლივ.

1. აუცილებელია გაზარდოს პლასტმასის ნაკეთობების წარმოება.

მოგებები

- ეკონომიას ეუწევთ ბუნებრივ რესურსებს.
- ...

ნინებები

- პლასტიკურ პაკეტებში შენახვა უარყოფით გავლენას ახდენს კვების პროდუქტების ხარისხზე.
- ...

2. სინთეზური ქსოვილებისა და ბოჭკოების მოხმარება მკეთრად უნდა შეიზღუდოს.

მოგებები

- ამ მასალებისგან დამზადებული ნივთები ადამიანებში აღერგიას იწვევს.
- ...

ნინებები

- სინთეზური ბოჭკოებისგან დამზადებული მასალები უფრო მტკიცე და მდგრადია.
- ...

3. ბინებში უნდა იყოს მხოლოდ პლასტიკური კარ-ფანჯრები.

მოგებები

- გარეგნული სახე ძალზე მიმზიდველია.
- ...

ნინებები

- აძნელებს ბინის ბუნებრივ ვენტილაციას.
- ...

4. ადამიანებმა უარი უნდა თქვან სინთეზური პოლიმერული მასალებით სარგებლობაზე.

მოგებები

- მათი წარმოება ძლიერ აპინძურებს გარემოს.
- ...

ნინებები

- ამ მასალების ნაკეთობები აკმაყოფილებს ადამიანების ბევრ მოთხოვნას.
- ...

LAYIH

I

ცილის დენატურაცია

სპირტებულაზე დუღილამდე გააცხელეთ სინჯარაში მოთავსებული კვერცხის ცილის 3-5 მლ ხსნარი. გაცივების შემდგავ ხსნარს დაუმატეთ ამდენივე წყალი. ორივე შემთხვევაში დააკვირდით მომხდარ ცვლილებებს.

იმსჯელეთ შედეგებზე:

- რა შეიმჩნევა ცილის ხსნარის გაცხელებისას? რასთან არის დაკავშირებული ეს მოვლენა?
- რა შეიმჩნევა ცილის ხსნარის გაცივებისას და წყლით განზავებისას?
- როგორ დენატურაციას განიცდის კვერცხის ცილა გახურებისას? რატომ?

II

ცილების დალექვა მძიმე მეტალთა მარილებით

ორ სინჯარაში მოათავსეთ 1-2 მლ ცილის ხსნარი და წვეთ-წვეთობით დაუმატეთ: ერთ მათგანს შაბიამნის ხსნარი, მეორეს კი – ტყვია (III)-ის აცეტატის ხსნარი. თან სინჯარები ანჯღარიეთ. დააკვირდით მიმდინარე ცვლილებებს.

იმსჯელეთ შედეგებზე:

- რა მოხდა სინჯარებში?
- წარმოქმნის თუ არა მძიმე მეტალების მარილები ნაერთებს ცილებთან?
- შეიძლება თუ არა ამ მეთოდის გამოყენება მძიმე მეტალების იონებით მონამ-ვლის თავიდან ასაცილებლად?

III

ცილების ფერადი რეაქციები**• ბიურეტის რეაქცია**

სინჯარაში მოთავსებულ 3-4 მლ ცილის ხსნარს დაუმატეთ 2-3 მლ NaOH-ის ხსნარი და 2 მლ შაბიამნის ხსნარი.

იმსჯელეთ შედეგებზე:

- რა ცვლილებები მოხდა სინჯარებში?
- რაზე მიუთითებს ამ ფერის ხსნარის წარმოქმნა?

IV

პოლიეთოლენის ფიზიკური და ქიმიური თვისებები

- (2) სინჯარაში გააცხელეთ პოლიეთოლენის გრანულები და შეეცადეთ, მინის წკირით ფორმა შეუცვალოთ მათ. ხელახლა გააცხელეთ გრანულები და ისევ შეეცადეთ, მათ ფორმა შეუცვალოთ.
- (2) პოლიეთოლენის გრანულებს სინჯარაში დაუმატეთ ბრომიანი წყალი.
- (3) ცეცხლს მიუახლოვეთ პოლიეთოლენის გრანულები.

იმსჯელეთ შედეგებზე:

- 1-ლი ცდის საფუძველზე, თერმოპლასტიკურ თუ თერმორეაქტიულ პოლი-მერებს მიაკუთვნებდით პოლიეთოლენს?
- რა განსხვავებაა ეთოლენისა და პოლიეთოლენის დამოკიდებულებაში ბრომიან წყალთან?
- რა ემართება პოლიეთოლენს ალში? რა შეიმჩნევა გაცხელებული პოლი-ეთოლენის ალიდან გამოტანისას?
- რა ემართება გრანულას ცეცხლთან მიახლოებისას?

1. პოლიმერები მაღალმოლეკულური ნივთიერებებია.
2. პოლიმერის წარმომქმნელ ნივთიერებას მონომერი ეწოდება.
3. მაკრომოლეკულაში მრავალჯერადად განმეორებულ ატომთა ჯგუფს სტრუქტურული ერთეული ეწოდება.
4. მაკრომოლეკულაში სტრუქტურული ერთეულების რიცხვს პოლიმერიზაციის ხარისხი ეწოდება.
5. ცელულოზა, სახამებელი, ბუნებრივი კაუჩუკი, ცილები, ნუკლეინის მჟავები – ბუნებრივი პოლიმერებია.
6. ტრიაცეტილცელულოზა, დინიტროცელულოზა, ვულკანიზირებული ბუნებრივი კაუჩუკი – ხელოვნური პოლიმერებია.
7. გლიკოგენი, ამილოპექტინი, მაღალი წნევის პოლიეთილენი – განშტოებული აღნაგობის პოლიმერებია.
8. ამილოზა, ცელულოზა, ლაგასანი, კაპრონი, ბუნებრივი კაუჩუკი – არაგანშტოებული აღნაგობის პოლიმერებია.
9. პოლიეთილენის, პოლისტიროლის, პოლივინილქლორიდს იღებენ პოლიმერიზაციის რეაქციით, ხოლო ფენოლფორმალდეპიდურ ფისს, ცილებს, პოლისაქრიდებს – პოლიკონდენსაციის რეაქციით.
10. პოლიმერიზაციის რეაქციებს, რომლებიც ორი ან მეტი სახის მონომერის მონანილეობით მიმდინარეობს, თანაპოლიმერიზაციის რეაქციები ეწოდება.
11. პოლიმერის სტერეოგულარულობა არის მაკრომოლეკულის ატომთა ჯგუფების მონესრიგებული განლაგება სივრცეში.
12. რეგულარული აღნაგობის პოლიმერებს აქვთ დიდი სიმკვრივე, სიმტკიცე და უფრო მაღალი დნობის ტემპერატურა, ვიდრე არარეგულარული აღნაგობის პოლიმერებს.
13. პლასტმასები პოლიმერების საფუძველზე დამზადებული მასალებია, რომლებსაც უნარი აქვთ, გაცხელებისას შიიღონ განსაზღვრული ფორმა და შეინარჩუნონ ის გაცივების შემდეგაც.
14. თერმოპლასტიკური პლასტმასები შედგება ცალკეული მაკრომოლეკულებისგან, ხოლო თერმორეაქტიული – ბაზისებრი აღნაგობის პოლიმერებისგან.
15. თერმორეაქტიულ პოლიმერებს მიეკუთვნება ფენოლფორმალდეპიდური და ეპოქსიდური ფისი.
16. თერმორეაქტიული პლასტმასები არ ექვემდებარება ხელმეორე გადამზადებას.
17. პოლიმერის თვისებები განისაზღვრება მონომერის ბუნებით, პოლიმერის აღნაგობითა და ფართობითი მოლეკულური მასით.
18. პოლიმერები გამოიყენება ძირითადად პლასტმასების, კაუჩუკებისა და ბოჭკოების სახით.
19. კაუჩუკები ელასტიკური მასალებია, რომლებიც ვულკანიზაციისას რეზინად გარდაიქმნება.
20. ~~ბოჭკოები ძალების, ნართისა და საფეიქრო ნაკეთობების დასამზადებლად ვარგისი, არაგანშტოებული აღნაგობის პოლიმერებია.~~

- 1. შეასწორეთ მცდარი გამონათქვამები პოლიმერების შესახებ.**
 - მონომერისგან პოლიმერი წარმომნება მხოლოდ პოლიმერიზაციის რეაქციით.
 - პოლიმერის მოლური მასა დამოიყენებული არ არის პოლიმერიზაციის ხარისხზე (n).
 - ე. გვიჩვენებს რეაქციაში შესული მონომერების რიცხვს.
 - დ. მონომერისა და პოლიმერის თვისებითი შედგენილობა არ განსხვავდება.
 - ე. არ შეიძლება, პოლიმერის ნახშირბადოვან ჯაჭვში არსებობდეს $>\text{C}=\text{C}<$ ბმა.
- 2. დაასახელეთ ჩამოთვლილ მონომერთა შესაბამისი პოლიმერები:**
 - $\text{CH}_2=\text{O}$
 - $\text{CH}_2=\text{CH}-\text{C}_6\text{H}_5$
 - $\text{CH}_2=\text{CH}-\text{CH}=\text{CH}_2$
 - $\text{CH}_2=\text{CH}-\text{Cl}$
- 3. დაასრულეთ გამოთქმები:**
 - წარმოშობის მიხედვით პიროქსილინი ... პოლიმერია.
 - ფენოლფორმალდეპიდურ ფის (ბაკელიტს) აქვს ... აღნაგობა.
 - კაპრონი ... აღნაგობის პოლიმერია.
 - პოლიმერი კაჭვი შედგება ნახშირბადისა და ჟანგბადის ატომებისგან.
- 4. პოლიმერების რომელი ფიზიკური თვისებები განაპირობებს მიზიდვის დიდ ძალებს მათ მაკრომოლეკულებს შორის?**
- 5. რომელი გამოთქმა მიესადაგება სტერეორეგულარული აღნაგობის პოლიმერებს?**
 - იზოტაქტიკური აღნაგობის პოლისტიროლი;
 - ატაქტიკური აღნაგობის პოლისტიროლი;
 - სინდიოტაქტიკური აღნაგობის პოლისტიროლი;
 - კაუჩუკი $\text{C}=\text{C}$ ბმის მიმართ ცის-მდგომარეობაში განლაგებული CH_2 ჯგუფებით;
 - კაუჩუკი $\text{C}=\text{C}$ ბმის მიმართ ცის- და ტრანს-მდგომარეობაში განლაგებული CH_2 ჯგუფებით.
- 6. რომელი პოლიმერები ექვემდებარება ხელმეორე გადამუშავებას?**
 - პოლიეთილენი;
 - პოლიპროპილენი;
 - ფენოლფორმალდეპიდური ფისი;
 - პოლისტიროლი;
 - ეპოქსიდური ფისი.
- 7. რომელი პოლიმერები წარმოქმნება პოლიკონდენსაციის რეაქციით?**
 - ცილები;
 - ფენოლფორმალდეპიდური ფისი;
 - ლაგუნი;
 - კაპრონი;
 - ბუტადიონ-სტიროლური კაუჩუკი.
- 8. რა არის საერთო ფენოლფორმალდეპიდური ფისის წარმოქმნისა და ფენოლის ბრომირებისა და ნიტრირების რეაქციების შორის?**
- 9. განსაზღვრეთ სწორი გამონათქვამები:**
 - პროტეინები წარმოქმნება სხვადასხვა კონსის ორგანული ნივთიერებების პოლიკონდენსაციის შედეგად.
 - მალალი სიმკვრივის პოლიეთილენს აქვს უფრო დიდი მოლური მასა და განშტოებების მეტი რიცხვი, ეთერე დაბალი სიმკვრივის პოლიეთილენს.
 - მალალი სიმკვრივის პოლიეთილენს იღებენ კატალიზური რეაქციით.
 - მალალი და დაბალი სიმკვრივის პოლიეთილენის ქიმიური თვისებები მკვეთრად განსხვავდება.
- 10. შეადგინეთ ტეფლონის, პოლივინილქლორიდის, აგრეთვე ბუნებრივი და ბუტადიენური სინთეზური კაუჩუკის ფორმულები. სტრუქტურული ერთეულები გამოსახული სტრუქტურული ფორმულებით.**

- 5** **ალდეჰიდები** – ორგანული ნივთიერებები, რომელთა მოლეკულებში ნახშირწყალბადოვანი რადიკალი შეერთებულია ალდეჰიდურ ჯგუფთან (CHO).
- ალკალინები** – ნახშირწყალბადები, რომელთა მოლეკულებში ნახშირბადის ატომებს შორის არსებობს ორი ორმაგი ბმა.
- ალკანები** – ნახშირწყალბადები, რომელთა შედგენილობა შეესაბამება ზოგად ფორმულას C_nH_{2n+2} .
- ალკენები** – ნახშირწყალბადები, რომელთა მოლეკულებში ნახშირბადის ატომებს შორის არსებობს ერთი ორმაგი ბმა.
- ალკინები** – ნახშირწყალბადები, რომელთა მოლეკულებში ნახშირბადის ატომებს შორის არსებობს ერთი სამმაგი ბმა.
- ამინუმები** – ორგანული ნივთიერებები, რომლებიც შეიცავს ამინო- ($-NH_2$) და კარბოქსილის ($-COOH$) ჯგუფებს.
- არომატული ნახშირწყალბადები** – ნახშირწყალბადები, რომელთა მოლეკულები შეიცავს ერთ ან რამდენიმე ბენზოლის რგოლს.
- აცეტატები** – ძმარმუვას (CH_3COOH) მარილები.
- ბაკელატი** – ბადისებრი აღნაგობის ფენოლფორმალდეჰიდური ფისა.
- ბოჭკოვები** – გრძელ და მოქნილ ძაფებად გაჭიმვის უნარის მქონე ბუნებრივი და სინთეზური პოლიმერები, რომელთაგანაც ამზადებენ ნართს და სხვა საფეიქრო ნაკეთობებს.
- ცენატურაცია** – ცილის მეორეული და მესამეული სტრუქტურის რღვევა.
- ეთერიფიკაციის რეაქცია** – კარბონმჟავებსა და სპირტებს შორის მიმდინარე რეაქცია.
- იზომერები** – ნივთიერებები, რომლებსაც აქვს მოლეკულათა ერთნარი შედგენილობა, მაგრამ სხვადასხვაგვარი ქიმიური აღნაგობა და ამის გამო განსხვავდება თვისებებით. ამ მოვლენას იზომერია ენოდება.
- კარბონმჟავები** – ორგანული ნივთიერებები, რომელთა მოლეკულებში ნახშირწყალბადოვანი რადიკალები შეერთებულია ერთ ან რამდენიმე კარბოქსილის ჯგუფთან ($-COOH$). (გამონაკლისია ჭიანჭველმჟავა $H-COOH$).
- კრეკონგი** – ნახშირბადის მეტი ატომების შემცველი ნახშირწყალბადების დაშლის შედეგად ნახშირბადის ნაკლები ატომების შემცველი ნახშირზყალბადების მიღების პროცესი.
- 6** **ნახშირწყალბადები** – ნივთიერებები, რომელთა მოლეკულები შედგება ნახშირბადისა და წყალბადის ატომებისგან.
- ნახშირწყლები** – ორგანული ნივთიერებები, რომელთა შედგენილობა შეესაბამება ფორმულას $C_n(H_2O)_m$ (n და m≥3).
- ოლეატები** – ოლეინმჟავას ($C_{17}H_{33}COOH$) მარილები.
- ორგანული ქიმია** – ქიმიის დარგი, რომელიც შეისწავლის ორგანული ნივთიერებების შედგენილობას, აღნაგობას, თვისებებსა და მიღების მეთოდებს.
- 3** **პალმიტატები** – პალმიტინმჟავას ($C_{15}H_{31}COOH$) მარილები.
- პიროლიზი** – ნივთიერების უპაერო გახურება $1000-1200^{\circ}C$ -ზე.
- პლასტმასები** – პოლიმერული მასალები, რომლებიც გახურებისას მიღებულ გვენსაზღვრულ ფორმას გაცივებისასაც ინარჩუნებს.
- პოლიკონსაციის რეაქციები** – დაბალმოლეკულურიდან მაღალმოლეკულური ნივთიერებების ნარმოქმნის რეაქციები, რომელთაც თან ახლავს თანაური პროდუქტებს, მაგალითად წყლის, გამოყოფა.

- პოლიმერები ანუ მაღალმოლეკულური ნივთიერებები – ნივთიერებები, რომელთა მოლეკულები შედგება მრავალჯერადად გამეორებული ატომთა ჯგუფებისგან.**
- პოლიმერიზაციის რეაქციები – მაღალმოლეკულური ნივთიერებების წარმოქმნის რეაქციები მონომერების მოლეკულების ერთმანეთთან მრავალჯერადი შეერთების შედეგად.**
- პოლიმერიზაციის სარისხი – პოლიმერის მაკრომოლეკულაში სტრუქტურული ერთეულების რიცხვი.**
- როგორ ეთერები – ორგანული ნივთიერებები, რომლებიც წარმოიქმნება კარბონმჟავების სპირტებთან ურთიერთქმედებისას.**
- საპნები – უმაღლესი კარბონმჟავების ($C_{10}-C_{21}$) ნატრიუმისა და კალიუმის მარილები.**
- სპირტები (ნაჯერი) – ალკანების ნანარმები, რომელთა მოლეკულებში ერთი ან რამდენიმე ცყალბადის ატომი ჩანაცვლებულია ჰიდროქსილის (-OH) ჯგუფით.**
- სტეარატები – სტეარინმჟავას ($C_{17}H_{35}COOH$) მარილები.**
- სტრუქტურული ერთეული – ატომთა ჯგუფი, რომელიც მრავალჯერადად მეორდება მარკომოლეკულაში.**
- ფენოლი – ორგანული ნივთიერება, რომელიც შედგება ჰიდროქსილის ჯგუფთან უშუალოდ შეერთებული ბენზოლის რგოლისგან (C_6H_5-OH).**
- ფორმიატები – ჭირწველმჟავას ($HCOOH$) მარილები.**
- ფუნქციური ჯგუფი – ატომი ან ატომთა ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს ნივთიერების დამახასიათებელ ქიმიურ თვისებებსა და ნაერთთა განსაზღვრული კლასებადმი მიკუთვნებას.**
- ქიმიური აღნაგობა – მოლეკულაში ატომთა შეერთების თანმიმდევრობა.**
- ციკლოპარაფინები – ნახშირწყალბადები ჩაკეტილი ნახშირწყალბადოვანი ჯაჭვით, რომელთა მოლეკულებში ნახშირბადის ატომები ერთმანეთთან მარტივი ბმებითაა დაკავშირებული.**
- ცილები (პოლიპეტიდები) – ამინმჟავების ნაშთებისგან შედგენილი ორგანული ნივთიერებები.**
- ცხიმები – გლიცერინისა და ერთფუძიანი ($(\text{D}\text{i}\text{R}\text{o}\text{I}\text{t}\text{a})\text{D}\text{A}\text{D}$, მაღალი რიგის) კარბონმჟავების რთული ეთერები.**
- პომლოგები – ერთი და იმავე კლასის ნივთიერებები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება ერთი ან რამდენიმე მეთილენური ($>\text{CH}_2$) ჯგუფით.**

LAYIH

BURAXILIŞ MƏLUMATI

KİMYA – 11

Ümumtəhsil məktəblərinin 11-ci sinfi üçün
Kimya fənni üzrə dərslik
Rus dilində

Tərtibçi heyət:

Müəlliflər:

İltifat Urşan oğlu Lətifov
Şükür Əli oğlu Mustafa
Rumiyyə İnsad qızı Camalova

Tərcümə
Elmi redaktoru
İxtisas redaktoru
Dil redaktoru
Bədii redaktor
Texniki redaktor
Dizayner
Rəssam
Korrektor

İltifat Lətifov
Bahəddin Nəbiyev
Yusif Şixiyev
Aqşın Məsimov
Taleh Məlikov
Zaur İsayev
Taleh Məlikov
Elmir Məmmədov
Kəmalə Cəfərli

Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin qrif nömrəsi: 2018 – 000

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2018

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsinə yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-həşriyyat həcmi 10,4. Fiziki çap vəraqi 13. Səhifə sayı 208.
Kağız formatı $70' \times 100^1/16$. Ofset kağızı. Məktəb qarnituru. Ofset çapı.
Tiraj ___. Pulsuz. Bakı – 2018